# საქართველოს მოამბე

სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის

ი. ჭავჭავაძისაგან

ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.
თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა.

ტომი I.

F 10796
1936

ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ
БИБЛИОТЕКА
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

НЕ ВЫДАЕТСЯ

ტფილისს

ე. მელქუმოვისა და ა. ენფიაჯიანცის ტიპოგრაფიაში.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ОДОБРЕНО ЦЕНЗУРОЮ
12 Января, 1863 года. Г. Тифлисъ.

# შემოღამება მთა-წმიდაზე.

## ელეგია.

(თა. ნ. ბარათაშვილისა.)

ჰოი, მთა-წმიდავ, მთაო წმიდავ! ადგილნი შენნი,
დამაფიქრებელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან, როს მონამვენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!
ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არე მარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა, მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს:
ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ რეცა ტაბლასწმიდასა,
დავით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღმკმევენ სულნელებასა.
მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,

კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
დ̃ წყნარს სალამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ დ̃ სევდიანი.
ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული
ჰე ცაო, ცაო! ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან;
მაგრამ შენამდე ვერ მოაწევენ დ̃ ჰაერშივე განიბნევიან,
მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაჰშთოს აქ ამაოება. . .
მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი გონებას ციურს.
დაფიქრებული ვიდეგ სერზედა, დ̃ ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხან დ̃ ხან ნელად შქროლნი ნიავნი, ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
დ̃ ამით ხმნი შემოგარენი ჩემს გულსა ახლოდ ეთანხმებოდენ.
მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან სევდიანო!
ვინ მოგესვლოს, რომე მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს დ̃ არ დახსნას გულსა ვაება
გულ-დახურვილთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო?
სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას,
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინახავსთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქაცებული?
მას ჰგვანდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გარდახრით, შუქ მიბინდული.

ამგვარი იყო მთა-წმიდაზე შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს რასაც ვფიქრობდი
მე თქვენსთა შორის, დ̃ ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ სული ჰგრძნობს, თუ ვითარი ჰსძლევენით მას შვება.

ჰოი სალამოვ, მყუდროვ საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს ჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად;
:მწუხრი გულისა, სევდა გულისა, ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანა-
თებს.

1836 წელსა.

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვემსახურებით—მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ.
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად განვაგდოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად—და მორიდამ სეირს ვუყუროთ.
თუ კაცმა ვერ ჰსცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ—ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: «ის სიცუდეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!»
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ჰსცნობს:
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია!

1861 წ.

* * *

## მ უ შ ა.

«Въ трудѣ проходитъ жизнь его
И не приноситъ ничего.»

### I.

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია. ჩემო მუშავ! მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი, მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა;
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება:
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მარტივ იმედმა?
აქ სად მოსულხარ? . . რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე? . .

### II.

აი ტვირთ ქვეშა მოკაკულხარ, საბრალოვ შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გეღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ-გაკეცება! . .
ვინ შეგიბრალებს? . . აგერ მოჰქრის დიდ-კაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად

აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა,—და როგორც კოკა
შენ—კერძო ღვთისა არ დაგინდო დასამსხვრეველად.
შენ გარდიქეცი ტომარითურთ, და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი . . .
რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი ჰსთქვა შენ მწუხარ თვალმა,
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი. . . ,
იმავ დუმილით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთისა:
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო ჰსქდებიან
ჰსწევ, ვერ ეწევი —გეკარგება შენ საზდო დღისა. . .
ხალხი გიყურებს, და არავინ არა გშველიან! . . .

## III.

აჰა, მიხვედი მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზედ იწმენდავ ოფლსა,
განივრად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია;
იცდი საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია! . . .
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის შურს,
ხშირად ფასს გიკლებს, შიშველს, მშიერს, მწყურვალს, უბედურს . . .
«ნუ მიტეხ ლუკმას,—ეუბნები—ღმერთსაც შეხედე! . .
მე ეგე ლუკმა პირუტყვსავით ზურგით ვიყიდე.»
შენ უღონო ხარ . . . და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება;
ვისაც არ უჭირს, მას გაამძღობს,—და შენ დაგიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და თუ დაღამდა თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამრიგად განაგრძელებ უღვთო შრომასა :

## I

შენ სიცოცხლესა დაალამებ ქსრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცოცხლებ ვერც ერთსა დღესა . . .
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ქგდები და ლეიბათ გექნება ნამჯა,
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა! . . .
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოკვდები:
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა
არ დაგტირებენ პატარები შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედამენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები,-და ჩვენ ხსოვნასა
არა ფერი არ მოაგონებს შენს «აქ» ყოფნასა,—

ივლისის 12 დღესა.
1860

* * *

# გლახის ნაამბობი

პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებულ მოთხრობისა)

«რაქნას კარგმა მონარდემა,
თუ ღუშაში არ მოუვა.»

## I.

მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან ისა ვარ. საკვირვლად მიყვარს დაბურულ, ხმა გაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულ გულის ცემით ლოდინი ნათვალევ ნადირისა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაშია. თუ გნებავთ ამასაც-კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველასა აქვს თანასწორი ნება ამ თვალ-მიუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი სამღთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახამს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მისს თავისუფალს სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყვეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს ექცევა საწყალი და ზედ-კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდამვე ესმის ირმის ფეხისცემა ყურ-მახვილ მონადირესა; ესმის და მის მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი მოვიდა თოფის მანძილზედა, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი მოახლოვდა, იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარელ ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა; მაგრამ არა. დაუშტვენ. მაშინ უნდა ნახოთ, რა მწუხარებით შე-

დგება, რა რიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა გაფოთებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყობს ნაღვლიან თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულ ნესტოებით სულის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია, და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცაა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო სულ ეხლა შემოიკრიფაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულ მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იქნოსა, კაცის სული აიღო, ირემმა დააჭირა გაქცევა; მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი გაიფრთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად ახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს; ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უხდა ნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი რა რიგად უდრტვინვნელად და მშვიდათ კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლ-მორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც უბოროტოს და მშვიდსა ამ ღვთის მიუწდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს მინამდის დედა-მიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა, როცა კი შეიშრობდა და მეც-კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თვითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თვითონ ქმნულებათა გვირგვინნი, ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი ერთი ერთმანეთს არ უთმობთ იმ ადგილსა, — რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველკაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: «ისიც კარგია ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვდები, სადაც დაიბადე, ჩვენ კაცები ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებული ვართ.»

ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი ხუთმეტიოდ ვერსტი რომ გაგვევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ?.. ყველგან ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში, «სადაც, გლეხისა არიყოს, ქრისტე-ღმერთს

თავისი უხვი კალთა დაუბერტყია.» ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არის: დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა. მაგრამ ჩვენ სოფელ ქვემოდამ რომ გაჭიქვე, ის ადგილები მეტად მიყვარდა. კარგად ვიცოდი იმათი ვითარება და შენიშნული, ნათვალყევიც მყვანდა იქ ნადირი. ორის-სამის დღით წავიდოდი ხოლმე; როცა დამიღამდებოდა ავბრუნდებოდი ერთ პატარა სოფელში, სადაც მყვანდა ერთი პატიოსანი გლეხ-კაცი ნათელ-მირონად. ღამეს იქ გავატარებდი და მეორე დილას, ტრედის ფრად რომ ინათებდა, დავეშვებოდი თავ-თავქვე სანადიროდ. ორი თვე აღარა ვყოფილვარ იქითკენ, ბოლოს მომინდა წასვლა. ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას ვახსენე ღმერთი, ავიღე ორლულიანი მტუცრის თოფი, დავუძახე ჩემ მეძებარს და წავედი.

იმ ჩემ ნათლიმამის სოფლის სათავეში, ორღობეები რომ იყრობოდნენ, ზედ საურმე გზის პირას იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მოდგმული, გომურის ჩასავალში ჩარდახსავით იყო წინ წამოწეული. ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კვალი არა ჰსჩანდა. ის იყო, მგონია, აყრილი კაცისა, ან ამოწყვეტილისა თავმინებებული და პატრონსავით დავიწყებული. რასაკვირველია, ხშირად შემხვედრია ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ზედ გზის პირას იდგა; მაგრამ, აი რამდენჯერ ამივლია და ჩამომივლია, არცერთხელ არც ერთი სულიერი მე არ დამინახამს. თუ იქნებოდა ისიც ხანდისხან ზურგ წამხდარი, დაჩლუნგებული გლეხ-კაცის ცხენი, რომელიც უილაჯობით შორს ვერ წასულიყო და საბძლის გარეშემო ჰსჯიჯგნიდა გოლვისაგან გადამხმარ ბალახსა. ეხლაკი რომ ამოვიარე, ჩემდა გასაკვირველად, დავინახე ერთი კაცი გომურის კარებთან მიწოლილი. ეგ არაფერი. დილაზედ ჩამოვიარე შევიხედე, ის კაცი ისევ ისე მწოლარე დავინახე. საღამოზედ ჯერ ბინდი არ მორევოდა სინათლესა ამოვიარე ის კაცი ისევ ისე ვნახე, გამიკვირდა უფრო იმიტომ, რომ იმის მეტი იქ არავინ მოჩანდა. დავაპირე, ამაღამ უთუოდ გამოვჰკითხავ ჩემ ნათლიმამას ამის ვინაობას. ჩემ

კითხვაზედ ნათლიმამამ მომიგო :

—რა მოგახსენოთ, შენიჭირიმე! მაგის ვინაობა აქ არავინ იცის. ეგ ვიღაც გლახა არის დავრდომილი და უპატრონო; სნეულია, მოსულა და მანდ შეჰკედლებია, აი ეს თუნდ თვე ნახევარი იქნება.

—სულ მარტოდ მარტო არის?

—რავიცი, შენი ჭირიმე! მანდ კი გულშემატკივარი არა ვინა ჰყავს დ .

— მაშ ვინ აცხოვრებს?

— ქვეყანა. იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მიჰსწყდება, ამვლელ-ჩამომვლელი არ დაილევა: ერთი ღვთის კაცი იქნება ვინმე და მიუგდებს ორიოდე ლუკმა პურსა. ისიც მეტს არა ფერსა თხოულობს, ცარიელ პურითაც იოლად მიდის.

— აქაური ხომ არ არის?

— რასა ბძანებთ!.. აქაური, რომ იყოს ისე როგორ გაუწყრებოდა ღმერთი, რომ თავისიანი არ მიეცა. არა, აქაური_არ გახლავთ.

— შენ გილაპარაკნია იმ კაცთან?

— რატომ? მილაპარაკნია.

— თავის აფვალი არა უთქვამს რა?

— არა. მაგრამ კაი სიტყვის კაცი კი ყოფილა ის უბედური

— იქნება შენ თითონ არ გამოგიკითხამს?

— როგორ არა, გამომიკითხამს, «მეო, ერთხელმითხრა, ერთი დავიწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი ვინაობა? შამომხედე, ჩემო ძმობილოო, და მიცანიო.» სხვა არაფერი უთქვამს თავის თავზედ; მეც აღარა გამომიკითხავს რა მასუკან. მგონი, თავს იმალავს.

მე გამაოცა ამანა. მე ბუნებითაც ცნობის-მოყვარე ვიყავ და ახლა იფიქრეთ, ამ ნათლიმამის ნაწყვეტ სიტყვებმა როგორ აღმიძრეს გული იმ კაცის ამბავის შესატყობრად. რა უნდა ჰქონოდა თავის დასამალავი? ვფიქრობდი გულში. გავიძრახე, რომ თითონ გლახას, რაცუნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა.

ერთხელ ტყუილ-უბრალოდ ნათრევ-ნახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მოვდიოდი ჩემ ნათლიმამისაკენ. ჯერ მზე ისევ მაღლა

იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა. ის უბედური კაცი ისევ ისე მწოლარე იმავე ადგილას დავინახე. ვეღარ მომითმინა გულმა, ვჰსთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება ვათქმევინო რამე; მაინც ცოტად დაღლილი ვარ, ნათლიმამის სახლამდინაც კაი მანძილი იყო კიდევ. სხვა არა იყოს რა, ქარს მაინც ამოვაღებინებდი დაღლილ მუხლებსა. მივედი, «გამარჯვება» ვუთხარი.

— ღმერთმა გადღეგძელოთ, მიპასუხა იმან სნეულის ხმითა და წამოიწია პატივსაცემლად, რადგანაც თავადის შვილი ვეგონე.

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა, თითქო ტკივილები აეშალნენო, ისე მტკივნეულად შეიკრიფა წარბები და დაელმიჭა გაყვითლებული სახე. ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა და შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალ-მანკის მქონესა; თმა და მოზდილი ჭაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქო, იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოხვედრიაო და არც სავარცხელი. რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკურ ნაბდის ნაგლეჯი. გვერდთ ედგა ერთი პირ-მოტეხილი ლიტრა, იქვე ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზდილი კომბალი—ეგ ერთგული და უმუხანათო თანა-მგზავრი ყოველ უბედურისა. ძალიან გაქელილი ჰსჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია სულის სიცხოველე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ უგუნო თვალები, პირმქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახამს, ბევრი ავ-დარი შესწრობია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავ-დარსა ისე არ მოუკლამთ, როგორც შექმლოთ. საზიზღარი სანახავობა ჰქონდა, მინდა ვჰსთქვა, საცოდავიცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაკადრებ მაგას. დიდრონი შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დასკეთქილი წყლულიდამ ჩირქი ზდიოდა. ღმერთო შეგცოდე, ეს

რომ დავინახე თვალი მოვარიდე, ისე მეზიზღა

—გეზიზღები განა, შე კაი კაცო! მკითხა დაგვემილ ხმითა. მაგრამ მე ის ხმა გამკიცხავ ხმად მეჩვენა. მე შევხედე და ერთი მწუხარე, თუ მძულვარე ჩემი შემარცხვენელი ღიმილი დამხვდა იმის სახეზედა. მე შემრცხვა და მაშინვე თავი დავიხარე. ვერ გავუძელი იმის თვალების მკაცრს მეტყველობას. ვჰგრძნობდი, რომ ჩემ სულ-მოკლეობის სირცხვილმა სახეზედ ცეცხლი მომიკიდა ამ კაცის თამამ კითხვაზედ. მე პასუხი არ მივე. ან რაუნდა მეთქო?..

—მართალი ბძანდები, განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, ჩემ დასამშვიდებლად: მართალი ბძანდები! ცოცხალს კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საკვირველია!

ამან ვერ დამიშოშმანა სულ-მოკლე გული, თუმცა, თითქო, უგუნური ქცევა ჩემი თითონვე გამიმართლაო. მაგრამ ვაი იმ გამართლებასა!.. გული უფრო ამემღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა. რას ბძანებთ?.. ჩემ წინ ნახევარ-მკვდარი კაცი იდო, ეგრე უნუგეშოდ დარჩომილი, იმას ისე ეჭირებოდა გულ-მტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მეკი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევიზიზღე, მოდი აქა და თავი გაიმართლე? მე უნდა წამომდგარვიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა, მაშინ გავმართლდებოდი, მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისათვის უძლური იყო. სუსტი, რომ იქნება კაცი, იქნება!..

—მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ დაიწყო კიდევ: დამიგდო ავად-მყოფობამ და ამ დღემდინ მომიყვანა. ესე უპატრონოდ ამ დაქცეულ ჩარდახის ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედა-მიწის ზურგზედ დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა; ველი და არ მოდის. ისიც კაცისავით კეთილი ყოფილა; როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ მოვა, მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ მივიტან. ეს კია, რომ სადაური, სადა ჰკვდები!..

«ვაი სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა ?
ყოველიმც შენი მონდომილი ნიადაგამცა ჩემებრ სტირსა ;
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით მირსა,
მაგრამ ღმერთი არ გაჰსწირავს კაცსა შენგან განაწირსა ! . »

—მართალი უთქვამს იმის მთქმელსა შენი ჭირიმე ! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა ! . .

ეს რომ თქვა, ღმერთს შეხედა. მე აბა წარმოიდგინეთ, რა რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულ გლახისაგან ეს ვეფხვის ტყაოსნის სიტყვები ! . . ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა. მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო !

რავქნა ? ვჰსთქვი ჩემ გულში ; ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის. ცნობის მოყვარეობა ჩემი წრეს გაჰსცილდა, მერე იმანაც სიტყვა თითონვე ისე გამიგმელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევინებინა რამე. მინდოდა მეკითხნა, მაგრამ ვერ გავბედე: შევატყე, რომ დიდი-ხნის ცნობილმა ქარმა უეცრად მოჰბერა გამოვლილი სევდა. ჯერ ვამჯობინე სევდის ღრუბელი გადეყარა, მერე მეკითხნა ვინაობა. ბოლოს ისევ ჩემკენ მობრუნდა და დიდხანს დამაცქერა შავი თვალები, მე ისე მეჩვენა ვითომც სახის მეტყველება შეჰსცვლოდა. ეხლაკი დრო იყო, მგონი, დამეწყო საუბარი, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ მოვაყოლო და ვერა მოვაგვარე რა. ხომ ესეა ეს ოხერი, როცა გიჭირს ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა. ბოლოს ვჰსთქვი: დავიწყობ, ჯანი გავარდეს, თუ უხერხოდ მომივა.

—შენ, ძმობილო, ვუთხარი მონაწილეობით: აქაური არ უნდა იყო, თორემ თავისიანი, როგორ დაგელეოდა ?

—მართალი ბრძანებაა, მიპასუხა იმან: მე აქაური არავარ. ჩემი ქვეყანა აქედამ შორს არის; მაგრამ იქაც რომ ვყოფილვიყავი ესე ოხრად ამომივიდოდა სული, იმიტომ-რომ იქაც ისე აღარა ვინა მყავს, როგორც აქა.

—დიდი ხანია, რაც ამ მხარეს ხარ ?

—კარგა ხანია, ბატონო!.. აი ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მინამდინ დამცალდა. დიახ!.. ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი. თუნდ რომ მე გავპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც ეგ სიკეთე მიყო.

—როგორ თუ დაგაკარგვინეს!.. განა ძალათა ხარ გამოგდებული?

—ეგ რომ გითხრათ, მითამ ჩემი ამბავი მიამბნია.

—თუნდ რომ მიამბო, რა დასაძრახისია?

—არა, განა მაგას მოგახსენებთ, მაგრამ მე არ მინდოდა ჩემი ამბავი ვისთვისმე მეთქო.

ეს ისეთ ნაირად ჰსთქვა, რომ მე იმედი მომეცა დაწვრილებით თქმევისა, თუ რომ ცოტად მაინც ძალას კიდევ დავატანდი.

—რატომ არ გინდა? რისა გეშინიან?

—ჰმ, ჩაიცინა გლახამ: რისა უნდა მეშინოდეს?..

—მაშ რა გაბრკოლებს? თქვი, თუ ღმერთი გწამს, დავეღრიჯე მე, რომ ვერა გავხდი რა: რა-წამსაც დაგინახე, ღმერთია მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა, თუმცა...

—თუმცა რა?

—არა ფერი... მე მინდოდა მეთქო, რომ შეგატყე წუთის სოფლისაგან დაჩაგრული ხარ,—გაუსხვაფერე მე სიტყვა: მიამბე ვინა ხარ, გულ-ნაკლულად ნუ გამიშვებ?..,

—ვინა ვარ?.., მომიგო მან და შედგა, თითქო თქმა არ უნდაო.

## II

—«მე სწორედ მოგახსენოთ, დაიწყო ხელახლად გლახამ: ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყოს. ვიცი ჩემი დღე დათვლილია. თუმცა ძალიან კი მეძნელება თქმა, მაგრამ რა გაეწყობა? გულში გაიღვიძა კიდევაც ძველებურმა საქმემა ძ ეხლა რაღა დროს დამალვაა? თუნდ ეგ არიყოს, ეხლა ალარაფრისა მეშინიან, თუნდა გამცე კიდეც. მე როდესღაც ვფიქრო-

ბდი ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეცა, როგორც იქნებოდა შრომით, თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის სოფლის დღესა. ეხლაკი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა და ის ერთად ერთი, ჩემსავით ობოლი იმედი წამართო ჟამთა ვითარებამა, ეხლა მე ფიქრი აღარა ფრისა არა მაქვს. გეტყვი ყოველ ჩემ გარდასავალს და დაე ღმერთმა ეს აღსარებად მიმითვალოს, თუ რამ შევცოდე და მონანება ვერ მოვა-ჰსწარ,—შემინდოს. მე ვარ ნაყაჩაღევი. ჩემი თავი ერთ დროს წმინდი გიორგის ჯვარად იყო დაფასებული, მაგრამ, ხომ მხედავთ, შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა. მე, მართალია, ვიყავ ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ, ღვთის წინაშე ვაღვიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. იქ ისეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს, მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვა რიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მაპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად.

—„მე კახელი არ გახლავარ, მოჰყვა კვლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ: ჩემი მიწა-წყალი, როგორც მოგახსენეთ, აქედამ შორს არის, და კაი რომ ჩემ სიცოცხლეში იმ მიწას ვეღარ ვინახულებ და იმ წყალს ვეღარ დავეწაფები!.. შვიდის წლიდგან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიღამებია. ის ღმერთმა იცის ცაში და დედა-მიწაზედ მე, რაც მე იქ გულმტკივნეულად მიწვენია უღელი; მაგრამ დამნახავი ვინ იყო, მაღალ ღვთის მეტი? თავდაპირველადვე ამადევნეს ჩემოდენა ბატონის-შვილსა, დათიკოს. კაი მოგეცათ, კაი ბაშვი ის იყო პატარაობისას. ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ უყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქონდა. დათიკო, როგორც მოგეხსენენებათ მამის-ერთა ბაშვი, მეტი გაზვიადებული რამ იყო, განებიე-

რებული, ერთს ალიანქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვის ქწუჭ-ნინებისათ რამე. მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩვიე ჩემი პატარა ბატონი, იმანაც შემიჩვია ასე, რომ ბოლოს ეს შეჩვევა მე სიყვარულად გადამექცა. ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დახედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და ადრეულად დააჭკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მომიღო. თუნდ ეგ არ იყოს, შინისაკენ მე გული არ მიმიწევდა. იქ ასეთი სულთა მხუთავი-დედინაცვალი მყავდა, რომ როცა კი მოვიგონებდი ყრყოლას მომგვრიდა მარიამობის თვის ცივებასავით, ბატონთან კი განებიერებული ვიყავ ბატონის შვილისავით, დათიკოს უყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რო მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამაპაპის სალოცავსა, გულში ნაღველას ჩავიწურებდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავატარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..

»—თოთხმეტის წლისა შევიქენით ბატონი და ყმა როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც, რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი. მამა ჩემმა, რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი ჰსთხოვა. ხომ მოგეხსენებათ: გლეხ-კაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხ-კაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა. თუნდ ეგ არ იყოს, მამა ჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დავრჩი, და მგონია, ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად.

—«დიდი ბატონი—ღმერთმა აცოცხლოს—მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამა ჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: გაბრუშკი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა აქ დარჩი მამა შენთან,

მე ქალას არ დაგატან. ვიცი ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა გუ-ყოთ: შვილი მამისა არის. ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო . . .

მე ალიმული ამივიდა სახეზედა, ბატონი თითქმის მამა ჩემს მოუწბილდა და კაი თუ აქ დამაგდონ, მეთქი. ის კი არ იცოდნენ: მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედი-ნაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა. გული მეტკინა, მახსოვს თვალებში ცრემლიც მომე-რია, ვჰსთქვი ჩემ გულში: გამიწყრა ღმერთი, ისევ ჩამაგდეს იმ ქაჯის ხელშია! მაგრამ ღმერთმა უშველოს, დათიკომ დამიხსნა ცეც-ხლისაგან. ის თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვით-რჯული ბაშვი იყო, რასაც იტყოდა, იტყოდა, მოკვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა. მე რომ დავჩუმდი, დიდ-ბატონს ის მიუბრუნდა და თამამად უთხრა: თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვ-ლელი არა ვარ. გაჯიუტდა ეს ყმაწვილი, ზედ გადააკვდნენ და ვერ გადაათქმევინეს ნათქვამი. რა ექნა დიდ-ბატონსა? მამი ჩემისაც ეხა-თრებოდა და თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს რომ ვერა გააწყორა, ბატონმა ისევ მამი ჩემის წყენა ირჩივნა და უთხრა თავისე-ბურად გულმტკივნეულად: ხომ ხედავ, ჩემო დათო, დათიკო ისე შეჰჩვევია შენს შვილს, რომ მოშორება ეძნელება. დაე წავიდნენ! კარგია რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვე-ვიან: ყმისათვის ბატონთან შეზდილობა დიდი ზურგია. ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.

მამა ჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა; უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც კი მინახულა. ეგ, გითხრათ ჩემი გულ-ქვაობის ამბავი, სულაც არ შევიმცნიე მაშინ; ბოლოს კი ბევრი ვინანე. ის ის იყო მამა ჩემი თვალით ვეღარა ვნახე: იმავ წელიწადს ამოიჭამა წუთის სოფელმა, და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვის-ტომოდ, ობლად მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტიალ ქვეყა-ნაზედა. ამ თვალ მიუწდომელ დედა-მიწის ზურგზედ ერთი დათი-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

F10796

კოლა დამრჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლი გულის სიყვარული !..

ჩავედით ქალაქშია. ჩვენ დაგვაყენეს დიდ-ბატონის ნათლი-დედა-სთან. ის იყო ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედა-კაცი. ერთი კაი შვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჰშურებოდა იმისათვის ბედსა და წაერთმივა საწყლისათვის. ორ ოთახიანი სახლი ჰქონდა მტკვრის პირას. მე რომ მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ' ვჰსთ-ქვი ჩემ გულში: აქ, მგონი, ჩვენ კუჭს ვერ გავიძღობთ. მერე დათიკოსაც ვუთხარი ეგა, იმან გამიცინა და მითხრა: თორმეტი თუმანი უნდა ვაძლიოთ წელიწადში და წლის სამყოფი პური და ღვი-ნო. როგორ შეუძლიან მშივრები დაგვყაროს ? მართალი უნდა თქვას კაცმა, ის დალოცვილი ისე გვინახამდა, როგორც საკუთარ შვილებსა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმის სულსა ! . . .

დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა, სადილად შინ მოვი-დოდა, სადილს უკან წავიდოდა, ზარების დარეკის დროს ისევ შინ დაბრუნდებოდა. საწყალს რაღაც რუსული ტანისამოსი ჩააცვეს; ძა-ლიან ითაკილა პირველში, ასე რომ ერთხელ შემომტირა კიდეც, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი, ყველაფერს მალე შეეჩვე-ვა, ისიც შეეჩვივა. მე ბევრი საქმე არა მქონდა. რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავგვიდი, მთელი დღე ისე გულ-ხელ დაკრეფილი ვიჯექი. ხანდისხან იქნება ბაზარში გავეგზავნე დედა-ბერსა მწვანილის სასყიდლად, სხვას ყველაფერს თითონა ყიდულობდა. მეც რაკი ჩემს საქმეს ბოლოს მოვუღებდი, ავიღებდი თავსა და ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალს ავაყოლებდი ამვლელს და ჩა-მომვლელსა, როგორც მოგეხსენებათ უსაქმო კაცის ამბავი. ჩვენ ქუჩიდამ ერთი ვიწრო ქუჩა აუბრუნდებოდა და იქავ ერთი პატარა საყდარი იდგა, იმის დაჰსწვრივ ჩვენკენ, ამ ორ ქუჩის კუთხეში ერთი უშველებელი, დიდის ალაყაფის კარებიანი სომხის სახლი იყო. იქ ხში-რად მინახავს ერთი მოზდილი იმერლის ბიჭი. უფრო საღამოს ხნო-ბით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელ-ნაწერსა კითხულობდა. მე ძალიან გამიკვირდა: ვინ ბიჭი, მეთქი,

და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ ბრიყვსა წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა, თურმე ნუ იტყვით, ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც ჰსცოდნია. ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთავო ყოფილა!

ერთხელ კვირა დღე იყო. დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდინ შინ არ შემოუხედნია. იმან როგორღაც ორიოდ თვეს შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდისხან მამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მგონი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრუებულიცა ჰქონდა. კვირა დღე იყო, როგორც მოგახსენე. მე შინ საქმე არა მქონდა რა, გამოველი ქუჩაში. ჯერ ჩვენ სადარში წირვა არ გამოსულიყო. გავედი თუ არა ის იმერლის ბიჭი წიგნით ხელში იქავ დამხვდა, სადაც უწინ ვხედავდი ხოლმე. მეც აქედ ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯექ და დაუწყე ცქერა. ის ბიჭი თვალაუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დაჰსცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა. მე გულმა ველარ მომითმინა, მიველი იმასთან და გამარჯვება ვუთხარი. იმანაც, რასაკვირველია, სალამი მამცა.

—შენი სახელი, ძმობილო? მკითხა იმან.

—გაბრიელ. შენი? ახლა მე ვკითხე.

—გლახუკა.

—სადაური ხარ?

—რაჭველი. შენა?

მეც ვუთხარი სადაურიცა ვარ.

—რაჭველი?.. მაშ მოჯამაგირედ იდგები, დავუმატე მე.

—დიახ, სომეხთანა ვდგევარ. შენა?

—მე? ბატონის შვილს ვახლავარ.

—აი ყმაწვილი რომ დაიარება იმას?

—იმას.

—დიდი ხანია ქალაქში ხარ?

—კარგა ხანია. შენა?

—მე თუნდა ორი წელიწადია აქა ვარ.

—მეც ერთი წელიწადი იქნება აქა ვარ და რატომ ადრევე ვერ

მანახვიხარ?

—აქ არ ვიყავი. ჩემი აღა კარგა ხანი იყო კახეთში და თან გახლდი. ეხლახან ჩამოვედით, ორი თვე არ იქნება ჯერ კიდევ.

—კიდევ იმიტომ. ეგ რა არის? ვკითხე და დავანახვე წიგნი.

—ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო! საქმე არა მაქვს და გულს ამაში ვართობ.

—აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო, ვუთხარი მე ხვეწნით.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთ ნაირად კითხვა, რომ, ღმერთო შეგცოდე, შური მომერივა. ეგ კიდევ არა ფერი: ყური მივუგდე, და ის რასაც კითხულობდა თითქო მეცნოო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოსო. გადაბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. «დალახვრა ღმერთმა, წამოვიძახე უცებ, ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?..» დიახ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ. იმერლის ბიჭმა ჩაიცინა ჩემ სიტყვაზედა.

—ეგრეა, ჩემო გაბრიელ! მითხრა გლახუკამ: წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენ სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას—სოფელში წაიღებს; საიდამ სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს.

--მართალი ყოფილა, როგორცა ვხედავ, ვუთხარი მე: მაგრამ... ჩვენი ზღაპარი!... აი დალახვრა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა ერთი კიდევ წაიკითხე.

კიდევაც წამიკითხა იმ დალოცვილის შვილმა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა თავი შემაყვარა. ისე ჩემ გაჩენაში არა მინატრია რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე: მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ ის ისე თამამად კითხულობდა და მე კი ისე უხეიროდ დავეხეტებოდი. ბოლოს, გულის წადილს რომ ვეღარ გავუძელ, მივვარდი ზედ გლახუკას და დავეღრიჯე:

—თუ ღმერთი გწამს, მოდი ერთი მადლიანი საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე. მე ერთი ობოლი ბიჭი ვარ, თუ მე ვერ გადაგიხდი სამაგიეროს, ღმერთი ხომ დიდია!..

რას ბძანებთ? . . მაინც ისე უსაქმოდ ვაღამებდი ჩემს დღეს, მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა,

—მართლა, გულითა ხარ მოწადინებული? მკითხა გლახუკამ.

—რას ამბობ? მოწადინებულიო!.. ზედ დავაკვდები, შენ ოღონდ ეგ სამადლო საქმე მიყავ! ვუპასუხე გიჟსავით.

—მაშ თუ აგრეა—ადვილია.

—გაცხონე მამა შენი!.. შევყვირე გახარებულმა: მადლიანი ბიჭი ყოფილხარ.

—ნუ გგონია, რომ მე გასწავლი. მე არ დაგზარდებოდი, მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მოცლა არა მაქვს? მე კაი ოსტატს გიშოვნი.

ფერი მეცვალა ეს რომ მითხრა. როგორც თავ-მოწონებული ფარშავანგი ხარობს მინამ თავის შავ-ფეხებს დაინახამს; როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის, ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულ გულმა ჩამოჰყარა ფრთები.

—ეჰ, ძმობილო! ვუთხარი გულნატკენად: შენშიაც მოვსტყუვდი. ოსტატს კაი გაძღოლაც უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალზედ მივიგრა. ვხედავ, რომ ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი.

იმან გამიცინა და მითხრა:

—აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავით ფეთქამ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექმნება? მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს.

—გულს მირბილებ განა? ვკითხე უჯერობით.

—დამიჯერე, მართალს გეუბნები.

—მართალს?!..

—ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს.

—ბიჭოს!.. მაშ ღვთის კაცი ყოფილა!..

—შენ არა სტყუი. სწორედ ღვთის მსახური კაცია. მეც იმან მაჰსწავლა, ღმერთმა გადუხადოს სამაგიერო.

—არა დამაცა: როგორ თუ ღვთის მსახურია, სამღვდელოა?

—სწორედ. შენ ხომ ამბობ ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვისაც არ უნდა იმდვენს ეჩიჩინება, იმდვენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომინებს. მეც ისე მნახა ერთხელ აქ ქუჩაში. დაილოცა ის დღე, ჩემთვის კაი დღე იყო... დამიწყო დალოცვილმა ლაპარაკი, სადაური ხარო, აქ რას აკეთებო? მეც ყოველის ფერი მოვახსენე, რა გავაგრძელო! ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით, ისე შემიჩვია, რომ ბოლოს წიგნის სწავლებაც დამიწყო. რა მე?.. ათიოდ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები იმასთან დადიან და სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან იმათგან გროში არ იცის. მე ერთხელ ჯამაგირი, რომ ავიღე მინდოდა მიმერთმივა ორი მანეთი იმ დალოცვილისათვის, მაგრამ თუმცა არ გამიწყრა, მიწყინა კი.

—მამა გყავს? მკითხა მე.

—არა, შენი ჭირიმე!

—დედა?

—გახლავთ.

—ვინ ინახამს?

—მე, შენი ჭირიმე! ჩემ მეტი არავინა ჰყავს.

—მაშ ეგ ფული დედას შენს შეუნახე, მიბძანა თავისებურად გულ-თბილად: შენ რა გაქვს, მე რა უნდა მამცე?

—დედა ჩემს თავის წილი გავუგზავნე და ეს გადავანარჩუნე, რომ თქვენ ლოცვაში მომიხსენიოთ.

—ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება.

—საყდრის და ღვთის სადიდებლად მაინც მიიღეთ, შენი ჭირიმე!

—ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქმით იდიდება და არა ფულითა.

—მიწყრებით, შენი ჭირიმე!

—არა, მე მართალს გეუბნები.

—მაშ რავქნა, მიბძანე?

—შენთვის შეინახე: თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ ამ თქვენ ქუჩის ბოლოს ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველ დღე მაძღრები ვართ. . .

«ეს ისედ ნაირად მითხრა, რომ, არ დაიჯერებ, მაშინვე გამოვტრიალდი, ვიპოვე ის სახლობა და იმისთვის გადადებული ორი მანეთი იმათ მივართვი. აი რა მადლიანი კაცია! . . ნეტა თითონ ჰქონდეს რამე მაინცა! ღვთის განაჩენი არა აბადია რა, დღე დღეურად ძლივა ცხოვრობს. მაგრამ სულ ტყუილი ყოფილა, კაცს რავი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია, თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა. მაგ კაცის ამბავი, რომ გიამბო, არ დაიჯერებ, იმისთანა რამ არის. საცა კი სიკეთეა ამ უბანში იმისი მადლიანი ხელიც იქ ურევია. დაილოცა ღვთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავბინებებულ კაცს მაგისთანა პატრონს გაუჩენს ხოლმე! . . მე თუ კაცი ვარ, ეგ იმის უნარია, ღმერთმა გადუხადოს! ტყუილად კი არარის ნათქვამი, ჩვენისთანა კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო. აგერ თვითონაც გამობძანდა», დაატანა გლახუკამ და მიმახედა საყდრისაკენ.

წირვა გამოსულიყო. თეთრ ჩადრიანი დედა-კაცები თეთრად მოედვნენ ქუჩასა; კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადათი, ჯგუფად შეგროვდნენ საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისებურად ყაყანი. იმათში შეერია ერთი მაღალ ტანიანი, ახალ გაზდა ღვდელი.

—ის არის? ვკითხე გლახუკას, თვალი კი იმ ღვდლისაკენ დამრჩა.

—აბა, ის არის, ძმაო, წამო კურთხევა ვჰსთხოვოთ.

4

## III.

პასუხის თქმა აღარ დამაცალა, წამოდგა და წავიდა საყდრისაკენ, მეც თან ავედევნე. მივედით, ის ღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო. ზოგი ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმრებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა; ზოგი კიდევ სულ განაბული შეჰსცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდებაო და შიშობსო ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაციც ის არის შენი ჭირიმე, და ქუდიც იმასა ხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა! . . დედა-მიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა.

სწორედ კაცს რომ წყალი მოჰსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება. გადავაწვდინე თავი, რომ დამენახა და გამეგო რამე. წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავჩაღუნული.

—ყველა, ყველა და, შენ რატომ ჩემთან არ დადიხარ, უბძანა ღვდელმა: მოგწყინდა განა, შე ცუღლუტო, წიგნის კითხვა.

—მე რა ვიცი? უთხრა ბიჭმა: მამა ჩემი არ მიშვებს. ღვდელი თითქო შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

—რატომ არ გიშვებს?

—გეყოფაო, რაც ისწავლე, მეუბნება.

—აქ ხომ არ არი მამა შენი?

—აი იქითა ზის.

—აბა აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გაიქცა მამის დასაძახებლად.

—ვერ უყურებთ პეტრეს! . . . თქვა თავისთავად ღვდელმა და ჩაფიქრდა.

—ეგ არის და! . . . დაიძახა ვიღაცამ: ავი ძაღლი არც თითონა ჰსჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, ღვდელსაც ღიმილი მოერივა, მაგრამ მარდად შეიკავა სიცილი.

—მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რაღ ასწავლის? თქვა მეორემ: შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ლხინსა.

—გონიერსა მწრთველი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო მაგისთანა კაცზედ არის ნათქვამი, წამოიძახა მესამემ.

იქნება კიდევ ბევრი ეყალაღნათ, რომ თითონ პეტრე არ მოჰსწრობოდათ.

—კაცო! უბძანა ღვდელმა: მართალია, შენ შვილს შენ უშლი სწავლასა ?

—მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამად პეტრემ.

—როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

—ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხ-კაცებს გვეძახიან, დღე და ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ, ღმერთს ეგრე უბძანებია. «ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი», ეს ღვთის ბძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედა-მიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედა-მიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებებთ ოფლში გუთანსა, გადუხსნით ხოლმე დედა-მიწას მადლიან გულსა, ჩავუყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გამუნწდება, რომ მიბარებული ერთი ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას «დედაო», ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება . . . გაგიბედამთ,

შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი! . . ჩვენი თავდაპირველი გულის ტკივილი ეს არის! . . .

—მართალს ამბობს მე და ჩემმა ღმერთმა, გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედად დაჰსცინოდა პეტრესა.

—რას ბძანებთ? . . წამოიძახა ხალხის ხმით გულ გაკეთებულმა პეტრემ: წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედა-მიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი! . . .

—მე მესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულის ვითარება, უბძანა დაღონებით ღვდელმა: მე მოზიარე ვარ შენის გულის ტკივილისა . . . შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ-რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

—მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ.

—ეხლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეც-ხლში რკინა რბილდება, საიდამ გააკეთებდი ბარ-საკვეთსა, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა ჰსთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნამდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა, ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად რა გეშველებოდა?

—შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

—საიდამ იცი ეს ყველაფერი?

—როგორ თუ საიდამ? . . . მამა პაპით, შენი ჭირიმე! მადლო-ბა ღმერთსა, თვალი მქონია—მინახამს, ყური მქონია-მსმენია გულის ყური მქონია-მივხვედრილ ვარ, ხსოვნა მქონია—გონებაში ჩამრჩენია.

—რაც გინახამს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია, ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის, რა თქვასო, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

—რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

—მაინც?

—ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭი-რიმე!

—კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

—მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესა მე! თითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

—ეხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შენზედ და ჩემზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

—რა ვიცი, მე დალოცვილო? მგონი თავზედ იმოდენა ბალანიც არა მქონდეს, მჯობს მჯობი არ დაელევა.

—იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს კარგი იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

—ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური. საიდამ სადაო, წმინდაო საბაო, ამოდენა დედა-მიწის ზურგზედ სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

—მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთის სიტყვით რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა შორიდამვე გაგალაპარაკო, რას იტყვი?

—იმას ვიტყვი, რაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

—აბა მაგისთანა მისანია წიგნი.

მე რომ ეს გავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავიდამ ფეხებმამდინ ჟრჟოლამ გამიარა. არ ვიცი კი რად? ეს კი ვიცი, რომ ჩემ გარდა სხვასაც ეგ დაემართა. ხალხს, თითქო მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა. პეტრე კი ისე სახტად თვალებ დაჭყეტილი დარჩა, თითქო თავ-ბრუდაესხაო. ისე ატაცებულსავით დიდხან იქნებოდა, რომ ღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ.

—ეხლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმეს, თუ არა?

—ნება მომეცი, უთხრა გულ ამომჯდარმა პეტრემ: ეგ მუხლები გადავგიკოცნო. ჩემი ტუჩები ბევრჯელ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

დვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ, მაშინ პეტრემ პირნათლად შეხედა და გონება გახურებულმა წამოიძახა:

—დაილოცა შენი ენის პირწყლიანობა! . . ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისაგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წეღან გელაპარაკებოდი ბრმა, შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა შენ მადლიან ე ით თვალ ხილული გეუბნები: ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნინებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე! . . მომეცი ხელი, შენი კვნესა მე! . . ერთი გემთხვიო! . .

გულ მოლბობილი პეტრე მივარდა ხელზედ საკოცნელად, დვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა კი.

—მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შვილი! უთხრა პეტრემ და შვილი წინ წამოუყენა. დვდელმა აკურთხა ის ბაშვი და თავზედ აკოცა გაღიმებულმა.

—შვილო! ეს დღე დაიხსოვმე, უთხრა შვილსა პეტრემ: ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

დვდელი აირია, ვნახე რომ მოენამა თვალებიცა. უეცრად მოაშორა თვალი გულამომჯდარ პეტრეს და იმის თავჩაღუნულ შვილსა, თითქო თავის გულის მადლიანობა უნდა დაუმალოსო მამასაც და შვილსაცა. დვდელი რომ მიტრიალდა, ერთ ვიღაცა დროულ კაცს თვალი შეასწრო და უთხრა:

—ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან! . . ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარა გაქვს შავი და მაგისთანა საქმეებს კი ჰსჩადი.

—რავქნა, შენი ჭირიმე? უპასუხა იმან ცოტად შერცხვენილმა: განა რომ მცხვენიან, მაგრამ ერთი აჯამი რამ არის, მოუსვენარი· ღმერთია მოწამე, მე უბრალო ვარ.

—ნუ ჰსცრუობ მაგ დროული კაცი, ცოდვაა! . . , დღეს არ გე-

უბნებოდით საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა და შენკი მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულებია. სირცხვილია!.. უშვილო კაცი ხარ, დროული, თუ კაცისა არა გრცხვენიან, ღმერთი ხომ ყველასა ხედავს, რა პირით შეხვდები?

—აბეზარსა ვარ მოსული ამ საყდრის მადლმა და შენი რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს ცხვირში, სხვა არა იყოს რა, უფროსი ძმა ვარ...

—მე არ ვიცი! თქვენ ორივ მტყუანები ხართ ღმერთანაც და კაცთანაც იმიტომ, რომ ძმები ხართ და ჩხუბობთ კი. ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენ ძმასაცა: თუ ერთი ერთ მანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ.

ეს რომ თქვა, აკურთხა ყველანი და გამოემართა შინისაკენ. გამობრუნებაში წინ შეეხალა გლახუკა.

—ოჰ, გლახუკას გაუმარჯოს, ჩემ გლახუკას! შემოჰსცინა ღვდელმა: რასა იქ და როგორა ხარ?

—გახლავარ, შენი ჭირიმე, შენის ლოცვით და კურთხევით, მიუგო გლახუკამ და ქუდ მოშვლეპილმა კურთხევა ჩამოართო.

იმან რომ აკურთხა, გადაზდო მხარზედ ხელი და ისე ხელ გადაბჯობილი წამოვიდა. მე ბევრი რამ გამიკვირდ'იმ დღეს და ისე კი არა გამკვირებია რა. აბა გლახუკა ვინ იყო? ერთი უბრალო მოსამსახურე და მაინც კი ღვდელმა არ ითაკილა და ხელი 'გადაზდო. მაშინვე, რავიყავ, მაგრამ, ამისთანა თავდაბლობამ ჩემი გული მოინადირა. მეც იმათ უკან ავედევნე.

—სადა ხარ, რომ აღარა ჰსჩანდი? ჰკითხამდა ღვდელი.

—ეს თვე ნახევარია, რაც გიახელი, უპასუხა გლახუკამ: თორემ აქამდინ აღას ვახლდი კახეთშია.

—ერთ ხელ მაინც როგორ არ მინახულე, ბიჭო! ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ ქვეშ დაგვიხველებია, სხვა არა იყოს რა.

—თქვენმა მადლმა, მოცლა არა მაქვს. ამოდენა სახლი და სახ ალის აგეჯულობა ეხლა მარტო მეღა მაბარია, ჩემ მეტი აღარავი

ჰყავთ, სულ ყველანი დაითხოვეს, თორემ როგორ არ გიახლებოდი: თქვენზედ უკეთესს ვისა ვნახამ?

—ეგა ჰსჯობია ჩემ ნახვასა, ჩემო გლახავ! შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულ მოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ ის უნდა ავასრულოდ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არარი: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოქცემს, რამოდენადაც შენი ვალის ასრულება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ქუჩას ჩამოჰსცილდნენ. არ ვიცი ჩემი ფეხის ხმაურობა გაიგო, თუარა, შემომხედა და, რომ დამინახა უკან მივდევ, მკითხა:

—რაო, ძმობილო, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვს?

—არა, შენი ჭირიმე! გლახუკას მოვდევ.

—მე მეგონა ჩემთან გინდა რამე, მითხრა ესა და წავიდა ისევ ისე ხელ-გადაბჭობილი.

მე დავშორდი. გლახუკამ რაღაც ლაპარაკი დაუწყო, მე არა ფერი აღარ მესმოდა ისე შორს ვიყავ. მინამ გლახუკა გაათავებდა სიტყვას, დვ[illegible]ელი შედგა და ორიოდ ჯერ თავის მადლიან თვალით მე შემომხედა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზედ ლაპარაკობდნენ და, სწორედ გითხრათ, გული ამიტოკდა, ასე გონია, იმ ლაპარაკით ჩემი ბედის წერა ჰსწყდებოდა. იმ დალოცვილმა ხელი დამიქნივა. მე ვიშვლიპე ქუდი და, როგორც სალდათი უფროსს, ისე ქუდ მოხდილი გამოვეჭიმე. იმან თავის ხელით ქუდი თავზედ დამხურა. მაშინ კი თვალი გავუსწორე. რა გითხრათ, რა კაცი დავინახე ჩემ წინ! . . ხატებს, რომ ხატავენ ის იყო! მადლით, მადლით იყვნენ საესენი იმისი ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს აცს გულში, რომ ისე გამოჰსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა. არ ვიცი ჩაგონებული რომ ვიყავ, იმისთვის მეჩვენა ის კაცი ხატად, თუ რა, ეს კი ვიცი რომ აქამდინაც გულში ისე ჩამრჩა ჩასახული, როგორც პირველათა ვნახე. წამოსადეგი კაცი იყო, გამხდარი. სახე ცოტა ფერ-მკრთა-

ლი ჰქონდა, ნაღველს ცოტა ოდენად ხელი გაეკრა, როგორც ცექნება ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის-შემატკივარსა.

შავი წვერი ჯერ არ ჩამოზრდოდა, ისე ახალგაზდად მეჩვენა. თავიდამ ფეხამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ, როგორც მზე მზეუმწვრიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისაკენ მიიბრუნებდა.

—შენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? მიბძანა დალოცვილმა: თუ ეგ გულში გედო, წეღან რომ გკითხე, რატომ არ მითხარ? რად დამიმალე გულის წადილი? გულ დახურული ჰყოფილხარ. ხომ იცოდი გლახუკასაგან, რომ მე წიგნს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაი კაცსა.

ეს რომ მითხრა, გამიღიმა; მომავლო თავზედ ხელი და მოცინარემ გამიქნივა თავი. მე ჩავღუნე მორცხობით თავი და ვერა ვუთხარი რა.

—თავი რას ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. თითქო ჩემი შეგრცხვაო . . . აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ.

მომავლო ნიკაპზედ ხელი, თავი მაღლა ამიწია და ზედ დაატანა:

—ხუმრობა გაშვებით, თუ მოწადინებული ხარ წიგნისათვის, მე ოსტატი და შენ შაგირდი. ჰა, შენ რას იტყვი ამაზედ?

—რა მეთქმის, შენი ჭირიმე, მადლობის მეტი? ძლივ-ძლივ გავუბედე თქმა.

—მადლობა მერე იყოს. შენი სახელი?

—გაბრიელ.

—მაშ იცი, რას გეტყვი, გაბრიელ? როცა შინაურ საქმეს ბოლო მოუღო, გლახუკას უთხარ და ეგ მოგიყვანს ჩემთან. ასე კი მოახერხე, არც შინ მოჰსცდე საქმეს და არც გარედ, რომ შენმა წიგნის სწავლამ შინაურ საქმეს არ დაუშალოს.

—შინაურ საქმეს!.. თუნდ რომ მოვსცდე რა ცუდ საქმისათვი-მოვჰსცდები?

—მაგას ვინ ამბობს, ჩემო ძმაო? მაგრამ ის კი ჰსჯობს, რომ არც მწვადი დაჰსწვო და არც შამფური. ერთი საქმე დაიწყო და მე-

ორე კი გააფუჭო, ეგ ცუდია. შენ ხომ ბატონის კაცი ხარ?

—ყმა გახლავარ.

ღვდელმა უგემურად გაიქნივა თავი, თითქო შეწუხდაო.

—რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები, მითხრა პატარა ხანს უკან: იარე ჩემთან, აი აქავე ვდგევარ, შენ ოღონდ იბეჯითე, ნურც წიგნზედ ინაღვლი, ნურც არა ფერზედ, ყველა ფერი გექნება. შენ ასეთი ბიჭი ჭკჳან ხარ, რომ ორ სამ თვეზედ გლახუკასაც გამოეჯიბრები წიგნშია.

მე გამეცინა.

—რას იცინი? არა გჯერა თუ? კაცმა რომ მოინდომოსო, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

—კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აქვს, შენი ჭირიმე!

—იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!

—ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნეტავი მეცხოს!

—აი ეს ბურთი და ეს მოედანი, გჳსცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო.

—მე უარზედ არა ვდგევარ, გჳსცდი თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოს.

ეს რომ ვუთხარი თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყუა გულს მოხვდაო, მერე სახე გაუნათლდა და მითხრა:

—ე! თუ ეგრეა, მაგისთანა გულ მაგარსა ვერაფერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ. აგი გითხარ, კაი ბიჭი ხარ, მეთქი. შენისთანა შაგირდი ოსტატის სიხარულია. მაშ მე და შენ დავძმობილდებით, ჩემო გაბრიელ!

რომ გითხრათ, რომ ამ სიტყვებმა მუხლები მომიდრიკეს, მომანდომეს იმის მუხლებზედ მოხვევნა, არ დაიჯერებთ. ეს ასე კი იყო. მაგრამ იმ ღვთის კაცმა მარდად დასტაცა ხელი მხარშია და ისე ღონივრად აშზიდა ერთ ფეხზედ წამოჩოქილი, რომ, როგორც ლურსმანი, ისე დამაყენა ფეხზედ. არ იყო, რომ ცოტა ნათაკილევსავით არ მითხრა:

—ეგ მეორედ აღარა ქნა, ცოდვაა! . . მაგისთანა თაყვანი მარ-ტო ღმერთს შეჰფერის . . . .

—ჩემი ღმერთი შენა ხარ, დავუძახე მე ატაცებულმა.

—აგე შენი ღმერთი სად არის, მაჩვენა ცაზედ: მე იმისი ცოდ-ვილი მსახური ვარ, შე გულ-ფიცხო!

მე სულელმა რავიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინ-ვე მუხლზედ საკოცნელად კინწის კვრით წამაბარბაცებდნენ; ამან კი იბოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთანაარ ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკ ძაღლზედაც გაჰსც-ვლის, მოდი და ნუ მოიდრეკდი იმის წინ მუხლსა. მე მახსოვს, დიდი ბატონი, ხომ კაი კაცი იყო, მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე, მე მეგონა ამასაც ამით ვაამებ, ისკი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვენობას აპატივა . . . . მაშინ მიკვირდა ეგრე-თი ქცევა ღვდლისა, ეხლა კი მესმის! . . . თურმე კაი კაცს თავისი გულივე მადლს უხდის, მაშინ ეგ რავიცოდი? რა კაცი იყო! . . არა მე ეხლაც რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ციდამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა. ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისგან წახალისებული თავ-მამწონე ბიჭი და აი ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაი კაცობა . . . .

გული თოფის წამალსავით მიფეთქდა, გონება მიხურდა, რაღაც ღონე მომეცა და ატაცებულსავით შევძახე:

—შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი—ვიქნები. ჩემი მად-ლობა, ეგ იქნება, სხვა რიგად მე გადახდა არ შემიძლიან.

—აგე მადლობის მთქმელი სად არის, მანიშნა ცისკენ: ის ეხ-ლა იქიდამ ორივეს დაგვყურებს . . . .

—და შენს სიკეთეს თავის გულის ფიცარზედა ჰსწერს, ვუთხარი მე და გავაწყვეტინე სიტყვა. ეს ჩემი სიტყვა გაუკვირდა თუ არა, გაოცებით შეხედა გლახუკასა, გლახუკას კიდევ პირი დაეღო და გაშ-ტერებით გვიყურებდა.

—ცეცხლი ყოფილა შენი გული, მითხრა პატარა ხანს უკან ღვდელმა: ყური მომიგდე. დღეს შენ დაგჭირდი, დღესა თუ ხვალ შენ მე დამჭირდები, «სოფელი ასრე მქნელია», დრო მოგვივა, გაგჭსწორდებით. ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო. არა გლახუკავ?
—მართალი ბძანებაა, უთხრა გლახუკამ.
—ჭმ, ჩავიცინე მე: გულს მირბილებ ბატონო, მე მიგიხვდი. შენისთანა კაცს იმისთანა რა გაუჭირდება, რომ ჩემისთანას შველა შეეძლოს?...
—მითამ რატომაო?. ტაბიკი ხომ რა არის? უბრალო ჩხირია, იმ ვეება ურემში არც კი ჭჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ. ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო, დიდი თუ პატარა ერთი ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა,ხვალე მაინცა. არა შემიძლიან რაო? . . . კაი კაცობა არ შეგიძლიან? . . მაშ რაღა კაცი ყოფილხარ?. ღვთის სული რად გიდგა?. მე შენ დამიჯერე, ნდომა იყოს თორემ შეძლება ყოველთვის იქნება. აი გჭსთქვათ, შენ რომ წიგნს ისწავლი, დაჯერებული ვარ რომ მალეც ისწავლი, შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგითი მოიშორებ, მითამ იმისათვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოახსენებიო შენისთანა კაი კაცსა. ბევრჯერ იქნება, ჩემო გაბრიელ, რომ შენი შაგირდი შენ რომ დაგლოცამს, მეც მომიგონებს: «ღმერთმა აცხონოს შენი მასწავლებელიო». ის ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამდინ, აქედამვე გზას გამინათებს, მე ეგ მეყოფა, შენც შენს ვალს მოიშორებ, მერე რა რიგად?. ისე ნეტავი ყველამ მოიშოროს! არა შემიძლიან რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე მინამ სიცოცხლე შეგწევს, გონება გზას გაგინათლებს, გული—გაგითბობს, ღმერთი ძლიერია...ყველას გულში, ბატონია, თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენც, და სხვასაც ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს . . . რა ვუყუროთ რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო,

ხვალ ბედი როგორ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?... რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვჰქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...

დიდი ხანი მელაპარაკა და ბევრი რაღაცეები მითხრა, მაგრამ ხსოვნამ მიღალატა და ეხლა არ მაგონდება. ეს კი ვიცი, რომ იმის სიტყვებმა ძლიერ ჩამაფიქრეს და მას შემდეგ, თუნდა ჩემი სულთამხუთავი ყოფილ იყო, თამამად თვალს გავუსწორებდი. აქამდინ კი კაცისაცა მცხვენოდა.

—რამდენი ხანი ვყოფილვარ მე მაგასთან, მითხრა გლახუკამ, ღვდელი რომ წავიდა: და მაგისთანაები ჩემ დღეში ჩემთან არ უთქვამს.

—ყველას ფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო, ვუთხარი მეცა.

—არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არი.

—მაშ ვისი საქმეა?

—ღმერთისა, რომ შენ ეგრეთი გაუჩენიხარ.

არვიცი ეს რისთვის მითხრა. თქმა ამისა და იმისი გაბრუნება ერთი იყო. მეც ავიღე თავი და ჩაფიქრებული წაველ შინისაკენ.

## IV.

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დილით, რაკი ჩემი საქმე გავათავე, გულმა ღვდლისკენ გამიწია. მე გლახუკას გამოვკითხე ღვდლის სახლი და მარტოკა წაველი. შევაღე დაბალი ქუჩის კარი. დერეფანში ერთი უბრალო ტახტი დამხვდა, ზედ ისხდნენ შვიდიოდე პატარა ბიჭები. შუაში თავ-მოხდილი იჯდა ჩვენი ღვდელი. ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა. იქით პატარა მოშორებით ვიღაც დედა ბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დაჰსტრიალებდა. თვალი შემასწრო თუ არა, ღვდელმა გამიღიმა: ოჰ, გაბრიელს გაუმარჯოს, დამიძახა მაშინვე.

მე თავი დავუკარ და კურთხევა ჩამოვართვი.

—მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება, მიბძანა ხელახლად.

—შენის წყალობით და ჩაგონებით, შენიჭირიმე! მეც ვუპასუხე.

—მითამ?

—რა ვიცი? მე ის კი აღარავარ, რაცშენ ამდინ ვიყავი და.

—მეფერები თუ?

—მე არნ მოგიკვდე! გაბრიელმა მაგითი შენ გული არ აგაყრევინოს.

—თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ? . . . მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზედ სიტყვა.

—მგონია, თოთხმეტ-ხუთმეტისა ვიქნები.

---თოთხმეტ-ხუთმეტისა . . . გააგძელა სიტყვა, თითქო არა სჯერაო, და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

---რაზედ მკითხე, შენი ჭირიმე?

---ისე გკითხე. მე . . . . სწორედ გითხრა . . . . მეტისა მეგონე . . . ეს ისეთ ჭოჭმანობით და შასვენებით მითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტაო.—აი, დედავ, მიუბრუნდა უცბად ღვდელი დედა-ბერსა: წუხელ რომ გითხარ გაბრიელი, ეს არის. თოთხმეტის, თუ ხუთმეტის წლისა ყოფილა . . .

ბებერმა შემომხედა და თქვა:

—ღმერთმა გაუზარდოს თავის დედ-მამას, სასახელოდ.

მე არ გავაგრძელებ ჩემ წიგნის სწავლასა, ისეც გძელდება ჩემი ამბავი და ვჰფიქრობ თავი არ მოგაწყინო. მარტო ამას კი გეტყვი, მამა შვილს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცეოდა. დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი! ცალი არ ჰყვანდა ქვეყანაზედა! მე მალე მიმახვედრა წიგნსა. სამოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზეპირე. დღევანდლამდინ მახსოვან. მარტოობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები, ისინი მიკვალავენ ცისაკენ გზასა დ დღე და დღე იმათ თან ვაყოლებ სულსა. ღმერთო! შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქიოსაც! თუ შენი, სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმათში პირველია.

არ გასულა სამი, ოთხი თვე, რომ სხვა შაგირდებს დამაშორა,

მიბძანა: «შენ, ჩემო გაბრიელ, შავარდენი ყოფილხარ. მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შაგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მოუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ.»

მე ძალიან მოვჰსწონდი იმ დალოცვილსა. მიქებდა ხოლმე გულის-ყურს და მიხვედრასა: «ვიცი, ზედ დაატანდა ხოლმე: შენ მაგითი თავს არ გაიზვიადებ, ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმიტომ პირში გეუბნები.»

გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად დავიხელთავე, წერაცა-ვიკვეთე. ერთხელ როცა წიგნის კითხვა გავათავეთ და ნაწერიც მომიწონა, მომისო გვერდით და დამიწყო თავისებურად ლაპარაკი. ეგ იმან ხშირად იცოდა ხოლმე, როცა კი დავაჯერებდი, რომ მაგითი შინ საქმეს არ მოვჰსცდები. მეც, როგორც მოგეხსენებათ გათამამებულ კაცის ამბავი, ვჰკითხავდი, ვებაასებოდი,—და, არ ვიცი ,ჩემი სიტყვა პასუხი მოეწონა, თუ რა, მიბძანა: ,«შენ ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო».

ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

—აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ ამას ჯერ არაჰსჯობია რა. თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

---როგორ არა, ღვთისნიერი რამა ყოფილა.

---ღვთისნიერიო!.. რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა—ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათლებია და გაუთბია—იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე—ეგ დალოცვილ მეფე თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები . . . დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით დაგვიგვეხნია და თავი მოგვიწონებია. ტყუილად კი არარის ამ წიგნში ნათქვამი: «ლეკვი

ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია.» დედა კაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედა-ბოძად კი შეექნა ჩვენს ქვეყანასა . . . .

---ეგ წიგნიც იმან დაწერა?

---არა. იმ ღვთისაგან დალოცვილსა ერთი კარის კაცი ჰყოლია შოთა რუსთაველი, იმას დაუწერია.

---ეს სულა?

---სულ. თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი ერთმანეთს ვუშველით და გავიგებთ. ბევრ-გან ამის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგვფხანენ, ჭირს გაგვიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწურთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

---სამღთო რამ არის?

---ყველაფერი სამღთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ აჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი სამღთოა. მაგრამ რას გეუბნები? აქ ერთგანა ჰსწერია:

«უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.»

---მგონია ეგრე ჰსწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა. სამღთო არ არი მაშ რა არი? ქრისტე-ღმერთმაც ეგ არ გვიბძანა? . .

გაოცებული ვუყურებდი ღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალიც გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი რაღაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა რა და სიარულში გააქარწყლა გულის წადილი.

—ვისაც უნდა რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, თქვა პატარა ხანს უკან ღვდელმა თავისთავად: იმან ორი სახელი უნდა

იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი.

ისევ ჩაფიქრდა, ეს რომ თქვა, და აქედ-იქიდ დაიწყო სიარული, თითქო მე დავავიწყდით. მაგრამ ბოლოს ისევ მოვაგონდი, მომიბრუნდა და მითხრა:

—აბა წავიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო, ეწერა: «ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა.» მე ვუთხარი:

—რატომ თავიდამ არ მაწყობინებ?

—ნუ აჩქარებდი, ყველა ფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი შენთვისაც და ჩემთვისაცა; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყობა. მერე როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვასა.

მეც დავუჯერე. იმ დღიდგან დავიწყეთ მე და იმან «ვეფხვის ტყაოსნის» კითხვა. მაშინ ვიქნებოდი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. ის დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ!...წავიდნენ დ არ მობრუნდებიან უკან . . . . რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ეტყობა იმათი სითბო, ესეც ნუგეშია.

ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავდა, «გესმისო». თუ ვეტყოდი «მესმის» ხომ რა კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა. იმ ადგილთან რომ მოვედი, სადაც ჰსწერია: «რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია,» მახსოვს დიდ-ხანს შემაყენა. ამისთანა სიტყვებზედ უყვარდა იმას შედგომა და ბაასი. მაშინდელი სიტყვები, რა მაშინდელი! რაც რამ უთქვამს ჩემთვის დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა.

—გესმის ეგა? მკითხა: სახარებაში ქრისტე-ღმერთი ერთს იგავსა ბძანებს, თუ არ მოგწყინდება, გეტყვი. თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურებიც ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორესათვის და მესამისათვის ერთი ერმანეთზედ ნაკლები და უთქვამს: ახარგებლეთო, რო-

ცა მოკალ, სარგებლით დამსხვედრეთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჭკვა უხმარიათ, ბატონის ბძანება აუსრულებიათ, და რაცა ჰქონიათ მიბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ. მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმადლო, მცონარე; უფიქრია, მოგებას ვინა ჩივის, ესეც არ დავკარგოვო, აუღია და მიწაში ჩაუფლამს. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორივე მსახურის მადლიანი საქციელი, მესამეს კი გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა, ვისაც მოგებით ეარნათ. მესამე კი ხელ ცარიელი დარჩა. მიწაში ჩაჰფლა საწყალმა არ დამეკარგოსო, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დაჰკარგა, რომ გაეცა კი იმისი იქნებოდა. ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები ჩვენა ვართ. ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს მართალია ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას ცოტა; იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, იმისათვის, რომ, ბევრი გაჭირებულია ქვეყანაზედ, უნდა გავჰცეთ,რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელ ცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულ მართალნი ეს სიტყვები: «რასაცა გაჰსცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველად ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

ამას რომ მიბძანებდა, ამდროს ჩვენ რომ ვისხედით იმ პატარა ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა მიკონკებულ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი ხნიერი დედა-კაცი. ღვდელი მუთაქაზედ წამოყუდებული იყო, მაშინვე გასწორდა.

---მარიამს გაუმარჯოს, მარიამს . . . დაუძახა ღვდელმა: შენი ქმარი დღეს როგორ არის?

---რაღა როგორ არის, შენი ჭირიმე . . . უპასუხა გულ ანატირად დედა-კაცმა: ავად შენი მტერი იყოს, ავად ის არის. იმ დღეს დედა თქვენმა, რომ წამალი უბოძა, იმან ცოტად არგო; მაგრამ დღეს კი დილაზედ ტკივილები ისევ აეშალნე. არ ვიცი რავქნა? გული ხელით აღარა მაქვს იმის მაყურებელსა. ღამის ღმერთმა ჩემ

ზედ ხელი აიღოს. ის ამ ქვეყნისა აღარ არის, შენი ჭირიმე . . .
რა მეშველება, რომ ღმერთი გამიწყრეს . . . . .

დედა-კაცს ტირილი მოერივა და სიტყვა ვეღარ გაათავა. მე ღვდელს შევხედე. ერთმა მწუხარების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, დაღონდა, წარბი შეჰკრა, თითქო გულში ისარი გაეყარაო. საკვირველია, ღმერთმან იცის! როგორ ეტევოდა ამოდენა ხალხის გულის ტკივილი, იმ ერთ გულშია . . . . დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია.

ღვდელი ადგა, დაიწყო წინა და უკან სიარული. არა უთხრა რა, თითქო აცლისო, ჯერ გული მოიბრუნოსო. ბოლოს კი, ნახა რომ დედა-კაცი ტირილს არ ეშვება, მოუბრუნდა და იმ მადლიან და სანდო ხმითა, რომელიც იმისაგან მერეც ხშირად გამიგონია და მინამ პირში სული მიდგას არ დამავიწყდება, უბძანა დედა-კაცსა:

—ნუ ჰსტირი, დედი . . . სულ მოკლეობა ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის. ღმერთი არის ყველას მფარველი, ჭირნახული ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. ნუჰსტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. ნუ ჰსტირი!

—რა ვქნა, შენი ჭირიმე? ცრემლი,—წაიქვითინა ბებერმა: მწუხარების შვილია . . . . თავის თავად მოდის, როცა გული იწურება.

—მართალია, დედი, მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერივოს ცრემლი. საქმის დანახვა ჰსჯობს ცრემლით თვალების აბმასა. თუნდ ეგ არ იყოს, შენ ქმარს საცრემლო რა ჰსჭირს? დედი ჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაიღე, შე დალოცვილო!

—დიახ, შენს მადლს ვენაცვალე. მაგისთვის გიახელ, უთხრა ისევ გულ ამომჯდარად დედა-კაცმა და მერე ხმა-წყვეტით ზედ დაატანა: ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთან . . . .

—მიბძანე, მიუგო მარდად ღვდელმა.

---ხომ იცით, თქვენ მეტი პატრონი არა ჰყავს ჩემისთანა უნუგეშოს, მცხვენიან, რომ გლახასავით თქვენ შამოგყურებთ და გა-

წუხებთ, მაგრამ . . .

—კარგი, დედი, მესმის,—არ გაათავებინა ღვდელმა.—დედი! გა-გაჰძახა მეორე ოთხში თავის დედასა: მარიამს შენთან საქმე აქვს. წადი, უთხრა დედა-კაცს; დედა ჩემმა იცის . . .

—აი აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქვრივისა და ობრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადგიხდის ღარიბის გაკითხვის სამაგიეროს აგრემც . . . .

---კარგი, კარგი...კიდევ არ დაცალა სიწითლე მორეულ ღვდელმა, თითქო შერცხვაო და მადლობას თაკილობსო: ღმერთმა, გილხინოს. წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ კი. ცრემლი ისე არ არგებს, როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს ქმარს მეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით.

დედა-კაცი, რომ გავიდა ღვდელს მაინც გული არ დაუამდა, კიდევ იმის ფიქრში იყო.

---მართლა, რომ შესაბრალისია ეგ საწყალი, თქვა მერმე: ქვეყანაზედ მაგ ქრმის მეტი შემნახავი არავინა ჰყავს. შვილი მაგას არ შერჩა და მმა, დარჩება ისე უპატრონოდ ებედური. კაი კაციც იყო მაგის ქმარი. მართალია, გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა ჰსჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა. ეხლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! . . .

---მართლა, რომ დაილოცა ღვთის სამართალი! მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულ-ხარებულმა: დაილოცა ღვთის სამართალი, შენისთანა კაცს არ დალევს ქვეყანაზედ ქვრივ-ობრის და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ ეხლა იმას ცრემლი მოჰსწმინდა. დაილოცა ღვთის სამართალი! მადლიან კაცს თან აადევნებს უბედურსა მხარის მისაცემად.

ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება; რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ. მაგრამ რა? ღმერ-

თი ხომ ხედავს და ხელის გულზედ ჰსწერს . . . . დედამიწის სარკე ზეცა არის, ის გადიცემს ხოლმე წუთის სოფლის საქმესა , . .

## V.

თუ გული გაქვთ, თქვენვე იგულეთ ეხლა: რა იქნებოდა იმ დედა-კაცისათვის ის მადლიანი ნუგეში იმ მადლიან კაცისა! მართალია, ღვდლის ლიტონი სიტყვა უკვდავების წყარო ხომ არ იყო, რომ მკვდარი გაეცოცხლებინა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი საქმეა ისეთი ღვთისნიერი გულშემატკივარობა. «ღვთის ნუგეში დიდიაო» თქვა ღვდელმა, მე რომ ვნახე არც კაცისა ყოფილა ნაკლები. თქვენ რომ როდის მე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით, მწუხარისათვის, იმედ გადაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვაც, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეც ურევია, მაშინ შეიტყობდით, ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არი ! . . ისე გგონია იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდი აგეცლება გულიდამ. სიტყვა ხომ არა ფერია და კაცს არა ფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდ გამოიმეტოს კიდეც, გაჭირებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიახწევს გულამდინა, იმისთანა კაცები გულ ვერ მოჰფხანენ გაჭირებულსა და ვერც ნუგეშსა ჰსცემენ, მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს.

ღვდელი, ის დალოცვილი, მადლით სავსე ღვდელი იმისთანა არ იყო. დედა-კაცი რომ ატირდა, მაშინ რომ შეგეხედნა გული იმის თვალებში გამოიხატა და ზედ ეწერა: «რა ვქნა დედი? ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენ ქმარსაო, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო! ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს, და აბრეშუმის ხელცახოცსავით ლბილად, მოსწმენდს თვალიდამ ცრემლსა .

როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, ღვდელმა რა უთხრა დედა-კაცსა, დიდი არა ფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ

დედა კაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულ გულსა! . . . ოო! . . სითბო! . . . დიდი რამ არი! დედა-მიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთი სოფლის ცხოვრებაც იმითი მოისხავს ყვავილებსა! . . . მაგრამ რა სიტყვა! . . . ცარიელ სიტყვას ის ღვდელი არა ჯერდედებოდა. მერე შევიტყე, წელიწად ნახევარი თურმე ინახამდა თითონ ღარიბი—დაგდებულ ქმარსა და ცოლსა.

შენ ღვთის გამგებლობას უყურე! ის ის იყო კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა, ღმერთმა ისე მოიწადინა, რომ თვალით დამანახვა ის, რაც სიტყვით ღვდელმა ჩამაგონა. სწორედ სასწაული იყო ღვთისა! რაღა იმ დროს შემოვიდა ის დედა-კაცი, რომ რაცა ჰსთქვა ის ჩემ თვალ წინვე აესრულებინა. გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე კი ვიტყვი მართალსა; ერთი მაშინ მოხდა ეგ სასწაული, მეორედ კიდევ მაშინ, როცა იმ ადგილას მივედით, საცა ჰსწერია:

«ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა-ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
ჰსჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

სწორედ იმ დროს ქუჩიდამ ერთი ყალმაყალის და ალიაქოთის ხმა შემოვიდა. ხომ მოგახსენეთ, მტკვრისპირას ვიდექით მეთქი და ღვდელიც ხომ იქავე იდგა. ღვდელი გაფითრდა და ისე როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა. მეც გამოვედი გარედ. საღამო ხანი იყო. ხალხი დიდი, თუ პატარა, ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბოდა.

—რა ამბავია, ძმებო, რა ანბავია? დაუყვირა ხალხს ღვდელმა.

—რაღა რა ამბავია შენი ჭირიმე! კაცი იხჩობა, დაუძახა ვიღაცამა.

ამისი თქმა და ღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავ-

შიშველი გაწკრინდა გაფითრებული. მეც უკან გამოვუდექი. ჩავედით; ხალხი და დედა-კაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ყიჟინი-ყიჟილი, ალიანქოთი კაცს დააყრუებდა. დედა-კაცების სატოდავობას კი ნუღარა მკითხავთ, სულ «ვიშ! ვიშ!» გაჰქონდათ. რომ დაინახეს ღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: «ღვდელი მოვიდა, ღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანსი სული აღარ დაიხრჩობაო!» ჭსჩანს შენი ჭირიმე, იმ ღვდლისაგან გვლავაც ბევრი მაგისთანაები ენახათ, რომ ეგრეთი იმედი ყველას მოეცა.

ღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეხედა. იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იმას იქ ეღუპებაო. თვალის დახამხამების უმალ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ; ერთს წამს კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია. მე შევხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული; ერთი ეს კი თქვა: იხჩობა ჩვენისთა ნა ადამიანი და არავინა შველის? შემდეგ სწრაფად გადისახა პირ-ჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო ღვდლის საქციელმა წაახალისაო.

ცოტა ხანს თვალიდამ დავკარგე ღვდელი. მე იმის დახჩობის შიში მომეცა, «რა იქნა, ხომ არ დაიხჩო?» წამოვიძახე ჩემ თავად. «ჰმ, ჩაიცინა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა: მაშ შენ ეგ ვერ გიცვნია, მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა.—მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე თუ არა გჯერა, სად ამოჰყო თავი!» გამიშვირა თითი და დამანახვა გახარებულმა ღვდელი.

მივიხედე, თითო ხელის მოქნევაზედ ის დალოცვილის შვილი ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა; როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. ღვდლის შორი-ახლო ის უბედური მუშა წყლის მუშა ყოფილიყო საწყალი, ქანც-გაწყვეტილი ფორთხალებდა. ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

—ნუ გეშინიან! ეძახოდა ხალხი: არ შაუშინდე წყალსა, ცოტა

კიდევ თავი შეიმაგრე, შენი დამხსნელი მოდის!

აი მიდის და ებრძვის წყალს ღვდელი, ხალხი აქედამ წასახალისებლად ხმას აძლევს. «აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები! . . . ჭე . . . . ტაი, ტაი. ტა! . . . რა რიგად მიდის, ნავია! აბა, შვილო, დედის ძუძუ მაგას შეჰრგებია, აი! . . . იძახოდა ერთი.

—დედის ძუძუ ვის არ შერგებია, მაგრამ მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგისთანა შვილი გაზარდოს, ამბობდა მეორე.

მაგრამ ღვდელს არ ეჭირებოდა არც ერთის თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამხალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც, თითონ რომ თქვა, ყოველს კაცს გულში უნთია. რას ბძანებთ? სიკეთე კაცს გულში ვერ ეტევოდა სხვის წახალისება აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა, სწორედ რომ იტყვიან, სწყუროდა: დრო მოეცა და ზედ დაკდობით დაეწაფა.

ისე შენ მოარჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ ღვდელმა ის მუშა მოარჩინა. როცა ნაპირზედ გამოიტანეს, როგორც მკვდარი ისე ზედ დასტრიალებდა, ასულიერებდა გონება-მიხდილ მუშასა. როგორც იყო გამოაბრუნეს ის საწყალი. თითონ ღვდელი მუშაზედ ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. შემოდგომა გახლდა. სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა ჰსცემდა და კანკალებდა.

—გლახავ! მიუბრუნდა ვიღასაც ღვდელი, თუ ღმერთი გწამს! ამაღამ შენ სახლში ბინა მიეც ამ საცოდავსა, მადლია.

—ბატონი ბძანდები, უპასუხა იმანაცა: მაგრამ რაღა თქმა უნდა შენი ჯირიმე! შენ კინაღამ მაგის გულისთვის თავი არ დაიხჩე და მე ბინას როგორ არ მივსცემ. აბა, ბიჭებო, მიშველეთ!

დაუძახა ხალხსა. ხალხი მოჰსცვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმათ წაიღეს, ღვდელიც უკან აედევნა.

—შენ კი შინ წამობძანდი შენი ჭირიმე! ვუთხარი მე: დაღლილი ხარ, კანკალებ.

—მუშას შველა უნდა კიდევ: მითხრა პასუხად.

---შე დალოცვილო!... შენ თავსაც უნდა შველა, მივატანე მე.

—აგე ჩემი მშველელი სად არის!... მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა.

მინამ კარგად არ მოასვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდება ის დალოცვილი არ მოშორებია.

ის მუშა კი მოარჩინა საკვდილსა და თითონ კი კინაღამ სული არ მიაბარა უფალსა. ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადიტანა, ღმერთმანი შეინანებდა და იტყოდა: «სხვისთვის თავი რად წავიხდინეო. მარტოვყოფილვიყავ კიდევ, ჰო: დედა ჩემს ვის სინაბარას გაუშვებდიო, მე რომ იქ ამტეხოდა რამე.»

იმისი საცოდავი დედა კი ეუბნებოდა : «შვილო! თავს რაზედ იკლამდი? რა ვუყოთ, რომ იხჩობოდა? შენც რომ იქ აგტეხოდა რამე, დედა შენს რაღას ეტყოდი, საიქიოს რომ შეხვდებოდი?

—პირ ნათლად შევხედავდი, რომ იმის მუძუმ კაი საქმე შემაძლებინა, უთხრა ღვდელმა.

—ზოგი მე მკითხე ეხლა. შენ დაგხარი დღე მუდამ ზედა, შენ მეტი აღარავინ გამაჩნივა დედა-მიწის ზურგზედ და ისე გამომიმეტე, რომ კინაღამ თავი არ მოიკალი სხვისთვისა, კინაღამ . . .

—ეგი ღმერთმა დამიფარა და არა ამიტყდა რა.

—როგორ არა აგიტყდა რა? სამი დღე, ვუი შენ დედასა, უსულო კვდარსავით წინ მედე და დაგტიროდი. რომ ღმერთს არ მოეხედნა, რა მეშველებოდა?

—ქვეყანა დიდია, დედაჯან! ყველა კაი კაცი შენი შვილი იქნებოდა.

—უი, უი!—გადიწერა პირჯვარი ღვდლის დედამ: ღმერთმა ნუ შემაჰსწროს მაგ დღესა!...შენი ხელით მინდა, შვილო, მიწა მივიყარო.

ერთხელ ჯერ კიდევ მორჩომილი არ იყო, რომ მივედი. მეც კი, ღმერთო შემცოდე, ვუთხარი: მეტის მეტი თავ-გამომეტებული ყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედა შენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიალ ქვეყანაზედ?

—ცოდვა ეგ კი არ არი, ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შვილი დედის ჭირნახულსა ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა,—მითხრა დასუსტებულმა: აქ ახლო მოჯექ. იმ დღეს დედა ჩემს ვერა ვუთხარი რა, მოხუცებულია უსიყვარულობაში ჩამომართმევდა. დედის გული ზღვა არის სიყვარულისა: რომ უთხრა, შვილი რო უკდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენ შვილსაო, ოღონდ სული საუკუნოდ ჯოჯოხეთს მიეციო. დედა მაგასა იქს, შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქმნას, დედა იწყევს. მე რომ ჩემის თავის და ღვთის იმედი არა მქონოდა სულელი ხომ არ ვიყავ აღელვებულ წყალს მივჰსცებოდი; ღმერთმა შეძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ხელით იმ კაცის მორჩენა. თუნდ ეგ არ იყოს და მეც იქ თავი გამეფუჭებინა, რა ცუდს საქმეზედ გავიფუჭებდი თავსა! ხომ უნდა მოვკვდე დღესა, თუ ხვალე, ისა არა ჰსჯობია ღვთისა და . . . გეტყვი ახლა კი, კაცის სამსახურში (აქ ღვდელი გაწითლდა) ამომივიდეს სული! . . . აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. «ჰსჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა», ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა თქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს, როგორც შვილისათვის, ისე დედისათვის! დედა ჩემს ეგ არ ესმის და იმიტომ თქმა ამისა ველარ გავუბედე.

—ეგ აგრეა, მართალსა ბძანებ, მაგრამ . . . .

—მაგრამ რა?

—მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ . . . .

—მესმის რის თქმაც გინდა, გამაწყვეტინა სიტყვა: იქნება გეგონოს ვინც კაი საქმესა შვრება, სახელისთვის შვრება? არა; სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმონენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო; მაშინ ისინი იმ კაი საქმესა სახელზედა ჰყიდიან, ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს. დაე

საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. აი ეხლა, ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა, ვინ იცის? სხვისთვის ისე არა ფიქრობდა, როგორც თავისთვისა, ისე საკეთილისათვის არა, როგორც სახელისათვის, ჩვენ რა? ღმერთმა ცხონება მიჰსცეს იმას, რომ იქნება თითონ მშიერი მოკვდა და ამოდენა მილეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი მიჰსცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ საქმე კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ, საქმე, რომელიც მარტოკა დაჰსძლევს მთელ ქვეყნიერობის ცოდვებსა! ხომ ეხლა არავინა კითხულობს რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებასა იწყალებდა ამ სახელოვან საქმისათვისა. ის წავიდა თავის კარგის თუ გულის წადილითა და იმის გულის წადილის ნაპირნახულევი კი ხელთ დაგვრჩა ? . . .

—მე მაგაზედ ფიქრათაც არ მამსვლია მე თქვა რამე, მე მინდოდა მეთქი . . . .

—რა უშავს? გამაწყვეტინა ისევ სიტყვა: მეტი ხომ არ იქნება, რომ მე ეგა ვჰსთქვი?

—მეტს ვინ მოგახსენებს? ჩამოვართვი მეც სიტყვა: მე მანდამდინ გონება სად მიმიწვდებოდა, რომ ეგ მომფიქრებოდა. მე მინდოდა მეთქი, რომ სხვის მოსარჩენად, დედა ჩემს არ დავუყუპავდა, ვერ დავთმობდი, იმის იმოდენ საცოდავობას კისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისთვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია ! . . .

—სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა ჰსჩანან . . . ის როგორა ჰსწერს ავთანდილი როსტევანსა?

«მე იგი ვარო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
«ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.»

—კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნივს ადამიანსა.

ისიც კარგია, ხომ გახსომს:

«სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.»

—მახსომს და მესმის კიდეცა რაზედაც მითხარი ეგა. მაგრამ მაგისთანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მქონდეს, როგორიც შენა გაქვს.

ღვდელი ბაშვსავით წამოწითლდა. ის დალოცვილი ვერ იფერებდა ქებასა.

—შენ მე ნუ გადმომწვდები ხოლმე, მითხრა ღიმილითაც ჲ მორცხობითაც: ხომ არ იცი მე რა კაცი ვარ?

—შე დალოცვილო, დავატანე ზედ: თუ მიგნება არა მაქვს, მადლობა ღმერთს, ბრმა ხომ არა ვარ, რომ არ დავინახო. ნაძრახი სიცოცხლეო!...

—მაშინ ნაძრახი იქნებოდა, თუ ჯერ არ არის, ჩემო ძმაო! კაცი იხრჩობა, ღვთის კერძო, შენ-სავით შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ კი გულ-ხელ დაკრეფილი დაჰყურებ, როცა იმის მორჩენა შეგიძლიან, სასახელოა? მერე ღმერთს რა პასუხს მიჰსცემთ, ან შენ ჲ ან დედა შენი ღმერთს რას ეტყვით? არ გეტყვით: რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის? რად დამალეთ ჲ დაიშურეთ ღონე ჲ შეძლება, რომელიც გაჭირებულის მოძმის საშველად მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: წყურვილი ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო, შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სად გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირებული კაცი, თქვენგან არ კაგითხული, მე ვიყავიო. ესეა ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!.....

გზა გამიკაფა მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და არ დამაცალა ზედ გამევლო!... მომიტანა კლდემ ქვეშა და, ხომ მხედავ, ისე ვქრები როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შველის!...

ტყუილად კი არ მითხრა, როცა სვთანდილის და შერმადინის ამბავი წავიკითხე და აღტაცებულმა უნებლიეთ წამოვიძახე:

—ვენაცვალე შენს დამწერსა! აი ბატონ-ყმობა თუ იყოს ამისთანა.

—მოგწონს? მკითხა ღვდელმა.

—აბა რა?

—მართალი ხარ! მიბძანა იმან ნაღვლიანად: უარესს ეგა ჰსჯობია.

ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო იმისი გონება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს გაუშტერა. კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე კი თითქო უნებლიეთ, თავისთავად უფრო დაღონებულსათა ჰსთქვა:

—იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუდათ გაქვს და დედამიწა ქალამნათ.

მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს. უეცრად ჩემკენ მოატრიალა თვალი. როცა კარგა ხანი კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

—ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან ხელი არ მოხვედრია?

—რასაკვირველია, ის, რომელსაც ხელი არ მოხვედრია.

—რათა? ის ხომ უფრო გაპატივებულია?

—ვაი იმ პატივს!.. ხან ფრთას აუკვრენ, არ გაფრინდესო, ხან ბოლოს—არ გაიქნიოსო, თვალებს კი ყოველთვისა აუბმენ ხოლმე, არა დაინახოს რაო.

—ყველას ეგრე უზმენ ხოლმე?

—მაშა? ამბობენ თუ არ ეგრე, მიმინო არ გაიგეშება თურმე. კლანჭებზედაც ეჟვნებიან თოკს გამოაბმენ, თუ ვინიცობაა ნავარდზედ გაიწიოს, არ გაუშვან.

—თოკი თოკია, ეჟვნები რაღათ აქვს?

—ნადირისათვის თუ უკეთებენ: ატოკდება, თუ გაფრინდება ეჟვნე-ბი ხმას აძლევენ.

—იქნება. მაგრამ, მგონია, თავის ფრთების ფრიალი, როცა კი გაშლის ხოლმე და გაინავარდებს, იმ ეჟვნების ხმას ერჩივნოს და წასანადირებლათაც ის ეყოს.

—აბა მაგას რაღა თქმა უნდა? რასაკვირველია, ურჩევნია.

—მეც ეგრე მგონია, ჩემო გაბრიელ!...ახლა, რას აქნევენ მიმინოსა?

—შე დალოცვილო! ისე მკითხავ, თითქო არ იცოდე. მწყერს აჭერინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ.

—მერე?

—მერე რა? მწყერებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

—მიმინოს?

—მიმინოს იმას გამოაწიწკნინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა.

—საწყალი!.. თხის პატრონს არც თხის კუდიო... მერე მიმინო მადლობელია?

—არა მგონია. კიდევ რა? ბევრი მონადირეა თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს კარგად ვერ მოეტევებაო, ზოგმა კიდევ ეგ ხან-დაზმობით იცის.

—მინამ სული არ ამოუა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?

—არა. თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზედ გაუშვებენ ხოლმე.

—დახე, ყველას დრო ჰსდომებია!...

—მაშ უდროოდ რა იქნება? მინამ მწყერია ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.

—მაშ მინამ მწყრები ბუდობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?

—დიახ, გამეცინა მე: მინამ მწყრები ბუდობენ.

—მგონი, მწყრები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან; ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშავარი შემოვა.

—დიახ, შემოდგომაზედ მწყერი ილევა, მაშინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გაათვრენს ხოლმე მონადირე.

—დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჭკჳანია და სიკეთე, უმუშავნია, დაუთესნია, სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან, ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!... კაი დრო არის! პური, ღვინო, ლხინი, ყველაფერია ბლომად. ყველა დიდი, თუ პატარა მაძღარია მაშინ და მხიარული!... კაი დრო არის!.. ორი, სამი თვეც და გაზაფხულიც ზედ მოებმის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბილი გაზაფხული!.. ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმართლად მოამკევინე ყოველ მუშაკსა!...

მ. ჯიმშერიძე.

# მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება.

(დობროლიუბოვის თხზულებიდამ)

1860 წ. სეკტემბრის ნახევარში ევროპიული გაზეთები ბევრს ლაპარაკობდნენ გავაცციზედ—ამ უცნაურობით სავსე მქადაგებელზედ, რომელიც ნეაპოლში (1) იყოლიებდა ხალხსა იმაზედ, რომ თავები მოამტვრიონ კარლო III და ფერდინანდო I-ის(2) სტატუებსა და იმათ მაგიერ გარიბალდის და ვიკტორ-ემმანუელის (3) თავები მოადგან. გაზეთებში უფრო მეტი ნაწილი დაჰსცინოდა გავაცცისა; ზოგი

---

(1) ნეაპოლი არის დიდი და მშვენიერი ქალაქი სამხრეთის იტალიისა. იყო სატახტო ქალაქი განსაკუთრებულის საკოროლოსი, რომელსაც ერქვა მისივე სახელი (ნეაპოლიტანის საკოროლო) და რომელიც 1861 წელში, შემდგომ გარიბალდის სახელოვან ლაშქრობისა, შეუერთდა იტალიის სახელმწიფოსა.

(2) კარლო III იყო პირველი კოროლი ბურბონების დინასტიიდამ ნეაპოლიტანის საკოროლოში. ის მეფობდა ნეაპოლში 1733 წლიდამ 1759—მდე მას შემდეგ, რაკი მამა მოუკვდა, შეიქმნა ისპანიის კოროლად, სადაც დაირქვა სახელი კარლო III; მაშინ მან გარდასცა საკოროლო თავის მცირე-წლოვან შვილს ფერდინანდოს I (1759-1825-მდე.)

(3) ვიკტორ-ემმანუელი არის ეხლანდელი კოროლი იტალიისა. 1859-მდი მას ეკუთვნოდა მარტო სარდინიის სახელმწიფო; მაგრამ იტალიის მოძრაობის დროს, როცა სხვანი იტალიის ხელმწიფეები სდევნიდენ ხალხის პარტიას, ვიკტორ-ემმანუელი ფარავდა მას და ამავე დროს უფრო დაამკვიდრა თავის სახემწიფოში თავის-უფალი კონსტიტუციური მართებლობა. ამისგამო ის შეიქმნა საყვარელი ხელმწიფე და იმედი იტალიანელებისა, რომელთა, როდესაც გაყარეს თავის ხელმწიფეები, ამოირჩიეს ის შეერთებული იტალიის სახელმწიფოს კოროლად (161 8წელში).

კიდევ იხსენიებდა დაუცინებლად, მაგრამ ისე კი თითქო ამისთანა კაცსა ყურსაც არ ათხოვებსო, ყველამ იცოდა იმისი ვინაობა იმ სტატუებზედ უცნაურ დაყინებისა გამო. უკანასკნელი ხსენება გავაცცისა იყო რაღაც ჭორი რომელიღაც ულტრამონტანის (1) გაზეთის კორრესპონდენტისაგან (2) მოგონილი: ვითომც გავაცცის დაეწყოს ნეაპოლში პროტესტანტობის ქადაგება და ამის გამო უნდა გამოექცეოდა ხალხსა, რადგანაც ქვის სროლა აუტეხნიათ. ამისთანა ფაქტი, თუნდ რომ კიდეც მომხდარიყო გავაცცისათვის, რასაკვირველია, სამარცხვინო არ იქნებოდა: ყველამ ვიცით, რა საქმის გამოტყვრენამდინაც მიაღწევენ ხოლმე ნეაპოლიტანის თავხედი მორწმუნენი; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ამბავი კუდ-გამობმულია და არეული, იმიტომ-რომ გავაცცის ფიქრადაც არ მოსვლია პროტესტანტობის ქადაგება და არც იმათგანია, რომ ტყუილ-უბრალოდ ჭფვანტოს სიტყვები სეკტების სხოლასტიკის (3) გულისთვის. ის ლაპარაკობდა ხოლმე პაპის საერო უფლების წინააღმდეგად, ლაპარაკობდა იმის წინააღმდეგ, რომ ხალხს მეტად უყვარს გარეგანი სამღთო წესი და სამღვდელოსა—ზორო-მოქმედება. მაგრამ, ეს ყოველი, როგორც მერე ვნახავთ, სულაც არ იყო დამოკიდებული ლუტერის მცნებაებზედა, არამედ დამჯდარ გონების და ხალხის სიყვარულის ჩაგონებით იყო წარმომდგარი. ხალხმაც შეიტყო ფასი ამ უცნაურ მქადაგებელის ტალანტისა და ღვაწლისა. ამის ქადაგებაების სახელი და ზედ-მოქმედება ასეთი ძლიერი იყო, რომ ამას დაუყვარდებოდა თვით მონსენიორ დუპანლუცა, რომელშიაც ეხლა შეერთებულია, როგორც ვიცით, მთელი ენა-მჭევრობა

---

(1) ულტრამონტანებს ეძახიან იმ პირებს კათოლიკის სარწმუნოებისას, რომელთაც უჭირავთ პაპის მხარე და სურთ გაძლიერება მის დაცემულ უფლებისა.

(2) კორესპონდენტი ჰქვიან იმ კაცს, რომელიც რომელიმე ადგილიდამ ატყობინებს სხვა და სხვა ამბებს გაზეთებს, ჟურნალებს, თუ ვინმე კერძოობით პირს.

(3) სხოლასტიკა — მშრალი და უსარგებლო სწავლა.

ფენელონებისა, ბოსსუეტებისა, ფლეშიეებისა და სხვა ფრანციის ეკკლესიის და კარის გამოჩენილ ორატორებისა. რამდენიმე თვის წინად სტენოგრაფიის (ქარაგმის) წერილებიდგან გადაიბეჭდნენ ამისი ქადაგებანი. როგორც თავის უცნაურ ხასიათითა, ისე თავის შინაგან ღირსებაებითა ისინი გვეჩვენნენ ჩვენ ჩვენის პუბლიკის რომელიმე ნაწილის ყურადღების ღირსად; ამის გამო გავბედავთ გავარჩიოთ ზოგიერთი მათგანი უფრო საჩინო, და ზოგიერთი ალაგებიცა გჳსთარგმნოთ. მაგრამ ჯერ უმჯობესია ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა თვით გავაცცის პიროვნებაზედ და იმის მქადაგებლობიურ მოღვაწეობის გარეგან მოწყობილობაზედ.

ვისაც ყური უდევნებია იტალიის მოძრაობისათვის, იმისთვის გავაცცის სახელი გუშინდელ დღიდგან არ უნდა იყოს გაგონილი. ის იყო მონაწილე 1848 და 1849 წ. საქმეებში. ამას წინად კი, იტალიის მრავალ პატრიოტებისამებრ, ის სხვა და სხვა ადგილებში ბინა-მოუგიდებლად დაიარებოდა, რაკი რომ ვერა ჰპოვა მოსვენება ბოლონიაში, რომელსაც ეკუთნოდა თავის სამონაზონო ხარისხითა. **1848** წ. ის გამოჩნდა ვენეციაში, სადაც ჩვეულებრივ ცხოველის სიტყვით ამხნევებდა ხალხსა ავსტრიელებთან შებმისათვის. მოკლე ხანში იმისი პოპულიარობა (1) დიდად გაძლიერდა. დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევა: 1848 წ. მაისში ფერდინანდმა II, (2) რაკი ნახა რომ საკმაოდ ილიბერალა, გაგზავნა ბძანება თავის ჯარების უკან დასაბრუნებლად, რომელიც ვითომც და

---

(1) პოპულიარობა ნიშნავს ხალხის სიყვარულსა რომელიმე პირისადმი, ხალხში გავარდნილს, კეთილ სახელს რომელიმე პირისას, ეგრეთვე სიადვილეს რომელიმე თხზულებისას ეს სიტყვა წარმოზდგება ლათინურის ლექსიდამ populus (ხალხი.)

(2) ფერდინანდო II იყო კოროლი ნეაპოლიტანის სახელმწიფოსი (1830 1859) მისმა სასტიკმა და მცბიერმა პოლიტიკამ ისე შეაძულა ხალხს მისი დინასტია, რომ უკანასკნელი მაგ დინასტიის წარმომადგენელი ფრანჩესკო გადააყენეს, სამეფო ტახტიდამ და მერე იმისი საკოროლო შეაერთეს ვიკტორ-ემმანუელის თავისუფალი სახელმწიფოსთანა.

ავსტრიელების საწინააღმდეგოდ იყვნენ გაგზავნილნი. ღენერალი პეპე არ დომუღობდა ბძანების დამორჩილებასა, მაგრამ თავისთან ძლივს შეიკავა ორი, თუ სამი ბატალიონი, დანარჩენი კი ღენერალ სტატელლოსთან ერთად წამოვიდა უკან ბძანებისამებრ. გავაცცი, რომელიც იყო მაშინ ტრევიზოში, გამოუდგა უკან ნეაპოლიტანელებს, ყური მოჰკრა თუ არა იმათ უკან დაბრუნების ამბავსა. ის დაეწია ჯარებსა მაშინ, როცა ისინი გადამხდარიყვნენ დიდის გზის შემდეგ დიდის მოსვენებისათვის. მაშინვე მივარდა გაცხარებული ბერი ღენერალსა, რომ დაუმტკიცოს საჭიროება და დააბრუნებინოს თავისი ჯარი, 15,000 კაცისაგან შემდგარი, იტალიის თავისუფლების დასახსნელად. მაგრამ სტატელლომ და იმისმა თანა-შემწეებმა არ დააცალეს მამა-გავაცცის რომ ეთქვა რამე: გამოჩნდა თუ არა, მაშინვე გაიცა ბძანება, რომ იმ წამსვე აიყაროს ჯარი და თავის გზაზედ წავიდეს. ღენარლები შეშინდნენ რომ, თუ ვინიცობაა სალდათებისათვის ყურის გდების ნება მიეცათ, გავაცცი მართლა და გაიტაცებდა . . . საჯეროა რომ სტატელლა და მის თანა-შემწენი ისე პატივს არა ჰსცემდნენ ამ მქადაგებელის ტალანტსა, როგორც ამის პოპულიარობას, რომელიც ეგრე გარდამეტებით მოქმედებდა სალდათების გონებაზედა; მაგრამ ქსე იყო, თუ არა, 15,000 სალდათმა კი უფროსების ძალ-დატანებითა თავი დაანება საბანაკოსა და გამოექცა აჩქარებულის მარშით საშიშარ ბერმონაზონსა.

რაკი დაბრუნდა ვენეციაში, გავაცციმ დაიწყო გადაწყვეტილად და დიდის გამბედაობით გავრცელება ხალხში თავის აზრებისა. ის იყო ერთ დროს მოღვაწედ იქა რადიკალის (1) პარტიისა, რომელსაც დაერქვა სახელად «სახალხო კლუბი». მაგრამ ზომის მოყვარე კაცები

(1) რადიკალურ პარტიას უწოდებენ იმ პარტიას, რომელიც ცდილობს მოახდინოს თავის ქვეყანაში საფუძვლიანი, ძირეული ცვლილებაები მართებლობისა. ეს სიტყვა წარმოებს ლათინურის ლექსიდამ radix, რომელი ნიშნავს ძირს.

კი, რომელნიც ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ ფერდინანდზედ, რომ წესიერად ცვლილებას შემოიტანს, ამბობდნენ, რომ გავაცცის ქადაგებაები მომეტებულად გამბედავნი და კადნიერნი არიან; თვით «კეთილ--წესიერობის კომიტეტმა» არამც თუ აუკრძალა გავაცცის ქადაგება, არამედ ჰსთხოვა კიდეც ვენეციიდგან გასვლა. ეს მოხდა 1848 წლის ბოლოს. გავაცცი გავიდა ვენეციიდგან, მაგრამ, მინამ გავიდოდა, ერთი გამწარებული წიგნი მისწერა მანინს. (1) მანინმა მიუგო, რომ ძალიან ნანობს იმაზედ, რაც მოხდა, მაგრამ კი მამა-გავაცციმ დროებით უნდა დაჰსთმოს თავისი აზრები და წადილები ამისათვის, რომა პატრიოტების საზოგადოებაში უთანხმობა არ ჩამოვარდეს, მერე მაშინ, როცა საყოველთაო ერთობა ყველაზედ უფრო საჭიროა მტრის საწინააღმდეგოდ. «სხვაფრივ—ათავებდა მანინი წიგნსა—როგორც უნდა შეიცვალნენ სავულაოდ თქვენი ფიქრები ჩემზედ, მე მაინც კიდევ არ მოვიშლი პატივი გცეთ თქვენ როგორც იტალიის თავისუფლების მრავალ გულ-მოდგინე მოციქულებშორის უპირატესს მოციქულსა.»

ამასობაში, როცა ვენეცია კრთებოდა და იქანცებოდა უიმედო ბრძოლის საშინელებაშია, რომში დღესასწაულობდა გამარჯვებული კიდური პარტია პატრიოტებისა. გავაცცი გაიქცა რომისაკენ. ჩვენდა სანანურად, გავაცცის მოღვაწეობაზედ რომში არაფერი ცნობა არა გვაქვს. მარტო ეს კი ვიცით, რომ ის იყო უგო ბასსის განუშორებელ მეგობრად და ერივა იმ მცირედთა რიცხვში, რომელნიც გადურჩნენ ავსტრიელებსა და გამოჰყვნენ გარიბალდის იმის სახელოვან გამობრუნების დროს. გავაცციმ მოასწრო გასვლა ანგლიაში და იქ, «დაუმოკიდებელ» მქადაგებელის გინტონის შემწეობით, მიეცა შეძლება გაეგრძელებინა თავისი ორატორული მოღვაწეობა. მაშინ კი მართლა გამოჩნდა იმის ქადაგებაებშია განსხვავება რომის

---

(1) დანიელ მანინი იყო სახელოვანი პატრიოტი იტალიისა, რომელიც ირიცხებოდა თავი-კაცად ვენეციაში 1848 წლის რევოლუციის დროს.

ეკკლესიის მცნებაებთანა. გავაცცი უფრო ემყარებოდა სამღთო-წერილზედ, ვიდრე კათოლიკობის მოძღვრებაზედა, და ხსნიდა სამღთო-წერილსა ხალხისთვის საკეთილოდ უფრო, ვიდრე რომის სამღვდელოსათვის. ამისა გამო რამდენჯერმე შეურაცხად გახადეს თავხედ-მორწმუნეთა, ნამეტნავად ირლანდიელებთაგანებმა. არ ვიცით ამ არეულობის გამო, თუ თავის ნებითა—ის წავიდა მერე ამერიკაში. იქაც დიდი ხანი ქადაგობდა. აქაც კი არა ერთხელ შეხვდებოდა ხოლმე ძახილი განძვინებისა, დაშტვენა და მუქარება, მაგრამ ის თავის საქმეს თავს არ ანებებდა. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ რიცხვი გავაცცის თანა-ამყოლთა ყოველთვის მეტი და ძლიერი იქმნებოდა ხოლმე უკმაყოფილო პარტიაზედა.

1860 წ. გავაცცი გამოჩნდა პალერმოში, მესსინაში, (1) ნეაპოლში გარიბალდის და იმის ვოლონტერების დაუშორებლად და გაუყრელად. როცა საჭირო იყო, გავაცცი მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას ომებშია, ის ასულ-დგმარებდა და ახალისებდა მეომრებსა მგზავრობაში, ის მიმართამდა ხოლმე სიტყვას ხალხისაკენ, როცა პატრიოტები შედიოდნენ ქალაქშია. ამ სახით, რამდენიმე ხანი დაიყოლიებდა და ამხნევებდა ხალხსა პალერმოში და მესსინაში; ამ სახით, შეიქმნა ხალხის ახალ საჭიროების და მოვალეობის ჩამაგონებელად ნეაპოლში.

მოღვაწეობა გავაცცისა ნეაპოლში ჰსწარმოებდა გარიბალდის იქ ყოფნის მთელ დროშია. ამის მერედ არაფერი აღარ ისმის ამაზედა. უსათუოდ ვერ მოემარჯვა ყოფნა და ჩაგონება ხალხისა ნეაპოლში, როცა იქ თვით «გარიბალდის ლიმნიცა» შეიქმნა აკრძალულ ნივთად და მთავრობის წინა-აღდგომის ნიშნათ. (ა)

(1) პალერმო და მესსინა არიან ქალაქები სიცილიის კუნძულზედ, რომელი ეკუთვნის ეხლა იტალიის სახელმწიფოს.

(ა) ჩვენ ერთ ჟურნალის კორრესპოდენციაში წავიკითხეთ, რომ გავაცცი ყოფილა ნეაპოლში ხალხის დღეობების დროს, საშობაოდ, რომელშიაც ღვ-

უკანასკნელ დროს გავაცციმ ხელი მიჰყო ლიტერატურას. ორის თვის წინად გამოვიდა იმის თხზულება პაპის საერო უფლების წინააღმდეგი: «Roma tutta dell'Italia.»

ეხლა რაკი შევუდგებით გავაცცის მოძღვრობის გარჩევასა, ვიტყვით, რომ სიტყვიერების საზღვარში არა გვგონია ყოფილიყო რამ იმის ქადაგებაებზედ უფრო გამოსადეგი ახალ მთავრობის დამკვიდრებისათვის, თუ რომ მთავრობას შეჰსძლებოდა კარგად გაეგო თავისი ჭეშმარიტი მიქცევ-მოქცევა და მოვალეობა ხალხისადმი. გავაცცი არც ერთ სიტყვით თავის დღეში არ გადაჰსდგომია ამ გარიბალდის პროგრამმასა: «იტალია და ვიკტორ-ემმანუელი»* ის იქნებოდა ჩინებულ შუამავლად ხალხის წადილის და ახალ მთავრობის მოთხოვნილობის შორის; იმას შეეძლო თავის ზედ-მოქმედებითა დიდად შეჰსწევოდა სამხრეთის იტალიაში ; ახალ-წესიერების გაპოპულიარებასა. გავაცცის ქადაგებათა გარჩევა გვაჩვენებს ჩვენ იმის წადილთა მიმართვის და მოთხოვნილების არსსა; იმის ზედ-მოქმედების ძალაზედ კი უკეთესი მოწამე იქნება ის, რა სახითაც მიიღებოდნენ ხოლმე იმისი სიტყვები ნეაპოლშია.

გავაცცი, პირველ ქრისტიანეთ მქადაგებელთსავით, საცა მოხვდებოდა, იქ ქადაგობდა. ტაძარი, ქუჩა, მოედანი, თეატრი, ყოველი ადგილი, საცა კი მსმენელები იყვნენ—იმას ემარჯვებოდა და მეეთილებოდა. ნეაპოლში იმისი საყვარელი ადგილი იყო «Largo de Palazzo, San Francesco, di Paolo,ს» საყდრის წინ, სასახლესთან და

თის-მშობელი იყო მორთული ნაციონალურის ფერებითა, ყრმა იესო წითელ გარიბალდის პერანგითა; იოსებისათვის გაეკეთებინათ ვიკტორ-ემმანუელური ულვაშები, მოგვებსა ჰქონდათ საცმელი ბიქსიოსი, ფრანჩესკო II წარმოადგენდა იროდსა. კორრესპოდენტი (მეტად კეთილ-გონიერი) ამბობს, რა საკვირველია, თავ ზარ-დაცემითა, რომა რევოლუციამ ნეაპოლში ამ სახით მიაღწივაო უსამღთოეს საგნებამდინაცაო და რასაკვირველია დიდი ეჭვიც შეაქვს გავაცცის და «სხვა გარიბალდის ხროვის» ამ საქმეში დიდ მონაწილეობაზედა.

კარლო III, ფერდინანდო I, სტატუებთან, რომლებზედაც უცნაური დაყინება იგი ისე მოულოდნელად შეიქმნა მქადაგებელის სახელის გავარდნის მიზეზად. გავაცცის ქადაგებაების დრო წინადვე გამოცხადდებოდა ხოლმე, და ყოველთვის მოსასმენელად შეგროვდებოდა უშველებელი გროვა ხალხისა. ტაშის-ცემა, ძახილი: ბრავო! ჭო! არა viva Italia! viva Garibaldi! და სხვ. და სხვ.—ხშირად გააწყვეტინებდნენ ხოლმე მქადაგებელს სიტყვასა. ხანდისხან იმისი სიტყვა თითქო ბაასად გადიქცევოდა ხოლმე, ხან კიდევ სიტყვის მაგიერ ერთ როგორლაც მოიხმარებდა ან თავს,. ან ხელს, და ამით კრებაში აღძრავდა ერთ საყოველთაო მხიარულებასა. ესე ყოველი ფერი ძალიან საჩინოდ ეწინააღმდეგება მას, რასაც ჩვენ ქადაგებას ვეძახით ე. ი. სიტყვას, რომელიც მიმართულია სამღვდელო კაცისაგან ერის კაცისაკენ. ხოლო იმათთვის, ვისაც არ მოეწონებათ ამისთანა «გაკადნიერება სასულიერო კათედრისა» ვიტყვით, რომ ამისთანა ხასიათის ქადაგებანი იტალიაში და ნამეტნავად ნეაპოლში არამც თუ საოცრად მიაჩნიათ, არამედ უფრო მიღებულია. შემდეგ ვიტყვით ამაზედ რამდენიმე სიტყვას; ეხლა კი წინ ვასწრობთ თქმასა, რომ გარეგანი ფორმა გავაცცის სიტყვებისა, რა რიგ უცნაურათაც რო გვეჩვენოს ჩვენა, მაინც კიდევ არ მიეწერება სრულიად მარტო ამასა. გავაცცის და თავის ქვეყნის სხვა მქადაგებლების შორის უმთავრესი განსხვავება გარეგანი ფორმა კი არ იყო, არამედ **შიგ-მდებარება** იმის ქადაგებაებისა. შიგ-მდებარების არსი კიდევ ამისთანა არის, რომ იმას მოუხდებოდა ყოველი ადგილი და ყოველი დრო, ოღონდ მსმენელნი კი ყოფილიყვნენ. როცა გადასხნილ ცის ქვეშ ვერა ხერხდებოდა ხალხის მოგროვება ავ-დარის გამო, გავაცცი შევიდოდა საყდარში. ესე, რამდენიმე სიტყვა წარმოჰსთქვა del carmine-ს ეკკლესიაში. როცა უნდოდა მიემართა სიტყვა იმ კაცებისაკენ, რომელნიც არ მოდიოდნენ Largo del Palazzo-ს მოედანზედ, გავაცცი გაჰსწევდა იქით, სადაც იმათი კრება ეგულებოდა. ესე მივიდა Piazza Mercatello-ზედ, რომ დაიყოლოს baraccani ლაძარო-

ნები (1) ერთ ნეაპოლის დიდ ნაწილისა, რომელნიც ყველაზედ უფრო დიდხანს ჭოჭმანობდნენ ბურბონებისაგან გადადგომასა. როცა ხალხი შეგროვდებოდა ხოლმე რომელიმე თამაშისათვის, გავაცცი-იქაც წავიდოდა თავის ცხოველ სიტყვითა: ესე არა ერთხელ უქადაგნია იმას თეატრშია. . .

ერთხელ, ეს იყო სან-კარლოს თეატრშია, არდგენდნენ რაღაც ბალეტსა. პირველი მოქმედება გათავდა. უეცრად ერთ ლოჟაშია გამოჩნდა ჯმუხი ბერ-მონაზონი, წითურ წვერითა, ნახევარ-სამხედრო და ნახევარ-სამონაზონო მორთულობითა,—ეს იყო გავაცცი. ამან აცნობა გარიბალდიელების რაღაც ამბავი და დაუწყო ლაპარაკი შემოგროვილ პუბლიკასა იტალიაზედ, იმის საჭიროებაზედ და ყოველ კაცის მოვალეობაზედ მამულისადმი. ყველამ ყური მიუპყრა, თვით წარმომადგენელებმა, ქალმა, თუ კაცმა, ახადეს ფარდა და მოგროვდნენ სცენის ნაპირზედ, რომ ყური მოჰკრან ცნობის ღირს ქადაგებასა.

მეორედ გამოჩნდა კიდევ ფრანციზულ თეატრში, ნეაპოლში, ის-ისიყო მოსულიყო ჯარებიდამ, რომელთაც ომი გადეხადნათ კაპუასთან. (2) წითელი გარიბალდიური პერანგი ანაფორას ქვეშ, კეპი თავზედ სამონაზონო თავ-სახურავის მაგიერ, ხმალი გვერზედ და რევოლვერი სარტყელში—ძალიან არ უნდა გაჰკვირებოდათ იმ დროს ნეაპოლში. მხოლოდ ერთმა გავაცცის გამოცხადებამ თეატრში მიიზიდა ყველას ყურად-ღება, იმიტომ-რომ ის-ის-იყო მოვიდა ბრძოლიდამა. ამ სახით გათავდა თუ არა პირველი მოქმედება, გავაცცი წამოდგა თავის ლოჟიდამა,—და მქადაგებელის ხმოვანი, მკვიდრი, აღტაცებული სიტყვა წარმომადგენელთა დეკლამაციის სამაგიეროდ შეიქმნა. ლაპარაკობდა იგი კაპუასთან შებმაზედ, მამულზედ, თავისუფლებაზედ. ლაპარაკობდა დიდხანს, და მოუთმენელი პუბლიკა ნეაპოლისა ყურს უგდებდა მოთმინებით, ხარბობით და

(1) ნეაპოლში იქმნება რამოდენიმე ათი ათასი მცხოვრები, რომელნი ისრე ღარიბნი არიან, რომ მათ არა აქვსთ სადგომი ბინა და ცხოვრებენ მათხოვრობით, თუ რამე წვრილის მუშაობით. მათ ეძახიან ლაძარონებს.

(2) კაპუა არის ქალაქი სამხრეთის იტალიაში.

ალტაცებით იქამდინ, რომ დაივიწყა წარმოდგენა . . . როცა გავაცცამ სიტყვა გაათავა იმპრესსარიო (1) გამოვიდა სცენაზედ და თქვა, რომ რადგანაც კომედიის გათავებისათვის ცოტა დროღა დარჩა, ცუდი არ იქნება, თუ პუბლიკა ნებას დართავს, კომედიის მაგიერად გარიბალდის ღიმნი იყოს. ასტყდა ერთი საშინელი ტაშის-ცემა, კიჟინა და evviva! გარიბალდის ღიმნი იგალობეს—და ერთი ალტაცებული გრიალი მთელის პუბლიკისა გალობას ზედ-მისდევდა.

ეს ალტაცება არ დაიკარგა უნაყოფო ძახილშია. გავაცციმ იცოდა იმისი გავლენა და ამასთანავე იცოდა გამოყენებაცა: მქადაგებელის კეპიმ შემოიარა მთელი თეატრი და ავსებული ჯარების შესაწევარ ფულითა დაუბრუნდა პატრონსა. ეგ კიდევ არა ფერი: გამოსახა რა მდგომარეობა ჯარებისა, თქვა, რომ დაჭრილების წყლულების შესახვევი ტილო აკლიათ და მიუბრუნდა ქალებს თხოვნითა, რომ შეეწიონ. მეორე დილას დაუგროვეს ტილოს ხვავები.

ამისთანა საქმეებში ის ხშირად მიაღწევდა ხოლმე. ერთხელ მოედანზედ დაიღაღადა თუ არა, მსწრაფლ კათედრისაკენ გადმოუყარეს ხელსახოცები, ყოველ გვარ საცვლით გატენილი ბოხჩები. იმისი კეპი ბევრჯელ აივსო ფულითა იმ ვოლონტერების (2) შესაწევრად, რომელნიც ეგრე თავ-გამოდებით იბრძოდნენ იტალიის თავის უფლებისათვის.

გავაცცი ერია იმ რვა, თუ ათ კაცის რიცხვშია, რომელნიც შეჰყვნენ გარიბალდის 7-ს სეკტემბერსა ნეაპოლში. მოსვლისვე უმალ გარიბალდი წავიდა წმ. ჯენნაროს სობოროში, იმისათვის კი არა, რომ «Times-ის» სურვილისამებრ, აიღოს და ხიმიკურად დაშალოს შენახული იმ სობოროში სახელოვანი «სისხლი წმ. ჯენნაროსი», არამედ იმისათვის, რომ აღუსრულოს ღმერთსა სადღესასწაულო მადლობა ნეაპოლის განთავისუფლებისათვის. ხალხის შვილი და ხალხის მეგობარი—გარიბალდი არ მოინდომებდა პირველშივე შეუ-

(1) იმპრესსარიო—თეატრის შემნახავი, უფროსი.

(2) ვოლონტერი—მხედარი თავის ნებით შესული სამხედრო სამსახურში.

რაცხჰყოს ხალხის სარწმუნოებითი წამება; იმისი სურვილი იყო ეჩვენებინა, რომ თითონ სრულებით არ არის სატანის მოციქული და არც წინა-მორბედი ანტი-ქრისტესი, როგორც ცდილობდნენ წარმოედგინათ რომის და ბურბონების გულ შემატკივარ აბბატებსა და ბერ-მონაზონებსა. მივიდა თუ არა გარიბალდი სობოროში, კარები დაკეტილი დახვდა, ეგ კიდევ არ ეკმარებინათ: შესავალიცა ამოგებული იყო, სობოროს სამღვდელონი კი სულერთიანათ არხიეპისკოპოზის წასვლის შემდეგ მიმალულ-მომალულიყვნენ. მაშინ მამა გავაცცი გამოვიდა მთელის სამღვდელოს წარმომადგენელად: ხალხის და ნაციონალურ გვარდიის (1) შემწეობით გახსნა შესავალი, თითონ აღასრულა სამღთო მსახურება და ეკლესიაშივე მიულოცა იტალიის განმათავისუფლებელსა. ხალხი არა ჩვეულებრივად კმაყოფილი დარჩა.

ამის შემდეგ გავაცცი ხდება იტალიის თავისუფლების და ერთობის დაუღალავ მისსიონერათ. 12 სეკტემბრიდან და ოკტომბრის მომეტებულ ნაწილის განმავალობაში, როცაკი მარჯვე შემთხვევა მოეცემოდა, ის თითქმის ყოველ დღე წარმოჰსთქვამდა ხოლმე კარგა გძელ სიტყვასა ხალხთანა. შეუძლებელია, რომ იმისი ქადაგებაები წინად იყოს შეთხზული, სულ ყოველი ქადაგება იმპროვიზაცია (2) იყო. ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, უნდა ვაღვიაროთ, რომ გავაცცი მეტად გამოჩენილი ორატორია. მართალია, ხანდისხან იგი ასცილდება ხოლმე თავის უმთავრესს საგანსა, ერთ და იგივეს იმეორებს, ან უალაგო ალაგას დაბოლოებს, ან კიდევ მომეტებულად გააგძელებს; მართალია, ყოველ ქადაგებაში ძალიან ემცნევა მტკიცე ერთობის ნაკლებულობა მოწყობაში და გადახტომაები, რომელნიც ღრმად ნაფიქრებ სიტყვაში არ მიიღებიან; მაგრამ ამის

(1) ევროპაში ჯარს, შედგენილს რომელიმე ქალაქის მოქალაქებისაგან, ეძახიან ნაციონალურ გვარდიას. ნაცია ნიშნავს ხალხს (ლათინურად natio— ხალხი)

(2) იმპროვიზაცია—სიტყვა, ქადაგება ანუ ლექსები, მოუმზადებლად წარმოთქმული.

გარეითად კი იმის ქადაგებაში, თითქმის დაბეჭდილშიაც, თქვენა ხედავთ ცხოველ სიტყვის კვალსა, თითქო გესმით ხმა კაცისა, რომელიც თქვენთან ლაპარაკობს და არა კითხულობს კი წინათვე გაზეპირებულ რვეულსა რალაც გაშეშებულ ხმითა. ამის გარდა, თქვენ ნახავთ გავაცცის ქადაგებაში, რომ მეტად ნათლად ესმის საქმის ვითარება, და მეტად მოახერხებს ხოლმე საქმეს ზედ-მოაწყოს მოთხოვნილობა საზოგადო ზნეობისა, რომელიც ყოველ მოქალაქისათვის აუცილებელი ვალია.

არის გავაცცის სიტყვებში ბევრი რამ მკაფიო, თითქმის კადნიერიცა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ლაპარაკობდა განთავისუფლების პირველ დღეებში იმ ხალხთან, რომელიცა ის-ის იყო გამოვიდა ბნელ დესპოტობიდამა, რომელიცა ამოდენა წელიწადს მიწასთან ასწორებდა. ამასთანავე ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მართალია ბურბონებზედ, პაპზედ, ავსტრიაზედ და ლერცოგებზედ მოუხმარია ზოგი ერთი ფრაზები მეტის მეტი უცერემონიო, მაგრამ გავაცცი სულ არ არის იმისთანა ალარმისტი (1), როგორც უნდოდათ წარმოედგინათ ზოგი-ერთ კლერიკალის ჟურნალებსა. წინააღმდეგ ამისა, იმის ქადაგებაშაა ჩვენა ვხედავთ მიტევებასა და მშვიდობიანობის სიტყვასაცა, ხალხის დამამშვიდებელ და გამაგონიერებელ დამტკიცებასაცა. მაგრამ უფრო კარგი იქნება, რომ თვით იმის ქადაგებას მივმართოთ.

12 სეკტემბერს გავაცცი გამოვიდა San Francesco di Paolo-ს მოედანზედა. უთვალავი ხალხი ელოდდა იმასა და მიეგება დიდის ტაშის ცემითა. გავაცცი რამდენიმე ხანს დადგა ხმა ამოუღებლად, მძულვარედ შემოავლო თვალი ბურბონების სასახლესა და სტატუებსა, რომელიც იდგნენ მოედანზედ, მერე წაიკითხა თავის ხმოვან და ძლიერ ხმითა საყდარზედ ზედ წარწერილი: D. O. M. Francesco di Paolo Ferdinandus I ex voto A. D. MDCCCXVI·»

---

(1) ალარმისტი—კაცი, რომელი ჰყრის უსიამოვნო ჭორებს და იმით აშინებს საზოგადოებას.

ეს აილო საგნად ქადაგებისა. გაგაცცამ დაიწყო:

«ეს ზედ-წარწერილი, ეს სტატუები, ეს სასახლე ყველა ფერი მაგონებს მე ბურბონებსა. სადღა არიან ისინი, ჩვენი ბურბონები? რა იქმნა ეს ბაიყუში გვარი, რომელშიაც მამიდამ შვილზედ დირსეულად გადადიოდა მეტი სახელი: «ყუმბარა.» ყველა ფერი სავსეა იმათ სახსოვრებითა ამ მოედანზედა, რომელიც თუმცა უხერხოა სმენისათვის, მაგრამ მაინც კიდევ ძალად ამოვირჩიე ეს ალაგი უფრო იმიტომ, რომ ეს მოედანი ჩემზედ უფრო მაღლად ლაპარაკობს ბურბონებზედ.... სადღა არიან ისინი, ჩვენი მფლობელები? რა მაღლად იდგნენ! ერთმა შებერვამ.... მარტო ერთმა... და ისინი ჩამოცვივდნენ (ხალხში ტაშის ცემაა), ისინი ჩამოცვივდნენ სამუდამოდ... (აღტაცებული ტაშის ცემა) თავის დღეში აღარ იმეფებს ეგ წყეული თესლი!... მთელ ევროპიის დესპოტებში ყველაზედ საცოდავი ბურბონების თესლია,—მთელ ბურბონების თესლში ყველაზედ უხეირო ფესვი—ისპანიისაა და ყველაზედ დამპალი შტო ისპანიის ფესვისა—ეგ ნეაპოლიტანის ბურბონები არიან! შორს ჩვენგან, ბურბონებო! (მთელი ხალხი იძახის: ბრავო შორს ჩვენგან, ბურბონებო!). ამ ხანად კი მადლობა ღმერთს თავი დაგვანებეს გადაწყვეტილად (ხალხში მხიარულებაა). ეხლა იმათთვის აღარ იქნება არც ვენის და არც ვერონის ტრაკტატები (1) იმათი დაბრუნება ნეაპოლში აღარა ფერს შეუძლიან: არც ღალატსა, არც ორგულობას, არც პატიობას... ხალხმა და ხალხის გმირმა გაყარეს ბურბონები... მაშ შორს ჩვენგან, ბურბონებო!.. (ხალხი, როგორც ერთი კაცი, რამდენჯერმე გრიალებს: შორს ჩვენგან, შორს ბურბონებო!)... ჩვენ დავიწყეთ საქმე და ჩვენ მოვუღებთ ბოლოსაცა... მხოლოდ უნდა ზოგი-ერთი რამ კიდევ გავაკეთოთ, რომ ბოლო მოვუღოთ...

(1) ტრაკტატი—პირობა შეკრულობა ხელმწიფების შორის. ვენის და ვერონის ტრაკტატები იყვნენ წინააღმდეგნი იტალიის ერთობისა და თავის უფლებისა, ამისაგამო იტალიანელებს ჰძულდათ ეს ტრაკტატები.

«მე არა ვხედავ საჭიროდ, რომ ბოლოს მოღებისათვის სრულიად გავანადგუროთ იმათი სახსოვარი თვით მონუმენტებშიაცა და დავათხიოთ ჩვენი შურის-ძიების ბალღამი იმათ სტატუებსა. სიცილიაში, სადაც მაგათს სტატუებს არაფერი ხელოვნური ღირსება არა ჰქონდა, რასაკვირველია, ძალიან კარგადა ჰქმნეს, რომ ქვა ქვაზედ არ გაუშვეს (ხალხში მოწონების ძახილია)... ჩვენ კი ნუ გავხდებით XIX ის საუკუნის ვანდალებად, (1) ჩვენ შევიწყალოთ ეს სტატუები იმის პატივის ცემის გამო, რომ ესენი არიან შექმნილნი ჩვენის უდიდეს სკულპტორისა—კანოვისაგან. აი ესა (დანახვა თითით კარლო III სტატუაზედ) წარმოადგენს უხეირო კაცსა, რომელმაც, უნდა ვსთქვათ, შემთხვევით გააკეთა ზოგიერთი რამ საკეთილო ნეაპოლისათვის და რომელმაც, დაადგო რა ბაშვად აი ეს საზიზღარი ჭია (თითით აჩვენა ფერდინანზედ), ამბობენ უთხრაო თავის მინისტრებს: «რასაც თქვენ მაგისაგან გააკეთებთ—ეგ ის იქნებაო». ამ უკანასკნელ სტატუას, კანოვას გაკეთებული რომ არ იყოს, გასამტვერებლათაც მოვიწადინებდი, ამიტომ-რომ ეგ ყველაზედ უარესი მწვალებელი იყო ნეაპოლისა წარსულ საუკუნეში. რომ ვსთქვა, რომკაცმა შეიძლო სარჩობელაზედ ჩამოკიდება იმისთანა, მამულის შვილებისა, როგორც კარაჩჩოლო, მარიო, პაგანო და ჩირილლო,—რომ ვსთქვა, მითომ მითქვამს რომ თვით იგი ღირსია ასის სარჩობელისა და იმისი სტატუა ასის შეურაცხყოფისა—სულ ერთია (ხალხში ხანგრძლივი ტაშის ცემაა)... თუმცა ეგრეა,—მაგრამ დაე ეს სტატუაც დარჩეს ჩვენ ანტონიო კანოვას პატივის ცემისათვის »

«მაგრამ რომაელები სულაც არ იყვნენ ვანდალებად, როცა ჩვენ დაგვიგდეს ერთი კარგი მაგალითი: რაკი რომ უნდოდათ დაეცვათ ხელოვნება ნერონის, კალიგულასი, ღელიოგაბალის (2) სტატუებშია

(1) ვანდალები იყვნენ ღერმანიის ტომის ხალხი, რომელი ბარბაროსულად აოხრებდა დასავლეთის რომის იმპერიის მაზრებს V საუკუნეში.

(2) ნერონი, კალიგულა და ღელიოგაბალი იყვნენ სასტიკი და მოსისხლე იმპერატორები რომისა. ორნი პირველნი ცხოვრებდნენ პირველში, ხოლო უკანასკნელი III საუკუნეში ქრისტეს აქეთ.

იმათ მოამტვრიეს თავები და სხვის თავები მიუგდეს ამ ვეშაპების ტანებსა. ღმერთო! (გავაცა გაჩუმებული რამდენიმე ხანს დგას, უმრავად გულხელ დაკრეფილი)... რომ თავები მოვაშოროთ ჩვენცა ამ სტატუებსა—განოვის ნაწარმოები მაგითი ხომ არ დაშავდება? ამათ თავების სამაგიეროდ, რომელნიც მოგვაჩვენებენ ორს საზარელს ტირანებსა, რომელნიცა ვითომც გმირათაც არიან მორთულნი და გმირობა კი სრულიად არ უხდებათ—რომ ამათ მხრებზედ დავსვენოთ თავი კოროლისა—პატიოსან კაცის (galautuomo) ვიკტორ-ემმანუელის და რევოლუციის და ჩვენის განთავისუფლების გმირის იოსებ გარიბალდისა? (ხალხში დამაყრუებელი ტაშის ცემაა), უკეთესი სამკაული და დამამშვენებელი რამ შეიძლებოდა მოიგონოს კაცმა ამ მოედნისათვის, რომელსაც დღეის იქით უნდა დაერქვას «იტალიის ხალხობის» მოედნის სახელი?

«იტალიის ხალხობა არსდება, ბატონებო! მაგრამ ჯერ კიდევ არ დაარსებულა! მე ვიცი, ვინც კარგად დაიწყობს იმას ვითამც ნახევარი საქმეც გაუთავებია; მაგრამ მე მახსოვს აგრეთვე სიტყვაც ჩვენთვის ჯვარცმულის ღვთისა, რომ ვინც გუთანს ხელს მოჰკიდებს, უკან იყურება და საქმესა ჰსწყვეტს, ის არარის ღირსი სასუფევლისაო.

«აი ჩვენთვის ეს რას ნიშნავს: თუ ჩვენ დავსჯერდებით მარტო ნეაპოლის და სიცილიის განთავისუფლებასა და არ ვიფიქრებთ დანარჩენ იტალიაზედაცა, რომელიც ისევ მონებაშია, ნეაპოლიც და სიცილიაც ისევ მონების ქვეშ ჩაცვივიან. უნდა გავათავოთ, უნდა შევასრულოთ აღდგინება იტალიისა. ალპებიდგან ლილიბეამდის, სიცილიიდგან ტრიდენტამდის ჩვენ უნდა ვიყვნეთ ან ერთი ოჯახი, ან სულ არაფერი» (ხმა მაღლივი ტაშის ცემა). (1)

---

(1) ჩვენ ძალად გადავთარგმნეთ გავაცცის პირველ ქადაგების დასაწყისი იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამაში სტატუებზედ ლაპარაკსა. როგორც ხედავთ იგი არ არის დაკავშირებული ქადაგების არსთანა და არის მხოლოდ ეპიზოდი შესავალში, სხვა არაფერი. ჰსჩანს, რომ თვით ორატორი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა იმას, რაც დაემართებათ სტატუებსა თორემ ის თავს აღარ დაანებებდა ამას ეგრე ადვილად, ნამეტნავად მაშინ, როცა ხალხი, როგორც ჰსჩანს, ძალიან მიდრეკილი იყო შეესრულებინა გავაცცის რჩევა. ეგ არაფერი კიდევ,—შეიძლება ვიფიქროთ კიდეც, რომ სტატუებზე

რომ გავშინჯოთ არსებითი ნაწილი პირველ ქადაგებისა, ჩვენ ვპოულობთ მასში საოცარ და პრაკტიკულ მოხერხებას ილაპარაკოს სახელდობრივ იმაზედ, რაც საჭიროა, და ისე, როგორც საჭიროა, დროების და გარემოების მიხედვით. განთავისუფლების პირველ დღეებში ნეაპოლიტანელები, რასაკვირველია, იყვნენ აღტაცებულნი სიხარულითა და მიხწეულნი ეფიქრათ კიდეც, რომ ყოველის ფერი გათავდა, რომ ისინი ეხლა უნდა მხოლოდ სტკბებოდნენ თავისუფლების ნაყოფით, რომელიც მოიწია ეგრე ადვილად და შემოვიდა რაღაც სასწაულის ძალით. გარიბალდი ძალიან საჭიროდ რაცხდა შთაეგონებინა ნეაპოლიტანელებისათვის, რომ საქმე ჯერ არ გათავებულა, რომ იმათ უნდა გაჰსწიონ სხვა ახალი მეცადინეობა დ ჯაფა იტალიის თავისუფლების მკვიდრად დამყარებისათვის. ამის ჩაგონებას თავდაპირველადვე ხელი მიჰყო გავაცციმაცა. ის რაკი რომ აჩვენებს ხალხსა იმას, რა რიგ ძმურად უშველიათ ნეაპოლიტანელებისათვის იტალიის შვილებსა, ის მერე დიდის ოსტატობით უხალისებს მსმენელებს გრძნობასა დ მას შემდეგ უმტკიცებს რომ უნდა ეშველოს იმათაც ვინც კიდევ მონებაში

წინაალმდეგი ლაპარაკი გამოათქმევინა წინაღ-მავალ ხმებმა დ მიღრეკილებამ რომელიც ხალხში იყო ძალიან გავრცელებული. ხალხს ყოველთვის უნდა, ხოლმე უსათუოდ, თუ არ თვითონ მტერი, იმის სტატუა მაინც, სახე იმისი, რომელიმე ნივთიერი საგანი, რომელზედაც შეეძლოს დაანთხიოს თავისი ჯავრი დ მოიკლას შურის-ძიების წყურვილი. სიცილიაში სახსოვარი ბურბონებისა გაანადგურეს, ნეაპოლშიაც ხალხის ენტუზიაზმსა შეეძლო მიეღო მაგისთანავე მიმართულება. გავაცცი, რასაკვირველია, იმისთანა არ იყო, რომ დაეძრახა ეგ მოძრაობა: მაგრამ, როგორც ჭკვიან კაცს ესმოდა იმას, რასკვირველია, ისიცა რომა ამ გვარ საქმეებისაგან არაფერი საკეთილო არ გამოვა იტალიის თავისუფლებისათვის. აი რის გამო ისე ადვილად შეეხო ამ საგანსა დ ისევ ისე სწრაფად დ თითქმის უხერხოთაც დაანება თავი, როგორც შეუდგა თავდაპირველ. ეგრე არ იქცევოდა ხოლმე ის სხვა შემთხვევაში, — როცა, მაგალითებრ, ლაპარაკობდა სენტელმოს სიმაგრეზედა. მაშინ კი იმან კაი რეზულტატამდინა მოახერხა საქმის მიყვანა.

არიან, უმტკიცებს, რომ დიდად საჭიროა ბოლომდინ მიიყვანონ ბრძოლა თავისუფლებისათვის. მაგრამ ნეაპოლიტანელები, დიდისხნის მონების და კირთების ქვეშ ყოფნისა გამო რადგანაც თავის თავსაც აღარ ენდობოდნენ და ამის გამო, როგორც ყოველთვის იქნება ხოლმე, გულგრილად უყურებდნენ ყველაფერ იმას, რაც კი პირდაპირ იმათ არ შეეხებოდა,—ამისთვის გავაცცი განსაკუთრებით დაჟინებითა ელაპარაკება იმათ იმაზედ, რა რიგი ძლიერი და დიდი ღონე არის ერთობაშია და რა რიგად შეუძლიან განყოფასა დაბრკოლება წარმატებისა და დაღუპვა იმისი, რაც კი ნაშოვნი და მოგებული არის. ორატორი ემუდარება, აფიცებს თავის მსმენელებსა, რომ სხვის შველაზედ ნუ ელისებაო იმედი, თვითონვე ხელი მიჰყონ საქმესა და არა მარტო ნეაპოლის, ანუ სიცილიის საქმე, არამედ მთელის ერთიან იტალიის საქმე—მიიხსივონ და მიიღონ, როგორც თავისი საკუთარი საქმე. დასასრულ აქებს იმ ღონის-ძიებასაც კი, რომლითაც შეიძლება წახალისება ხალხში მხნეობისა და თავისუფლების სიყვარულისა. ამ ღონის-ძიებაზედ რომ ლაპარაკობს, გავაცცი იხსენიებს ქალებს, ღვდლებსა და გაზეთებსა. დასასრული იმის სიტყვისა შეადგენს იტალიის ერთობის, გარიბალდის და ვიკტორ-ემმანუელის რაღაც რამ დიდების მეტყველების მგზავსსა.

ამ რიგად არის შედგენილი გავაცცის პირველი სიტყვა, რომლის დასაწყისიც ზემოთა ვჰსთარგმნეთ. იმისი ჩამაგონებელი, რჩევის სიტყვა ხშირად განკიცხვის სიტყვისაკენ გადუქცევს და მაშინ ყველაზედ მომეტებულად წინააღმდეგად აღუდგება მოლმე სამღვდელოსა და პაპა-კოროლსა; ეს, როგორც ვხედავთ, დიდ ხარისხიან მნიშვნელობის საგნები არიან, სრულიად ღირსნი, რომ ნეაპოლში განთავისუფლებულ ხალხისათვის სათქმელს პირველს ქადაგებაშივე მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება. როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვაშიაცა გავაცცი იმ საოცარ ოსტატობით არის გამოჩენილი, რომ ხალხს პირდაპირ ეტყვის ჭეშმარიტს მართალსა და არ აუშლის ხოლმე ყინებსა და ჯავრსა. ღირს, მაგალითებრ, წასაკითხად, როგორ ოსტატურად უმტკიცებს ნეაპოლიტანელებს, რომ ისინი

ვერა ფერს ვერ იქმოდნენ მარტო თავის საკუთარის ძალითა, თუ სხვა იტალიანელებიც არ შეჰსწევოდნენ, რომ გამოცდილება, სამართალი, მადლობის გადახდა მოითხოვს სხვებისათვისაც ამათ ისე იწარმოვონ, როგორც იწარმოვეს ამათთვის სხვებმა. რაკი რომ უთხრა, «რომ ერთობა აზრისა და მოქმედებისა არის იმათი მადლობის გადამხდელი მოვალეობა, და რომ მაგას მოითხოვს, როგორც საკუთარი იმათი ინტერესი, ისე საჭიროება საზოგადო», ორატორი ამბობს შემდეგს:

«რამდენიმე თვის წინად მე შევიტყე კიდეც სარევოლუციო მოძრაობა, რომელიც ჩნდებოდა ნეაპოლშია; მერე ცხადად წარმოდგა სიცილიის წინა-აღდგომაცა. მართალის გულითა ვჰსთქვათ: მითამ სიცილიამ საკუთარის ძალით გაიმარჯვა? ცხადია, რომ არა. წინა-აღდგომა სიცილიისა იყო მხურვალე, პატიოსნური, ძლიერი, ყველაფერზედ მზად უკანასკნელ სისხლის წვეთის დაწურამდისა. მაგრამ მარტო რომ ყოფილიყვნენ, თავ-გამოდებულნი სიცილიის გმირები უღონოდ შეიქმნებოდნენ ამ საზარელ ბურბონის გაწყობილ სამხედროსთანა! და თქვენც თითონ, ძენო გეზუვისანო, თუმცა თქვენ გამოგივლიათ ყოველი ტანჯვა, რაც კი რამ სულსა, გულსა და ადამიანის გვამსა შეუძლიან გამოვლა საზარელ მართებლობისაგან, რომელსაც ღირსეულად ეძახიან «ღვთის უარ-ყოფასა», ე. ი. სატანის მართებლობასა, თვით გეენნის განხორციელებას ფერდინანდოს და ფრანჩესკოს სახეშია—თქვენ თითონ კი შეგეძლოთ აგესრულებინათ რჯულიერი შურის-ძიება თქვენი? მარტო თქვენ შეგეძლოთ განა გაგენადგურებინათ ტახტი იმ დემონისა და გადარჩომილ იყავით ავაზაკების და ჯალათების საზარელ უღელსა? არა, არ შეგეძლოთ. ვინ მისცა სიცილიის წინა-აღდგომასა დღესასწაულობა და სახელოვანი გამარჯვება? ვინ დააგვირგვინა ტრიუმფით (1) ნეაპოლიტანის რევოლუცია? კაცმა . . . არა—ანგელოზმა, ღვთისაგან მოვლენილმა, გმირთა-გმირმა გარიბალდიმ (ხალხში ძახილია: viva Garibaldi!) გარიბალ-

(1) ტრიუმფი გამარჯვების დღესასწაულობა, მხიარულება.

დი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა ორთავე—სიცილიისა იქნებოდა აქამდისინაც ბორკილებში შეჭედილი. იმისკენ, იმისკენ უნდა მიიქცეს ჩვენი გულის მადლობა. მაშ ღმერთმა ადღეგრძელოს გარიბალდი! (ხალხი რამდენჯერმე ამავე ძახილს იმეორებს). სიცილიის ლაშქრობაში განა ვინ დაზდევდა თანა გარიბალდისა? განა კალაბრიიდამ ნეაპოლამდე ვინ გაჰყვა თანა? იტალიის ყმაწვილ-კაცობა... ყოველ იტალიის მაზრებიდგან, არც ერთი მაზრა არ დარჩა უამისოდ. მოუსმათ ამათ—ამ ვაჟ-კაცებ ჯაბუკებსა—ტანჯულთა გვნესა, წინა-აღდგომილთა ძახილი და მაშინვე დაუტევეს, უფრო ბევრმა მაინცა, თავისი მშვიდობიანი ყოფა ცხოვრება, თავისი სიამოვნება, თავის ჭაბუკობის სიყვავილე, სიმდიდრე, კეთილ-ცხოვრება, ბრწყინვალება, გართვა... ეს ყველა ფერი მოიტანეს სხვერპლად... დაიძახა თუ არა გარიბალდიმ, ისინი გაცვივდნენ იტალიის საშველად! თვალ-წინა ჰქონდათ—არა ჯილდოები, არა პატივი, არა ადგილები, არამედ ტანჯვა, ნაკლებობა, დაქანცვა... მაგრამ კი იმათ გაიმარჯვეს! მარსალაში (1) გადმოსვლიდამ ნეაპოლში შემოსვლამდე მიმავლობა ჩვენის გარიბალდისა იყო გაუწყვეტელი ტრიუმფი... მართლა, რომ გარიბალდი ყოველთვისაც გაიმარჯვებს, იმიტომ-რომ იმის სახითა გამოდის ბრძოლაშია თვით ვაჟ-კაცობა, პატიოსნება, სამართალი, ერთის სიტყვით—საქმე ღვთისა, რადგანაც საქმე ხალხისა არის საქმე ღვთისა! მაშ ღმერთმა ყოველთვის ძლევით შემოსოს თავისი მოციქული! (ტაშის-ცემა).

«აი, როგორაც ხედავთ,—ჩვენის მამულის იტალიის ყოველ მხარემა გამოგიგზავნათ თქვენ დამხსნელები და იმათ შემწეობით თქვენმა ლიბერალებმა და თქვენმა ნაციონალურ გვარდიამა შეიძლო და მოახდინა ვაჟ-კაცობის სასწაული!.. ეს განთავისუფლება, რომელიც სხვა იტალიის მხარეთაგან მოვიდა თქვენთან, კისრად გადებთ

(1) მარსალა არის ქალაქი სიცილიის კუნძულისა, ზღვის პირზედ. აქ გამოვიდა გარიბალდი თავის ვოლონტერებით 1860 წ., როცა დაიწყო ომი ნეაპოლიტანის მართებლობასთან.

მადლობის გადახდის უსამღთოესს მოვალეობასა. თქვენ ვერ გადიხდით მაგ მადლობასა—ვერც ლექსებითა, ვერც გალობითა, ვერც მუზიკითა, ვერც თეატრებითა, ვერც ბალებითა, ვერც დღეობებითა ვერც სადილებითა... არა, თქვენ მოვალეობას გადიხდით ლეგიონებითა, (1) თოფებითა, ცხენებითა და ზარბაზნებითა; გადიხდით მაშინ, როცა თქვენ თითონ იბრძოლებთ სხვა იტალიის მხარეთათვის, რომელნიც ეხლა კიდევ მონებაში არიან. (ბრავისსიმო! .. Viva Italia! ..) რომელნიც თქვენთვის იბრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ, ისინი ითხოვენ ეხლა, რომ თქვენც იმათთვის იბრძოლოთ და სისხლი დაღვაროთ! აბა ყური დაუგდეთ იმ ვოლონტერების ლაპარაკსა, რომლებითაც თქვენი მშვენიერი ქალაქი სავსეა, აბა ყური დაუგდეთ, თუ ლაპარაკშივე არ შეამცნივოთ, რომ ბევრნი არიან პიემონტიდამაც (2) გენუიდამაც ამ ბედნიერ მაზრების შვილები, რომელნიც კარლ ალბერტის (3) კონსტიტუციის (4) დღიდგან თავისუფლობენ. ამათ, რომ ეთქვათ თავის თავად: «აი 12 წელიწადია კიდეც, რაც ჩვენ ვჰსტკბებით თავისუფლების ნაყოფითა; რა გაჭირება გვაქვს, რომ თავები უმსხვერპლოთ სიცილიელებსა და ნეაპოლიტანელებსა?» ეს რომ ეთქვათ, აღარ გექნებოდათ თქვენ შემწეობა პიემონტელებისა და გენუელებისა!.. მაგრამ, მაინც კიდევ, ლაპარაკში ემცნევათ, რომ ისინიც ეხლა აქ არიან... თქვენ ლაპარაკში ატყობთ, რომ აქ, ამათ გარდა, არიან ლომბარ-

---

(1) ლეგიონი გუნდი, ნაწილი ჯარისა; ესრეთ უწოდებდენ რომაელელები თავის პოლკებს.

(2) პიემონტი ჰქვიან ჩრდილოეთ იტალიის დასავლეთს ნაწილს. სარდინიის სახელმწიფოს სხვა ნაირად უწოდებდენ კიდევ პიემონტის სახელმწიფოს. ვენეცია არის ქალაქი ჩრდილოეთის იტალიაში

(3) კარლ-ალბერტი იყო სარდინიის კოროლი, მამა ვიკტორ-ემმანუელისა. მან მისცა თავისუფალი, კონსტიტუციური მართებლობა თავის სიხელმწიფოს **1848** წელს.

(4) კონსტიტუციას უწოდებენ იმ ნაირ წესს მართებლობისას, რომლით ხელმწიფის უფლება გარეშემოზღრულია ხალხისაგან ამორჩეულ დეპუტატებისაგან.

დილებიც, რომანიელებიც, ტოსკანელებიც, (1) რომელნიც თავისუფალნი არიან მას შემდეგ, რაკი შეერთდნენ ახალს იტალიის საკოროლოსთან. იმათ რომ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა თ ეთქვათ: «ჩვენ ეხლა შევუერთდით პიემონტსა, ჩვენა ვჰსტკბებით იტალიის თავისუფლების ნაყოფითა, ჩვენ რა დავა გვაქვს ნეაპოლის და სიცილიის თავისუფლებასთანა», მაშინ გექნებოდათ და იმათი შემწეობა?.. ვენეციელები?.. (2) აბა ყური ადევნეთ იმათ გამოთქმასა, ან უფრო უკეთ—მაგ საწყალ, შავბედისას, ტანჯულ, მომაკვდავ, მაგრამ ყოველთვის პატიოსან და სულ-გრძელ ვენეციის ვოლონტერების რამდენიმე გამოთქმასა. «ვაი, მე ჯერ კიდევ ბორკილ-გაყრილი ვარ—შორიდამ გეძახით ვენეცია—მე ხორცს ვიგლეჯ ავსტრიელის უღლის ქვეშა... მაგრამ მაინც ვიდევ ვგზავნი ჩემ უკეთესს ყმაწვილ-კაცობასა ნეაპოლის და სიცილიის განსათავისუფლებლად, რომ სიცილიაც და ნეაპოლიც თავის რიგზედ მოვიდეს და განმათავისუფლოს მეცა საწყალი წამებული, ერთ დროს ადრიატიკის დედოფლად ყოფილი.» (ხალხში აღტაცებული ძახილია ვენეციაზედ).

«მაშასადამე მადლობის გადასახდელად საჭიროა ყველა შეეერთდეთ ერთ ნაციონალურ გრძნობითა... ხოლო ჩვენი ნაციონალური გრძნობა მდგომარეობს ამ ლოზუნგში: (3) იტალია თავისუფალი ალპებიდამ... არა ადრიატიკამდე, არამედ ალპებიდამ ლილიბეამდე... (4) მთელი იტალია, მთელი, მთელი... უცხოსაგან თავისუფალი... ვინც რომ უნდა იყოს ის უცხო... (ტაშის ცემა).

«ამას გარდა, თუნდ რომ მადლის გადახდა არც კი იყოს ჩვენ

---

(1) ლომბარდია, რომანია და ტოსკანა არიან იტალიის მხარენი.

(2) ვენეცია არის დიდი ქალაქი ჩრდილოეთის იტალიაში, ადრიატიკის ზღვის პირზედ. ეს ქალაქი ეხლაც ავსტრიელების ხელშია.

(3) ლოზუნგი—პირობითი სიტყვა, რომელსაც აძლევს სარდალი თავის ჯარს ომიანობის დროს, რომ მეომრებმა ერთიერთმანეთი იმ პირობის სიტყვით იცნონ.

(4) ალპებს ეძახიან დიდს მთებს იტალიის ჩრდილოეთის სამზღვარზედ, ლილიბეა-ქალაქია სიცილიაში. ადრიატიკას უწოდებენ ზღვას, რომელი არის იტალიის აღმოსავლეთის მხარეზედ.

გულშია, თვით ყველას ინტერესი ამას გვეტყვის. ინტერესს კი ყველა დაიცავს ხოლმე . . . თომა აქვინელი (1) ამბობს, რომ ინტერესი არ იყოსო, ჩვენ ღმერთიც არ გვეყვარებოდაო. «რისთვის ვემსახურებით და გვიყვარს იგი? ჰკითხავს თავის თავს სახელოვანი მოძღვარი—იმიტომ, რომ მოველით იმისაგან ზეციერს სასუფეველსა». ამ სახით ღვთის და ჩვენ შორის საქმეებშიაც კი ინტერესი გაირევა ხოლმე. რადგანაც ამ საგანზედ ჩვენ ყველანი ადვილად შევიძლებთ დათანხმებასა, მე ვიტყვი, რომ ჩვენ ეხლა უნდა ვიყვნეთ ყველანი იტალიენელებად ჩვენის ინტერესისათვის მაინცა, რომ სხვა არა ფერი იყოს. იტალიანელებმა ბოლოს გამოარჩინეს ერთი დიდი ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო მჭიდროდ არის კავშირი ნაციების შორის, მით უფრო მტკიცეა კავშირი ყოველ გარეშე ქვეყნის მოქალაქეთა შორისაც, რომ თუ ხალხები ერთ პირზედ არა დგანან და ერთიმანეთის თანხმანი არ არიან, ის გამოდის, რაც გამოვიდა 1848 წ., როცა კროატები (2) იყვნენ ვენგერების წინააღმდეგად, ვენგრები კიდევ ცოტად მაინც იტალიანელებისა, მაშინ იმითი გათავდა საქმე, რომ ხელ-მეორედ ავსტრიამ ყველა ფერი ფეხ-ქვეშ ამოიდო . . . დიახ, ვაი იმას, ვისაც არ ესმის თავისი მოვალეობა და მხვედრი წილი საერთო საქმეშია . . . საერთო საქმე ჩვენი ყველასათვის ერთია. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ იტალია! მაშ ერთ პირზედ დავდგეთ ყველანი, შევადგინოთ ერთი ხალხი! პავლე მოციქული გვეუბნება ჩვენ, რომ როცა ერთი ასო რამე სნეულია ტანზედაო, მაშინ ყველა ასოები იმის გამო იტანჯებიანო. ძნელი გასაგები კი არ არის ეს ჩვენთვის, რომ თუ ვენეცია დარჩება ისევ მონებაში და რომის ქვეყნების ნაწილი კირთების ქვეშა, იტალია ჯერ კიდევ არ იქნება იტალიად, რომ ჩვენ უთუოთ უნდა გა-

(1) თომა აქვინელი იყო სახელოვანი კათოლიკის ღვთისმეტყველი სცხოვრებდა მე YIII საუკუნეში.

(2) კროატები არიან ხალხი სლავიანის ტომისა, ისინი ცხოვრებენ ავსტრიის იმპერიაში.

ვარღვიოთ ბორკილის უკანასკნელი ჯაჭვი, რომელიცა იმას დედა-მიწასთან აწორებს! საქმე ჩვენს საკუთარს ინტერესზედ ტრიალებს: თუ ანტონის ცეცხლი დავაგდეთ ტანის რომელიმე ასოზედ, თუნდ ნეკზედაცა, ის თან და თან მოეკიდება ხოლმე მაჯასა, ხელსა, მხარსა, მთელ ტანსა—და კაციცა კვდება . . . სწორედ ეგრეა აქაცა: დავაგდეთ ვენეცია დამონებულად,—მთელი იტალიაც ხელ-ახლად მონებაში ჩავარდება! . . მაშასადამე, ჩვენი საკუთარი სარგებლობაც კი მოითხოვს, რომ ჩვენ განვთავისუფლდეთ **ყ ვ ე ლ ა ნ ი** და **ყ ვ ე ლ ა ნ ი ც** ვიქნებით განთავისუფლებულნი! . .

«რომ სხვაზედა გვქონდეს იმედი, რომ ისინი მოვლენ და მოაგვარებენ იტალიის საქმესა,—ეგ მეტის-მეტი იმედი იქნება, ჩემო მეგობრებო! იტალია დიპლომატიისათვის ისეთი საშიშარია, რომ დიპლომატია იმისათვის არ დაიჩარჩება და არ გაირჯება. ჩვენ თითონ უნდა მოვაგვაროთ იტალია ვილლა-ფრანკიურად (1) კი არა, იტალიანურად, მეგობარნო ჩემნო . . . ეს იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ იტალიის შეკრულობა კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა ერთობა,—ერთობა და არა შეკრულობა. შეკრულობა კონფედერაციას (2) ჰქვიან—პაპასთან, ფრანჩესკინო ტოსკანის დიდ ღერცოგთან, ავსტრიის იმპერატორთან და ვიკტორ-ემმანუელთან,—საუცხოვო შეკრულობაა, განა ჩემო მეგობრებო? ძველ დროში მამის მკვლელსა ტომარაში ჩააგდებდნენ ხოლმე მამალთან და ძაღლთან, მაიმუნთან და გველთან ერთად, და პირს გადუკერამდნენ ტომარასა, მშვენიერი კრება აბა ის იქნებოდა! . . ვიკტორ-ემმანუელს არა ვინ არ მოუკლავს, მაგრამ მაინც კიდევ მამალზედ, ძაღლზედ, გველზედ და მაიმუნზედ უფრო უარესებთანა უნდოდათ ჩაეგდოთ.

---

(1) ვილლა-ფრანკა არის დაბა ჩრდილოეთის იტალიაში. აქ, 1859 წ. შემდგომ იტალიის ომისა, მოხდა შერიგება ფრანცუზის იმპერატორის ნაპოლეონ III და ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების შორისა.

(2) კონფედერაცია-კავშირი, შეკრულობა სახელმწიფოების ერთმანეთ შორის.

«ჩვენ არ გვინდა ჩვენ კეთილ ვიკტორ-ემმანუელისათვის მაგის იანა კამპანია—არა, ჩემო მეგობრებო? მაშასადამე არც შეკრულობა გვდომებია... შეკრულობა—თავის დღეში, თავის დღეში, თავის დღეში ნუ გვენდომება!... ერთობა, ერთობა, ერთი იტალია კი ყოველთვისა! (ხმა-მაღლივი eviva იტალიის ერთობისა, ვიკტორ-ემმანუელისა)

«თქვენ ხომ არ დაივიწყებთ ამ განსხვავებასა? ესეც იცოდეთ, რომ თუ კარგად მოინდომებთ იმას, რაც თქვენთვის საჭიროა, ყველა-ფერი ეგე მოგეცემათ. ჩემთვის საკმაოა, ჩემ თავად, რომ იტა-ლიელებმა მხოლოდ მოინდომონ კი—და ის, რასაც კი მოინდომე-ბენ— გაკეთდება. უცხონი ჩვენზედ ბევრს ცუდს ლაპარაკობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ ომი არ ვიცით—ჩვენ აკი ომი გავსწიეთ; ამბობდნენ, რომ აღარა გვაქვს იმოდენა სიკეთე, რომ დავიბრუ-ნოთ ჩვენი თავისუფლება—და ისიც დავიბრუნეთ; გვარწმუნებდნენ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ გონიერად და ზომიერად გამარჯვება გამოვიყენოთ—მაგრამ კი გამარჯვებაშიაც ჩვენ დავრჩით მშვიდობია-ნად და თავი შევიმაგრეთ. გვარწმუნებდნენ, რომ თუნდ რომ კი-დეც მიგვეღო კონსტიტუციის წესი ჲ რიგი, ჩვენ ვერ მოვახერხებთ ის შევიმაგროთ—ჲ აი შევიმაგრეთ კიდეც; ბოლოს უვიროდ-ნენ, რომ ჩვენ იმოდენად ხეირი არა გვაქვს, რომ უარ-ვყოთ მუნიციპალობის (1) მიმართულებანი, წინააღმდეგობა ჲ შური ქალაქებ შორის—ჲ აი ჩვენ კი თავი დავანებეთ მუნიციპალობასაცა, ყოველ წვრილმან ჲ კერძობითს მტრობასაცა... მაშასადამე, ჩვენ უცხო ხალხებს დავანახვეთ, რომ შეგვიძლიან ვიყოთ იტა-ლიანელები,—იტალიანელები—ღმერთო ჩ[ე]მო—ამ საოცარ ცითა, ამ მზითა, რომელიც იმათ ზემოდამა დაჭნათის, თავის სულითა, გულითა ჲ მკლავითა—პირველია,—დიახ, პირ[ვ]ელი, პირ[ვ]ელი ხა-ლხი[ს] ქვეყნიერობაზედ! (საშინელი evviva.)

---

(1) ევროპაში ბევრ ქალაქებს აქვთ თავის საკუთარი წესდებულება, ისინი თვითონ მართვენ უფროსს ნაწილს თავის შინაგან საქმეებსა. ამ სიმართლეს ქალაქისას უწოდებენ მუნიციპალობას ანუ მუნიციპალიტეტს.

«ეხლა ჩვენ უნდა მტკიცედ ჩავინერგოთ ჩვენში ნაციონალური გრძნობა; უნდა დავიწყოთ ყოფნა და ცნობა იტალიანელებად. როცა თქვენა ჰკითხამთ რომელსამე ფრანცუზსა, საიდამა ხარო? ის მოგიგებთ ხოლმე: ფრანციიდამ; ერთი და იგივე პასუხია ყოველთვის გასკონელი იქნება, პროვანსელი, (1) თუ რომელიმე სხვა საფრანგეთის მხრის შვილი; აგრეთვე ანგლიელიცა. ჰკითხამთ,—რომელ ქვეყნიდამა ხარ, ის გეტყვით: ანგლიიდამ. ვინა ხართ? ანგლიელი. ის არ გეტყვით თქვენა: მე ვარ გლაზგოდამა, მანჩესტერიდამა (2) ის მარტო გეტყვით: მე ვარ ანგლიელიო!...

«ეგრე უნდა იყოს ჩვენშიაცა. ჩვენ ამას იქით აღარა ვართ პიემონტელები, გენუელები, ლომბარდიელები, რომანიელები, ტოსკანელები, ნეაპოლიტანელები, სიცილიელები—ჩვენ ყველანი იტალიენელები ვართ. (**ხალისიანი ტაშის ცემა**), «მაშ რომელია თქვენი მამული?»

ამ კითხვის შემდეგ ორატორი შედგა. მთელი ხალხი ერთის ხმითა აღტაცებული ყვირის: **იტალია, იტალია!...** მქადაგებელმა დაანება თავი ლაპარაკსა მინამ ხალხი დამშვიდდებოდა, რაკი დამშვიდდა, ამაყად გასწორდა და აღტაცებით წამოიძახა: იტალია! მერე დაიწყო გავრცელება იმ იდეისა, (3) იმაზედ, რომ რა რიგად სასახელოა და საპატიო იტალიენელებისათვის, რომ იტალიას ეკუთვნიან, რა რიგად ადვილად, თუკი ყველას ერთი აზრი ექნებათ, შეუძლიანთ მოიპოვონ პატივის ცემა და მეგობრობა სხვა ხალხებისაცა. «რაკი რომ გვნახვენ, რომ ჩვენ შეერთებულნი ვართ, ამბობს იგი, უფრო პატივის ცემას დაგვიწყობენ, ჩვენი შიშიც მიეცემათ, მერე მოინდომებენ ჩვენთან დამეგობრებასაცა, მერე შემწეობასაცა გვთხოვენ.» აღძრა თუ არა ერთიანი ტაშის ცემა ხალხშია ამ სიტყვებითა, ამის მერე მქადაგებელმა გამოუხატა მსმენე-

---

(1) პროვანსი და გასკონი არიან ფრანციის მხარენი.

(2) გლაზგო და მანჩესტერი არიან დიდი ქალაქები ბრიტანიის (ანგლიის) სახელმწიფოში.

(3) იდეა—აზრი, ფიქრი.

ლებს მოახლოვებული მომავალი, რომელშიაც იტალია წარმოუდგინა ყოველ მიწასთან გასწორებულ ხალხობის განმათავისუფლებლად და დამფარველად. ახალი ტაშის ცემა გაიმართა ხალხშია და ახალი სიტყვა ორატორისა კვლავ დაუბრუნდა იტალიანელების ნაციონალურ გრძნობასა და ითხოვა, რომ ყველანი შეერთდნენ, გაყარონ ბურბონები, ავსტრიელები და პაპი-კოროლი . . .

ახსენა პაპი თუ არა, უთუოდ შეატყო ნიშნები დამხადებულ უკმაყოფილებისა, რომ გავაცციმა ამ რიგად დაიწყო:

«ბატონებო! მე არ დამვიწყებია, რომ ნეაპოლში ვლაპარაკობ და კარგათაც ვიცი, რომ ბევრს თქვენგანსა აშფოთებს კიდეც იდეა პაპის დათხოვნისა რომიდამ.

«გადაჰხედეთ და დაიმშვიდეთ თქვენი სინიდისი. ფიქრათაც არა ვისა აქვს პაპის ხელის ხლება. პაპი! არა ვის არ უნდა შეეხოს თვით მის უწმინდაესის პიროვნების ბეწვსაცა! დაე პაპი, თუ სურვილი აქვს, ბძანდებოდეს რომშია—მარტო იყოს კი რომის ეპისკოპოზად, არავინ ხმასაც არ ამოიღებს ამის წინაამდეგ. მაგრამ კოროლად კი? კოროლად (ხალხში ძახილია: ნუ! ნუ! ნუ!) ჩვენ აღარ გვინდა, რომ ის იყოს კოროლად. დაე ძველი ღვდლად დარჩეს და იყოს პიო IX, და დაე კოროლი კოროლად შეიქმნეს და იყოს ვიკტორ-ემმანუელი!...

«მაგრამ კი, რომ სრულიად დავამშვიდო ზოგიერთი ეჭვიანი კაცი (ხალხში სიცილია), მე შევეხები ამ საგანსა ქრისტიანობის თვალის გაშინჯვითა და სამღთო წერილის აზრითა, რომელიც იმათთვის არა მგონია შეეტყობინებინოთ იმათ მოძღრებსა და კეთილმოქმედ არხიეპისკოპოზებსა. ამბობენ, რომ პაპი—კარგად დაიხსომეთ ესა—მოადგილეა იესო ქრისტესი; მემკვიდრე პეტრე მოციქულისა, თავი ეკკლესიისა, მემკვიდრე რომის პირველ ეპისკოპოზებისა. კარგი, ძალიან კარგი! მაგრამ, ერთი ეს მითხარით—ქრისტე ყოფილა როდისმე კოროლათა? ქრისტეს მიუღია როდისმე საერო უფლება? არა. ქრისტემ უანდერძა განა თავის მემკვიდრესა საკოროლო გვირგვინი? (ხალხში იძახიან; არა!) არა! მაშ თუ პაპი მართლა ქრისტეს მემკვიდრეა—იმას არ შეუძლიან, რომ იყოს კოროლი! (ტაშის ცემა).

«თუნდ პეტრე მოციქული? ის კი ყოფილა კოროლად? არა. პეტრე მოციქული?... არა, ის იყო მებადური, მებადურედ ჰსცხოვრებდა და მებადურეთაც მოკვდა; მხოლოდ, იმის მაგიერ, რომ თევზი ინადიროს, ის შველიდა მაცხოვარსა კაცთა სულის მონადირებასა..... თავის დღეში კი არ ყოფილა კოროლად. მაშ, თუ პაპი მართლა მემკვიდრეა პეტრე მოციქულისა, არ უნდა იყოს კოროლად.

«პავლე მოციქული რომის ეკკლესიის ჭეშმარიტი დამფუძნებელი, ჭეშმარიტი დამფუძნებელი ქრისტიანობისა იტალიაში, პავლე არ ყოფილა კოროლად და ამბობდა, რომ მოციქულების მსახური ვარო; ამის გამო პაპსაცა, თუ მართლა თავია ეკკლესიისა, არ შეუძლიან, და არც უნდა იყოს კოროლად.

«პირველი ეპისკოპოზები სილიბისტრემდი (სილვესტრამდე) და თითქმის გილდებრანდამდე—გრიგორი VII-მდე არაყოფილან საერო მფლობელად, არა ყოფილან კოროლებად. მაშ პაპს როგორღა შეუძლიან იქონიოს საერო მფლობელობა, თუ უნდა რომ ჭეშმარიტი იმათი მემკვიდრე იყოს.

«მაშა სადამე თავის მოძღვრების პატივისათვის, სამღვდელო ხარისხის პატივისათვის, ქრისტიანობის პატივისათვის, ეკკლესიის, რჯულის პატივისათვის, სარწმუნოების და სახარების პატივისათვის, თვით ქრისტე—ღმერთის პატივისათვის პაპს აღარ შეუძლიან, აღარ უნდა იყოს და აღარც იქნება კოროლად. როცა ჩვენ დავარღვევთ იმის საერო უფლებასა, მხოლოდ მაშინ დავადგამთ იტალიის სარწმუნოებას იმ ბრწყინვალე და სხივოსან გვირგვინსა, რომელსაც იგი უნდა მოელოდდეს მხოლოდ იტალიის თავისუფლებისაგან.

«მაგრამ პაპსა რომ კოროლობა უნდა?... რომ იმას შემწენიცა ჰყვანან, რომელთაც უნდათ, რომ ის ისევ კოროლად დარჩეს? ჩვენკი ეგ არ გვინდა (ხანგრძლივი ტაშის ცემა). და რადგანაც ის ვერ შეიძლება, რომ კოროლად დარჩეს, მაშ მოიპოვება კიდეც ღონის მიება იმისათვის, რომ დავათმობინოთ ტახტი ვიკტორ-

ემმანუელისათვის! როცა ვიკტორ-ემმანუელი მოექცევა კაპიტოლიის(1) ზემოთა და მთელი იტალიაც გარს შემოეხვევა, მაშინ გამართლდება სიტყვა სახელოვან მაკკიაველისა: (2) «მინამ იტალიაში პაპები იქნებიან, იტალია ერთი აღარ იქნება; მხოლოდ იმ დღეს, როცა პაპი თავს დაანებებს კოროლობასა, იტალია შეიქნება დიდ ნაციად—იგი აღზდგება» (ტაშის ცემა)

დასასრულ, ორატორი აჩვენებს ღონის ძიებებსა, რომლითაც შეიძლება «აღდგინება» იტალიისა. ეგ ღონის ძიებანი არიან: ქალები, ჟურნალები და სამღვდელონი.

«ქალებო! თქვენზე უფრო დიდხანს ვილაპარაკებ, ეხლა კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მინდა თქვენკენ მოვმართო. როცა ჩვენი იტალიის ქალები გაუსწორდებიან გულის გმირობაში სპარტის (3) ქალებსა, მაშინ ჩვენ გვექნება ნაცია! ლოცვები, რომელთაც ბუტბუტობენ ხოლმე ჩვენი დედები ლათინურად და რომელნიც არც იმათ და არც ჩვენ არ გაგვეგება—რას გვეხმარებიან ის ლოცვები? ეგ დროების და მეცადინეობის დაკარგვას არა ნიშნავს? პავლე მოციქულმა არა თქვა, რომ ვინც უცხო და გაუგებარ ენაზედ ლოცულობსო, ის არამც თუ დროსა ჰკარგავსო, არამედ ღმერთსაც პატივს არა ჰსცემსო. უფრო უკეთესია და ათას წილათაც უმჯობესია უბრალოდ იტალიანურად თქვას კაცმა ერთხელ «Padre nostro che sei in cieli» (მამაო ჩვენო) ვიდრე ას ორმოც და ათ ჯერ, მთელ თქვენის კრიანოსნების მარცვლების ჩამოთვლითა დაიტიტინოთ «Ave Maria» (გიხაროდენ მიმადლებულო) ე. ი. ას ორმოც და ათ ჯერ გამოუყენელი საქმე დაიჭიროთ ყოველ დღე. ჩვენ ჭაბუკთათვის უფრო უმჯობესია ეხლა აიღონ თოფები და გასწივონ მამუ-

(1) კაპიტოლია ჰქვიან ერთს გორას რომის ქალაქში.

(2) მაკკიაველი იყო წარჩინებული იტალიანელი მწერალი მე XVI საუკუნეში.

(3) სპარტა იყო ძველი საბერძნეთის ქალაქი, რომლის მცხოვრებნი ნაქებნი იყვნენ მხნეობითა.

ლის საშველად, ვიდრე წირვაზედ (მესსა) მოხმარება ისწავლონ. დედანო! იმითი კი ირ შეიძლება დაშვენდეთ და დაგვირგვინდეთ, რომ გახადოთ თქვენი შვილები წმინდანებად და ფარისევლებად, არამედ იმითი, რომ თქვათ: ჩემი შვილი შველის იტალიის აღდგენისათ. (ძლიერი ტაშის ცემა) დედანო! ნეტავი ამ ხალხის ტაშის ცემამ გაგამხნევოთ იქამდინა, რომ თქვენ დღევანდელ დღიდგან დაზარდოთ შვილები, არა საყდრის ფარისეველ მოსამსახურებად, არამედ სალდათებად, პატრიოტებად... მაშ ღმერთმა აცოცხლოს მადლიანი დედა-იტალიელი!... (ახალი ტაშის ცემა).

« ჟურნალებო! ბევრი არიან ჟურნალები ნეაპოლში და ნეაპოლიც უპირატესობს თავის გენიის, ფილოსოფიის და პოეზიის საუნჯებითა. ჟურნალისტობამ უნდა გამოიყენოს ეს მშვენიერი ღონე მამულის სასარგებლოდ. მეჟურნალენო! თქვენი დანიშნულება დიდია, პატიოსნური და მაღალი... აღასრულეთ იგი, როგორც ხალხის სალოცავი! მოიშორეთ თავიდამ ყვედრება, ცილის წამება, ერთმანეთის მტრობა, რომლითაც ყოველ დღეს ეგრე ამცირებენ თავის თავსა უცხო ქვეყნის ჟურნალები... გაბედეთ ერთხელ და სამუდამოთ,—და მიეცით თავი ხალხის აღზდასა, ჩაგონებასა, ხალხის განათლებასა, თვალიდამ კი ნუ მოიშორებთ იტალიის ხალხობასა, იტალიის ერთობასა, სასოებას იტალიისას, იმის მომავალსა, იმის სამეფო გვირგვინსა!..

«სამღვდელონო!... ერთ სიტყვას ვიტყვი ეხლა, იმიტომ რომ სხვა დროს კიდევ დავუბრუნდები ამათ... ეხლა მარტო ამას ვიტყვი: ვმადლობ ღმერთსა, რომ სამღვდელოს შორის გამოჩნდნენ კეთილი პატრიოტები, თუმცა, მართლა კი რომ ვსთქვა, ისინი ჯერ კიდევ შორს არიან იმაზედ, რომ უფრო მეტი ნაწილი შეადგინონ. უფრო მეტმა ნაწილმა ნეაპოლიტანის სამღვდელოდამ— არ ვიცი ინტერესის გამო, თუ თავის ფარისევლობისა, სიხარბით თუ იმის გამო, რომ ცუდად გაუგიათ უგან-ჩამორჩომილ ავსტრიის არხიეპისკოპოსზედ თავისი დამოკიდებულება და მორჩილება,—

გამოიჩინა თავი იტალიის ერთიანობის წინააღმდეგად . . . ამის გამო სამღვდელომა უნდა ჩამოირეცხოს სირცხვილი, აღადგინოს დაცემული სახელი მთელი იტალიის წინაშე და აი რას ვეტყვი ეხლა იმასა: სამღვდელოვ, სამღვდელოვ ნეაპოლიტანისავ! მოიხმარე ეხლა იტალიის სარგოდ ის ძველ-მოქმედება, რომელსაც აქამდინ ბოროტად ხმარობდი ბურბონების და ტირანობის (1) სარგოთა! (ტაშის ცემა). სამღვდელოვ, სამღვდელოვ ნეაპოლიტანისავ! შენ ბოროტად ხმარობდი საკურთხეველსაც, ღვდლობასაც, უფრო ნამეტნავად აღსარებასა (ტაშის ცემა ნამეტნავად ქალების მხარესა). სამღვდელოვ!—რომ აამოთ ამ სასახლის უნამუსო მცხოვრებლებსა, შენ დაიმცირე თავი ენამტანიობის და პოლიციის ბეზღრობის ხელობამდინა! სამღვდელოვ ! შენის უთვალავის ბეზღრობის გამო მრავალი ნეაპოლიტანის პატრიოტები მიეცნენ სატუსაღოსა, კატორგასა, ექსორიასა, სასჯელსა . . . სამღვდელოვ, სამღვდელოვ! აღადგინე ეხლა დაცემული სახელი იტალიის და ნეაპოლის წინაშე! ისწავე შენ თავისუფლების მოყვარე მღვდლებისაგან, რიცხვით მცირე წევრთაგან შენთა, რომელთაც იციან ჭეშმარიტ პატრიოტებად ყოფნა,—ისწავე მამულის სამსახური, სამსახური იტალიისა— და ჩვენ თავს დავანებებთ ტირანობის სამღვდელოს წყევლასა, რომ ვაქოთ, ვადიდოთ, დავლოცოთ სამღვდელო თავისუფლებისა და იტალიის ხალხობისა. (ტაშის ცემა).

ამის მერედ ამბობს: «ნეაპოლიტანელებო, მე ვათავებ, იმიტომრომა მე საკმაოდ ვილაპარაკე დღესა» ამის შემდეგ აუთქვამს ახალს ქადაგებასა ამავე ადგილას ხვალ ზევითა და წამოიძახებს «ვივატებს» (2) იტალიაზედ, გარიბალდიზედ და ვიკტორ-ემმანუელ-

---

(1) ტირანობა—უკანონო და სასტიკი მოქმედება მართებლობისა.

(2) Vivat (ვივატ)—ღმერთმა აღლეგრძელოს, გაუმარჯოს. Vivat არის) ლათინური სიტყვა და ნიშნავს სიტყვა-სიტყვით—ცხოვრობს; ΘV V ι იმასვე ნიშნავს, მხოლოდ იტალიანურად.—

ლედ . . . რასაკვირველია, ხალხმა დაიგრიალა საზარო eviva და მახილითა შორს გაატილა მქადაგებელი, . .

ჩვენ არ გვინდა არა ფერი ჭკუა არ მოვუმატოთ ამ ჩვენგან გადმოცემულ ქადაგების ღირსებაზედ და მნიშვნელობაზედ, ჩვენ კიდევ წარმოვადგენთ გავაცცის მეორე ქადაგებასა, იქსება იმის ნათქვამებში უფრო ყველაზედ საჩინოსა. იგი მოშარითულის მოუთმენელ ლიბერალებზედ, რომელთაც უნდოდათ თავისუფლება უფრო თავის სარგოდ, და რომელთაც ძალიან ცოტად ესმოდათ ჭეშმარიტი მიმართვა და საჭიროება ხალხისა. იმათ მაშინვე გარიბალდის მისვლის უმალ დაიწყეს ჩივილები: რისთვის არის ცუდად ესა და ესა, რისთვის არის აქ და იქ ურიგობა და უწესობა. ზოგი ყვიროდა სისულელობით, იმიტომ რომ მართლა დაელოდნენ რომ გარიბალდი მოვა თუ არა ნეაპოლში, მაშინვე თვალის დახამხამების უმალ სასწაულით გაქრება მთელი ბოროტება; ზოგნი კი ადამიანის სიწროვოებას თავის განზრახვებისათვისა ხმარობდნენ. ესე, ჯერ კიდევ აქამომდე ნეაპოლიტანის სამღვდელო გაზეთები ვერ ითმენენ, რომ ნეაპოლში რამე ურიგობა ნახონ და არა თქვან: «აი ეგეც თქვენი თავის-უფლება, აი ლიბერალური მმართებლობაცა, აი თქვენი გარიბალდიცა . . . ბურბონების დროს არამც თუ ამაზედ უარესი არა იყო რა, არამედ უფრო დიდი მშვიდობიანობა და რიგი იყო». . . გავაცციმ, გარიბალდის ნეაპოლში შემოსვლის პირველ დღეებშივე, მოჰკრა ყური ამ გვარ ხმებსა და მიაგნო რომ ეგ ხმები საშიში და მოსარიდებელნი არიან. ამიტომაც მეორე ქადაგებაშია ის ცდილობს, იმ ხმების გაფანტვასა ორივე მხრითა იერიში მიაქვს: პირველი, რომ ის აჩვენებს იმათ სულელობასა; მეორედ, რომ უმტკიცებს ხალხსა თავი ისე დაიჭირონ, რომ არ დაუშალონ თავისუფლების ფეხის გამაგრებასა და არ მისცენ მიზეზი იტალიის მტრებსა წააყვედრონ რამე ნეაპოლიტანელებს. —

ჩვენს ენას რომ მომარჯვებოდა გადმოღება იმ მსუსხავ სიტყვებისა, რომელსაც წარმოსთქვამს ცრუ-ლიბერალების წინააღმდეგ,

მთელ იმ ჭექა—ქუხილისა, რომელსაც აგრიალებს ბურბონების ტირანობის თავზედა, ეს ქადაგება ღირსი იქნებოდა, რომ თავიდან ბოლომდის ითარგმნოს. ჩვენ ვცდით კი, რომ ისე წარმოვუდგინოთ ეს ქადაგება, რომ მკითხველებმა შეადგინონ ამაზედ რაოდენიმე აზრი მაინცა. აი დასაწყისი:

«—ყოველ ქვეყანაში და ყოველ საქმეში არიან კმაყოფილნიც და უკმაყოფილონიც. ჩვენში უკმაყოფილონი არიან ისინი, ვისაც წაუგიათ თავისი პარტია და ჩურჩულობენ ყურში: ეხლა, აი გარიბალდიც მოვიდა; აი რვა დღეც არის რაც ნეაპოლშია; აბა რა მოვიგეთ?» (აქ ორატორი სიტყვებს თან ადევნებს თავის ცხადად გამომსახველი და ძლიერ ჟესტსა, (1) მერე ისევ იწყობს ხალისიანად) . . . რა მოვიგეთ ჩვენ ამისაგანა? . . . ისა, რომ ბურბონები აქ აღარ არიან . . . რომ აღარ არის ფრანჩესკო II და ენამტანია ხლება იმისი (ტაშის ცემა). აი რა მოვიგეთ! . . . ჩვენ კარგი რა გამოვიტანეთ? . . . განა რა გქონდათ კარგი ბურბონების დროს? ხალხში ყვირილია: არაფერი, არაფერი!) არაფერი . . . არა, არაფერზედ უფრო უარესი, თქვენა გქონდათ ჯოჯოხეთი ანთებული . . . თქვენა გქონდათ მეფობა ინტრიგანებისა, ავაზაკებისა, მაბეზღრებისა, ჯალათებისა, მეფობა საპოლიტიკო კაცის-მკვლელებისა, აი თქვენი ნაყოფები ბურბონების დროს! (ხალხში მოწონების ხმაა) . . .

«რაც კი რამ გქონდათ ბურბონების დროს, ეგ ის იყო, რომ მოკლებული იყავით აზრის ყოველ თავისუფლებასა, მოკლებული იყავით სიტყვის ყოველ თავისუფლებასა, ბეჭდვის, ყრილობის, კაცად ყოფნის თავისუფლებასაც კი მოკლებული იყავით! . . . ბურბონმა თქვენის ცხოვრების დარაჯად თავზედ წამოგაყენათ პოლიცია, რომლის მეოხებითაც თქვენ თვით თქვენივე ნათესავებისაც გეშინოდათ, თვით თქვენივე ცოლშვილისაცა . . . აი რა გადამეტება გქონდათ ბურბონების დროს! (ძლიერი ტაშის ცემა). ბურბონებმა შემოგართყეს თქვენ სბირრების (2) რაზმები, რომელ-

(1) ჟესტი—ხელის მოძრაობა ქადაგების ან ლაპარაკის დროს.

(2) სბირრებს ეძახიან იტალიაში პოლიციის დაბალ ჩინოვნიკებს.

თაც მანდობილი ჰქონდათ, რომ ყური ედევნათ თქვენის აზრე-ბისათვის, სიტყვებისათვის, ქცევისათვის; რომელნიც ყველა-ფერს გადაასხვაფერებდნენ ხოლმე, რომ ლუკმა მაგით ჰსჭამონ, თქვენ ხარჯზედ იცხოვრონ და მერე თქვენვე თავზედ ლაფი დაგა-სხან და ჩააგდონ თქვენი ცოლშვილი სისაწყლეშია და ვაებაშია! აი რა სარგებლობა გქონდათ ბურბონების დროს! (ხელ ახლად ტაშის ცემა). თქვენ გაბედნიერებულნი იყავით ავაზაკების პოლიციითა, თავის მართალ მნიშვნელობის წინააღმდეგ, იმიტომ-რომ პოლიცია უნდა ჰფარავდეს პატიოსან მოქალაქეთა ქურდებისაგან, ავაზაკებისაგან, კაცის მკვლელებისაგან და ბურბონების პოლიცია კი, ამის წინა-აღმდეგ, ჰფარავდა ხოლმე ქურდებს, ავაზაკებს, კაცის მკვლელებს პატიოსან მოქალაქების საწინააღმდეგოდ. (ხალისიანი ტაშის ცემა) ბურბონმა მოგანიჭათ თქვენ სასამართლოები, რომელნიც, როცა ვერ პოულობდნენ დანაშაულობას ხალხშია, ტყუილ-უბრალოდ მოიგონებდნენ ხოლმე, რომ ხალხი გაცარცვონ . . . სხვა ფრივ ვიკარია, ნიზიდა, (1) კატორგა, ქსორია, სახრჩობელა . . . აი თქვენი სარგებლობა ბურბონების დროს! . . . ერთის სიტყვით ბურბონების დროს სრულიად არაფერი თავისუფლება არ იყო, არაფერი საიმედო არა გქონდათ რა. თქვენ მაშინ თვით ღამეცა არ შეგეძლოთ მშვიდობით მოგესვენათ ცოტათი მაინც თქვენს ქვეშაგებშია: შინაურობის განჩხრეკას ყოველს წუთს შეეძლო აეშ-ფოთებინა თქვენი მშვიდობიანობა, შეეძლო,—როგორც არა ერთხელ იყო მომხდარი—სიცოცხლედ ღირებოდა პატიოსან ქალებსა, რომელ-თაც თავის სახლის და ქრმის ლაფის თავზედ დასხმის შიში აძ-ლევდა მხნეობასა მაღალ მოაჯერიდამ გადმოცვივნისასა, რომ თავის სისხლით ჩამოირეცხონ გაუნამუსოება, რომელთაც . . . (გრიალი საშინელის ტაშის ცემისა უკანასკნელ ფრაზას ჰკარგავს). ერთის სიტყვით

---

(1) საპყრობილენი არიან ნეაპოლში.

ბურბონებს უნდოდათ, რომ იტალიის უპირატეს ხალხიდამ, უპირატეს ჭკვითა, პოეზიითა, ფილოსოფიურ აზრის ღონიერობითა, ხელოვნების მიდრეკილებითა, გულის წადილის მიმართვითა, თავისუფლების სიყვარულითა,—ეს ხალხი უნდოდათ იტალიის უკანასკნელ ხალხად გაეხადნათ; სრესდნენ, მიწასთან ასწორებდნენ ნეაპოლიტანელებს იქამდინა, რომ არამც თუ აღარ იყვნენ იტალიელებად, არამედ კაცად ყოფნაზედაც ხელი აეღოთ. აი რა მოგანიჭათ თქვენ ბურბონმა! (ხალხში კიჟინაა და ლანძღვა ბურბონებისა).

«გარიბალდიმ რაღა მოგიტანათ? თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება! (გრიალი ტაშისა და eviva გარიბალდზედა) და როცა მოგიტანათ იმან თავისუფლება... (მხიარული ხმაურობა ხალხისა არ ათავებინებს ორატორსა სიტყვასა) მომეცით მე ეს ვეზუვია, (1) მომეცით მე ზღვის უბე, მომეცით მე ეს ყოველი მშვენიერება ბუნებისა, რომელიც ნეაპოლსა ქვეყნიერ სამოთხეთა ხდის—მომეცით ესენი უთავისუფლებოთ—თქვენ მე მომცემთ ვერანასა, ღამესა, ჯოჯოხეთსა. (ხალხში იძახიან: კარგად არის ნათქვამი, კარგად!) მომეცით მე ვერანა ადგილი, შიშველი კლდე, მომეცით ერთი ნაკუწი მიწა ყველაზედ უფრო უხმარი, უნაყოფო, თავ-მინებებული—მომეცით მე ესენი თავისუფლებასთან ერთად, და მე მოვახერხებ იმათგან სამოთხე გადავაქციო! (ტაშის ცემაა) ხალხი, არა თავისუფალი,—ბნელაში დადის თავის უფალი კი ნათელშია. დაილოცა ნათელი და დაილოცა ისიცა, ვინც ნათელი მოგვიტანა!..

წამოაძახებინა რა კიდევ ხალხს რამდენიმე აღტაცებული კიჟინა გარიბალდის სასახელოდ და რამდენიმე ახალი წყევლა ბურბონებზედა, გავაცცი შეუდგა თავის ქადაგების უმთავრესს საგანსა—ე. ი. იმათ უსამართლო პრეტენზიების დარღვევასა, რომელნიც იმედეულობდნენ, რომ გარიბალდის ერთის ხოლოდ ნეაპოლში ყოფნითა თვალის დახამხამების უმალ, რაღაც სასწაულითა ყოველს უწინდელ ბოროტებას ბოლო მოეღება.

---

(1) ვეზუვია არის ცეცხლი—მთოველი მთა ნეაპოლის ახლოს.

«იმათ, ვინც კი დომულობს ყველა ფერს ერთად, ამბობს ორატორი, იმათ ესე მდაბიურად ავუხსნი. წარმოიდგინეთ გუბე, დიდი საფლობი ზღვის პირის ახლო. წყალი გუბეში დგას, ლექიდამ ამოდის ნადამპალევი სიკვდილ მოსილი ოშხივარი (მიაზმები). უნდ წყალი მოუშოს, რომ ჩამოირეცხოს გუბე. მცოდნე კაცი მოამზადებს იმ წყალს სხვა რეზერვუარში (1), ის ამოსწევს საგუბარსა (შლუზი), წყლის რუი მიიმართება გუბისაკენ, ზედ ეცემა გუბესა და მიდის ზღვისაკენა, თან წაიღებს მიაზმებსა (2) და დამპალ ხავსსა. როცა კი წყალი დაიწურება, თქვენა პოულობთ მიწაზედ ქვებსა, ქვიშასა, ყოველ საძაგლობასა, რაც რამ წყალსა დენაში მოუტანია. მაშინ მოვა გამოცდილი ინჟინერი კაცი, რომელიც მოაშორებინებს მიწასა ყველა ფერს, რაც მეტია და წყლის სადენარად სამუდამო რუს გასხნის, ამ რიგად ამოაშრობს გუბესა და გადაარჩენს ადგილსაცა ბოროტ-მავნებელ მიაზმებისაგან. აბა ეს ჩემი ნათქვამი ნეაპოლზედ გადიღეთ. მთავრობის ქვეშ, რომელსაც ღირსეულად დაერქვა «უარ-ყოფა ღვთისა», ნეაპოლი გუბე იყო დამყაყებული, სულის შემაგუბებელი, ტალახიანი საფლობი, სავსე სიმყრალითა, სიკვდილითა . . . მოვიდა კაცი ვარეზისა და კალატაფიმისა, (3) ასწია საგუბარსა; წყალი გუბეზედ მიეშო—და სწორედ იმ ადგილიდამ, სადაც ბურბონობა ობდებოდა და ხავსი ეკიდებოდა, სწორედ იქიდამ მოვიდა ჩვენთან თავისუფლება (ტაშიც ცემა). თავისუფალ ღვარმა დაავლო აქაც თავის შემდეგ ქვიშა, ქვა და ყოვილივე საძაგლობა,—ეგ გუშინდელი და დღეანდელი ლიბერალები გახლავან, ლიბერალები მარტო თავის მუცლისათვის! (ხალხში: კარგია!) ეხლა მოვა მერუეც, რომელიც ყველა ფერს ამას მოაწყობს» . . . .

რომ ეგ მოწყობა შესაძლებელი და სამარჯვე იყოს, გავაცცი ითხოვს, ერთიან ნეაპოლიტანელებისაგან საზოგადო საერთო საქ-

(1) რეზერვუარი—წყლის შესანახავი აუზი.

(2) მიაზმი—მავნებელი ოშხივარი, ხაშმი.

(3) ვარეზესთან და კალატაფიმთან სიცილიაში გაიმარჯვა გარიბალდიმ; ამისგამო ის აქ არის წოდებული ვარეზეს და კალათაფიმის კაცად.

მის გულ მოდგინედ და ნამდვილ შველასა.

«იცოდეთ, ამბობს იგი—რომ მამული არ აღედგინება ხოლმე არც სიმღერებითა, არც ღიმნებითა, არც ლექსებითა, დღეობეებითა, ჩირაღდნებითა, არამედ ყველას და თვითვეულის თავ-გამოდებით, ერთიან თავ-გამოდებითა, იმიტომ-რომ მაშინ თვითვეული შველის ასრულდეს ისა, რაც ყველას საერთოდ უნდათ.»

ამის შემდეგ ავრცელებს რა თავის აზრსა, გავაცცი ძლიერად და მსუსხავ სიტყვითა მივარდება ლიბერალებსა, რომელნიც მარტო იმაზედ იკლავდნენ თავსა, რომ ახალ მართებლობისაგან ალაგი მიიღონ რამე და, რაკი რომ ხელ ცარიელები რჩებიან ეხლა, უეცრად იცვლებიან, აღარ მოჰსწონთ ახალი წესი და რიგი, ნამდვილ პატრიოტებსაც გზას და კვალს ურევენ. ვრცლად ამტკიცებს გავაცცი იმის სიმართლესა, რომ მთელ საუკუნოს ბოროტება რამდენიმე დღეში ვერ მოიშლება, რომ თვით ის ცვლილებაების შედგომის შეძლება, რომელიც ბურბონებისაგან გადარჩენასთან ერთად მიეცა ნეაპოლსა, დიდი შეძინება არის. მერე გადადის გავაცცი იმ პირებზედ, რომელნიცა უკმა-ყოფილონი არიან ამაზედ, რომ ბევრი უწინდელი მოადგილეები—ბურბონისტები ისევ თავის თანამდებობაზედ დარჩნენ. აქ გავაცცი ბურბონისტებსა ჰყოფს სამ გვარად: ბურბონისტები—ჯალათები, როგორც ის ეძახის, რომელნიც უნდა უთუოდ მიითრიონ საზოგადო სამსჯავროშია, და რომელნიც ღირსნი არ არიან არა რაიმე შეწყალებისა; ზომიერები, რომელნიც გულმოდგინეთ ასრულებდნენ ბურბონის ბძანებასა და რომელთაც უნდა ჩამოაცალონ თანამდებობა, თუ საჩინო ადგილები ეჭირათ, და არ კი სდევნონ; და მესამე გულგრილი-ბურბონისტები, რომელთაც სულაც არ უნდა ხელი ეხლოს. თავის აზრს ამ რიგად ხსნის გავაცცი: «ესენი ემსახურებოდნენ კანცელარიებში და სასამართლოებში დაბალ ადგილებზედა, ჰსწერდნენ იმას, რასაც უბძანებდნენ, მაგრამ არ იყვნენ არაფერში დამნაშავენი, იმიტომ-რომ გადამწერის კალამი ხომ არა ფიქრობს და არა ჰსჯის; ის იმისია, ვინც ფულს აძლევს. თუ ფულის მძლეველი ბურბონები არიან, ის კალამი ჰსწერს: «ღმერთმა

აღდეგრძელოს ბურბონები!» თუ გარიბალდია,— «ღმერთმა აღდეგრძელოს გარიბალდიო!» ამისთვისაც ყურიც არ უნდა გათხოვოთ იმათ; მაგ გვარი კაცები მრავალნი არიან ყველა ქვეყანაში, და თუ ყველანი ისინი უნდა გამოიცვლებოდნენ ხოლმე მთავრობის ყოველ ცვლილების დროსა, ეგრე მოგვინდებოდა ბევრის გაუბედურება და ყოველთვის საქმეების წარმოების შეყენება და დახლართვა . . . აგე ამერიკაში ყოველ ოთხ წელიწადში მთავრობა იცვლება, როგორ გადურჩებიან ხოლმე წვრილმან მოსამსახურებსა? ყოველ თავისუფალ და საჩინო ადგილებზედ დასმენ ხოლმე ახალ მთავრობის ერთგულ კაცებსა და დანარჩენს კი არც კი შეეხებიან; ისინი იმას გააკეთებენ რასაც უბძანებენ» . . . მაგრამ მით უფრო ძლიერ წინა აღუდგება გავაცცი იმ კაცებს, რომელნიც «5-ს სეკტემბერსა პიედიგროტაში მირბოდნენ ბომბიჩელლოს (1) უკან, რომ ცრემლნი დაღვარონ მადონნის (2) წინა; და მერე, გარიბალდი ნეაპოლში რომ შემოვიდა, დარბოდნენ ძახილითა: «viva Garibaldi !» . . . ამ ბატონების წინააღმდეგ ის აღვიძებს საზოგადო წყრომასა, იმათ რაცხს ისა იმ უხერხოებათა შორის, რომელიც დარჩა «გუბის გაწმენდის» შემდგომ. «მე არ შემიძლიან ვენდო, ამბობს იგი, როცა ვხედამ ამ საყდარსა ნაციონალურ ბაირაღებით მორთულსა, ანუ როცა შევხვდები ხოლმე ქუჩაში კაცსა ერთგვარ ულვაშითა, რომელიც ერთს ვერსტზედ გვამცნებს, რომ უწინდელი სბირრია და მასთანვე სამფერიანი-კოკარდაც ზედა აქვს . . . (ხალხი ტაშსა ჰსცემს). ნამდვილ ლიბერალისათვის საჭირო არ არის თავი გამოიჩინოს, საჭირო არ არის დაანახვოს კოკარდა, იმიტომ-რომ უამისოთაც იცნობენ, და მერწმუნეთ—კაცს, რაც უფრო დიდი კოკარდა აქვს, იმითი უფრო ნაკ-

(1) ბომბიჩელლო არის ზედ-წოდება ნეაპოლიტანის კოროლის ფრანჩესკოსი. ბომბიჩელლო ნიშნავს იტალიანურად პატარა ყუმბარას. იტალიანელებმა დაარქვეს ფერდინანდო II «ბომბო» (ყუმბარა) და მის შვილს ფრანჩესკოს ბომბიჩელლო, (პატარა ყუმბარა) რადგანაც მათ ძლიერ უყვარდათ ყუმბარების სროლა და იმით თავის ქალაქების დანგრევა.

(2) მადონნა იტალიანურად ნიშნავს ღვთის-მშობელს.

დები აქვს თავისუფლების სიყვარული.»

შემდეგ, მთელი იტალიის დაწინაურებულ კაცების თანხმად, გავაცი ლაპარაკობს პიემონტთან შეერთების სასარგებლოდ; ურჩევს ამისათვის თავი დაანებონ ყოველ სიზმრებსა ავტონომიაზედ (1) და ხელი აიღონ თვით რესპუბლიკანურ ტენდენციებზედაც. (2) «რესპუბლიკაო! იძახის იგი: სადა არიან რესპუბლიკანელები? ხომ რესპუბლიკა არა ჰქმნის რესპუბლიკანელებსა, არამედ ამათ უნდა შეჰქმნან რესპუბლიკა... ჭეშმარიტ რესპუბლიკანელად კი გულით, სულით, დვაწლით და სხვერპლით, რესპუბლიკანელად კეთილ-მოქმედების სიმტკიცითა, ზომიერ ჯერობითა—მე ვიცნობ იტალიაში ერთსა —ეგ იოსებ გარიბალდისა... იოსებ გარიბალდისკი არ უნდა რესპუბლიკა!...» მერე კიდევ უმტკიცებს ხალხსა თავის თავის დაცვისათვის და იტალიის ღონივრობისათვის ერთობის საჭიროებასა, და ბოლოს ასრულებს სიტყვას იმით, რომ მეორე დღეს უფრო ვრცლად ილაპარაკებს იმაზედ, რომ როგორ უნდა და რა გვარად შეერთდნენ იტალიის საკოროლოსთან, და დასასრულ ათავებს სატყვას ვივატებითა გარიბალდიზედ და ბურბონების გინებითა. ხალხი, ბერის სიტყვებით გატაცებული, საზარო კიჟინას ასტეხს, რომელიც მქადაგებლის კათედრიდან ჩამოსვლის შემდეგაც დიდ ხანს არა ჰსწყდება.

მესამე ქადაგება გავაცცამ სრულიად მიუძღვნა პიემონტთან უპირობო და დაუგვიანებელ შეერთებასა, და იმასა, რომ რეაკციის (3) წინაალმდეგად ხალხი ყოველთვის მზად უნდა იყოს. ამ სიტყვაში ჰსჩანს, რომ მქადაგებელი არ ენდობა ტურინის სამინისტროსა (რომელიც მართლადა ამ დღეებში ცდილობდა იმას, რომ როგორმე შეაყენონ გარიბალდი), და ამასთანაც დაჯერებულია, რომ მართებლობა

---

(1) ავტონომია—თვით-მართებლობა.

(2) ტენდენცია—მიმართულება, მიდრეკილება. რესპუბლიკა ჰქვიან იმ ქვეყანას, სადაც არ არის ხელმწიფე და სადაც მართებლობა არის ხალხისაგან ამორჩეულ პირების ხელში.

(3) რეაკცია-მოძრაობა წინაალმდეგ წარმატებისა

გარიბალდისა ნეაპოლში უნდა, რაც შეიძლება, დიდ ხანს დარჩეს თავის უფალი გარეშე ზედ-მოქმედებისაგან. ამას გავაცცი ნამეტნავად მაშინ გამოჰსთქვამს, როცა დიპლომატები სინათლეზედ გამოჰყავს და ლაპარაკობს სენტ-ელმოს სიმაგრის დაქცევაზედა. ამ ორ ადგილსა ჩვენ მოვიყვანთ იმის მესამე ქადაგებიდგან, რადგანაც ხასიათი და მანერა მქადაგებელისა ჩვენ კიდეც ვიცით, და დანარჩენი კი თავის თავად წარმოადგენენ სწორედ ადგილობრივს და შემთხვევითს ინტერესსა.

«ძალიან უნდა ვისურვოთ, მეგობრებო ჩემო, ამბობს გავაცცი, რომ არა ვინ არ მოვიდეს ჩვენის საქმის ასარევად. გარიბალდის ღვაწლის ნაყოფი მეტად დიდია, რომ იმისაგან დიპლომატია არ შეაფუცხუნდეს . . . მე კი ძალიან მეშინიან მაგ უკბილო ბებერ დუენისა (1), რომელსაც დიპლომატიას ეძახიან. მე მეშინიან, რომ აქ ყველაფერი არ გააფუჭოს იმანა. თქვენვე იფიქრეთ, რა რიგად ბოროტ-გამძრახველია იგი: შარშანა შუა იტალიაში ჩვენ გვინდოდა იმ საათსვე შავერთებულვიყავით, იმიტომ-რომ დროს დაკარგვისა გვეშინოდა და გვეფიქრებოდა: ვაი თუ ვერ მოვასწროთ ვიკტორ-ემმანუელის ჩვენდა კოროლად დასმა. რაკი დიპლომატიამ ესა ნახა, გვატარებდა და გვათრევდა მთელ თერთმეტ თვესა და იმდენი იხერხა, რომ მაგ შეერთებას გვალოდინა 1859 წ. 27 აპრილიდამ 1860 წ. 18 მარტამდე! აი როგორ ირყვებოდა ჩვენთვის ეგ ბებერი დიპლომატია!..იმას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ ეგენი · მოგვწყინდება, რომ ჩვენ მოვახდენთ ერთ ბრწყინვალე დანაშაულსა, როგორმე წავიბორძიკებთ, გამოვატყვრენთ ერთ რასმეს იმისთანას, რომელიც ააშფოთებს საზოგადო მშვიდობიანობასა და მით მივსცემთ დიპლომატიას მიზეზსა, რომ ჩვენს საქმეში შემოერიოს და ჩვენი საქმე ისევ ძველ გზაზე დააყენოს.

«მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ მაგ უკბილო ბებერსა. ჩვენ დიდი ხანია ვუთხარით იმას შორს

---

(1) დუენა იტალიანურად ნიშნავს ქალბატონს, უმანკოების მფარველს.

ჩვენგან! ეგ შენი გოთიკური (1) ხერხები და მანქანება შენთვის შეინახე! ჩვენ უშენოთაც ფეხზედ გაუყენებთ იტალიასა, და იმის შეერთებასა—მოთმინებით, რიგით და მშვიდობიანობით». აქ და სიცილიაში კი დიპლომატია სხვანაირად მოქმედობს: ის იჩარჩება, რომ ხალხი დროს გადუდებლად შეაერთონ პიემონტთან,—იმიტომ-რომ იმან იცის, რომ თუ ხალხი ამაზედ თანახმა შეიქმნა და შეიქნება კიდეც იმავ საათს, რევოლუცია (2) ეხლანდელ მიჯნას იქით აღარ გადაჰსცილდება და მაშასადამე იტალია ერთიანი აღარ იქნება . . .

«ჩემო მეგობრებო! მარტო რევოლუციას შეუძლიან «შექმნა იტალიისა», დიპლომატია კი თავის დღეში იმას ვერ შეჰქმნის. თუ რევოლუცია იტალიას შეჰქმნის, დიპლომატია მაშინ იძულებულ იქნება მიიღოს იგი, როგორც შესრულებული ფაქტი; მაგრამ, თუ ჩვენ თითონ არ შევჰქმნით იტალიასა, დიპლომატია ერთხელ კიდევ გაგვატალტალკევებს, და არ მიგვიშვებს იტალიის ერთობამდე, იმიტომ-რომ ამისი ძალიან ეშინიან . . . (კარგია! ბრავო!) მაშასადამე გარიბალდის და დიპლომატიის შუა—დიდი ზღვარია . . . გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვენის ძლევა-მოსილის და გამარჯვებულის რევოლუციისა, რომელიცა ნიშნავს ხალხთა რჯულიერების აღდგენასა მფლობელების ბოროტ-მოქმედობის წინააღმდეგ; დიპლომატია კი ნიშნავს დერცოგების და კოროლების უფლების აღდგენასა წინაამდეგ ხალხის რჯულიერებისა. (ერთიანი ძახილი მოწონებისა ხალხშია).

«აი რისთვისა—დაიხსომეთ სადამდინ მიმყავს მე ჩემი რევოლუციური თაკილობა—აი რისთვის მეფიქრება მე ეხლაცა პიემონტის რაზმების მოსვლა; ეგ ჯარები, ყველგან სასურველნი და სი-

---

(1) გოთები ძველად იყვნენ ხალხი გერმანიის ტომისა. ერთნაირ არხიტეკტურას იმათგან ეხლაც უწოდებენ-გოთიკურს, აქ ამ სიტყვას (გოთიკური) აქვს მნიშვნელობა: ძველებური, უვარგისო.

(2) რევოლუცია—ხალხის ადგომა წინააღმდეგ მართებლობისა, მოძრაობა ხალხისა.

ხარულით მიღებულნი, აქა, ამ წუთშია წარმოადგენენ თვით პიემონტის პოლიტიკის, (რომელიც გამოაშკარავდა შუა იტალიაში,) საოცარ წინააღმდეგობასა. იქა, შუა იტალიაში რაწამს საქმე შეერთებაზედ წავიდა, ვიკტორ-ემმანუელმა გამოუძახა თავის საკოროლო კომმისარებს ფლორენციიდამ, პარმიდამ, ბოლონიიდამ, რომ არა თქვანო: შეერთება საკოროლო კომმისარების ნარჩევია, ნაძალევია, ნათხოვნია...ეხლა განა შეიძლება რომ დიპლომატიამ არა თქვას:«ნეაპოლიტანელებმა კენჭით ამოირჩიეს შეერთება,იმიტომ-რომ ნეაპოლში ბევრი პიემონტის ჯარები იყო !» ეს, რასაკვირველია, გაცს აფიქრებინებდა, რომ აქ იყო ძალადობა და ძალდატანება, ისკი არათუ ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყვნეთ და კიდეც ვართ, რადგანაც შეერთების სურვილი არავისგან არ იყო ძალდატანებული,—ნეაპოლიტანელებს ეგ უნდოდათ ჯერ კიდევ გარიბალდის მოსვლამდინა და ეხლაც უნდათ თავის ხალხის სამეუფო ნებითა» . . .

ამ ქადაგებაშია აფთხილებს ხალხსა რეაქციისაგან, და ამისთვისაც ურჩევს სენტ-ელმოს სიმაგრის, Castello del Carmine, და Castello dell' Uovo'ს დაქცევასა. რაკი დაუმტკიცა რომ ისინი ვერ შეჰსძლებენ საკმაოდ ქალაქის გამაგრებასა, და ამასთანავე უჩვენა მაგალითი ანგლიისა, რომელიც თავის სიმაგრედ რაცხს არა ციხეებს და გალავნებსა, არამედ ხომალდებსა, გავაცცი ურჩევს ხანდაუზმელად წარუდგინონ ადრესი გარიბალდის მთავრობასა და იმაში ჰსთხოვონ დაცლა სიმაგრისა და დანგრევის ნების დართვა. რა კი რომ ხალხს ამისათვის ამხნევებს, გავაცცი ამბობს:

«ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ გელაპარაკებათ ბოლონიის ბერი, რომელიც ესეს არის განდევნიდამ დაბრუნებულა, გელაპარაკებათ უბრალო სიტყვითა, მაგრამ კი საქმიან სიტყვითა; უშჭევრ-მეთქვოთ, უპოეზიოდ, უცეცხლოდ, მაგრამ საქმიან სიტყვითა . . . თუ მაგ სიმაგრეებს არ დაანგრევთ გარიბალდის დიკტატურობის დროს—თქვენ თავის დღეში ველარ დაანგრევთ მაგათა. იცით—რისათვის? იმისთვის რომ შეერთების შემდეგ დაიპყრობს იმათ სამხედრო უფროსობა, რომელიმე მიჰყეზს მოსდებს და ხელუხლებ-

ლად შეინახავს, ასე-რომ თქვენ სამუდამოდ გექნებათ ზედ ეს მუქარა, ეს სულთამხუთავი. „სამხედრო ძალისათვის სიმაგრე—სწორედ ის არის, რაც ზღაპარში ქათამი, რომელიც პარასკევ დღეს შესულა სოფლის ღვდლის ეზოშია. რაკი რომ ღვდელმა ქათამს თვალი მოჰკრა, დაიძახა: «ქათამი მსუქანია, ჩინებულია, დღეს მაგისაგან მე ერთი კაი საჭმელი გამიკეთდება».—წმინდაო მამაო! დღეს ხომ პარასკევია.—«პარასკევიო?» დაიძახებს ღვდელი და დაიწყობს თავის თეოლოგიის (1) გადაჩეჩასა (ხალხში სიცილია) და ეუბნება თავის თავსა: «თუ კი ღმერთმა შემოგზავნა ჩემს ეზოში ქათამი, ჰსჩანს ჰსდომებია, რომ მე შევჭამო; თუ შემომიგზავნა დღეს, როცა საშინელ მადაზედაცა ვარ—ეს იმის ნიშანია, რომ მე დღეს ეს ქათამი უნდა შევჭამო; მაგრამ დღეს პარასკევია—ჰსჩანს, რომ თვით ღმერთსა ჰსდომებია, რომ შევჭამო ქათამი პარასკევს. იყოს ნება ღვთისა!» სწორედ ეგრე ჰსჯის ხოლმე სამხედრო უფროსობაცა სიმაგრეებზედა.»

მერე გავაცცი მოიყვანს რამდენიმე მაგალითებს ბრეშიის, ფერრარის, პერუჯიის, (2) გენუის სიმაგრების დაქცევისას, ქადაგების დასასრულში ხელ ახლად აატეხინებს ხალხსა საშინელ ტაშის ცემასა და ვგონებთ, რომ მაშინვე ამ სიტყვის შემდეგ ნეაპოლიტანელები მართლა მისცვივდნენ გარიბალდის და ჰსთხოვეს ციხეების დაქცევის ნება. ჩვენდა სამწუხაროდ, გარიბალდის როგორღაც ვერ ემარჯვებოდა მაგის ნების დართვა, უარი უთხრა და იმითი დაამშვიდა ხალხი, რომ დღეის იქით სამუდამოდ სენტ-ელმო მიეცემა ნეაპოლის ნაციონალურ გვარდიასა. ამის შემდეგ, რაკი შეერთება მოხდა, აღარ მიეცა ხალხს სახერხო დრო, როგორც გავაცციმ წინასწარ თქვა, რომ ხელახლად ეგ ეთხოვნათ, და სენტ-ელმოც—ეგ სახსოვარი ამდენ უბედურებისა, საპყრობილე და იტალიის წამებულთა სასჯელის ადგილი, აქამდინაც დგას ნეაპოლის თავზედა, თითქო ემუქრებაო მის ახალ-

(1) თეოლოგია ლათინურად ნიშნავს ღვთის-მეტყველობას.

(2) ბრეშია არის ქალაქი ჩრდილოეთის იტალიაში, ხოლო ფერრარა და პერუჯია შუა იტალიაში.

შობილ თავის უფლებასაო.

მეოთხე დაბეჭდილ ქადაგებათაგანი გავაცცის აღნიშნულია თავის სახალხო კილოთი, რომელიც ვერაფრით ვერ შეიძლება ითარგმნოს. მაგრამ ამაშიაც ის უფრო ბევრს ლაპარაკობს უწინდელ საგნებზედა, ხოლოთ კი ზოგი ერთზედ დიდხანს შედგება ხოლმე უფრო, ვიდრე უწინა. ძალიან უცნაურად დაიწყო ეს მეოთხე ქადაგება. ეს იყო საღამოზედ del Palazzo'ს მოედანზედ, სწორედ კარლო III-ს და ფერდინანდო I-ს სტატუებ შუა, San Francesco di Paolo's საყდრის წინა. ხალხი ელოდდა გავაცცისა და მიეგება ტაშის ცემითა. ის ავიდა მაღლობზედ, გადაიხედ-გადმოიხედა მარჯვნივ და მარცხნივ, თავი გაიქნივა სტატუებზედ, რომელნიც განათებულნი იყვნენ მთვარის სხივებითა, და უეცრად აუტყდა ერთი საშინელი ხარხარი, მერე კი თან და თან სერიოზნობა მიიღო და დაიწყო ისევ ნეაპოლიტანელების დაყოლიება იმაზედ, რომ დაიცვან შინაგანი თანხმობა და მედგრად გულ და გულ დახვდნენ მკელ რეაქციის მეცადინეობასა.

იმ ღონის-მიებათა შორის, რომელთაც უნდა ჩანერგონ ხალხში მკვიდრად კეთილი თესლი, ყველაზედ უფრო მომეტებულად ქალების მონაწილეობა მიაჩნია გავაცცისა, და ამის გამო საშინლად წინააღუდგება მკვდარს და ფარისეკლურ აღზდასა, რომელიც ეგრე ხშირია ნეაპოლში. ბოლოს დაუბრუნდება თვით სამღვდელოსა:

«რაც შეეხება სამღვდელოსა, მე ვეტყვი, რომ დაე იმან მიგულოს მე მეგობრად უფრო ეხლა, როცა მე სასტიკად, მაგრამ მართლა და სვინიდისიანად წავაყვედრებ სიცუდეს, ვიდრე მაშინ, როცა მივეფერებოდი და პირს აულოკამდი. მე აკი ვჰსთქვი კიდეც, რომ ნეაპოლიტანის სამღვდელო სრულიად უნდა შეიცვალოს. მივაწერ რა მე იმათ პათმოსის (1) მოხუცის სიტყვებსა, ვიტყვი: სამღვდელოვ! შენ უნდა აღზდგე შენის დამცირების სიღრმისაგან! სამღვდელოვ! არ დაივიწყო, რომ ბურბონების სამსახურში შენ

---

(1) პათმოსის მოხუცი—იოანე მოციქული, რომელი ერთ დროს იყო შეპყრობილი პათმოსის კუნძულზედ, არხიპელაგოსის ზღვაში.

იქამდინ მიუშვი თავი, რომ ჩავარდი წყევლის უპატიოსნობის, სირცხვილის ცუდ-საყნოსველ ჯურღმულშია! გამოდი მაგ საფლობიდამ და ლექიდამ, აღზდეგ, აღზდეგ ახალ იტალიის სულის მობრუნებისაგან და დაგვირგვინდი იტალიის ლიბერალობის ორეოლითა. (1) (ხალხში ტაშის ცემაა) მაშ ღმერთმა აღადგინოს სამღვდელო ჩვენი!..

«მაგრამ სამღვდელომ რომ თავი არ შეირცხვინოს და თავიდამ მოიშოროს გარჯა და ჯაფა, ამბობს ეხლა: «მე არ გავერევი საპოლიტიკო საქმეშია, მე ვერ შემიძლიან საერო საქმეებში გავება» . . . მაგრამ აქამდინ კი, რომ ძალიან ირჯებოდით მაგ გვარ საქმეებში, ვერ მოახერხებთ ახლაც, რომ ცოტათი მაინც გაისარჯოთ?.. მაგრამ არა—მე არც კი გთხოვთ, რომ თქვენ მაგ საქმეებში გაერიოთ; მე არ გეუბნებით: ადით კათედრაზედ და თქვით რამე საპოლიტიკო ეკონომიაზედ, დიპლომატიაზედ, იტალიის აღდგენის ღონის ძიებაზედ. არა, მე მაგას არ ვითხოვ; ამის მაგიერ მე გეუბნებით: სამღვდელოვ! უწინარეს იმისა, რომ მოახდინოთ ეს რეაქცია, რომლის მოწყალებითაც სხედან საპყრობილეში ამდენი ბერები და ღვდლები, უწინარეს იმისა, რომ ბურბონების სასარგებლოდ იქადაგოთ—ნუ შეერევით პოლიტიკაში და ილაპარაკეთ კი თანხმობაზედ, სიყვარულზედ. ილაპარაკეთ სახარებაზედ! (ტაშის ცემა). სახარება ჩვენკენ არის და ჩვენი მხარე უჭირავს: სახარება იტალიისაკენ არის და არა იმის წინააღმდეგ; მაშ ილაპარაკეთ სახარებაზედ, თუ თქვენ სხვა არა ფერი სათქმელი არა გაქვსთ რა, ილაპარაკეთ მამულის სიყვარულზედ: ეგ სიყვარული ქრისტესაგან ნაკურთხია, გათქმულია და დალოცვილია . . . ამ სახით შეგიძლიანთ ჩამოირეცხოთ ცუდი სახელი და მიიმხროთ თქვენკენ საზოგადო აზრი. და დაე საკულავოდ მაინცა ღვდლის შეხვედრაში პირჯვარი არ გადიწეროს ხალხმა, თითქო სატანა დაინახაო, არამედ გაუღიმოს და შეხაროს ღვდელსა, როგორც მეგობარსა.

ქადაგების ბოლოს გავაცი კიდევა ნიშნამს დროს შემდგომის

---

(1) ორეოლი—სხივი ხატის გვირგვინისა; დიდი სახელი, დიდება.

ქადაგებისას—წმ. იანუარის (1) დღეს, მას-უკან, როცა სასწაული შესრულდება. ეგ კიდევ შექმნა მიზეზად, რომ დაუბრუნდეს სამღვდელოსა:

«სიტყვაზედ მოვიდა—ნეაპოლში ხმა გავარდა—მე ეგ ვიცი,—დიახ, ხმა გააგდეს, რომ წმ. იანუარი სასწაულსა იქსო (2) წმ. ჯენნარო კი სასწაულსა იქსო, იმიტომ-რომ წმ. ჯენნარო კეთილ იაკობინელად (3) ყოფილი 1799 წელს, იქნება კაი გარიბალდიელად 1860 წ. (ხალხში ტაშის ცემაა). მე დარწმუნებული ვარ წმ. ჯენნარომ თავის საქმისა უფრო კარგი მოხერხება იცის, ვიდრე არქიეპისკოპოზმა (სალხში სიცილია), (4) მაგრამ ხმა დააგდეს, რომ სასწაული არ იქნებაო. თუნდ რომ არ იყოს—იმედი მაქვს რომ მაგით ცა არ დაიქცევა, რომ ჩვენ თითონაც უსასწაულოთაც მაინც კიდევ ქრისტესაგან გამოსხნილ ღვთის შვილებად დავრჩებით. მე იმედი მაქვს . . . მაგრამ—თქვენ საერო ხალხო, ნუ გაიგონებთ, მე სამღვდელოს ვეუბნები—მაგრამ, ვნახოთ, თუ სასწაული არ მოახერხეთ, გარიბალდი იმ საფრანგეთის ღენარლის მაგალითს არ აჰყვეს, რომელმაც ხუთმეტ წუთშია წმინდას სასწაული აქმნევინა . . . ვნახოთ, თუ იტალიამ და ევროპამ აქედამ ის არ გამოიყვანოს, რომ წმ. ჯენნარო სასწაულს მაშინა შვრება, როცა სამღვდელო მაგას

1) ნეაპოლში წმ. იანუაროს ანუ ჯენნაროს ეკკლესიაში ღვდლები აჩვენებენ შუშას, რომელშიაც ვითომც იყოს სისხლი წმ. იანუარისა. კათოლიკის ღვდლები არწმუნებენ ხალხს, ვითომც ამ წმიდის დღეობას ის სისხლი თხელდებოდეს.

(2) რომ არ ასრულდა სასწაული (გათხელება წმ. ჯენნაროს სისხლისა) მიღებული იქმნა ცის რისხვათა და შეეძლო მოეხდინა რამე არეულობა. ჯერ კიდევ 1799 წ. სამღვდელომ აღარ მოინდომა სასწაულის მოქმედება, როცა ნეაპოლში შამპიონნე შემოვიდა; მაგრამ შამპიონნემ აღუთქვა არქიეპისკოპოზის დახჩობა, თუ ხუთმეტ წუთს უკან სასწაულს არ მოახდენენ,—და მართლათაც მოახდინეს. ავტ.

(3) იაკობინელები იყვნენ წევრნი ერთის საზოგადოებისა, რომელი სასტიკად მოქმედობდა დიდი ფრანციის რევოლუციის დროს.

(4) გავაცცის კილომ არ უნდა შეგვაცდინოს ჩვენა: ნეაპოლიტანელებს საზოგადოდ უყვართ წმინდანებთან ისე მეგობრულად მოქცევა. ავტ.

ინებებს ხოლმე. (ხალხში ტაშის ცემა). მე დიდი იმედი მაქვს, რომ რომელიმე მობეზღარი მიუტანს ამ ჩემ სიტყვებს მისს ემინენციას (1) კარდინალს (2), რომ ამის გამო მის ემინენცია მოინებებს წმ. ჯენნაროს სასწაულის მონიჭებასა (ხალხში სიცილია). მასხარებო!.. სამჯერაც კიდევ მასხარებო!.. ხალხს რჯული უნდა და არა ღვდლების მაცდურობა და მოტყუება! ერთი სვინიდისი იქონიეთ, ბატონებო, ნუ გვარწმუნებთ ჩვენ, რომ ღმერთი თქვენის ბძანებით სასწაულთ-მოქმედობს!»

19 სეკტემბერსა საღამოზედ გავაცციმ მართლა იქადაგა კიდევ იმ ადგილას და ძალიან აქო წმ. ჯენნარო, თითქმის «galantuomo-ცკი» (3) უწოდა, იმისთვის რომ წესიერად შეასრულა თავისი ჩვეულებრივი სასწაული... მას შემდგომ გამოხატა იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლის სახე, ურჩევდა განაგრძონ ის ბრძოლა დაუღალავად, წინა აღუდგნენ კიდევ ცუდ ღვდლებსა, საეკლესიო სამსჯავროსა და საპყრობილესა, რომელნიც იყვნენ დადგინებულნი ნეაპოლში კონკორდატის (4) ძალითა, ურჩევდა დააწესონ საგულ-შემატკივარო სახლები გაჭირებულთათვის და უპატრონო ყრმათათვის.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე იქადაგა: იეზუიტების წინაამდეგ, როცა იმათი გაგდება გადაწყვეტილი იყო. იქადაგა ისევ შეერთების სასარგებლოდ იმის წინად, როცა მაგაზედ კენჭი უნდა ჩამოეტარებინათ და სხ. ყოველთვის გავაცცი აღტაცებით მიღებული იყო. ყოველთვისაც საგანნი იმის ქადაგებისა ცხოვრებითნი იყვნენ, ზედ მოწყობილნი ხალხის საჭიროებაზედა. ბევრად თუ ცოტად, რაც უნ-

---

(1) ემინენცია არის ტიტული ანუ ხარისხი კათოლიკების ეპისკოპოზებისა და კარდინალებისა, ედარება ჩვენს სიტყვას უსამღვდელოესი.

(2) კარდინალობა არის ხარისხი კათოლიკის სამღვდელოებაში. პაპის სიკვდილის შემდეგ მარტო კარდინალები ირჩევენ ახალ პაპს.

(3) Galantuomo იტალიანურად ნიშნავს კოხტა, საერო კაცს.

(4) კონკორდატი—პირობა სარწმუნოების შესახებ საქმეებზედ პაპის და ხელმწიფეების შორის.

და იყოს მაინც კიდევ გამოსაჩენი ზედ-მოქმედება ჰქონდათ ხალხზედ იმის ქადაგებასა.

---

მამა გავაცცის ქადაგების მოღვაწეობა, რომლის ნაწილიც ჩვენ შევატყობინეთ მკითხველებსა, სრულიად სხვა რიგად იყო მოწყობილი. სულელობა იქნებოდა, რომ ის წარმოვადგინოთ მაგალითად მთელ საკათოლიკე მქადაგებელთათვის. მაგრამ სხვა მხრით კი არ შეიძლება არ მივიღოთ სიმართლე ყვედრებისა, რომელსაც ის უკეთებს ნეაპოლიტანის სამღვდელოსა. ნეაპოლიტანის სამღვდელო მართლა იმცირებდა თავის თავსა და წინა-აღიდგენდა საზოგადო აზრსა—იმით, რომ არ უნდოდა გაეგო ახალი მოძრაობა და მიეღო იმ მოძრაობაში მონაწილეობა. სამღვდელო სამხრეთის იტალიისა საზოგადოდ გამოჩენილია თავის უმეცრობითა და მომეტებულ ბოროტ მიდრეკილებითა. უქორწინობის გამო სამღვდელოდამ იშვიათი იქნება რომ არავინ არ გაერიოს რომელიმე ქალების ისტორიაშია . . . და არამცთუ მარტო ქალების . . . ამას გარდა სამღვდელოსა საზოგადოდ და ბერ-მონოზნობას განსაკუთრებით აზრალებენ ფულის საშინელ ხარბობასა; თეთრს სამღვდელოს ყველგან აყვედრებენ გემოთ-მოყვარებასა და უზომო ავ-მუცლობასა. ანეგდოტები კარდინალებზედ, ბერებზედ, სოფლის დვდლებზედ, მოძღვრებზედ (padre confessore) ურიცხვია მთელ იტალიაში. ყველაზედ მკაფიოზედ-მოსწრობილი სიტყვა, ყველაზედ სამარცხვინო ოხუჯობა და ანდაზები ყოველ ფეხის გადადგმაზედ იმათზედ ისმის. ძნელი დასაჯერებელია, რომ ხალხი ეგრეთი ცრუ-მორწმუნე, ეგრე სამღვდელოს შიშის მქონე, იმავე დროს ეგრე შეურაცხად ხდიდეს სამღვდელოსა, მაგრამ კი იტალიაში სამღვდელომა მოახერხა მანდამდინ თავი მიეხწივებინა. რომში ისინი სძულთ, მაგრამ ეშინიანთ კი, რადგანაც ისინი ამასთანავე ქვეყნის მფლობელებიც არიან აქა. ნეაპოლშიაც ეშინოდათ, იმიტომ-რომ ბურბონების წყალობის ქვეშ იყვნენ და არა ერთხელ, როგორც ამბობენ, შველო-

დნენ პოლიციას დამნაშავის პოვნასა აღსარების საიდუმლოების გა-
ცემითა. ჰსჩანს აქაც სამღვდელოს ჰქონია რაოდენიმე გვარი ძალა,
უფროსობა, რომლითაც შეეძლო საპყრობილე დაემუქარებინა და მუ-
ქარაც აესრულებინა, ან კიდევ პატივისათვის გზა გაეხსნა იმისთ-
ვის, ვისაც კი ჰსწყალობდა. გარნა ხალხის სიყვარული კი მით, ა-
რამც თუ ვერ მოეხერხა მიეზიდნა თავისკენ, არამედ უფრო დაკარ-
გა საზოგადო აზრში ბურბონების უკანასკნელ მფლობელობის დროს.
სამღვდელო ვერ მიხვდა თავის ვითარებას, ვერ მოტრიალდა თა-
ვის დროზედ . . .»

სალიბერალო მიმართულება ნეაპოლში უხილავად იზდებოდა და
ძლიერდებოდა გარიბალდის მოსვლის უფრო წინად. მაგრამ ფრან-
ჩესკოს მთავრობამ ამას ყურიც არ ადევნა და ეგონა, რომ ბოლოს
მოუღებს მაგასა, რამდენიმე კაცი რომ დააჭერინოს და დაჰსაჯოს.
ამ გულ-დაჯერებაზედ ნეაპოლიტანის სამღვდელოც სრულიად თა-
ნა-ხმა იყო. რაკი რომ არ მოელოდდა ახალ იდეების გამარჯვება-
სა, სამღვდელო ბურბონებს ფრთას-ქვეშ უფრო მეტად ამოუჯდა
და განაგრძო თავის გულმოდგინობის გამოჩენა. ეს კი მართალია, რომ
ბურბონებთან სამღვდელო ზედ გადაბმული იყო ერთ და იგივე სა-
ზღვრებითა და წადილის მიმართვითა, ბურბონების მოწინააღმდეგები
კი თვით თავიანთ საქმის არსითა იყვნენ ამასთანავე მტერნი სამ-
ღვდელოსიცა, ნამეტნავად ბერ-მონოზნებისა; მაგრამ მაინც კიდევ
დასაჯერია, რომ სულ ეს კარდინალები და აბბატები (1) უფრო
ცოტა გულმოდგინებას გამოაჩენდნენ, თუ რომ წინ დაენახათ ბურ-
ბონების გადაწყვეტილი დაცემა: მაშინ კი, იქნება, პოლიტიკისა-
თვის გადამეტებით ხელი არ მიეყოთ, როგორც გავაცცი ამბობს.
ეხლა კი იმ ბურბონების ერთგულებმა მიჰყვეს ხელი ყველაზედ მო-
მეტებულ უპოპულიარო ქადაგებასა. უწინ იმათი ქადაგებაები უნა-
ყოფო და მკვდრები იყვნენ: ლაპარაკობდნენ საკათოლიკე ეკკლე-

(1) აბბატი—წინამძღვარი კათოლიკის მონასტრისა.

სიის წმინდანობაზედ, წარტოლვაზედ, სულიერ სრულებაზე, რომელსაც მისწვდებიან მარტო აღმორჩეულნი, იმ დოღმატზედ, (1) რომ ღვთის-მშობელი დედისაგან უცოდველად იშობაო და სხვანი ამ გვ. ეხლა კი ხელი მიჰყვეს იმისთანა ქადაგებაებსა, რომელნიც ანიშნებდნენ, ან პირდაპირ გამოატყვრენდნენ რასმეს იტალიის მოძრაობის, გარიბალდის და ვიკტორ-ემმანუელის საწინააღმდეგოდ და სხ. თავის თავად გაიგება, რომ ეგ იმათ მხრით ვერა ფრად იყო ნაანგარიშები: ძალად ამოჩხირული და ნაბძანები დარიგებანი არაისზედ არ მოქმედობდნენ მხოლოდ უფრო მქადაგებლებზედ ხალხის ზაფრასა შლიდნენ. აბა უფრო აქ მოიცხეს ის სამარცხვინო ლაფი, რომლის ჩამორეცხასაცა ჭეშმარიტ პატრიოტობით ურჩევდა გავაცცი.

რომის კარის შეჩვენების და თანდევნის გარდა, გავაცცის ძლიერ წინააღუდგებოდნენ სამღვდელო გაზეთებიცა. გავაცცის ქადაგების მოღვაწეობასა ეძახდნენ ანარხიულ აგიტატორობასა, (2) აჩვენებდნენ არა მარტო ქრისტიანობის, არამედ ყოველ სარწმუნოების წინააღმდეგათაცა. რამოდენადაც მართალ-ია ეს დაბრალება ჴსჩანს ჩვენგან საკმაოთ ვრცლად მოყვანილ ქადაგებაებშია. მართალია, გავაცცი საკათოლიკე ეკკლესიის სხვა მქადაგებელთაგან ძალიან განსხვავებულია თავის ქადაგებაების შიგ-მდებარე აზრით: ის ცხარედ და მკაფიოდ გადაჰკრამს ხოლმე ბურბონების მთავრობასა, სამღვდელოს ყურ მოჭრილ ყმობასა და თავის მოყვარეობასა, მონასტერში ქალების აღზდასა და თვით პაპის საერო უფლებასაცა. ის დაიცინებს წმ. ჯენაარის ცრუ-სასწაულზედ, აქებს ეკკლესიისაგან შეჩვენებულ გარიბალდისა და იმის ვოლონტერებსა და სხ. მაგრამ რომ მივმართოთ ჭეშმარიტ ქრისტიანობის აზრსა, უიმისოდ რაც დაუმატებია, გაუმგზავსებია საკათოლიკე ეკკლესიას, არა გვგონია,

---

(1) დოღმატი, რომელიც ეხლა ხან მიიღო საკათოლიკე ეკკლესიამ, რომ ღვთის-მშობელი უცოდველად იშვაო ანნასაგან.

(2) ანარხია—უმართებლობა, უთაურობა—აგიტაცია ან აგიტატორობა—მოძრაობა, არეულობა ხალხისა.

რომ გავაცცი უფრო ახლო არ იყოს ქრისტიანობაზედ, ვიდრე კარდინალები და აბბატები, როგორც დოღმატებშია, ისე თვით მცნებაების არსშია. გავაცცი, მაგალითებრ, ვალდებულებად არა რაცხს სამღვდელოთა უქორწინებასა: ერთხელ რომ წაავყედრეს, ცოლიანი ხარო, საქვეყნოდ უპასუხა: «მე ცოდვად არ ჩავითვლიდი, რომ ცოლიანი ვყოფილვიყავ, და სულაც არ შემეშინდებოდა მაგის აღვიარება, რომ ეგ მართალი იყოს; მაგრამ მე ცოლი არა მყავს, იმიტომ-რომ მე მაქვს მხოლოდ ერთი სიყვარული, მე მყავს მხოლოდ ერთი ცოლი—იმას იტალიას ეძახიან». ჩვენ ვიცით, რომ ამ საგანში რომის კარზედ უფრო მართალია გავაცცი; აგრეთვე მართალია პაპის საერო უფლების განსჯაშიაც. მაგრამ ის არის უფრო დიდი საქმე, რომ თვით თავის ქადაგების სულის აზრითა ეგ უფრო ახლოა სახარების აზრთანა, ვიდრე რომის კარი და იმისი მოღვაწენი. რაკი რომ რომის სამღვდელო გულმოდგინედ მიიწევდა, რომ გაევრცელებინა თავისი საერო უფლება, მმართებლობაებთან შეკრულობაში გაება და იქამდინ მიიყვანა თავი, რომ ყოველი ღონისძიება უნდა მოეხმარებინა—ხალხის საკეთილოდ კი არა—ხალხის წინააღმდეგად, ყოველ იმ შემთხვევაშია, სადა კი ხალხის ინტერესი დაეჯახება ხოლმე მმართებლობის ინტერესსა. ეგ შემთხვევა ხშირად ყოფილა და არის კიდეც საკათოლიკე ქვეყნებშია. მაგ: ნეაპოლში ხალხი იყო მიწასთან გასწორებული, მიეცემოდა ხოლმე ყველაზედ უარესს შეუწყალებელ უსამართლოებასა. იწამებოდა მთავრობის განუსაზღვრელ ნება-ყოფლობისაგან, მოსამსახურეების მოქრთამეობისაგან, მებატონეთა ხარბობისაგან და პოლიციის შეუპოვარ და მხეცურ იჭვნეულობისაგან და დევნისაგან. სამღვდელოს საქმე აი რა უნდა ყოფილ იყო, ქრისტეს რჯულის აზრითა—უნდა დაეფარა მიწასთან გასწორებულნი, დაჩაგრულნი, მართალი სიტყვა ეთქვა მართლის შესაწევად, განეკიცხა ბოროტ-მოქმედი, მაგრამ სამღვდელოს ეს ფიქრადაც არ მოსვლია, ამის მაგიერ, რაკი გულდაჯერებული იყო ბურბონების და დიდ-კაცობის შემწეობაზედ, ის შეიქმნა საჭიროების ძალითა უსამართლოების, ნება-ყოფლობის, ალაღობის მოღვა-

წეთა. იმან თავის სასულიერო ღონის ძიებითა შეძლო დაეწყო პოლიტიის ძებნასა და დევნასა, იმან ძირიანად გადმოატრიალა, და წაახდინა ხალხის აზრი, რაკი სულ იმას ეჩიჩინებოდა, რომ უზრუნველ-მყოფელი და არა რაი ხარო, უმტკიცებდა სიმართლესა და რჯულიერობას ყოველ საძაგლობისას, რომელიც მოიგონებოდა ხოლმე ვიღაც დელკარრეტოს, მანისკალოს, აიოსსას და სხვა უსამუსო და გაძკისებულ ორივე—სიცილიის მმართველთაგან. ამ სახით, ეკკლესია თავის ნეაპოლიტანის წარმომადგენლებითა სრულიად დაშორდა ქრისტეს მცნების აზრსა და შეიქმნა არა მოღვაწედ სიმართლისა და ძმურის სიყვარულისა, არამედ ძლიერთა ამ ქვეყნისათა ყურ-მოჭრილ ყმად, გამცემად და მომატყუებელად თავის უმცირეს ძმებისა. ეს კია რომ, ეს გასაკვირველი არ უნდა იყოს მას შემდეგ, რაკი სამღვდელოამ ერთხელ პირი მოარიდა და დაშორდა ხალხსა და დაემყარა იმათზედ, ვისიც ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ხალხის ინტერესსა. ვერ შეეძლო დაეწყო მართლის ლაპარაკი, იმიტომ-რომ სულ მთელი ორივე-სიცილიისა მთავრობა და თვით რომის კარიცა წინააღუდგებოდა, და იმათს შველასა გულაყრილი ხალხიც არ მოიწადინებდა. იმიტომაც ბურბონების მთავრობა და რომის სამღვდელო ერთი ერთმანეთს ხელსა ჰბანდნენ და ჰქონდათ საერთო თავდებობა, რომლითაც ამაგრებდნენ ერთმანეთსა და გაბედვით მიდიოდნენ ხალხის ბედის უფრო და უფრო დამძიმების გზაზედა ... მაგრამ საოცარი ეს არის მარტო, რომ საკათოლიკე სამღვდელო ყოველთვის ისეთი მოხერხებული და ცბიერი, მთელ თავის თეორეტიკულ უმეცრებასთან—როგორ ვერ მიხვდა და მიაგნო თავის ვითარებას და ვერ გაიანგარიშა თავის შანსები (1) უკანასკნელ ხანებში. ეხლა ნეაპოლშიაც კი უფრო მეტი ნაწილი ღვდლებშია გალიბერალდა, ესე იგი კონსტიტუციის მხარეზედ არის, ცუდად იხსენიებს აუსტრიელებსა და ბურბონებსა და თითქმის ხანდისხანაც წაჰსცდება ხოლმე გულის-მოსალბობი

(1) შანსი—შეძლება გამარჯვებისა, თუ დამარცხებისა, საქმის მოგებისა, თუ წაგებისა.

სიტყვა იტალიის იდეის წამებულების და თავისუფლების მოღვაწეების სადიდებლად; მაგრამ, როგორც ვხედავთ, იმათმა გადაცვლამ იმათ არაფერი მოუმატა საზოგადო აზრშია. ნეაპოლში არა ერთხელ დამაცინებელ ღიმილითა ყურს უგდებდნენ ამ უეცრად გალიბერალებულ მქადაგებლებსა, რომელნიც ერთის წლის ცოტა წინად მთელ ცისა და ქვეყნის ქარ-ცეცხლსა აწვიმებდნენ იმათზედ, ვინც თავისუფლად ფიქრობდნენ და წინააღუდგებოდნენ ბურბონების პოლიციის მმართველთაგან დადგინებულ წესსა და რიგსა. იქნება ეგ ღიმილი უფრო ნაკლებ, ან სულაც არ ყოფილიყო, თუ რომ ღვდლებსა და საკათოლიკე ბერებსა, — ხომ არ ვამბობთ რომ მიეთვისათ ჭეშმარიტი აზრი სახარებისა, ეგ დიდი მანძილია — სწორედ მაინც გამოეანგარიშნათ ისა, რა მდგომარეობაშიაც ისინი არიან და რა მოელის იმათ ამ მოკლე ხანში. იმათთვის უფრო ცხადი დასანახავი იყო ნეაპოლში და სიცილიის ჭკვების მიმართულება: ხომ იმით ხელში იყო სრულიად ალიზდა და ალსრება. იმათ იცოდნენ და ხედავდნენ რას ითმენს ხალხი, რა ზომამდე გაბოროტებულია, ხმა გაკმენდილად, გულშია გაბოროტებული. იმათ იცოდნენ კერძობითი ცხოვრება, შინაური და სამოქალაქო დამოკიდებულება ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე. იმათ შეეძლოთ ყველაზედ ადრე გამოეხატათ, რამოდენათაც მძიმეა ნეაპოლიტანელებისათვის მოწარმოე წესი და რიგი, და ძლიად გაჭსწევს კიდევ თუ არა ხალხის მოთმინების შეძლება . . . რაკი რომ ეს ყველაფერი იცოდნენ, იმათ შეეძლოთ და ვალდებულიც იყვნენ ყოველს შემთხვევაში სხვა ნაირად დაეწყოთ ლაპარაკი და სხვა ნაირად ემოქმედნათ, სხვა არა იყოსრა ბურბონების მეგობრობისათვის მაინცა. შეურაცხ-მყოფი და პიროვნობითი ქება ძლიერ კაცებისა კი არ უნდოდა, არამედ სამართლიანი განკიცხვა და მუქარება უნდა წარმოეთქვათ იმათა, იმისთვის მაინცა, რომ დაიხსნას მთავრობის პარტია საბოლოვოდ-დასალუპავის უგუნურებისაგან და აეხილონ თვალები აწინდელ საქმის ვითარების დასანახავად.

თვით ხალხისათვისაც უნდა ჩაეგონებინათ მართალი, მრთელი აზრი იმაზედ, რაც უჭირს, რა სამართალიცა აქვს და უნდა ჰქონდეს, რა რიგად უნდა იყვნენ საზოგადოობრივ მიქცევ-მოქცევაში, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოშია, რომ გონიერად და ზედ-მიყოლებით მიეყვანათ ხალხი კეთილ-წესიერ სამოქალაქო ცხოვრების საქმემდინა და არ კი უნდა გაებათ ჩიჩინი ხალხის უგულებელ-ყოფაზედ და სიდაბლეზედ, რომ ამით უფრო არ გაებოროტებინათ ხალხი და იძულებულ არ ექმნათ პოლიციის ჯოხიდამ გამოსხლეტოდა ის ხალხი და გადავარდნილიყო პირდაპირ რევოლუციის ალშია . . .

ეგრე, ვამბობთ ჩვენ, უნდა ემოქმენდა საკათოლიკე სამღვდელოსა და ყოველ სამღვდელოსაცა, თვით ბურბონების მეგობრობის გულისათვის მაინცა, თუ რომ სწორედ გამოენგარიშა საქმეების ვითარება ორ-სიცილიის საკოროლოში. ძალიან შესაძლოც არის, რომ ბევრმა იმათგანა მაგრე გამოიანგარიშა; სამღვდელოში უმეთესებს დიდი ხანია ესმოდათ, რომ ბურბონების წეს-დებულება მკვიდრი არ არის, მაგრამ იმოდენა ღონე და ხასიათის ძალა არ ჰქონდათ, რომ ნაანგარიშები საქმეზედ გადმოეტანათ. ამასთანაც რომის კარიცა ბევრს უშლიდა: ბურბონების მმართველთა თავზედ ნებაყოფლობის წინააღმდეგობის გაბედვა ნიშნავდა ჩავარდნასა არა მარტო საერო, არამედ იმ თავის საკუთარ, სამღვდელოს უფლების რისხვის ქვეშაცა; იმიტომ რომ თვით სამღვდელო ყოველთვის აძალებდა დაბალს სამღვდელოსა, რომ სრულიად აამონ ხოლმე იმ მთავრობასა, რომელიც რომის კარსა კარგად ექცევა. ამ სახით, ერთის მხრით სულ მოკლეობითი შიში რამდენიმე ნივთიერ სარფობის დაკარგვისა, მეორეს მხრით—არა ამაზედ ნაკლები სულმოკლეობითი კრძალვა, განიკიცხვის და თუნდ თვით პაპის შეჩვენებისა შეიკავებდნენ ხოლმე სამღვდელოთა შორის თვით უკეთესებს, გამოჩენილ პირთა ჭკვითა და კეთილ სვინიდისიანობით. ამ მიზეზით ნეაპოლიტანის სამღვდელომ განაგრძელაყურ-მოჭრილ

ყმასავით ყოფნა უსამართლო უფლებასთან და ხალხიც მიანება მიწასთან-გასწორებულს ნებაყოფლობასა.

ცოტათ ყველაზედ გამბედავთა ზედ შეაფურთხეს ნივთიერ სარბობასა და მიჰსცეს თავის თავი შეჩვენებასა, თან-დევნასა, უბინაო ცხოვრებასა, რომ ხალხს ახარონ სიტყვა სიმართლისა, ძირს დაჰსცენ ძლიერნი მზაკვრელნი ხალხისანი. მათ შორის ნამეტნავად გამოჩენილია გავაცი. შეიძლებაღა განიკიცხოს იგი ბურბონების და იმათ მოღვაწეობის წინააღმდეგ ქცევისათვის? შეიძლებაღა დაგვაჯერონ, რომ გავაცი თავის ქადაგებაშია უფრო დაშორებულია ქრისტეს მცნებასა, ვიდრე ყურ-მოჭრილი-ყმა სამღვდელო, რომელიც ლოცავდა და ჰფარავდა ამდენ უსამართლოებას და უწყალობას ბურბონების დროს? ამბობენ, სიტყვა ქრისტესი არის სიტყვა მშვიდობისა სიყვარულისა და არა შურის ძიებისა და წყევისა . . .

ხომ გავაცის თავის ქადაგებაშია იყოლიებს ხალხსა სიყვარულისათვის და თან-ხმობისათვის; იგი თითქმის განსაკუთრებით ცდილობს შეიკავოს, და დაიფაროს ბურბონების მოღვაწენი ხალხის გაბოროტებისაგან და რისხვისაგან. ის ძალად ჰყოფს იმათ და ყველაზედ უარესებს ეძახის «ჯალათებსა», რომელნიც უნდა მოიყვანონ საერო სამთავროსა წინაშე, და არ შეურაცხ-ჰყონ კი და აწყენინონ უბრალოდ. მაგრამ, რომ მკაფიოდ. და სხარტად ლაპარაკობს თვით ბურბონების წინააღმდეგად, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ის ლაპარაკობს იმათ გაგდების პირველ წუთებშია, როცა კიდევ ფრანჩესკოსა ჰყვანდა ჯარი; როცა კიდევ ყოველ დღე ემუქრებოდა ხალხს ისევ ნეაპოლში დაბრუნებასა. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, გავაცი ძლიერის გამკიცხავად გამოვიდა, მაგალითები მაგ გვარ კიცხვისა უანდერძნიათ ქრისტიანობისათვის ჯერ კიდევ ისრაელის წინასწარმეტყველებსა. თუ იგი უპატივცემულოდ ლაპარაკობდა პაპზედ და კარდინალებზედ, ისინი ხომ ღირსნი იყვნენ მაგისა, ამ შემთხვევაში გულის სირბილე იმათდამი უალაგო იქნებოდა: თვით იესო შოლტით გამოჰყრიდა ხოლმე იერუსალიმის ტაძრიდამ გამსყიდავთა და მსყიდველთა.

სხვანი აყვედრიან უფრო ზომიერებით კი გავაცცისა, რომ შეარცხვინაო სამღვდელოს და საეკკლესიო კათედრა იმ საგანზედ ლაპარაკით, რომელიც სრულებით სარწმუნოებას არ შეეხებაო. ამაზედ კიდევ შეიძლება პასუხის გება ამის ქადაგების შედარებითა იმათ ქადაგებასთან, ვინცა ამასა ამ გვარად ჰკიცხავს. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს რამე იმაზედ უფრო უსიცოცხლო და წარტოლვილი, როგორიც არიან ჩვეულებრივი ქადაგებანი საკათოლიკე სამღვდელოსი. ისინი, მართალია, ლაპარაკობენ აღმატებულ და წმინდა საგნებზედა, მაგალითებრ, არა იშვიათად საკათოლიკე ეკკლესიის დოღმატებზედ, წმიდა სამების საიდუმლოებაზედ, ღვთის-მშობლის უცოდველ შობაზედა, რომის ეკკლესიის წმინდანობაზედ—წინააღმდეგ ლუტერის გადგომილ სარწმუნოებისა, წმინდათა ცოდვილების შეწევნაზედ ჲ სხვანი ამ გვ. მხოლოდ ესე სულ ერთიანად იკარგება უბრალოდ უფრო მეტ-ნაწილ მსმენელთათვის, იმიტომ-რომ სრულიად ზედ-არ ერთვის იმათ ყოფა ცხოვრებასა, არ აღუძრავს არც ერთ კეთილ აზრსა, არც ერთს პატიოსნურ გრძნობასა. უფრო ხშირად საკათოლიკე სამღვდელონი კეთილზნეობაზედ ლაპარაკობენ: აქ კი, ისე უნდა გვეგონოს, რომ უნდა ჲ ვალდებულიც არიან შეეხონ მოწარმოვე ცხოვრებასა, ჰსთქვან რამე «საერო» საგანზედა იმისათვის მაინცა, რომ მსმენელების ყურადღება მიიზიდონ. მაგრამ ისინი სხვა გზაზედ მიდიან: ყოველ დღე აიღებენ ხოლმე საგანს ცხოვრებისაგან წარტოლვილს, ლაპარაკობენ ეხლაც, როგორც ათასის წლის წინად ილაპარაკებდნენ, ცხოვრების ახალ საჭიროებასა კი სრულიად პირს არიდებდნენ. როცა, მაგალითად მჰსთქვათ, ჰსჯიან სამოსლებზედ ანუ საჭმელზედა, მოჰყავთ ნათქვამი წმ, ავგუსტინესი, ანუ თომა კემფელისა, (1) როგორც უკანასკნელი საბუთი—ჲ მას შემდეგ ხელახლად მოჰყვებიან ძველს, ძველასაგან მოწყინებულს ჲ ყველასაგან ორმოც ჲ ათჯერ გაგონილს დარიგებასა: კრძალვაზედა, ზომიერებაზედ ჲ სხვანი ამ გვ.

(1) თომა კემფელი იყო ღვთის-მეტყველი კათოლიკის ეკკლესიისა; სცხოვრებდა მე XV საუკუნეში.

საზოგადოთ :მარხვა, ლოცვა, სინანული წინაშე მოძღვრებისა, მოთმინება, თავდაბლობა—აი საყვარელი საგანი საკათოლიკე მქადაგებლებისა. ხანდისხან უფრო მაღალ ფარდებს დაჰკრავს ხოლმე მქადაგებელი: მაგალითებრ, მოუნდება თუ არა ლაპარაკი უმანკოებაზედ, მოჰყვება იმის დამტკიცებას, რომ: როგორ ასწორებს კაცსა ეგე ანგელოზთანა, როგორ პირდაპირ ღმერთთან მიიყვანს, მერე ის რომ თვით გასაწმენდელსაც გზას აქცევინებს, როგორ ამასთან ჰქრებიან სულ ყოველნი სათნოებანი და—ქადაგების ბოლოს კინაღამ წყევლასაც არ წამოურევს ხოლმე ქორწინებაზედ, ცოლქრმობაზედა, რომელიც იმათგან გაპატიოსნებულია, როგორც «ეშმაკის მაცდურება», პირუტყვის მიმზიდველობა «ჩვენის უწმინდურიბილწი ხორციელების ცოდვა» და სხ. ამ გვ. ეხლა გვკითხამთ, შეიძლებაღა მოელოდეს რამე ზნეობით სარგებლობასა ამ გვარ სწავლისაგან, რომელნიც თავის თავსა თითონვე ართმევს ყოველს ცხოვრებითს აზრსა. თუ ესენი აღარ არიან მოსაწყენნი და შეუწყნარებელნი მარტო იმისათვის, რომ ამას იქით დაიჩემონ ტყუილი უცნაურობა.

ერთი რამ არის, მხოლოდ ერთი, რომელსაც ცხოვრებაში ყურადღებას არ მოარიდებენ ხოლმე მქადაგებელნი,—ეგ-თავის საკუთარი სარფობაა. იშვიათი ქადაგება იქნება, რომ ან პირდაპირ ან გვერდ-გვერდად არა ჰსცემდეს იქა, რომ შესაწირავი უნდა საყდარს, ე. ი. იმის მსახურებსა. აქ მქადაგებელნი არა შიშობენ, რომ შეარცხვენენ მაგით კათედრასა. ხანდისხან, მართალია, პირდაპირ არა ლაპარაკობენ ფულზედა, მაგრამ იტყვიან კი ხოლმე, მაგალითებრ, იმაზედ რომა მაცხოვნებელია ამა და ამისათვის ამდენი და ამდენი წირვა, რომ ცოდვებისაგან დამხსნელია აღსარება და ინდულგენცია (1)... მერე კი ფარდას იქით ვაჭრობაც გაიმართება ხოლმე. მაგრამ კი უკანასკნელს წელიწადებში მთელი ქადაგებაები ითქმებოდა ხოლმე მარტო იმისთვის, რომ წმ. პეტრეს ეკკლესიის (2) შესაწევრად ქრისტიანენი წააქეზონ და წაახალისონ, ამასთანავე

(1) ინდულგენციას ეძახიან რომის ეკკლესიაში ცოდვის მოტევებას.
(2) წმ. პეტრეს ეკკლესია ე. ი. რომის ეკკლესია.

რასაკვირველია, უხსნიდნენ ხოლმე შესაწირავის დიდ ღირსებას ქრისტიანობის სათნოებათა შორის, ითქმოდა ხოლმე, რასაკვირველია, წმინდა პაპის მწუხარეობაზედაც, მოიწოდებოდა რისხვა და სასჯელი ღვთისა იმის მტრებზედა და სხ. . . ესე ყოველი ფერი სულ ერთად, რომის ეპისკოპოზების აზრით, არ არცხვენდა კათედრასა და გავაცების სიტყვები კი არცხვენდნენ! . . .

აბა რისთვისა? იმისათვის ხომ არა რომ გავაცები არა ლაპარაკობდა ისე, როგორც რომის კარი ბძანებდა? ანუ იმისთვის ხომ არა, რომ ებაასებოდა ხალხსა მდაბიურ ენითა ლათინურ სიტყვების შეურევლად, რომელიც ხალხისათვის გაუგებარია? გვგონია არც ერთი და არც მეორე არ ამართლებდეს გავაცების განმკიცხველებსა . . .

იმედი არის, რომ საკათოლიკე ბრძენთა აზრები დიდი ხანი ვეღარ იქნებიან გამარჯვებულნი მთელ და მართალ აზრებზედა. იტალიაში იმის საპოლიტიკო აღმოშობასთან ერთად ვრცელდება ჭეშმარიტი ცნობა ქრისტეს მცნებაებისა. ეხლა ბევრს ესმის კიდეცა, რომ ამ მცნებაების წარმომადგენელი არ უნდა მოინახოს რომის ეპისკოპოზების და აბბატების შორის, და სამღვდელოსთან საქმის დაჭერაზედ ხელს იღებენ. რაკი რომ იტალიის ნაციონალობა დამკვიდრდება რომშია, დაეცემა კიდეც უკანასკნელი ბოძი საკათოლიკო ობსკურანტობისა, (!) და თვით სამღვდელოცა რაკი ნახამს, რომ ეკარგება ფეოდალური, (2) უსამართლოდ შეძინებული უფლება და ამას იქით დარწმუნდება, რომ ვეღარც ხალხის მოტყუება შეეძლება, უთუოდ შემცირდება რიცხვით, მაგრამ ზნეობითი ამაღლდება, რაკი ფეხს შესდგამს სამოქალაქო მოღვაწეობის სასარგებლო გზაზედ, რათა გაუტაროს და გადასცეს ხალხსა მართალი, მრთელი და ჭეშმარიტად მარგებელი აზრები . . .

(1) ობსკურანტი—კაცი წინაღმდეგი ახალი მოძრაობისა, რომელსაც დრო მოითხოვს; უგუნური, სიბნელის და გაუნათლებლობის მოყვარე. წარმოსდგება ლათინური სიტყვიდამ obscurus, რომელი ნიშნავს ბნელს.

(2) საშვალო საუკუნოებში დასავლეთს ევროპაში მიწის მფლობელობაში იყო წესი, რომელსაც აქვს მგზავსება ჩვენს წესთან. მიწა გლეხებით ეკუთნოდა ვასსალსა, რომელი იყო დამოკიდებული უმაღლეს ვასსალზედ. ეს უკანასკნელი თავის მხრით ემორჩილებოდა კოროლსა. ამ ნაირ წყობილებას უწოდებენ ფეოდალურ წესს.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

## მ ო ა მ ბ ე

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს რომ, ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის ფერისა. წესი, ჩვეულობა, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველი ფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, აღრინდელს კაცს როგორა ჰსწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის—თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ აღრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, «სხვა სხვის ომში ბრძენიაო», ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავ-მოწონებულის გონიერებითაც ვყოფილ-ვიყავით და იმ აღრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავ-მოწონებით დავჰსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულვიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარედ გამდგარვიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორიც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან აღრე ჰსთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმისი მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა,—ერთობ ცხოვ-

რების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორ-მხედველობა, დროებაზედ უფროობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავისს თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა,— ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება—იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი ერთმანეთს შეხარიან, უფრო მაცხოვნებელია პირ-

ველი ქროლა ახალის ცხოვრებისა—ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუ მძლეველი დედა შეჰხარის ახალ გაღვიძებულს ბაშვსა. გული სხვა რიგად ჰსცემს, როცა დედა-მიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა . . . მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედა-მიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება,—აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ-რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოზდევს მეორე უფრო ახალი, ჯან-მრთელი და ღონიერი,—ამასთანაც დაუქცეველი, მარად-მყოფი სალაროცა აქვს მეცნიერება და ხელოვნება [наука и искусство) სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა—შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყო-

ფიერი შემოდგომა; რომელიცა ზერდება კი, მაგრამ იმ სიზერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა—ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.

რა აახლებს, რა ჰსცვლის და—თუ ცხოვრება ჯანმრთელია—რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან. «ხე ცხოვრებისა—ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი—და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვა და სხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჰკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა». ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალს შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება.

თუ ცხოვრება, როგორცა ვჰსთქვით, ჯან-მრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი—მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველი ფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ-რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი,—ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს

ჰქმნის უაზროდ. დღე და დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე და დღე სხვა და სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრებილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება, ჰგრძნობს, მაგრამ ხშირათაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა ჰსცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის. მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე მუდამ ზედ-დაჰსტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ რისთვის არიან იგინი და რანი არიან,—მეცნიერება და ხელოვნება სხვა და სხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა მაშინვე მიხვდება,—რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოირჩიოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა. მართალია, ეს დაწინაურებული თავობა ხშირად თავ-გადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილობა, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს ცნობაში თვითეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის,—მართალია ხშირად თავ-გაწირულად ჯაფასა ჰსწევენ, ებრძვიან ძველსა, ახლის სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამოატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ ჰსძლევენ მოსავლის სიმრავლესა; ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგ-

ვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დაჰსდებენ ღირებულს ფასსა, ვერ დაუნიშნენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ ეგ თავ-გამოდებულნი მოჯირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დაჰსძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გაამაგროს პირველივე ქვა ახალის სამირკველშია. სამირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. სამირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი.

ჩვენ არ გვინდა ამითი ვჰსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოთაც უნდა ყოფილიყო რომ ცხოვრებას თავის მუქუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ—რომ იმის ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშავარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით, თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მიჰსცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა—ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას—კუთნვილს გზასა და ღონის-ძიებასა,—ერთის სიტყვით ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის სამირკველსა და, ახალის სამირკველში რაგი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

მეცნიერება და ხელოვნება—ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა—არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომდგენელების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ სამირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა

და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებული ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი თუ არ სრულიად უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული ისევ იზდება, ყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება, როგორც ზემოთ ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა «აცა ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო». არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყონებლივ გაჴსწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამ რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს «ახალსა» და ამათ შემწეობით გადადის ეს «ახალი» ისევ ცხოვრებაში და ჴსცვლის ცხოვრებასა. აი როგორც შევიძლით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჴსწევენ, ისევ მიწას გადმოჴსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ

და იმ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები—მეცნიერება და ხელოვნება—ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოთ, ისევ ცხოვრებასვე გადმოჰსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულობა აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ—ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაშია მოყვანილი, რაც დამტკიცებულია მხოლოდ ის გადადის ხალხში. მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ჰსცვლის ხალხის მდგომიარობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მომყვანი და დამტკიცებელი, როგორაც ვჰსთქვით, მეცნიერებაა დ ხელოვნება— ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოჰსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან მხოლოდ იმაში, რომ სხვა და სხვა გზით და სხვა და სხვა ნაირად მოქმედობენ და გამოჰსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება—ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა—არ არიან ყველასთვის მისაწდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ ამორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური. რომელ ხალხშიაც ეგ არის, იქ მომეტებული ნაწილი სიბნელეში დადის: უნდა საჭიროა, რომ იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფნი, მაგრამ ვერ მიჰსწდომია განა იმის გამო რომ უღირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვა და სხვა ნაირ მიზეზებისაგამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ.

მართალია ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონის-ძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვა და სხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და იმით შველიან

ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან, რომ შევადაროთ ის ცოტა—წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარედ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგონ რამე, შეისწონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისაგამო, ზოგი სიშორისაგამო, ზოგი მოუცლელობისაგამო, ზოგი კიდევ სხვა და სხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონის-ძიებასაც მოკლებულნი არიან. საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონის-ძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მიჰსწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაოდ მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონის-ძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუმავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.

ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამცნიეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე და დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო—რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა—და, ჩვენ ზემოთა ვჰსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭვდის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ გვარ ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგ გვარ ლიტერატურას

ჰქვიან: «პოპულიარული ლიტერატურა», ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ-რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენათაც შეიძლება, გაადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: «საზოგადო ჟურნალი» (общественный журналъ). აი რა რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ, ჩვენს «საქართველოს მოამბესაცა».

რომ ჟურნალი საჭიროა ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოჰსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვჰსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გაჰსძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედა-მიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მიჰსწდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. რა საკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება—ეგ დედა ყოველ საქმისა ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი. რამოდენადაც მოსავალი მრავალია ისე, რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადაჰსწვდება, ერთი ჟურნალის ღონე ვერ შეჰსძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვა და სხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვ-

რების მოსავალსა, სხვა და სხვა მხრით სინჯავენ, სხვა და სხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ,—და ამ სხვა და სხვაობითაც ურთიერთ შორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ ჰსძინავს, ფიქრობს, ჰსჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვა და სხვა ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველათაც არიან სხვა და სხვა ნაირი ჟურნალები.

ჯერ ჩვენი საწყალი «მოამბე» არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შეჰსწამა. ჩვენ რა გვეთქმის ამაზედ ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. «მოამბის» უფროსი ძმა «ცისკარიც», რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, «ცისკარიც» კი წინადვე აშინებდა ჩვენ «მოამბეს», რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ «ცისკარსა» რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი. დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონება გამოცლილ «ცისკარმა», ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომა ჰსწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს ცისკარი. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებელის შუა-გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ ხულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა

და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოცვენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის «მოამბის» უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას—მაგას დრო და, ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველის ფერის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩამახილის-ამოჴსნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის-გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული,—არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. «აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა,» ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა ჰსცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი.

ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილ სვინიდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალ გაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მიჰსცეს, ყოველი ფერი შენიშნოს და ყოველს ფერს პასუხი გაჰსცეს,-ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი. ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მოქმედთა

ღონის ძიებათა მოჴყავთ ყოველი ფერი ცნობაში და რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა ჴსცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონის ძიებათა. და ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონიერება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვჴსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღებს ცხოვრებისათვის—ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოჴსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს «ღრუბლების ცურვასა», «გაფალარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა», მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო «ოხვრის კვამლი» თვალებსა ჴსწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო;

დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა, და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი «მოამბე» სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოჰსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და სასიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მქონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისაგამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განნგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედ-მოქმედებისგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტობა და ნაკლულევანობა ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჰსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან

ჰსძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი—ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

«ჩემზედ ამბობენ: «ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!»
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია».

ოღონდ ხელოვნება არ გადაჰსცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება—ჭეშმარიტებასა და დაე არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ.

მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება—ეგ უდიდესნი საგანნი—ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს «მოამბეს» კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდეგშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონის-ძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა. ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალისა შიგ-მდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი «მოამბე». კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, იმიტომაც ყოველი ღონის-ძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შეჰსძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაცა ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვით-რჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული ის გადადის ხალხში და იგი ჰსცვლის ხალხის მდგმოიარობასა და ცხოვრებასა. მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობების გადასვლის გაადვილება ჩვენის «მოამბის» საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება «მოამბე» თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითვეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს «მოამბესა». ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანა-მშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი—ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ . . . თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

«ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად».

. . . . .

# საქართველოს ისტორია

თ. სულხან ბარათა-შვილისა.

«ძმანო მტკიცედ ჰსდეგით დ͠ შეიკრძალენით მოძღურებაჲ ყ͠სე რომელიცა გისწავიეს.»
(მეორე თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა თავი II. მუხლი 15,)

## ძველი ისტორია საქართველოსი.

# პირველი გადმონაცემნი საქართველოს ხალხისა.

(მისი წარმოების ეპოქიდგან სახელმწიფოს დაარსებამდინ.)

## I.

### საქართველოს ხალხის წარმოება და დასახლება კავკასიაში.

ვრცელი დედა-მიწის ყელი, შავისა და კასპიის ზღვის შუა, არეზის მდინარიდამ კავკასიის მთების სათოვლო ზურგამდინა, ძველის ძველად იყო დასახლებული ხალხითა, რომელიც ამ ჟამად ქართველად არის ცნობილი. დასაწყისი ამ ხალხისა იმ დროებამდინ ადის, როცა დაარსდნენ კაცთა პირველნი საზოგადოობანი, და დაფარულია იმავ სიწყვდიადით, როგორათაც დაარსების ისტორია ქალდეისა და სხვათა პირველ-ყოფილ აღმოსავლეთის ხალხთა. ოც და ხუთმეტმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც არსებობს წერილობა და ისტორიული ლიტერატურა, ოც და ხუთმეტმა საუკუნემ გაიარა ფილოსოფიურ ჭკუის ამაო მეცადინეობაში, რათა განსჭვრიტოს ის სიწყვდიადე და გაარჩიოს რამე, მაგრამ რეზულტატად ამ მეცადინეობისა წარმოგვიდგება მხოლოდ ერთი გონების გადაწყვეტილობა, რომელიცა გვიხსნის პირველ კაცთა საზოგადოებაების დაარსების საერთო და ბუნებით ხასიათსა; კერძობითნი გარემოებანი და ვითარებანი კი, რომელნიც შეადგენენ ხოლმე ყოველ ხალხის ცხოვრების განსაკუთრებითს სახესა, რჩებიან სრულიად გამოუცნობელად და გამოუკვლეველად.—

ახლანდელ დროში ენად-ცოდნა და ფიზიოლოგია მიღებულ არიან, როგორც უფრო მტკიცე ღონის ძიებანი რომელიმე გამოჩენილ ხალხის დასაწყისის გამოსაძიებლად. ამ გვარი სახსარი გამოძიებისა არ არის ჯერ სისრულეში მოსული, მას შეუძლიან ახსნას ხოლოდ შთამამავლობა და მისვლა-მოსვლა ერთი ერთმანეთში ხალხისა; გარნა, სახელდობრივ, რაში მდგომარეობდა ეგ მისვლა-მოსვლა, ეს სახსარი ამაზედ არავერ პასუხს არ გვაძლევს. ამისთვისაც ძველი ისტორია იძულებულია ხოლმე მიმართოს ზღაპარ-სიტყვაობის გადმონაცემსა, რომელშიაც ისტორიკოსი ცდილობს იპოვნოს მცირედი კვალი მაინც ჭეშმარიტებისა.

ძნელია და თითქმის შეუძლებელიც არის შეტყობა: როდის და ვისგან თავ და პირველად შეგროვილა პირად-ნათქვამი გარდმონაცემნი საქართველოს ხალხისა და გადაკეთებულა წელთ-აღწერათ? მაგრამ დასაჯერებელი კი არის, რომ დასაწყისი საქართველოს ისტორიულ ლიტერატურისა, ძველ დროშივე ყოფილა. ბევრი ხალხი არის, რომელსაცა არა ჰქონია თავისი საკუთარი მწიგნობრობა და უწერია კი თავისი გარდამონაცემი სხვა ხალხის ანბანის შემწეობით. მაგრამ კი არსად არის ისეთი ხალხი, რომელსაც ჰქონოდეს თავისი საკუთარი მწიგნობრობა, და არა ჰქონოდესკი დაწერილი მატიანე თავისი. გადმონაცემის დაცვა ლიტერატურის შემწეობით ისეთი ბუნებითი საჭიროება არის კაცობრიობისა, რომ ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რათა ქართული წელთ-აღწერანი არიან დაწყობილნი იმ ხანებში, როცა პირველად მოუგონიათ ქართული ანბანი, ე. ი. III საუკუნეში ქრისტ. წინ. და მას შემდგომად საქართველოს ხალხის არსებობის მთელ დროების განმავლობაში იწერებოდნენ და გრცელდებოდნენ.

უმთავრესი ქართული მატიანე, რომელშიაც არის დაცული ძველის-ძველი გარდმონაცემი და რომელიც წოდებულია «ქართლის ცხოვრებად», იყო ცნობილი ჯერ კიდევ XIII საუკ. თვით ამავე წოდებითა. წარსულის საუკუნის დასაწყისში მეფე ვახტანგ VI-ის ბძანებით ის მატიანე გამოიცალა, ანუ როგორც გვარწმუნებს ვახტანგ მეფის შვილი ვახუშტი, ის მატიანე გასწორდა მწიგნობართა, ანუ

მეცნიერთა კრებისაგან, რომელმაცა მოაგროვა რამდენიმე ხელთ-ნაწერი ეგზემპლიარი ამ მატიანესი, მრავალი ეკკლესიების და წარჩინებულ გვარი-შვილების სიგლები, აგრეთვე სპარსული და სომხური ისტორიული წიგნები, შეამოწმა ერთი ერთმანეთთანა, გაასწორა და შეამსო ერთი ძველთაგანი ხელთ-ნაწერი და გამოსცა იმ სახით, როგორიც არის ახლანდელს დროში ვახტანგის «ქართლის ცხოვრება». მაგრამ იმ კრებამ თავისი მოქმედებით მართლა გაასწორა ის «ქართლის ცხოვრება», თუ ვახტანგის მეფობის წინად რომ ყოფილა, იმაზედ უფრო უარესად გააუმგზავსა, ამისი თქმა შეგვეძლო მაშინ, რომა გვქონოდა ახლანდელ დედანთან ძველი «ქართლის ცხოვრების» დედანიცა.

ახლანდელ დროების მატიანეს სხვა და სხვა ნაწილებში აქვს სხვა და სხვა ხასიათი. ზოგან დაბადების კილოზედ არის მოწყობილი, ზოგან მომართულია სომხურის ისტორიის, ანუ სპარსულ პოეზიის ზედ-მოქმედებითა. რამოდენად არიან მართალნი ფაქტები და ქრონოლოგიურად ერთი ერთმანეთზედ ზედ-მიყოლილნი,-ამაზედ ჩვენ წერილებში ვეცდებით მივსცეთ საკმაო ანგარიში. ხოლოდ ეს კია, რომ მეფის ვახტანგის მეცნიერთა კრების გადაკეთების შემდეგ ჩვენ მოკლებული გვაქვს ნება, რათა გამოვიყვანოთ სწორე და სასარგებლო დასკვნა მეცნიერებისათვის იმ ფაქტების განხილვითგან და დაფასებიდგან, რომელნიც არიან მატიანეში. რომ დარჩენილიყო ფაქტების განსაზღვრა და დაფასება თვითონ წელთ-აღმწერლებისა რომელთაც დაუწყვიათ და გაუგრძელებიათ ეს წელთ-აღწერა, ჩვენის აზრით, არამც თუ იქნებოდა ნაკლულოვანებად, არამედ ის იქნებოდა ისეთი საჭირო, როგორათაც თვით ფაქტების დაცვა და დაგვეხმარებოდა კიდეც, როგორც მტკიცე ღონის ძიება რათა აგვეხსნა, რამოდენად იყო გახსნილი საქართველოს საზოგადოების გონება და ზნეობა მის ცხოვრების სხვა და სხვა ეპოქაშია.

ამოვირჩიეთ რა ეს მატიანე ჩვენის აღწერილების ქვა-კუთხედად,

ჩვენ ვიხმარებთ ხოლოდ ფაქტებსა, რომელნიც იმოდენად არიან გავრცელებულნი, რომ დავიცვათ მათში მატიანეს ხასიათი და იმოდენადაც მშრალნი, რომ გადურჩეთ ვახტანგ მეფის მეცნიერთა კრების პირ-წყლიანობის ვარიაციებსა. სხვა მასალებიკი, როგორც: სხვა ხალხთა მატიანები, ისტორიები, ქრონოლოგიები, გეოგრაფიები, მოგზაურობანი, სამოქალაქო და სარწმუნოების კანონები და სხვა და სხვა განაჩენები, რომელნიც იქნებიან ხმარებულნი ჩვენის წერილების შედგენაში, უნდა მოვიხმაროთ იმისათვის, რომ ქართულ მატიანეს ფაქტებს შეუფარდოთ, გავასწოროთ და შევამსოთ იმოდენად, რამოდენადაც გაგვიჭრის ჩვენი გონება.

ქართული გარდმონაცემი იწყობს თავის მოთხრობასა ნოეს შემდეგ მეოთხე თაობიდამ. პირველად გვიამბობს იგი, რომ ქართველები აგრეთვე სომხებიცა არიან შთამამავალნი თარგამოსისა ანუ თოგორმისა იაფეტის შვილისშვილისა, რომ ენათა გაყოფის შემდეგ, თარგამოსი თავის მრავალის ნათესაობით დასახლდა არარატის მახლობლად. თარგამოსის შვილებმა რაკი გაისაკუთრეს თავისი მამის სამფლობელოდგან ხვედრი ნაწილები, სხვა და სხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ: ჰაოსმა, სომხების მამა-მთავარმა, დაიპყრა სომხეთის ტერრიტორია; ქართლოსმაკი და მისმა ექვსმა ძმამ (1) დაიჭირეს ქვეყანა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხარიდგან კავკასიის მთამდე; მეორედ, გვიამბობს იგი, რომ ქართლოსის შემდეგ მის შთამამავლებმა გაიყვეს მთელი ეს ქვეყანა, და რა ააშენეს ქალაქები და ციხეები, (2) ცდილობდნენ, რომ დაიცვან და დაიხსნან თავის-უფლება ჯერ ჰაოსის მფლობელობის მოყვარეობის წადილი-

(1) აი ქართლოსის ძმების სახელები: ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი.

(2) როგორც ამბობს გარდმონაცემი ამ საუკუნეებს უნდა მიეწეროს აშენება შემდგომ ქალაქებისა და ციხეებისა: ქართლი, სამშვილდე (ორბისი), მტკვრის ციხე (ხუნანი), ჰერეთი, მცხეთა, გაჩიანი, (სანადირო ქალაქი) დედა-ციხე, ბოსტან ქალაქი (რუსთავი), ჩელეთი, ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანი (ქაჯთ-ქალაქი ანუ ჰური), უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი.

საგან , მერმეკი მცხეთის მამასახლისების გაძლიერებისაგან. მცხეთის მამასახლისები შთამამავალნი იყვნენ ქართლოსის უფროსის თაობისა; ამათ დიდიხნის ურთი-ერთის ბრძოლაში ისე დაკარგეს თურმე ყოველი მატერიალური გადამეტება სხვა თაობაებზედ, რომ ხოლოთ სახელიღა დარჩათ მცხეთის მამასახლისისა; მესამედ მოგვითხრობს იგივე გარდმონაცემი, რომ ქართველებმა ამ ხანებში დაკარგეს ცნობა ჭეშმარიტის ღმერთისა და დაიწყეს თაყვანის-ცემა მზისა, მთვარისა და ხუთ ვარსკვლავისა. განსაკუთრებითი ღვთაებრივი პატივი ჰქონია საფლავსა, რომელშიც იყო მდებარე საერთო მამა-მთავარი—ქართლოსი.

როცა კვითხულობთ ამ გარდმონაცემსა, მაშინვე ვხედავთ, რომ იგი დაბადების და სომხურ ისტორიის დასაწყისის კილოზედ მოწყობილია, ვსედავთ, რომ საკუთრად ამ გარდმონაცემის წელთ-აღწერითი შედგენა არ უნდა იყოს ისე ძველი, როგორც ეპოქა, რომელსაც იგი ჰსწვდება; უფრო საჯეროა რომ იგი ყოფილა შედგენილი მას შემდგომ, როდესაც ქართველებმა მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება და გაიცნეს დაბადება. მაგრამ ამავე დროს ეს გარდმონაცემი იმოდენად არ არის გაუმგზავსებული უჯერო და უშესაბამო ამბებითა, როგორც სხვა ხალხების პირველნი მოთხრობანი, თითქმის ქართველებზედ უფრო გვიან დაარსებულ ხალხებისაცა, ამასთანავე ისე თანახმა არის კაცთა პირველ საზოგადოების დაარსების წესთან და რიგთან, რომ თითქმის გვაძლევს ღონის ძიებასა შევადგინოთ რამოდენათმე მართალი აზრი ქართველების შთამამავლობაზედ და ყოფა-ცხოვრებაზედ კავკასიაში დაშენების პირველ საუკუნოებში. ამ საგნისათვს არა გვაქვს სახეშია ამაზედ უფრო სარწმუნო ცნობაები.

ქართველების შთამამავლობაზედ არის სხვა და სხვა აზრი უწინდელ უცხო ქვეყნების მწერლებისაცა, მაგ: ტაციტი ამბობს, რომ იბერნი და ალბანელნი რაცხამდნენ თავის თავსა თესალიელების შთამამავლად, რომელნიც თან მიჰყოლიან იაზონსა კოლხიდაში და ამის დასამტკიცებლად, ამბობს, რომა იაზონის სახელს ხშირად ხმარო-

ზენ იქაურებიო (3), მაგრამ ეს ისეთი მართალია, როგორათაც დიონისის აზრი, რომელიც გვარწმუნებს, რომ იბერნი არიან მოსულნიო იბერიიდგან, პირენეის ნახევარ-კუნძულიდგან. ამას გარდა შეიძლება წავიკითხოთ ქართველების შთამამავლობაზედ ამავე ღირსების მრავალი სხვა და სხვა აზრი დიოდორისა სტრაბონისა, იუსტინისა იოსუფისა, **კედრენისა**, **ზონარისა** და სხ. გამოჩენილი ეთნოგრაფი ვივიენ დე-სენ-მარტენი თავის კავკასიის პირველ ყოფილ ხალხის და ძველის-ძველ გარდმონაცემების გამოძიებაში, რომელიც იყო წაკითხული მისგან 1846-ში პარიჟის ეთნოლოგიის საზოგადოებაში, არჩევს რა ამ ქართველების გარდამონაცემსა, გამოჰყავს ამისთანა გადაწყვეტილობა: პირველი რომ ქარველები და სომხები არიან ძველათვე ორად გაყოფილი შტო ერთისა და იმავე ტომისა, რომელიც ინდოკელტურ ოჯახობას ეკუთვნოდა და მეორედ ესა, რომ ყოველი ხალხი კავკასიისა არეზის მდინარის ჩრდილოეთით პონტო-ევქსინისა და კასპიის ზღვის შუა მცხოვრებნი იყვნენ შთამამავლობით შტონი ქართველის ტომისა. ამასთან სამეცნიერო რიგით ამტკიცებს რომა, თუმცა ზოგი ერთი კავკასიაში მცხოვრები ხალხი განირჩევიან ქართველებისაგან ენითა და გარეგან სახიერობითა—ეს არის სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, რომელნიც არიან ზოგი ისტორიულნი და ზოგი ფიზიოლოგიურნი. (4)

**ჩვენ** ვეთანხმებით ვივიენ სენ-მარტენის აზრსა ქართველების შთამამავლობაზედ, ჩვენ ამავე გადმონაცემებიდგანვე ვხედავთ, რომ საქართველოს ხალხი დაარსებულა ძალიან ძველის-ძველადვე და უცხოვრია ცალკე ბინადარ ხალხად ქართლოსის შთამომავლობის ფეოდალურ მართებლობასა ქვეშ.

რომ ვხმარობთ აქ სიტყვასა «ფეოდალური მართებ-

---

(3) Tacite, lib. **VI, cap. 34.**

(4) Vivien de St. Martin. Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase, p. 95—97.

ლობა» ამითი რასაკვირველია, არ გვინდა შევადაროთ ისრეთი ძველი ეპოქის ქართველების საზოგადოობის მყოფიერება ჩრდილოეთის ბარბაროსების მყოფიერებასთან, როცა პირველად დაბინავდნენ იგინი გერმანიის მიწაზედა, რადგანაც საშუალო საუკუნოების ბარბაროსები უფრო მაღლად იდგნენ მაშინდელ ქართველებზედა ჯერ თუნდ იმითი, რომა ნახეს დიდება და ცხოვრების სახე რომის იმპერიისა, რომელიც იმათ შემუსრეს, და დაიწყეს ცხოვრება მის სახელოვან და მასწავლებელ ნანგრევებზედა; ქართველებს კი იმ საუკუნეში, როდესაც დაბინავდნენ კავკასიაში, არ შეეძლოთ ენახათ და არც შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ სხვას რასმეს, რასაც იმათ გარეშე მყოფი ბუნება არ ჩააგონებდა.

საზოგადოდ ითქმის, რომ ყოველი უწინდელი ხალხთაგანი მოაწყობდა თავის ცხოვრებასა არა წარსულ დროთა გამოცდილების მიხედვითა, არამედ ისე როგორც შინაგანი და გარეგანი ვითარებანი ჩვეულებრივად წაიყვანდნენ საქმესა. საქართველოში უმთავრესი შინაგანი ვითარება, რომელსაც დიდი მოქმედება ჰქონია ხალხის ცხოვრების დასაწყისზედ, იყო: პირველი, ადგილის მდებარეობა, რომელიც, რადგანაც იყო მთიანი და გადაჭრილ-გადმოჭრილი ხეობაებითა ჰყოფდა ხალხსა მრავალ ნაწილებად. მთები და ტყიანი სერები იყვნენ ამორჩეულნი ქალაქების და სოფლების ასაშენებლად, როგორც საიმედო სავარი ქართლის ცოლ-შვილისა და მის ღარიბის ქონებისა. მთები და ტყიანი სერები უდგამდნენ ქართველს სამხედრო ვაჟ-კაცობის და თავისუფლების სულსა, და ის მშვენიერი მინდვრებიცა იმ მთების ძირში გადაფენილები აძლევდნენ ხალხსა მიწის-შემუშავების ხალისსა; და მეორედ: ერთი საყოველთაო ენა და სისხლზედ დამოკიდებული ნათესაობა შთამომავლებისა, რომელიცა აგონებდნენ ერთ-ტომობასა. გარეგანი ვითარება მიეწერება სხვა და სხვა ნაირ ისტორიულ ფაქტებსა, რომელნიც ატრიალებდნენ ხალხის ბედის-წერასა და განვითარებასა. ეგ ფაქტები ქართულ წელთ-აღწერაში იწყობა ხაზარების მოსვლის აღწერითა, რომელიც მომხდარა მე-VII-ეს საუკუნ. ქრისტ. წინ. მაგრამ, ეს დიდი

ცარიელი ალაგი, ეს მეტად შესანიშნავი ნაკლულოვანებას წელთ-აღწერისა ივსებს სხვა ქვეყნების მწერლების ისტორიულ და ზღაპარ-სიტყვაობის ცნობაებითა, საქართველოზედ რომ უწერიათ.

ეხლა ჩვენ გვინდა შევუდგეთ ამ ცნობაების მოკლე აღწერასა, ეს კი უნდა ვჰსთქვათ, რომ ჩვენ თავს მივანებებთ იმ ამბებსა, რომელნიცა, თავიანთ სიბნელისა გამო მომეტებულ ზღაპარ-სიტყვაობად მიგვაჩნია და რომლებიდგანაც არაფერი განსავუთრებითი დასკვნაც არ გამოვა, მაგალითად: მოთხრობა გოგზედ და მაგოგზედ, პრომეთეოსზედ, ამაზონებზედ და მრავალს სხვაზედ. უამისოთაც ვიცით რომ კავკასია უწინდელ დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ხალხსა რაღაც გრძნების ქვეყანა ჰგონებიათ. ადამიანის გამოხატულობა კავკასიის გარეშემო აგროვებდა ყოველ საოცრებასა და საკვირველებასა და იმათი მითები აქამდინ გაიგონება საქართველოს მდაბალ ხალხში, ხან როგორც ყოფილის ამბავი, ხან კიდევ როგორც ზღაპარი. ჩვენ დავსწერთ ხოლოდ იმ ფაქტებზედ, რომელნიც საზოგადო ისტორიას მიუდის.

პირველ ცნობაებს საქართველოს ხალხებზედ გვამცნებს ჩვენ მოსე წინასწარ-მეტყველი, რომელიცა ჰსცხოვრებდა ქრისტეს წინად **1700** წ. (5) მაგრამ იმისი მოთხრობა თავდება იმითი, რომ მარტო თოგორმის, მესხის და თუბალის (6) სახელებს იხსენიებს. ამის უფრო შემდგომ **1565** და **1499** წელთა ქრ. წინათ (7) მომხდარა მოსვლა ეგვიპტელთა და დაპყრობა კოლხიდისა სეზოსტრისისაგან, როცა კოლხიდაში მმართებლად ყოფილა სელოსი. კოლხიდაში დარჩენილი ეგვიპტელები, როგორც გვიმტკიცებს პლინი, ცდილობდნენ დაერბილებინათ აქაურების ზნე, ჩაენერგათ იმათ

---

5 Dictionnaire d'hist. et de géogr nouv. ed. Boullet, p. 1200.

6 დაბადება, პირველი წიგნი მოსესი, თავი **X.**

7 Diction p. 1650.

შორის პირველი განათლების თესლი და ესწავლებინათ სელის ქსოვილის კეთება (8).

მზისა, მთვარისა და ხუთ მოძრავ ვარსკვლავების თაყვანის-ცემა, ცხადათ ჰსჩანს, გავრცელებული იყო ეგვიპტელთაგან (9). **რამზესმა** (**სეზოსტრისი**) რომლის სახსოვრადაც იქონიებდნენ ხოლმე ტაძრებსა და მზის სახიერობასა, დაავდო კოლხიდაში თავის მფლობელობის ნიშანი: სახელი იმისი, გადაცვლილი «**სვარამზედ**» და «**რამაზად**», მითვისებულია ქართულ სახელ-წოდებათა შორის, და თვით «მზე» დაერქმო სახელად ქვეყნის მანათობელსაცა. ეგვიპტის კანონებმა, სამგლოვიაროდ წვერის დაყენებამ და ზოგიერთ შინაურ ცხოველის მოკვლის აკრძალვამ (10) ქართველების ჩვეულებაში და რწმუნებაში ღრმა კვალი დაუტევეს. შეხედეთ გამოქვაბულს თმოგვისის და ვარძიის კლდეებს სამცხეში,—ეს გამოქვაბული "კლდეები, ვინ იცის, იქნება ისევ ის აკლდამეები ყოფილან, რომელთაცა მგზავსი ისე მრავალი არიან ნილის მდინარის ნაპირებზე?

მე **XII** საუკ. ქრ. წ. საბერძნეთის გმირნი: **ფრიქსი**, **არგონავტები**" და **ულისსი** წამოსულან სამჯერ კოლხიდაში. არგონავტებმა ნახეს კოლხიდაში მდიდარი ქალაქი **ეა** და დიდად ბრწყინვალე, მაშინდელ აზრით, სახელმწიფო კარი აეტესისა, კოლხიდის მფლობელისა. (11).

იმ ეპოქაში იქაურ მცხოვრებლებმა იცოდნენ თურმე სელის ქსოვილის კეთება, ოქროს გამოდნობა და ღვინის დაყენება. ბერძნებმა რადგანაც იცოდნენ ამ ნაჭირნახულევის ფასი და მოხმარება, ამ მდიდარ ქვეყნის ხალხთან მისვლა-მოსვლის გაუწყვეტელობისათვის, ააშენეს რამდენიმე კოლონია შავი ზღვის ჩრდილოდ-აღმოსავლე-

(8) Plin. l. 33, c. 3.

(9) **Всеміp. Ист. Г. Вебера, книга I. ст. 214.**

(10) იქავე, გვერდი 187 «ვინც მოჰკლავს კაცსა განძრახვით ანუ უცებ, ,მას სისხლის ბრალი აძევს.»

(11) Strab. l. **XI**. p. 479. Erstath. in Homer; Diodor. Sicil. l. **IV**.

თის პირზედა. ამ კოლონიებთაგანი უფრო უმეტესად შესანიშნავი იყვნენ: **პიტიუსი** (**ბიჭვინტა**) და **დიოსკური** (12). ალბად ამავე დროს უნდა მიეწეროს დასაწყისი იმ გამოჩენილ ვაჭრობისა მტკვარზედ და რიონზედ, რომელიცა ჰქონია ევროპიას ინდოეთთანა და რომელზედაცა ჰსწერს **ერატოსთენი;** ალბად ამ დროსვე უნდა მიეწეროს დაფუძნება ინდოეთის კოლონიისა, რომელსაცა ჰრქმევია სინდიკი (13) და რომელიცა ყოფილა აზოვის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის პირზედა.

ბერძნების გარდა, ჩვენა ვხედავთ 600 წ. ქრ. წინ. მცხოვრებელ ეზეკიელი წინას-წარმეტყველის წიგნიდამაცა, რომ **მესეხად** და **თუბალებად** ხსენებულთ ქართველებსა ჰქონიათ მისვლა-მოსვლა ფინიკიანელებთანაცა, რომელთაც უგზავნიდნენ სავაჭროდ ტყვეებსა და სპილენძის ჭურჭელსა (14).

ეს მცირედი ცნობაები, რომელნიც გვეხმარებიან ქართულ გადმონაცემების გაშვებულ ადგილების შესავსებლად, ცოტა-ოდენად გვაძლევენ შეძლებასა დავინახოთ რამოდენათმე მაინც პირველ-ყოფილ ცხოვრების შემდეგ ქართველების განვითარება. იმ დროების ქართველები წარმოგვიდგებიან არა ველურ ხალხად, მცხოვრებელად მარტო ბუნების ზედ-მოქმედების ქვეშ, არამედ ხალხად, რომელსაცა ჰქონია სხვებთანაც მისვლა-მოსვლა დაფუძნებული ერთმანეთის საჭიროების მიგნებაზედა. მაგრამ ამასთანავე, სასტიკად რომ გავშინჯოთ, ქართველებს, არ შეიძლება მაინც კიდევ დაერქვას' ხალხი იმ ეპოქაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. იმათი მდგომარეობა არ წარმოადგენდა ერთ რასმე მთელსა, შეერთებულ საზოგადოებასა. ისინი იყვნენ ხოლოდ ერთ-შთამამავალნი ბინადრები ქვეყნისა, სადაც ყოველი ხეობა თავის მცხოვრებლებსა არქმევდა თავისავე სახელსა, რომელიც დამოკიდებული იყო ხანდიხ-

---

(12) Strab. lib. XI. p. 349.

(13) Jbid.

(14) ეზეკიელი, თავი **XXVII**, მუხლი 13 და 14.

ხანა ყოფა-ცხოვრების სახეზედაცა, ასე რომ უწინდელი ძველი მწერლები, მოსე წინასწარ-მეტყველიდამ დაწყობილი რომაელთა კავკასიაში მოსვლის დრომდე, თავიანთ თხზულებებში თავის დღეში არ ახსენებენ არც ერთს ქართველების სატომოს საზოგადო სახელთაგანსა (15).

თუმცა იმათ იცოდნენ, რომ არსებობს კავკასია და მისი მცხოვრებლები, მაგრამ მრავალ ნაირს სახელებს ეძახდნენ საქართველოს ტერრიტორიის სხვა და სხვა ნაწილებში მცხოვრებლებსა. ესე: მაგ, მოსე და სხვა წინასწარ-მეტყველები იხსენებენ თოგორმის შთამამავლობას, მესეხსა და თუბალსა; არგონავტებს უნახავთ კოლხიდა; ჰეროდოტე და ქსენოფონტე იხსენებენ ხალიბებსა, (16) მოსხებსა, (17) ტაოხიანებსა, (18) მოზინოკებსა, მაკრონებსა, (19) თიბარენებსა, ალაროდიანებსა, მათიანებსა, საპირებსა და სხვებსა. ამ გუნდა-გუნდად ყოფნის მიზეზი, როგორც ზემოთა ვჰსთქვით, იყო მიწის მდებიარობის ზედ-მოქმედება, ანუ, როგორც ამბობს გადმონაცემი, განწილება საქართველოს ტერრიტორიისა ქართლოსის შთამომავალთა შორის. ამ მდგომიარობაში იყვნენ ქართველები აზიაში მაკედონელების შემოსვლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ძლიერმა და გაუწყვეტელმა გარეგან სამხედრო მოქმედებამა არ დაანახვა ხალხსა საჭიროება ერთად შემოჯგუფებისა და კავშირისა.

ეგრეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს სატომოსა ხაზარების შემოსვლამდე, რომელზედაც ხალხის გადმონაცემის შემწეობით გავაგრძელებთ ეხლა ჩვენს მოთხრობასა.

---

(15) საზოგადო სახელნი ქართლის ტომისა არიან: ქართველი, იბერნი ანუ ივერნი, გეორგიანნი, გურჯი და გრუზინი.

(16) ამ ხალხის სახელი ბერძნებმა დაარქვეს ფოლადსა რადგანაც ხალიბები ძველადვე იმით იყვნენ შენიშვნულნი, რომ კარგათ აკეთებდნენ რკინეულს.

(17) მესხნი.

(18) ტასკარელნი.

(19) მეგრელნი.

## II.

## ხაზართა შემოსევისათვის.

თარგამოსიანთ დიდ-მშვიდობიანობის დროს ხაზარები გაძლიერდნენ და დაიწყეს ზედ მოსევითა კავკასიის ხალხის აშფოთება. ამ უკანასკნელთა ჰსთხოვეს მოშველება თავიანთ ერთ-შთამამავალ ხალხებსა და, რაკი შიუდგნენ ყველანი ერთი ერთმანეთსა, თითონაც შეცვივდნენ ხაზარების სამზღვრებშია. მაგრამ, რაკი რომ მალე ამოირჩიეს ხელმწიფე, ხაზარები დაიძრნენ და გამოიარეს კავკასიის კარი და წამოვიდნენ სამხრეთისაკენ. ვერავინ ვერ გაუმაგრდა იმათ სიმრავლესა: იმათ ააოხრეს სულ ყოველის ფერი რაც დახვდათ წინა არარატამდე და მასისამდე, აუოხრებელი დარჩნენ მხოლოდ ზოგი ერთი ადგილები ქართლში და სამეგრელოში. ამ მოძრაობის დროში ხაზარებმა იპოვეს კავკასიის მთებში სხვა ახალი გზა, რომელსაც ეხლა ეძახიან დარიალის გზასა. მას შემდგომ ხაზარები ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე კავკასიის ხალხს; და ამ დაცემებიდგან ის გამოვიდა, რომ თარგამოსიანები ხაზარების მოხარკედ შეიქნენ.

კავკასიის ჩრდილოეთის მხარეს დატყვევებულ ხალხთაგან ხაზარებმა შეადგინეს ორი სამეფო: ერთი თერგის წყლიდგან მთების დასავლეთის კიდურამდე თავიანთ მეფის შვილის უობოსის მფლობელობასა ქვეშ, მეორე—აღმოსავლეთის კიდურამდე თავიანთ მეფის ბიძა-შვილის მართებლობასა ქვეშ. უობოსის ქვეშ-ვრდომილ ხალხთაგან დაარსდნენ ოსები, მეორე სამეფოდგან კი, სადაც ააშენეს ქალაქი ხოზანისი, ანუ ხუნზახი, ჩამოდიან დაღესტნის ხალხნი.

ხაზარების მფლობელობა იყო იმ დრომდე, ვიდრე სპარსებმა აფრიდონის მეფობის დროს არ განდევნეს ისინი. ეს ხაზარების შემოსევა არის ისტორიული ფაკტი VII. ის საუკ. ქრ. წ., გამოჩენილი სახელითა: «დიდი შესევა სკვითებისა აზიაში», რომელიც ზედ მოჰყვა კიმმერიანების მცირე-აზიაში შემოსევასა.

ხაზარები, რომელნიც ბინა მოუკიდებლად (ელად) ჰსცხოვრებდნენ მდინარე ვოლგის და კასპიის ზღვის პირებზედ, იყვნენ ევროპიელ ძველ მწერალთაგან ცნობილნი სკვითებად, ამ ძველ ჩრდილოეთის ველური ხალხების საზოგადო სახელითა, ეხლანდელი ისტორიკოსები კი რიცხვენ იმათ ხან თურქების, ხან ფინნების შთამომავლობად. ეს ბარბაროსები მართლა გამოვიდნენ კასპიის კარებით სამხრეთშია (20) და დაჰსცეს ზარი არამცთუ არარატამდე, არამედ მთელ ზემო და მცირე აზიასა, სირიასა, თვით ეგვიპტემდინაცა. რა თავზარის დაცემამ გაიარა იმ გზებზედა, სადაც იმათ გაუვლიათ, შეიძლება ცოტად მაინც წარმოვიდგინოთ იერემია წინასწარ-მეტყველის ღაღადებიდამა. იმათი მფლობელობის უღელი ყველაზედ უფრო მძიმედ დაედვა მიდიელებს და სხვა კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე ქვეყნებსა. ხაზარები ოცდა რვა წლის განმავალობაში განაახლებდნენ ხოლმე ზედ-დაცემასა, ვიდრე ბოლოს ციაქსარმა, (21) მიდიის მეფემა არ განდევნა ისინი სრულიად. სკვითებმა დაატყვევეს და წაიყვანეს მრავალი ქართველი, სომეხი და ნამეტნავად ერანიდგან მიდიელები. ამ ტყვეთწაყვანილმა ხალხებმა მერე, რომ უკან დაბრუნდნენ თავის ქვეყნებისაკენ, იმ გზებზედ დაარსეს ახალი თემები ამ სახელებით ცნობილნი: მ ე ო ტ ე ნ ი და ს ა რ მ ა ტ ე ბ ი, ჩრდილოეთისა მიდიელნი, რომლების ნაწილსა ეხლაც უწოდებენ ირონებს—ეგ ოსები (22) არიან. ამ სახით ქართული გადმონაცემნი საკმაოდ თანხმად არიან ისტორიულ მოთხრობებთანა, ერთი ეს კია, რომ ისინი სრულიად არ იხსენებენ ამ ყოფილის უწინარეს კიმმერიანების დაცემასა, რომელნიც გასულან კავკასიის

(20) Herodot. და საზოგადო ისტორია.

(21) Herodot. lib. IV. cap. 12.

(22) შოპენი, «**Замѣч. на кн. Обозр. Россійск. за Кавказ.**» გვ. 7. ის პოტოცკის და კლაპროტის გამოძიებაზედ ამყარებს თავის აზრსა; ეს გამოძიებანი კიდევ დაფუძნებული არიან ჰეროდოტეს, დიოდორის, პტოლომეის ქართულ წელთ აღწერილების ნაჩვენებთა შეფარდებაზედ.

ყელით მცირე აზიაში. მაგრამ კი არც საზოგადო ისტორიიდამა ჰსჩანს, რომ კიმმერიანთ სანამეტნავო მოეხდინოთ რამე ქართვე-ლებისაგან დაჭერილ მხარეებშია, ამის გამო მისატევებელია ქარ-თულ წელთ-აღწერისათვის, თუ ესე დაშორებულ დროების ამბავში გაშვებულია მაგისთანა ფაქტები. მაგრამ ერთს უნთანხმოებას ჩვენ დიდს დაბრკოლებაში შევყევართ: ქართული გადმონაცემი ხაზარების განდევნასა აწერს **აფრიდონსა**, ფიშდადიანის დინასტიის მეფესა და **არა ციაქსარსა, კაიანიდის** დინასტიისასა, რომელსაც ისტორია აწერს სკვითების განდევნასა მაშინ, როდესაც მიღებულ ქრონოლოგიით რომ გავშინჯოთ, აფრიდონი მეფობდა **750** (23) წელიწადში მა-ინც ქრ. შ. წინად, მაშასადამე ასის წლით (24) უფრო წინად ცი-აქსარზედ. პირველის შეხედვით ეს უთანხმოება შეიძლება მიიღოს ან გვიანდელ გადამწერის, ან კიდევ თვითონ წელთ-აღმწერის გა-ნუძრახველ შეცდომად; მაგრამ შემდგომი ხალხის გადმონაცემის მოთხრობა არ გვაძლევს ნებასა, რომ იმათ დავაბრალოთ.

## III.

### მეცადინეობა ფიშდადიანისა და კაიანიდების დინასტიისა საქართველოში მფლობელობის და მთავრობის დაპყრობისა.

სპარსეთის მეფემ აფრიდონმა, ანთებულმა ხაზარების შურის-ძიებით, რომელნიც აოხრებდნენ არა მარტო საქართველოსა და სომხეთსა, არამედ სპარსების სამფლობელოებსაცა, გაგზავნა იმათ საწინააღმდეგოდ სარდალი **არდამი**. არდამის ჯარს სიხარულით მიეშველნენ სომხები და ქართველები და სრულად გარეკეს ხაზარები

(23) Diction. d'hist. et de géogr. p. 1400: ფიშდადიანის დინასტია, როცა აფრიდონის შვილები დახოცეს, მაშინ ამოწყდა, ესე იგი თითქმის 733 წ. ქრისტ. წინ.

(24) **Всемiр. Ист Г. Вебера**; გვ. 483. ციაქსარი მეფობდა 633 დამ 593 წლამდე.

იმ მხარეებიდან. სპარსეთის სარდალმა საქართველოს განთავის-უფლის შემდგომ მისცა ქართველებს სრული ნება, რომა ეცხოვრათ თავის ჩვეულებაზე, და ქართველებმა რაკი ნახეს იმისი ეგრეთი კეთილ მოქცევა, შეიქნენ იმისი მორჩილნი და ყოველის ფერს უკონებდნენ. არდამმა ააშენა დარუბანდის ქალაქი; მთების და ზღვის შუა ვიწროებში შეაბა რკინის კარები, რომ იმითი შეეყენებინა ხაზარების მიმართულება სამხრეთის ქვეყნებისაკენ. მის შემდგომ შემოავლო მცხეთის ქალაქს ქვით-კირის გალავანი და პირველად შემოიღო საქართველოში ქვისა და კირის ხმარება შენობისათვის. აფრიდონის ხელმწიფობის დროს, სპარსნი არამცთუ აწუხებდნენ ხარჯის გაწერით ქართველებსა, არამედ ყოველის ღონის ძიებით სცდილობდნენ ქართველების გაძლიერებასა, იქამდისინ რომა მარტო შესძლებოდათ ხაზარების შეკავება, რომელნიც ისე საშიშარნი იყვნენ, როგორათაც ქართველებისათვისა, ისრე სპარსებისათვისაც. მაგრამ როდესაც გამეფდა აფრიდონის შვილი იარედ, მაშინ სპარსებმა გაამრავლეს თავისი ჯარი საქართველოში და დაუწყეს ქართველებსა ხარჯის თხოვნა. ამან აამღვრივა ხალხი, და რა წამსაც გაიგეს ქართველებმა, რომა სპარსეთში გაჩნდა ურთი-ერთ შორის ომი, მაშინვე დაეცნენ სპარსებსა, დაამარცხეს და გარეკეს საქართველოდგანა.

ქუკაპოს (კაი-კავუს) წამოვიდა კავკასიის მხარეს საომრად, მაგრამ ერთ იქაურ მფლობელთაგანის მანქანებით დაბრმავდა და იძულებულ შეიქმნა შერიგებოდა ქართველებსა და დაბრუნებულ იყო უკანვე სრულიად ურარაოდ. მაინც კიდევ ექვსის წლის შემდგომ გამოისტუმრა თავისი შვილი ფარშოროტ მრავალის ჯარით საქართველოს და სომხეთის დასაპყრობლად. ქართველები და სომხები შეიყარნენ ერთად, მოიწვიეს თავის მეზობლად მცხოვრებელი ხალხი, დაუხვდნენ მტერსა და გარეკეს. ხუთის წელიწადს შემდგომ სპარსნი კიდევ დაეცნენ სომხეთსა და საქართველოსა ქაიხოსროს წინამძღოლობის ქვეშ; დაიპყრეს სომხეთი და მრავალ სისხლის დასითხევის შემდგომ დაიჭირეს საქართველოს ნაწილიცა, მაგრამ, დაბრუნდა თუარა ქაიხოსრო სპარსეთში თურანის დასაპყრობლად, მაშინვე იმისი ჯარი, რაც დარჩა საქართველოში, გასწყვიტეს ქართველებმა.

ამასობაში ქაიხოსრომ დაამარცხა თურანელები და სხვაც მრავალი ხალხი, დაატოვებინა მათ თავიანთი ქვეყანა და მოაძებნინა ბინა სხვის ქვეყნებში. ამ გვარად გაფანტული თურანელები, ასურელები, ბერძნები და თვით ხაზარებიცა მრავალ რიცხვით მოვიდნენ თავისის ცოლ-შვილით საქართველოში და სთხოვეს ქართველებსა აქ დადგომის ნება. მცხეთის მამა-სახლისმა ამ ქვეყნის მთავრების თანხმობით მისცა იმათ ადგილი და დაბინავა ქართველების სოფლებს შორის ისე, როგორც ებრაელნი, რომელნიც ამაზე წინათ იყვნენ გაფანტულნი ნაბუქოდონოსორისაგან. ამ ნაირად საქართველოს ხალხი მსწრაფლად უფრო გამრავლდა და გაძლიერდა მაგრამ ამ დროებიდგან ქართველებს გამოეცვალათ ენა, (რომელიც სომხებისათვისაც და ქართველებისათვისაც აქამდისინ ერთი იყო); და სხვა და სხვა ენების შეერთებიდგან შედგა ახალი ენა-ქართული; გამოიცვალა და გაფუჭდა სარწმუნოება; ნათესაობითი შეუხებლობა ქორწინებაში აღარ იყო, მკვდრების დამარხვა გადაგარდა ჩვეულებიდგან,—თვით მკვდრებსაც ხმარობდნენ საჭმელათ.

რამდენისამე დროებისა შემდგომ სპარსეთის მეფის გამტაშაბის შვილი, სპანდიათ-რჩვალი წამოვიდა ქართველების საბრძოლად, მაგრამ გზაზე გაიგო თავისი პაპის მოკვლა სპარსეთში და დაბრუნდა უკანვე; მაგრამ ამითი მაინც ვერ გადარჩა საქართველო.

მაშინათვე, სპანდიათის სიკვდილის შემდგომ, სპარსეთის ხელმწიფის ტახტზედ დაჯდა იმისი შვილი, ბაამანი, წოდებული არდაშირად, რომელმაცა მრავალ ქვეყნების დაპყრობის შორის დაიპყრო საქართველოცა და გააწერა ხარჯი. ამითი თავდება ხალხის გარდმონაცემი, პირველად ხაზარების მოსვლიდგან დაწყობილი ალექსანდრე მაკედონელის აზიაში მოსვლამდინ. ეს მოთხრობა, როგორცა სჩანს შედგენილია პირად-ნათქვამ გადმონაცემის, სპარსული პოეზიის და ზენდ-ავესტის ნათქვამების წამებისა შერევისაგან, რომელიცა უფლობდა საქართველოშიაცა, ვიდრე განვრცელდებოდა ქრისტეს სარწმუნოება.

აღმოსავლეთის ხალხის ძველებურ ყოფა-ცხოვრებაზედ არის ორ

ნაირი აღწერა: ერთია დამყარებული აღმოსავლეთის მოთხრობაებზედა, მეორე—ბერძნებისაგან შემოგროვილ და საზოგადო ისტორიაში უფრო საჯეროდ მიღებულ ცნობაებზედა; ამ ორ აღწერაში არის უთანხმობა, რომელიც ვიდრე ისტორიულ კრიტიკით არ გაირჩევა შეიძლება ქართულ ზემო-თქმულ გადმონაცემისაგან გამოვიყვანოთ მხოლოთ ერთი დასკვნა ამ გვარი, რომა სკვითებისაგან განთავის უფლების შემდგომ საქართველოში დადგა ეპოქა მიდი-სპარსეთის მფლობელობისა და დამკვიდრდნენ უცხო ქვეყნის ელემენტები, რომელთაც უფრო მცირე-მცირე ნაწილებად დაჰყვეს ხალხი გერმობითის სახელებით.

სხვა მწერლებიდგანაც ჰსჩანს, რომ ქართველის ხალხის მაშინდელი მდგომარეობა მართლად არ წარმოადგენდა ერთსა მთელსა საზოგადოებასა თვით სახელ-წოდებითაცა. ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სხვა ძველებურ მწერლების ცნობაები საქართველოს ტერრიტორიის მცხოვრებლებზედა შეადგენენ მხოლოდ შემოკლებულ აღწერასა მრავალ ცალკე-ცალკე მყოფ საზოგადოებისასა, რომელთაც არამცთუ მარტო ყოფა-ცხოვრებაში არა ჰქონიათ ერთობა, არამედ თავიანთ საზოგადო მტრის საწინააღმდეგო მოქმედებაშიაცა. ჰეროდოტე მოიხსენიებს ხოლოთ ერთ შემთხვევას, რომელსაც ერთ ქათეგორიის ქვეშ მოჰყავს ისინი, სახელდობრივ: როცა ის ჩამოჰსთვლის ქსერქსის არმიასა და ამბობს, რომ მოსხები, თიბარიანები, მაკრონები, მოზინოკები, მარდები, ქოლხიდელები, ალაროდიები და საფირები იყვნენ ერთ კაცის ბძანების ქვეშ რომელსაც ფარანდათი ერქვა.

მთელ ამ საზოგადოებათა შორის ყველაზედ უფრო გამოჩენილი იყვნენ ხალიბები, ხალხი მეომარი და ხელოსანი. ისინი სცხოვრებდნენ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის მხარეზედ. იმათ რკინეულის და ფოლადის ხელობის სახელი გავარდნილი ჰქონდათ ჯერ კი-

---

(25) Herodot, lib. **VII**. cap. 79.

(26) Pomp. Mela, lib. **I**. cap. **XIX**.

დევ გომერის დროსა. იმათი ნამუშავარის დასაწყობი ადგილები მიწდომილნი იყვნენ სინოპამდისინ და ამიზამდინ; მაგრამ მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინად, ხალიბები დაარბია კრეზმა და გამოარეკა აღმოსავლეთისაკენ. ქსენოფონტეს 400-წ. გაევლო იმათ ქვეყანაზედ, და ამბობს, რომ იმათ ეხურათო ჩაბხუტები, ეცვათ რკინის პაჭიჭები და სელის ქსოვილის დოშლუღები გულზედ; სარტყელზედ ეკიდათ მოკლე ცელები და ჰქონდათ შუბები სიგრძით თხუთმეტი მწყრთა. რომ დაინახეს ბერძნები, ისინი წინ მიეგებნენ სიმღერითა და თამაშობითა და გულ უშიშრად დაუწყეს ომი და იმათ ქვეყნებზედ მდებარე გზაზედ, არაფერი არ დაანებეს.

ხალიბების ქვეყნიდგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სცხოვრებდნენ ტაოხიანები, რომელთაც არ მოსდევდათ ისეთი გულადობა. ამავე მწერალის მოწმობით, ბერძნები რომ გამოჩნდნენ იმათს ქვეყანაში, ისინი იქამდინ აირივნენ, რომა დასტოვეს თავისი სახლები, გაიტაცეს თავისი ცოლ-შვილი, გაცვივდნენ მთაში ყოველ ფერ ნუგბარითა და როდესაც ბერძნები, შიშისაგამო რომ არ დაიღუპნენ შიმშილისაგან, შემოეხვივნენ გარეშემო, მაშინ არამც თუ მარტო ცოლები თავის შვილებით ცვიოდნენ კლდე-ღრეში, არამედ ქრმებმაც კი მიჰბაძეს იმათს მაგალითსა; დაუტევეს რა ბერძნებსა დავლად მრავალი რიცხვი პირუტყვი: ცხვარი და სახედრები (28). თიბარიანებზედ ამბობს ქსენოფონტე, რომა ისინი იყვნენ მშვიდობიანი მწყემსი ხალხი (29); ისინი, როგორათაც მაკრონებიცა დაუმშვიდნენ ბერძნებსა, მისცეს უხვი საგძალი და გაჰყვნენ წინამძღოლად კოტიარის ქალაქამდინ (30).

თიბარიანები და მაკრონები, როდესაც ახლდნენ ქსერქსსა, შეიარაღებულნი იყვნენ ისრე, როგორათაც მოსხები და მოზინოკები. იმათ ეხურათ ხის ჩაფხუტები, ხელთ ეჭირათ პატარა ფარი და გრძე-

(28) Xenoph. p. 338.

(29) თიბარიანები (თუმცა ქსენოფონტის აღწერილგანა სჩანს, რომა იდგნენ დასავლეთით ტაოხიანებზე მაგრამ მგონია ისინი სცხოვრებდნენ თაფარავანის ტბის გარე-შემო აღმოსავლეთით ტაოხიანების გვერდით.

(30) Xenoph. p. 340.

ლი შუბები მოკლე ხის ტარებით (31). მოზინოკები იყვნენ ბარბაროსი ხალხი და მძღავრი; იდგნენ ხის სახლებში და ამისთვის ბერძნებმა დაარქვეს ეს სახელი. სადგომები ჰქონდათ გაფანტული მთაში და ბარში, მაგრამ ისე, რომა პირველსავე ალიაქოთში და გაჭირებაში ადვილად შეეძლოთ მოგროვება ერთმანეთის საშველად (32). ეს ოთხი უკანასკნელი თემი და მათთან მარდნი, დარია ისტასპის დროსა შეადგენდნენ განმარტოებულს სასატრაპოსა სპარსეთის სახელმწიფოსასა, და აძლევდნენ ყოველ წელიწადს სამას ტალანტს ხარკსა; ალაროდიანები, საფირები და მათანები შეადგენდნენ მეორე სასატრაპოსა, და აძლევდნენ ორასს ტალანტსა (33). ალაროდიანები, საფირები და კოლხიდელები იყვნენ ერთ ნაირად შეიარაღებულები, ეხურათ ხის ჩაფხუტები, ჰქონდათ ფარი ხარის ტყავისა, ხმლები და მოკლე შუბები (34). კოლხიდელები აძლევდნენ ხარკათ სპარსეთსა 100 ბიჭსა და 100 გოგოსა (35). იმათ შორის ძველადგანვე სცხოვრებდნენ ეგვიპტელები, რომელნიც ლაპარაკობდნენ თავის სამშობლო ენაზე, ჰქონდათ თავისი ადათი და ღვთის-თაყვანის-ცემის წესი (36). კოლხიდელების ჩვეულებაზე დიოდორე ამბობს ერთს შენიშვნასა, რომელიც ამტკიცებს ცოტაოდენად, ქართული მატიანეს სიტყვასა: ის ამბობს, რომა კოლხიდელები მკვდარს არა მარხვენო, გარეთ დაზდებენ მფრინველისა და ნადირის საჭმელად, და მას შემდგომ მიცვალებულის ხსენება აღარ იყო სამარადისოთ (37). ეს ადათი ისრე, როგორათაც ახლო ნათესავის ცოლად შერთვა, ღვიძლი და-ძმის დაქორწილება, არის დასამტკიცებელი საბუთი, რომა ზოროასტრის სარწმუნოება იყო დამკვიდრე-

(31) Herodot. I. VII cap. 60.
32. Xenoph. p. 351.
(33) Herodot.
(34) Herodot, lib. VII, cap. 60.
(35) Ibid, lib. III, cap. 7, get. 97.
(36) Ibid, lib. XI, cap. 104.
(37) Ibid. lib. I cap. 140.

ზული საქართველოში ჰეროდოტეს დროებამდისინაც, რომელიც სცხოვრებდა 450 წ. ქრისტეს წინად; ამისათვის რომა ეს ადათი გამომდინარეობდა ვენ-დიდისა წესდებულებისაგან, მიღებული იყო ბაკრეთში, გირკანეთში და სხვა ქვეყნებშიაცა, სადაც ეს სჯული დიდის პატივით იყო მიღებული (38).

და ესრედ, თუ საპირნი არ იყვნენ იბერნი ანუ იბერიელნი (39), და თუ კარდუხიანები, არ იყვნენ ქართლოსიანები ან ქართვე-ლები, მაშ აქამომდის უწინდელს მწერლებს არავის არსად არ უხსენებია ისეთი სახელი, რომელიცა მიღებულ ყოფილიყო ქართველების საზოგადო სახელად. მხოლოდ მოსე ხორენელი, ისტორიკოსი მეხუთე საუკუნისა ქრისტიანობის დროებისა, ამ-ბობს რომა სომხეთის მეფემ ტიგრანმა, როდესაც მისცა შემწეო-ბა სპარსეთის მეფეს კირსა, ასტიაგის საწინააღმდეგოდ, შეაგრო-ვა ყველა ივერიელი და ალბანელი ჯარის კაცი და დიდის სომხეთის გამორჩეული მეომარი ხალხი და წავიდა მიდიაში მაგრამ მა-ინც და მაინც არ არის საეჭვო, რომა თემის სახელები: მოსხი ან მესხი, ტაოხიანე, ან ტაოსიანე, მაქრონნი **ან მეგრელნი,** ან კოლ-ხიდელნი—არის სახელები საერთო საქართველოს ხალხის ნაწილები-სა და არიან იმის დაურღვეველ საბუთებად, რომ იმ ძველთაგან-ძველ დროებაში არსებობდნენ.

აი სულა, რაც ვიცით უცხო ქვეყნის მწერლებისაგან საქართველოზე ალექსანდრე მაკედონელის აზიაში მოსვლამდის, რომელნიც შესაძლო-ნიარიან რომ შეეფარდოს წინად თქმულ ქართულ გადმონაცემებს.

## IV.

### გადმონაცემნი ალექსანდრე მაკედონელზე და იმის მოადგილე აზონზე საქართველოს სამეფოს დაარსებამდის.

ხალხის გადმონაცემი სპარსეთის მფლობელობის ამბავს, რომ

(38) გ. ვებერი. საქვეყნიერო ისტორია. წიგნი I, გვერდი 460 და 467.

(39) Atlas universel de Geogr. ancienne et moderne, dressèe par A. Tardieu, ed. 1858, carte № 2.

ათავებს, მოგვითხრობს, რომ ბერძნეთის ქვეყანაში, რომელსაც ეძახიან მაკედონეთსა, გამოჩნდა ალექსანდრე,ფილიპეს შვილი, რომელმაც დაიპყრო ყოველი მხარე ქვეყნისა. დაიწყო დაპყრობა დასავლეთიდგან, გადალახა სამხრეთი, შემდგომ ჩრდილოეთი და იქიდამ კავკასიაზედ გადმოვიდა საქართველოში. ალექსანდრემ ნახა, რომ ურწმუნოა და უზნეო ქვეყანა ესე, გარნა იქ მცხოვრებნი მეომარნი არიან და გამაგრებულ ციხე-ქალაქების მქონენი. იმან აიღო სულ ის ქალაქები, დააყენა შიგ თავისი ჯარი და მისცა მმართებლობა ერთს მაკედონელთაგანს სარდალს აზონ პატრიკსა და უბრძანა რომა მზისათვის, მთვარისათვის და ხუთის ვარსკვლავისათვის ხალხს თაყვანი-ეცემინოს. ალექსანდრეს დაბრუნებისა და სიკვდილის შემდგომ, შეუბრალებელმა და ულმობელმა აზონმა დააქცია გალავანი მცხეთისა და სიმაგრენი სხვა ქალაქებისაც, დაიპყრო სამეგრელო ზღვამდინ, დაადო ხარჯი ოსებსა, ლეკებსა და ხაზარებსა. ამან შემოიტანა საქართველოში კერპთ-თაყვანისცემა, დაიწყო ხოცვა გამოჩენილ ქართველებისა, რომელთაც ხალხში ხმა ჰქონდათ და უკანასკნელ შეწუხებამდე და განწირულებამდე მიიყვანა ხალხი.

იმდროს მცხეთაში იყო ერთი ყმაწვილი-კაცი ფარნავაზი,ძმის-წული უკანასკნელ მცხეთის მამასახლისისა სამარისა, რომელიც მოკვდა ფარნავაზის მამასთან ერთად ალექსანდრე მაკედონელისაგან; დედითი ისპაჰანელ სპარსის ქალიდამ იყო ჩამომავალი. მამის სიკვდილის შემდეგ, სამის წლის ფარნავაზი გააპარა დედამ და დამალა კავკასის მთებშია. იქ დავაჟკაცდა, დაბრუნდა მერე სამშობლო ქვეყანაში, სადაც გაითქვა გვარის-შვილობით, ცხენის და იარაღის მარჯვე ხმარებითა. ხშირად ურჩევდა ხოლმე დედა ფარნავაზსა, რომ არ დაუახლოვდეს საშიშარს აზონსა, ჰსთხოვდა თავი დაანებოს საქართველოსა და გადასახლდეს სპარსეთში. ფარნავაზი დიდხანს ყოყმანობდა დედის რჩევის თანხმობაზედ, ბოლოს როცა თითქმის დაეთანხმა კიდეც, ერთს ღამეს ნახა სიზმარი, რომ ვითომც ის იყო შებწყვდეული ცარიელ და ბნელ სახლში, რომელსაც არა ჰქონდა გამოსავალი და ჰსწუხდა ამაზედ; მაგრამ მსწრაფლ მიადგა მზის შუქი, შემოერტყა ფარნავაზსა და გა-

მოიყვანა მინდორზედ. აქ იმან ნახა, რომ მზე ქვემდებარებდა დორი უხვად იყო მონამული ცვარითა. მაშინ ხელით მოხოცა ცვარი და იმით დაიბანა პირი. როდესაც გაეღვიძა ფარნავაზმა იფიქრა, რომა სპარსეთში იმას უთუოდ ბედნიერება რამ ელის, და ამ ფიქრით აღტაცებული, იმ დღეს მარტოკა წავიდა სანადიროდ. იქ საშინელმა წვიმამ მოასწრო; შესაფარებელ ადგილს რომ ეძებდა, ფარნავაზმა დაინახა ერთი გამოქვაბული კლდე, რომელსაც შესავალი ამოქოლილი ჰქონდა. ფარნავაზმა საჩქაროდ გამოანგრია, შევიდა გამოქვაბულში და განცვიფრდა როცა ნახა აურიცხელი განძი, კლდეში შენახული. როდესაც წვიმამ გადიღო ფარნავაზი გამოვიდა კლდიდგან და გულ-მოდგინეთ მიაფარა შესავალი კლდისა; შემდგომ, რავი დედასაც შეატყობინა ეს ამბავი, ყოველ ღამე დაიწყო იქ სიარული და გადმოზიდა თავის სახლში ყოველი ფერი.

როდესაც ნახა თავისი აურიცხელი სიმდიდრე, ფარნავაზმა სპარსეთში წასვლისა უარი უთხრა თავის დედასა; და მაშინ სულ სხვა ფიქრი მოუვიდა: მოინდომა განთავისუფლება საქართველოსი აზონის ტირანიისაგან და აღდგინება თავის საკუთარ უფლობისა მასზედ.

ძირეული შეწევნა ამ აზრის აღსრულებისათვის მისცეს ფარნავაზსა სამეგრელოს მთავრის შთამომავალმა ქუჯიმ, ლეკებმა და ოსებმა, შემდგომ სირიის ხელმწიფემ ანტიოქმა, და სომხეთის სპასალარმა. ქართველებიც მხურვალედ მიემხრნენ ფარნაოზსა, აზონი-კი გაიქცა კლარჯეთში, სადაც ფეხი მოიკიდა კიდევ თითქმის ერთი მთელი წელიწადი. მაგრამ არტანუჯის მახლობლად ომი მოხდა და იქ მოკვდა; მთელი საქართველო-კი, აზონისაგან ერთ ხალხად შეკრებილი, დარჩა ფარნავაზსა. ზოგიერთ აღმოსავლეთის მწერლების მოწმობის გარდა სხვა ჩვენ არაფერი გვაქვს, რომ დავამტკიცოთ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ყოფნა მართალია თუ არა. მაგრამ იქნება, რომ იმის სახელის და საქმისქვეშ დაფარულია სახელი და საქმე იმის სარდლებისა, რომელთაც ცნობაში და მორჩილებაში მოჰყვანდათ საქართველო, როგორც სპარსეთის სამეფოს მეთვრამეტე და მეცხრამეტე

სასატრაპოები. აგრეთვე ძალიან საეჭვო არის ისა, რომ თითქო ალექსანდრე მაკედონელმა საქართველოს მმართებლობა პირდაპირ მიანდო თავისს სპასპეტს აზონსა, რომელიცა, როგორც ამბობს მატიანე, მფლობელობდა საქართველოში ფარნავაზის გამეფებამდინ; ამისათვის რომა მოსე ხორენელი ამბობს, რომ უკანასკნელი სატრაპი დარიისა იბერიაში იყოვო მიტრიდატი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა ჩააბარაო იბერიის ტყვეები. (41)

ეს უკანასკნელი ჩვენება მით უმეტესად დასაჯერია, რომ ეს მიტრიდატი, ჯერ კიდევ 317 წ., როგორათაც საქართველოს სატრაპი, დაესწრო ომში, როდესაც ევმენი ებრძოდა ანტიგონსა. (42) ეს ომი დაბოლოვდა ამითი, რომ ევმენი დამარცხდა, ანტიგონმაკი დაიჭირა მთელი ის ქვეყანა, რაც ეჭირა ალექსანდრე მაკედონელსა აზიაში; მიტრიდატი და სხვანი ევმენის მოსარჩლენი დაითხოვნენ და იმათ მაგიერად დანიშნეს სხვა სატრაპები. (43)

თუ აზონის ყოფნა არ არის მოგონილი, ან უადგილოდ ხმარებული არგონავტების წინამძღვრის იაზონის სახელი, რომელიც ბუნდად დარჩა ქართველების გარდმონაცემშია მაკედონელის თანა მოღვაწეთა და მოადგილეთა სახელებ შორის, მაშ დასაჯერია რომ ის აზონი იყო არა ალექსანდრეს მოადგილედ, არამედ ანტიგონის იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყობა მიტრიდატის სიკვდილიდამ ფარნავაზამდე, და მართავდა საქართველოსა თავის შეუბრალებელ პროტექტორის მგზავსად.

რაც შეეხება თვითონ ფარნავაზის პიროვნებასა, მგონია არარის საეჭვო, რომ ის იყო შთამომავლობით სპარსი, შვილი, ანუ ძმისწული ამ მიტრიდატისა, იმიტომ-რომ ქართული გადმონაცემი იხსენიებს იმას დედით ისპაჰანელ სპარსის ქალის შვილად, მამითკი (მამის სახელი არარის მოხსენებული) ძმის-წულად სამარისა, უკანასკნელ მცხეთის მამასახლისისა, რომელიც მოჰკლა ალექსანდრე მაკედონელმა. რომ

(41) მოსე ხორენელი, წიგ. II, თავი X.
(42.) St. Martin, Recherches sur l' hist. de l'Asie, chap. XIX.
(43.) Ibid.

დავაკვირდეთ ამ ნათქვამსა ჩვენ მოგვეცემა საფუძველი ვიფიქროთ, რომა ის იყო შვილი უკანასკნელ მცხეთისა ან ივერიის სატრაპისა, რომელიც მოჰკლა ანტიგონმა და არა ალექსანდრემ; თუნდ ნურათფერსაც ნუვიტყვით იმაზედ, რომ თვით სახელი (ფარნავაზი ან ფარნაბაზი), სწორედ სპარსული სახელია. (44) ამასთანავე მიუცილებელ საჭიროებათა ვხედავთ, ყურად-ღება მივაქციოთ შემდეგს გამოკვლევასა: თუ ფარნავაზის მამა მოუკლავთ, როგორც ამბობენ, ალექსანდრეს საქართველოში ყოფნის დროსა, იმისი ეგვიპტეში მისვლის წინად, 332 წელსა, მაშინაც ფარნავაზი იქნებოდა სამის წლისა, მაშ როდესაც ფარნავაზმა დაუწყო ბრძოლა აზონსა 268 წელს, იქნებოდა 67 წლისა და არა ყმაწვილი კაცი; მაშასადამე ამის მამის სიკვდილი უნდა იყვეს უფრო გვიან; და მეორე ესა, რომა თეიმურაზ ბატონი-შვილი, ანტონ ქათალიკოზისა და სხვა ისტორიკოსების სიტყვით (რომლების სახელებსაც არ იხსენიებს), ამბობს, რომ ფარნაოზის მამა იყო სამარის ძმა, მცხეთის მამასახლისისა, დარია კოდომანისა ერთი შინაურთაგანი კაცი; თავისი სიყმაწვილის დროს აღზრდილმა სპარსეთში, მხედრობით, სიმარდით და ვაჟ-კაცური შეხედულობით იმან მიაღწია უმაღლესს ადგილსა სპასპეტებთა შორის სპარსეთის ხელმწიფისა, რომელმაც მისცა ამასა თავისი ქალი ცოლად. დარია კოდომანის დაცემის შემდგომ, ისა ზოგიერთის სპარსეთის ჯარის ნაწილით მოვიდა მცხეთაში, მაგრამ ისა და იმისი ძმა სამარი დახოცა ალექსანდრე მაკედონელმა, საქართველოს აღების დროსა და სხ... (45) მაშასადამე ფარნავაზის დედა იყო ახამენიდების გვარისა, და მამა მისი, მოკლული მაკედონელებთაგან, იყო სიძე დარია კოდომანისა. გალლისის საბერძნეთის ისტორიიდგან ჩვენ ვიცით, ერთი დარიას სიძე, მოკლული თვითონ ალექსანდრეს ხელითა ომში გრანიკის მახლობლად, სადაც არის მოკლული კიდევ ვიღაც ომარი (იქნება იყოს სამარი), რო-

(44) ფარნაბაზი, სატრაპი მცირე-აზიისა, რომელიც ცხოვრებდა V საუკუნის ბოლოს და ხელს უმართავდა სპარტას პელოპონეზის ომების დროს.

(45) ისტორია თეიმურაზ ბატონი შვილისა, გვ. 3.

მელიც იყო სარდალი ნაქირავებ დარიოს ჯარისა. ამ სიძეს ერქვა მიტრიდატი (46). მაგრამ, როგორც ჩვენა ვნახეთ ზემოთა, მიტრიდატი, სატრაპი იბერიისა, სცხოვრებდა ალექსანდრეს დროსა და შემდგომაც, როდესაც მოხდა შფოთი მაკედონელების სპასალარებთა შორის, და მოკვდა ანტიგონისაგან (47). ამ ჩვენების მოსაზრებიდგან წარმოგვიდგება ჩვენა აზრი, რომა ეს ორივ მიტრიდატები იყვნენ ერთი და იგივე პირი; ხოლოთ დროება, ადგილი და გარემოება სიკვდილისა არის ნაჩვენები სხვა და სხვა ნაირად. ეს აზრი არის დამყარებული იმ საფუძველზედაცა, რომ ერთის მიტრიდატის, იბერიის სატრაპისა, შთამამავალთაგანსა, დიდ მიტრიდატს, პონტიის ხელმწიფეს, ერქვა აგრეთვე ახამენიდი. (48)

ხალხის გადმონაცემშია, რომელიცა ჩვენ წარმოვადგინეთ ამ თავში, ისევ ძველის სპარსობის კილო უფლებს, როგორცა ჰსჩანს. ის ადგილი ქართულ მატიანეში, სადაც არის მოხსენებული მაკედონელის გაბმა სარწმუნოების საქმეშია და იმისი მოწადინება და ზრუნვა სარწმუნოების გამოცვლისათვის, აშკარად გვაგონებს სპარსების გადმონაცემსა იმაზედ, რომ ალექსანდრემ დაჰსწვო ზენდავესტის სამღთო წიგნები და დაამდაბლაო სარწმუნოება. (49) არა გვგონია-კი რომ ამ გადმონაცემში სიმართლე ერიოს.

წადილი და ზრუნვა ალექსანდრესი და იმის მემკვიდრებისა: სელევკისა და ანტიოქისა სრულიად სხვა ნაირი იყო. ყველაზედ ომმატებული ფიქრი იმათი ის იყო, რომ გზები გახსნან შორეულ და უცნობ ქვეყნებისაკენ და დაადგინონ მისვლა-მოსვლა სხვა და სხვა გვარ ხალხთა შორის. ამათ ფიქრის და ზრუნვის წრიდამ არ

---

(46). **Исторія Греціи Галлиса, часть 8, гл. 37.**

(47) **Моис. Хор. кн. II, гл. X.** და St. Martin, Recherches sur l'hist. de l'Asie, chap. XIX.

(48) ჩვენი სტატიები იყო დაბეჭდილი გაზეთში: **Кавказъ** 1861 წ. №№ 53 და 70 სახელ წოდებით «**Вопросъ о происхожденіи Митридата Великаго**» და «**Дополненіе къ этому вопросу.**»

(49) **Всемірн. Истор. Г. Вебера, кн. I, стр. 442.**

იყვნენ გამორიცხულნი კავკასიის მხარენი. პატროკლის და ერატოსფენის წერილებიდგან ვიცით, რომ ძველთაგან-ძველს დროებაში უპირატესი გზა დასავლეთის ხალხის კომმერციისა ინდოეთთანა გადიოდა საქართველოზედ. (50) უფრო გვიან დიდის პომპეის ბძანებით ვარრონისაგან მტკიცედ გამოკვლეულ ცნობაებიდგან ვიცით, რომ სავაჭრო საქონელი ინდოეთიდგან ინდის მდინარითა ერთ კვირას მოდიოდა ბაქტრიაში, აქედამ იკარის მდინარით, მერე მტკვრით, სურამამდე, აქედამ შორაპნამდე ხმელეთით და ბოლოს რიონის მდინარით შავ-ზღვამდე. (51) მაგრამ ბოლოს დროს ამ სავაჭრო გზაზე სიარულს დაუშალეს რამდენადაც ერთის მხრით ბარბაროსების შემოსევამ, იმოდენადაც მეორეს მხრით, განათლების მოძრაობამა და ეგვიპტელებისა და ფინიკიანებისა ზღვით მოგზაურობის განვრცელებამა, ბოლოს მაკედონელების დაპყრობამა. იმათ იპოვნეს სხვა გზა ინდოეთში მიმავალი არაბეთის ყურეზე და სპარსეთზე, ალექსანდრიის ქალაქის აშენებით-კი სრულიად დაამცირეს იმ გზის მნიშვნელობა.

ეს თუმცა ესრე იყო, მაგრამა კასპიის ზღვაზე დიდხანს ეჭირათ თვალი ალექსამდრესა და იმის თანა-მოღვაწეებსა. იმას ეგონა, რომ კასპიის ზღვა იყო ნაწილი ჩრდილოეთის ოკიანისა და ამის კიდურებს შეეძლოთ აღმოეჩინათ ახალი სახელმწიფოები და ახალი სავაჭრო მიქცევ-მოქცევა გამოუჩენელ ხალხებთანა. ამისთვის იმან, რამდენიმე ხნის სიკვდილის წინად გამართა იმ ზღვაში ფლოტი და გაგზავნა შესატყობრად: ხომ არა აქვს გასავალი ამ ზღვას ოკიანეში შავის ზღვითა, ან სხვა ზღვებითა ინდოეთში. (52) თავდაპირველად მოიყვანეს ცნობაში სამხრეთის მხრივ მდებარე ზღვის ნაპირები, მას შემდგომ იპოვნეს აღმოსავლეთის ნაპირები იაქსარტის მდინარემდინ, შემდეგ დასავლეთისა-ალბანიამდინ და ალბათ დარუბანდამდისინაცა, რომელიცა ქადულობს გადმონაცემითა, რომ

(50) Strab. lib. XI, p. 351.

(51) Plin. L. VI, cap. 19.

52. Montesquieu, l'Esprit des Lois, L. XXI, ch. 9.

ალექსანდრე იმის აშენებელი იყო. (53) არის კიდეცა ნაჩვენები, რომა ალექსანდრეს ჯარი მისულა გიპპანისის წყლამდინ. (54) რასაკვირველია, ბოლოს დროსა ამაზე შედგენილი აზრი, გიპპანისის წყლის სახელს უწოდებს არა ყუბანსა, არამედ რომელღაც სხვა წყალსა, რომელიც ზღვის შესართავის ახლო ჩადის ინდის მდინარეში, მაგრამ ეს არის შეცთომა, განვრცელებული იმ მწერლებთაგანა, რომელთაც არიცოდნენ, რომა გიპპანისი ერქვა მხოლოდ ყუბანის წყალსა და იმის ზღვის შესართავში ცხოვრობდნენ უწინდელს დროში აგრეთვე სინდები, როგორათაც ინდის წყლის შესართავშიაცა. (55)

ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ სელევკ ნიკატორსა ჰქონდა კასპიის ზღვაში თავისი ფლოტი, ბრძანებისა ქვეშე პატროკლისა, რომელსაცა ჰქონდა მინდობილი, რომა კიდევ ეშინჯა ამ ზღვის ნაპირები. ახალ ნაპოვნს ნაწილსა ზღვისასა დაარქვეს სელევკის ზღვა, და მაშინათვე შეადგინეს დაწყობილება შავი ზღვისა და კასპიის ზღვის არხით შეერთებისათვის. მაგრამ სელევკი, ამ დიდ საქმის აღსრულების თადარიგში რომ იყო, მოკლეს. (56) ანტიოქე I, რომელიც თანა-ჰგრძნობდა თავის მამის წინად-დაწყობილობასა, არ მოშალა კასპიის ზღვაზედ მართველობა (57), და ქართული მატიანე რომ იხსენიებს ფარნავაზს იაზონზედ ანტიოქი შეეწიაო, ცხადად ამტკიცებს, რომ ბედი ქვეყნისა, რომელზედაც იყო ბრძოლა, ძალიან სანუკვარი იყო ანტიოქესათვის, და უნდოდა იმ ქვეყნის მფლობელი კაცი იყოს იმისაგან დავალებული.

## V.

## დაარსება სამეფოსი.

მე III საუკ. ქრის. შ. წინ. საქართველოში იწყობა საუკუნოებით მომზადებული ხალხის ცნობიერი ცხოვრება, რომელსაც ნაციონა-

(53) დარუბანდის ძველს კედელსა აქამდინაც ალექსანდრეს კედელს ეძახიან.

(54) Montesquieu. L'Esprit des Lois, L. XXI, ch. 9.

(55) Strab. lib. XI, p. 349.—იქ, სადაც ინდი ზღვაში ჩადის, იმის ახლოს ინდს ერთვის მდინარე თანა-ხმოვანი გიპპანისისა, გაფასისი.

(56) Plin. L. VI, cap. 2.

(57) L'Esprit des Lois liv. XXI, ch. 9.

ლობას ეძახიან. საქართველოს სახელმწიფოს დაარსების ჩვეულებრივი საფუძველი დამომზადებელი იყო: პირველი, ერთ-ტომობა უფროსთა საზოგადოებათა, თუმცაკი გაფანტულთა კარგა დიდ სივრცეზედ და დიდხანს ყოფილთა ცალ-ცალკედ ადგილობრივ მიზეზებისაგამო; მეორე, სპარსეთის მფლობელობის ზედმოქმედება, რომელმანც დაასახლოვა ერთი ერთმანეთთან ისინი და ერთის სახელმწიფოს სახელითა და სულითა ორ სატრაპის მართებლობასა ქვეშე აწარმოვა იმათი ცხოვრება; და მესამე, განვითარება თვითონ ტომისა, როგორც სპარსეთის მფლობელობის წინად, აგრეთვე ამავე პერიოდის განმავალობაში. თან და თან საზოგადოებანი შეეჩვივნენ მიწის შემუშავებასა და ვაჭრობასა ერთის მხრით მდიდარ ბუნების მიხედვიდ, რომელიც უხვად აჯილდოვებდა მუშის შრომას; მეორეს მხრით —იმითი, რომა ჰქონდათ მისვლა-მოსვლა ეგვიპტელებთან, ბერძნებთანა და ფინიკიანებთანა. რელიგიური სისტემა ეგვიპტელებისა და შემდგომ სპარსებისა, იმათ გულში დანერგული, აჩვევდნენ იმათ კანონის მორჩილებასა და დასასრულ ყოველ წლი ხარჯმა, რომელსაც ართმევდნენ სპარსეთის ხელმწიფეები, დააჯერა, რომ ყოველ წლივ ხარჯის ძლევა მიუცილებელი საჭიროება არის სახელმწიფოსათვის.

პირველი გამოთქმა ქართველების ნაციონალობისა იყო, რასაკვირველია, შეერთება ყველა ერთ-შთამამავლობის საზოგადოებათა ერთი ერთმანერთის სასარგებლოდ და დასაცველად საზოგადო მტრისაგან ერთის პირის უმაღლეს მმართებლობასა ქვეშე. რამოდენადაც შეიძლება გამოკვლევა მატიანეთაგან, ჰსჩანს, რომ ფარნავაზის სახელმწიფოსა ჰქონდა სამზღვრებად: დიდი ზურგი კავკასისა, ენგურის წყალი, შავი ზღვის პირი ეხლანდელ ბათუმამდე, იქიდგან მთები, საიდგანაც გამომდინარებს ჭოროხის წყალი თავის ტოტებით პალაქაციოს ტბამდე; შემდგომ მთები, რომელნიც მდებარებენ დებედის წყლის მარჯვენა მხარეს მტკვრამდე და ბოლოს ალაზანი იმ წყლებით, რომელიც აღმოსავლეთის მხარით იმას ერთვიან.

ფარნავაზმა გაჰყო თავისი სამეფო თავის თანა-მოღვაწეთა შორის რვად, თუ ცხრა ნაწილად, რომელთაც ჰქვიანთ საერისთავო. ქარ-

თული მატიანე აჩვენებს ყოველ საერისთავო სამზღვრებსა, მაგრამ ძნელი მისაღებიკია სიმართლე მაგ ნაჩვენებისა, ამის გამო, რომ ავ-ჰსცდეთ შეცდომებსა ჩვენ ამ წერილებში, ვერ ვბედავთ იმ სამზღვრების აღწერასა. მაგრამკი მზათა ვართ, დაუთმოთ ადგილი სხოლიოში მხოლოდ თეიმურაზ ბატონი-შვილის ნაჩვენებსა. (58)

ერისთავები იყვნენ უმთავრესნი მონაწილენი მმართებლობაში და აღმსრულებელნი ხელმწიფის ბრძანებისა; ყველა მათგანი წარმოადგენდა თვითონ ხელმწიფესა თავის საერისთოში, და ჰქონდათ უფლება თავისი თანამდებობა დაეტოვებინათ თავისს შთამამავლობისათვის. ეს უფლება იყო ჩვეულებრივი შედეგი, ანუ გაგრძელება ქართველების ტომის ფეოდალიურ ცხოვრებისა, რომელიც დაიწყო ქართლოსის სიკვდილშემდგომ, იმის მემკვიდრეთა შორის მამულების-გაყოფიდგან, და დამკვიდრდა მათშორის დედამიწის სიკეთის მოხებითა რავდენიმე საუკუნოებისა განმავალობაში. ფარნავაზმა დაამტკიცა თუარა ეგ უფლება, მაშინვე საქართველოში აღმოჩნდა: პირველი, მამულის მფლობელობის უფლება, როგორც კერძოობით და საგვარეულო საკუთრებისა, და მეორედ: აზრი ხალხის დაყოფისა

(58) ისტორია თეიმურაზ ბატონი შვილისა გვ. 115. პირველ ერისთავად (ფარნავაზმა) დააყენა ქუჯი, რომელსაც შერთო თავისი და, და ჩააბარა ადგილი რიონის წყლიდამ დაწყობილი ეგრისის წყლამდის: მთელი კოლხიდა, სვანეთი და დასავლეთის მხარე ზღვამდე. მეორე ერისთავი დააყენა შორაპანში და მისცა ქვეყანა მცირე-მიხიის მთიდგან ზღვამდე და ლალოს მთიდგან რიონამდე. კახეთში, ჰერეთში და კუხეთში, რომელნიც შეადგენდნენ კახეთის ნაწილებსა, დანიშნა მესამე ერისთავი. მეოთხე დააყენა ხუნანში, და დაუნიშნა მამული ბერდუჯსა და მტკვარს შუა, გარდობანი ტფილისამდე. მეხუთე დანიშნა სამშვილდეში და მისცა მამული სკვირეთის წყლიდგან, გაჩიანის ზემოთ ფანავრამდე აბოცითურთ. მეექვსე წუნისის ერისთავსა მისცა მამული მტკვრის სათავის აღმოსავლეთის მხარეს ფანავრამდე. მეშვიდე ოძრახისა დააყენა ტაშის-კარს ზემოთ პონტის ზღვამდე და ქოროხის წყლამდე. მერვე გაამწესა კლარჯეთში და მისცა მამული, რომელიცა იმან (ფარნავაზმა) დაიპყრო პონტიის ზღვამდე; და მეცხრე ერისთავი დანიშნა შიდაქართლში.-ესენი იყვნენ მმართებელნიცა და სპასპეტნიცა; ისინივე ართმევდნენ ხალხს ხარჯსა და წარუდგენდნენ ხელმწიფესა.

ოთხ ხარისხად, რომელნიც არსებობდნენ საქართველოს სამეფოს თვითმდგომარეობის მთელ დროების განმავალობაში. კერძო პირების მამულის უფლება, ეგ იშვიათი მაგალითი ძველ ხალხებ შორის—დააფუძნა ფარნავაზმა ალბათ იმ შემეცნებისაგან, რომ ეგ უფლება პატრიოტობის გრძნობასთან ერთად შეადგენს ნივთიერ სარგებლობას და მით გაამძლიერებს ქვეშევრდომთა შორის თავის სამშობლო მამულის დაცვის მხნეობასა. რადგანაც ძველ ხალხებს დედა-მაწა მიაჩნდათ საყოველთაო კუთვნილებად, საკუთრების შეძინება-კი მხოლოდ ვაჭრობით შეეძლოთ, ამისათვის იმათ ერჩივნათ საცხოვრებლად უფრო ის ქვეყანა, სადაც უფრო კარგად შეენახებოდათ და ერთიორად ექცევოდათ მოძრავი კაპიტალი. ისინი ძრიელ ადვილად ანებებდნენ თავსა მამა-პაპის სასაფლაოსა, სამშობლო კიდეებსა, მთებსა და გარდასახლდებოდნენ შორს ქვეყნებში, აშენებდნენ კოლონიებსა ან ამოირჩევდნენ ისეთს გვარს ცხოვრებასა, როგორათაც ძენი ისრაილისანი და სომეხნი, რომელთაცა სამშობლო ქვეყანა წარმოადგენდა ადვილად. საშოვარსა დამპყრობელთათვის. ოცის საუკუნის სასტიკი ბრძოლა საქართველოს ხალხისა ყოვლად-ძლიერ დამპყრობელთა-თანა დაუმოკიდებლობის დასაცველად იყო შეურყეველი იმ დრომდე, ვიდრე უკანასკნელ მეფეთა შორის ერთმა არ შეარყია ძველებური მამულის-უფლება უმაღლეს ხარისხისა.

ეს ხარისხები იყვნენ: 1.) სამთავრო, ან სათავადო, რომელიც შეეფარდება ფეოდალურს ანუ «удѣльное княжество' სა» 2.) აზნაურნი, თანასწორი სარაინდო ხარისხისა; 3.) მოქალაქენი და 4) გლეხნი.

მთავარნი ან თავადნი უფრო მეტად შთამომავლობდნენ იმ საქართველოს ნაწილების მთავრებისაგან, რომელნიც დაარსდნენ ქართლოსის მემკვიდრეებთა შორის მამულების განყოფისაგან ან იყვნენ შთამამავალნი უცხო ქვეყნის ხელმწიფეებისა; ხოლო აზნაურებად, მატიანე იხსენიებს მაკედონელის მოადგილე აზონის თანამოღვაწეთა. ყველა ერისთავები იყვნენ მთავრების ხარისხიდამ ამორჩეულნი. მთავარნი ანუ თავადნი ჰფლობდნენ არამც თუ მხოლოდ მა-

შულის საკუთრებასა და ყმებსა, აგრეთვე, როგორც მეფეებს, ჴყვანდათ თავისი ქვეშ-ვრდომელნი აზნაურები (რომელნიც რუსის მთავრობისაგან შეირაცხნენ «დვორიანებად»), მამულითა და ყმითა; იმას არ შეეძლო ყოფილიყო აზნაურშვილათ, ვისაც არა ჴქონდა დასახლებული სოფელი და თავის თავადის პირველივე დაძახვითა არ გამოცხადდებოდა საომრად გამზადებულ რიცხვით კმასაყოფელ მსახურებითა (უბრალო ჯარის-კაცებითა), ჯოგის ცხენებითა, თავის გაწყობილობით და სხვა კუთვნილებით სალაშქრო ცხოვრებისათვის (59) სტრაბონი იბერიის აღწერილებაში გვიმტკიცებს, რომა ამ ქვეყანაში ყოფილა ოთხი საერო ხარისხი. (60)

ფარნავაზს მიეწერება აგრეთვე დადგინება სამხედრო თანამდებობაებისა და მოწოდება სპარსეთიდგან მაგებისა (იქნება მოგვებს რომ ეძახიან, მაგები იყვნენ?) ზოროასტრის სარწმუნოებისა წესიერებაში მოსაყვანად.

ჩვენ ვგონებთ არ იყოს საჭირო გამოვწეროთ აქ შიგ-მდებარება ზენდ-ავესტისა, როგორც იმისათვის რომა ამაზე ჩვენს დროებაში ძრიელ მრავალი რამ არის დაწერილი, რომლითაც ზენდ—ავესტასთან საკმაოდ გაცნობილია განათლებული საზოგადოება, ისე იმისათვისა რომა სხვა და სხვა ხალხსა ზენდ-ავესტის მცნება ჴქონდათ მიცემული სხვა და სხვა ნაირად ადგილობრივი ცხოვრების შეფერებისაგამო. საზოგადოდ კი, ის იცავდა საკუთრებასა, უფლებასა, ჴსძულდა ბიწიერება და ტანის-უსუფთაობა, ნამეტნავად სდევდა ქურდობასა და მოტყუებასა; ახალისებდა მიწის-მოქმედებასა და კეთილ-ზნეობასა და ბძანებდა ყმაწვილკაცობის მწიგნობრობაში აღზდასა. მაგრამ სასარგებლო მცნებათა შორის იმაში იყო ბევრი უმზგავსი წესები და ცრუწამებანი, რომლის კვალიცა დარჩა აქამომდე ზოგიერთს ადგილას საქართველოში, როგორათაც, მაგალითებრ სვანეთში: დაჭერა მამლისა მამაკვდავის წინა. «მამალი გვატყობინებსო დღის მოახლოვებასა და სიბნელის ლტოლვასა, არის ნათქვამი ვენდიდადში, ის

(59) გეოგრაფიული აღწერა ვახუშტისა გვ. 12

(60) Strab. l. 6. XI.

-კვის ყოველ ღვთიურ განთიადისას და იძახის: აღზდეგით, კაცნო, აქებდეთ მშვენიერს სიწმინდესა და განდევნეთ დევნი» (61) მისგან ნება-დართული იყო მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება, მკვდრის დამარხვა-კი აკრძალული იყო.

გვგონია, ქართული ხალხობა ყველაზედ უფრო მადლობელი უნდა იყოს ამ მეფისა, რომ მწიგნობრობა შემოიტანა და შემოიღო საკუთარი ნაციონალური ქართული ანბანი, რომელსაც «მხედრული» ჰქვიან. სახელმწიფოს დაწყობილობის ფორმები და სარწმუნოება მართავს ხოლმე ხალხის შინაგან ცხოვრების განვითარებასა, მაგრამ ეს ყოველი მალე ირღვევა და გაუმგზავსდება ხოლმე იქ, სადაც მწერლობა არ არის. მწერლობა ხელს უმართავს, განავითარებს, უკეთესობაში შეიყვანს ხოლმე ყოველ ფერს, რაცკი საფუძვლად დევს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. ეს ქართული «მხედრული» ანბანი, როგორც ჩანს, არის შედგენილი ზენდურიდგან (62) და ისეთ ოსტატობით არის შედგენილი, რომ შეიძლება დამტკიცებით ვსთქვათ, რომ ჩვენ დროშიაცა არც ერთს ხალხსა არა აქვს ანბანი ენასთან ისეკარგად შეფერებული და მოგვარებული, როგორც ქართველებსა.

პეტრე უსლარმა რომ განარჩია და შეუფარდა სხვა ანბანებსა, ჰსთქვა, რომა: «რომ შევხედოთ ქართულს ანბანსა თვითონ ქართულის ენის მიხედვით, მაშინ არშეიძლება არ ვაღვიაროთ, რომა ის აკმაყოფილებს ყოველს მოთხოვნილებასა: არა მგონია, იმ ანბანებ შორის, რაც ეხლა არის, ქართულ ანბანზედ სრული იყოს სადმე. ყოველი ხმა გამოიხატება საკუთარის ნიშნითა, ყოველი ნიშანი წარმოადგენს ყოველთვის ერთსა და იმავე ხმასა. ყოველ ევროპიის ენებში ორთოგრაფიის გამო არის წამოსაბორძიკებელი რამ, ქართველებისათვის თავიანთ ანბანის სისრულისაგამო ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს.» ქართველების პირველ დროების ლიტერატურულ მოღვაწეობის თხზულებათაგანმა არცერთმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაწია. სხვათა შორის კი ჩვენა გვაქს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თხზულებანი, შესაძლო იყო, რომ ბევრნი ყოფილ-

(61) Всемірн. Ист. Г. Вебера кн. I, ст. 457.

იყვნენ, მხოლოდ ისინი გაწყვიტეს ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდგომ, როგორათაც წარმართობის მწერლობის ნაშთი. ამგვარი დევნა იმ თხზულებაებისა ჰსჩანს ჯერედ იქიდამ, რომ საქრისტიანო სამღვდელომა IV საუკუნეში შეადგინა ახალი ანბანი «ხუცური» (63) ალბათ იმისათვის, რომ ხალხს აღარ წაეკითხნა მხედრული ძველი წიგნები.

ამას და გარდა ფარნავაზ მეფეს მიეწერება დადგინება საქართველოში ტახტ-მემკვიდრეობისა, გამაგრება და დაშენება დანგრეულ ქალქებისა; აშენება შორაპნისა, ამ ძველდროში გათქმულ სავაჭრო საქონლის საწყობისა, იმ საქონლისა, რომელიც მოჰქონდათ ინდოეთიდგან ევროპაში (64), და სხვა მრავალი საკეთილო მოქმედება და ღვაწლი.

რაკი ამითი ვათავებთ ერთს ნაწილს ჩვენის წერილებისას, რომელსაც უწოდეთ პირველი გადმონაცემი საქართველოს ხალხისა, ჩვენ მას წინად ვიდრე მივყვებით შემდგომს ისტორიულს მოთხრობასა, წარმოვადგენთ გეოგრაფიულ აღწერას საქართველოსასა იმ ეპოქაში, როცა დაიწყო იქ მონარხიული მმართებლობა. (*)

---

(62) ზოგიერთი ქართული ასოები ჰგვანან აქნომამღის კიდევ ზენდის ასოებს. ნახე ნიპერისაგან გამოცემული ანბანი. მაგრამ ასოების რიგი, თავიანთ მნიშვნელობით თითქმის ევროპიულის ანბანისა არის.

(63) ხუცური ანბანი შეუდგენია სომეხს მესროფს, რომელზედაც მერე ვიტყვით.

(64) Strab. L. XI, p. 343; Plin. L. II. cap. 6.

(*) ეს თხზულება რედაქციამ მიიღო ავტორისაგან რუსულ ენაზედ. მისგან გამოგზავნილი რვეული შეიცავს ძველს საქართველოს ისტორიას და იმედი გვაქს, რომ მერეთ ის გამოგვიგზავნის დანარჩენსაც, ასე რომ რედაქცია იმედოვნებს წარმოუდგინოს თავის მკითხველებს მთელი ისტორია საქართველოსი. რედაქცია თავის თავზედ იღებს, თუ რამე გაუგებარი და უკანონობა არის ამ სტატიის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის. მაშასადამე ავტორს ამ მხრით არა დაებრალება რა. ხოლო რაც შეეხება ნათარგმნის სისწორეს ორიგინალთან, რედაქცია იმედოვნებს, რომ ავტორის აზრები გადმოღებულია ნამდვილად. ამ შენიშვნასთან რედაქცია სარგებლობს შემთხვევით გამოუცხადოს ავტორს გულითადი მადლობა ამ შრომის გამოგზავნისათვის. ჩვენი საშობლო

ისტორია ისე დაუმუშავებელი არის და ისრე ცოტა არის ნაწერი მაზედ, რომ ყოველი შრომა, სადაც კი იქმნება ახსნილი რომელიმე კითხვა წარსული ხალხის ცხოვრებიდამ, რედაქცია მიიღებს დიდის მადლობით. მის უმეტესად სასიამოვნო იყო რედაქციისათვის მიღება ამა თხზულებისა, რომ ამაში სჩანს დიდი შრომა ავტორისა და სურვილი ჭეშმარიტების ახსნისა. მაგრამ ამასთანვე ჩვენ ვრაცხთ ჩვენს თავს ვალდებულად, გამოვაცხადოთ ჩვენი აზრი ამ თხზულებაზედ. ყოველს პატივისცემასთან ამ შრომისადმი ჩვენ ვბედავთ ვსთქვათ, რომ არა ვართ თანახმა ავტორის ზოგიერთ კრიტიკულ შეხედვაზედ და კითხვაებისა გამოყვანაზედ. ჩვენ იმედი გვაქვს თავის დროზედ წარმოვადგინოთ ჩვენი აზრი ამ კითხვაებზედ. ამ ჩვენს ფიქრს ჩვენ აღვასრულებთ მით უფრო დიდის სიამოვნებით და გაბედვით, რომ ავტორს, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ძლიერ სურს გაიგოს სხვისი აზრები თავის თხზულებაზედა. ამ სურვილშიაც სჩანს ავტორის კეთილშობილი სიყვარული თავის საგნისა და სურვილიც ჭეშმარიტების ახსნისა, რადგანაც რომელიმე კითხვა, მხოლოდ მაშინ აიხსნება კარგად, როდესაც გაიშინჯება ის სხვა და სხვა მხრიდამ. მართლა ამბობენ ფრანცუზები: «აზრები ერთი ერთმანეთს რომ შეხვდებიან, მაშინ ჭეშმარიტება გამოჩდებაო».

რედ.

# სხვა და სხვა ამბავი

---

## შინაური მიმოხილვა.

ახალი წელიწადია და ახალი ამბები უნდაო, მეტყვის მკითხველი. არა, მკითხველო, ამ ჟამად ძველ ამბავს გიამბობთ ახალის მაგიერად. ტფილისის გარეშე მცხოვრებელი ხალხი გვკითხამს: განა იმისთანა ახალი ამბავი არა არის რამ, რომა ჩვენთვისაც საჭირო იყოსო? სხვა და სხვა გვარი არიან მკითხველები ქალაქ გარეთ სოფლად მცხოვრებლებ შორის: ზოგსა ჰგონიათ, რომ ტფილისის ქალაქი ასეა განათლებული და დაწინაურებული, და იმდენი საზოგადო საქმეები რიგდება იქა, რომა არა სჯერათ, როცა იმათ კითხვაზე უპასუხებს კაცი: ახალი ამბავი არა არის რაო. ისინი გაოცებით დაიწყობენ ყურებას. მეორე გვარი მკითხველები იმათ შორის არიან ისეთნი, რომელთაცა აღარა სჯერათ რა იქაური. რაც უნდა მოხდეს და გაიგონონ, მაშინვე პირში გაგიცინებენ და თუ ცოტა ოხუნჯიც არის მაშინვე გეტყვის «მახლას», თავს უგემურად გაიქნევს და გაბრუნდება. ამისთანა კაცს იმის ძლიერის «მახლასის» შემდეგ რაც უნდა უთხრა, რაც უნდა საბუთები წარმოუდგინო ფაკტისა, რომელზედაც ელაპარაკები, იმის პასუხი ეს არის: «ვნახოთ ვნახოთ, თუ სიკვდილმა არ გვისწრო, სიბერე ხომ შორს არის.», დაიხვევს ამ უგემურ სიტყვებს ულვაშზედ და მერე თუნდ, ჯვარზედ და სახარებაზე შეჰფიცო, მაინც კიდევ ისე ჰსწირავს როგორც უწირვნია, ესე იგი, იცხოვრებს და დასაჯერებელს არ დაი-

ჯერებს. აი, საყვარელნო მკითხველნო, სხვათა მკითხველთა შორის ამათთანასაც უნდა ვებაასოთ ამის შემდეგ და ამისთანაებსაც უნდა ვაცნობოთ ხოლმე აქაური, თუ უცხო ქვეყნების ახალი ამბები. ეხლა, უნდა გავშინჯოთ ჩვენ, რამოდენსაც შევიძლებთ, ისა რომ როგორ წარმოდგნენ და გამოსცხადნენ ჩვენში ამისთანა ხალხი, ზოგნი ყველაფრის დამჯერნი და ზოგნი ყველაფერზედ უჯერონი. პირველნი ზემო-მოხსენებულნი პირნი უმეტესად არიან იმისთანები, რომლებიც თავიანთ სოფელს ათ წელიწადში ერთხელ არ მოშორდებიან და იქვე დაასრულებენ თავიანთ სიცოცხლესა, სადაც დაიწყობენ ხოლმე. უმეტესი ნაწილი მათგანი არიან პრაპორშჩიკები თუ პოდპორუჩიკები ერმოლოვის დროებისა. იმათ თავიანთ წილი სისხლი დაუღვრიათ კიდეცა მითამ საქართველოს გაძრიელებისათვის, რისგამოცა ძალიან თავიც მოსწონთ; მიუღიათ ჯვრები და მენდლები, მერე გამოსულან «ასტავკაში», ჩემ ყმა და მამულს უნდა მოუაროო. ეხლა თუ ხანდისხან მოიგონებენ ხოლმე ჩვენს მტვრიან ტფილისსა ისიც კენჭის ყრის დროსა, რომელსაც, ზოგი ერთი მათგანი, აღდგომასავით მოელის. ამ დროს შეაწუხებენ თავიანთ თავსა, ჩამოვლენ ქალაქში და ერთი-ორიოდ კვირა, ჩოხებში გამოწკეპილები, ხმლით, დადიან შეყრილობაში: ეს შემთხვევა იმისთვის უფრო სანუკვარად მიაჩნიათ, რომა დადიან ზოგიერთ პირთან თაყვანის საცემლად.

ამათში ახალგაზდებიც ურევიან, უმეტესად ისინი, რომლებსაც არ შეუსრულებიათ თავიანთი განათლება ჯარების სასწავლებლებშია (школа военныхъ воспитанниковъ), როცა მიმხვდარან, რომა ამისთანა სწავლითა წინ ვერ წავალთო და ვერას ფერსაც ვერ უშველით ჩვენს თავსაო. მეორენი, ესე იგი ყოვლად უჯერონი, ამათ არა გვანან: ისინი დიდხან ყოფილან ტფილისში, დიდხანს უმსახურნიათ, ყოფილან საზოგადო მოღვაწენი. მაგრამ, ვინ იცის, რის მიზეზით დაუნებებიათ თავი სამსახურისთვის, საზოგადო ზრუნვალებისათვის და მოშორებიან ამ წუთის სოფელს . . . ისინი მაინცკიდევ გულში არ ივიწყებენ ადრინდელ დროებასა, რომე-

ლიც ისე მუხანათად ხელიდამ წასვლიათ. იმათთვის საინტერესო ყოველი ცვლილება, ოღონდ ის ცვლილება მთავრობის განკარგუ-ლებით კი იყოს მომხდარი: ე. ი. რისთვის გამოაგდეს სამსა-ხურიდამ ესა და ეს კაცი, იმის მაგიერად ვინ დანიშნეს და სხ. თუ შეხვდათ ვინმე ქალაქიდგან ახალი მოსული, მაშინვე დაწვრილებით გამოჰკითხვენ იქაურს ამბავს: «ვინ არის ნაჩალნიკად, იმის თანა-შემწედ, დიამბეგად, ხომ არ უპირობენ გუბერნატორს გამოცვლასა?» მაშინვე თავის გუნებაში ჩამოსთვლიან თითო თითოდ, ვინ უნდა განწესდეს იმათ მაგიერად და ვინ არა; დაიწყობენ მაღალ ფარდე-დებით განსჯასა, რომ ის ამ ალაგს კარგი იქნებაო, ის იმას ემჯობინებოდაო და სხ. ბოლოს ეს ამდენი ბაასი და თავის ხეთქა თავდება იმითი, რომ მეცნიერულად წარმოსთქმენ: მაინც არა იქნე-ბა რა რიგიანიო. თუ იმათ უთხარით, რომა აი საზოგადოებას ესა სურს მოახდინოს, ამ საქმეზე ფიქრობს, პასუხის მაგიერად პირში შემოგცინებს,—და პასუხად ესეც სამყოფია.

ეს ჩვენი ნათქვამი გვაჩვენებს, რომ ზოგიერთ გარდა ჩვენ სა-ზოგადოებაში არიან ორგვარი ხალხი: პირველი, რომელსაც ჰსჯერა სუყველა ფერი, თითქმის, რაც უნდა ადამიანმა უთხრას, ოღონდ კი გაუხსენოს ქალაქში მოხდაო; მეორე, რომელსაც ჯიუტობით აღარა სჯერარა, მინამ თვალით არ ნახავს, ან თავის ყურით არ გაიგონებს. ამ ორ გვარის პირების ყოფნა ძალიან შესაძლო არის საზოგადოობაში, ნამეტნავად ჩვენისთანაში. დროებისაგან წარმო-სდგება ამ გვარი ვითარება, რომლის გარკვევაცა, რამოდენადაც შეიძლება ჟურნალის სტატიაში, შეადგენს ჩვენ პირველ სტატიის საგანსა.

---

ერთი ზღაპარია, საყვარელნო მკითხველნო, ირემზე, ცხენზედ და კაცზე. ირემმა რქით დაუწყო რჩოლა ცხენსა, ცხენმა სთხოვა შე-მწეობა კაცსა, რომ მოუშორებინა მომბეზრებელი ირემი. კაცმა დაადგა უნაგირი ცხენსა, და ორივემ ერთად გააგდეს ირემი სამო-ვრიდგან. შემდგომ ცხენი მიუბრუნდა და უთხრა თავის მექომაგე-სა: «დიდად გმადლობ შენა! მაგრამ მამხადე ეხლა კი ეს უნაგირი

და გავშორდეთ ერთმანეთსა მეგობრულად, ან არა და მომიშვი ცოტათი მაინც მოსართავი და ლაგამი, რომ მცირედაც არის სიარული გამიადვილდეს.» «რა გეჩქარება? უპასუხა კაცმა, უნაგირი მშვენივრად გიხდება; შენც ისეთი მორჩილი ხარ, როცა უნაგირი გადგია,—და მეც სწორედ გითხრა არამც თუ ეხლა, საკუდავოდაც ფიქრადაც არა მაქვს, შენზედ ხელი ავიღო.» ამ ზღაპარს, რომ მივამგზავსოთ ადამიანისა, თუნდ მთელ საზოგადოობის ცხოვრება მაშინ გვექმნება შემთხვევა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა იმაზედ, რაც შეადგენს **ხალხთა-შორისის** სამართალსა, სახელმწიფოების და ან საზოგადოებათა შორის მოვალეობასა, ერთი სიტყვით საეროთოდ ძლიერის და უღონოს შორის მიქცევა-მოქცევასა. ქვეყანაზედ რომ სადმე მარტო ორი სახელმწიფო იყოს ურთიერთის მომიჯნავედ, ერთი მათგანი ძრიელი და დიდი, მეორე პატარა და უღონო, მაშინ იმათ შორის ვერ მოთავსდება არა რაიმე სამართალი. მაშინ პატარა და უღონო სამეფოს არ შეეძლებოდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა ძრიელ და ღონიერ სამეფოსაგან. დიდი სამეფო უთუოდ დასჩაგრავდა, დაიმონავებდა პატარასა და ბოლოს ასე გაუხდიდა საქმეს რომ შეიერთებდა კიდეც თავისთან და ორისაგან შეადგენდა ერთს სამეფოსა. ასე მოხდება უეჭველად, იმიტომ-რომ ჩვეულებრივად ყოველთვის ეგრე მოხდება ხოლმე.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . მაგრამ რაკი ქვეყანაზედ ამათ გარდა სხვა მრავალი სამეფოებიც არიან, რომელნიც ერთი ერთმანეთსა ათანასწორებენ და იოკებენ, მაშა სადამე შესაძლო არის რომ დიდთან პატარამაც იცხოვროს, ძრიელ სამეფოსთან—უღონომაცა. ცხადია, რომა ამ შემთხვევაში უღონო სამეფო თავისთავად შეეკვრის პირობით ძრიელს სახელმწიფოსა, რათა მომეტებულად მტკიცედ დაიცვას თავის თავი. ამ პირობას აქვს მნიშვნელობა ვიდრე ის გარემოებანი, რომელთაც იგი შეაკვრევინეს, არ გამოიცვლება. რაკი გარემოება გამოიცვლება, მაშინ იმა შეკრულებასაც აღარა აქვს ძალა, ე. ი. ძლიერი სამეფო აჭყვება

ხოლმე თავის ნებაყოფლობასა და რაც პირობა აქვს იმას უარ-ჰყოფს, და იმ ძველ კანონიერ პირობას ვიღა ათხოვებს ყურსა? . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . მაგრამ კი უმაღლესი ბუნებითი კანონი არას დროს არ დაჰკარგავს თავის ძალასა, არ დაუკარგავს . . . ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობასა. ეს კანონი ჭეშმარიტებისა მოითხოვს, რომა სუყოველის ფერსა, რასაც კი აქვს ჩასახული სიცოცხლე, მოძრაობა და გონიერება უნდა უთუოდ ცხოვრებდეს, მოძრაობდეს, თავის საჭიროებისათვის ფიქრობდეს. ხალხის ცხოვრება დღესა იქნება თუ ხვალე, გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგრძნობინებს, რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამქრალი.

ხალხის სურვილი შეიძლება, რომა ხშირად შესცდეს, ფაკტი გადაასხვაფეროს და შეცდომით ხედავდეს იმასა, რაც არ არის ფაკტებში; ეს სუყველაფერი შესაძლებელია მოხდეს როგორც ერთის კაცისაგან, ისე მთელის საზოგადოებისაგანაც. როგორც ყველგან ისე **ხალხთა-შორისი** სამართალი განისაზღვრება ჭეშმარიტებისაგან, რომელიც შეშვენის ადამიანის გონიერებასა, ადამიანის სვინიდისსა და არა პირობების დადებისაგან, რომელნიც წარმოდგებიან ისტორიულ საჭიროებისაგან, და ისევ ამავე საჭიროების ძალით განქარდებიან ხოლმე.

საზოგადო საქმის შევიწროებულ მდგომარეობაში, მართალია, ამოჩნდებიან იმისთანა პირნიც, რომელთაც საზოგადოობისათვის გული შეჰსტკივათ, მაგრამ იმათშიაც, ჩვენდა საუბედუროდ, იმისთანანი გამოერევიან, რომელნიც თავიანთ თავს არ ივიწყებენ, საზოგადო საქმეში ეძებენ მარტო თავის საკუთარ სარგებლობასა. ყოველი მათგანი (რასაკვირველია უკეთესი) იმოდენად დაჰსთმობს თავის საკუთარს სარგებლობას და მოიტანს მსხვერპლად, რამოდენადაც ესმის საზოგადო გაჭირება ე. ი. ვისაც უფრო უკეთესად ესმის

ის უფრო ბევრსა ჰსთმობს. ეს პირნი შეადგენენ ხალხის უკეთესს იმედსა, ამათგან მოელის ხალხი ყოველ კეთილსა, წარმატებასა, გაჭირებიდგან გამოხსნასა. ამათ გასინჯვასაც, რომ შევუდგეთ, არ იქნება მეტი გადავავლოდ თვალი ხალხის წარსულ ცხოვრებასა, რათა გამოვიკვლიოთ მიზეზი, რისგამოც იგინი წარმომდგარან. იმ ორ გვარ ჩვენი საზოგადოების პირთ შორის, რომელზედაც ვთქვით ზევით რამდენიმე სიტყვა, პირველნი არიან გასამტყუნარნი, რომ სუყველაფერზედ იმაზე გვერწმუნებიან, რაც იმათ არ შეეხებათ, განუსჯელად (უკრიტიკოდ). იმათ ისე გაუტარებიათ თავისი დღენი, რომა არ შეუძლიანთ კრიტიკული განსჯა იმ გარემოებისა, რომელიცა არ მომხდარა იმათ თვალწინ და იმათ ცხოვრებაში არ გამორეულა, ამისათვის, რომა ჰსცხოვრებენ უძრავად, თავიანთ სახლის განუშორებლად. რადგანაც არა ჰქონიათ ღონის-ძიება, რომ სწავლა და ცოდნა მიეღოთ, ამიტომაც ვერ აჰსცდენილან მამა-პაპურ ცუდ-სარწმუნოებასა, იმ დებულებასა და ჩვეულებასა, რომელნიც მოსახმარნი აღარ არიან. ამ ხსენებულ პირებს დღესაცა ჰსჭირთ ეგ ჭირი, რომლისაგანაც გადარჩენა შეიძლება მხოლოდ დიდის მეცადინეობითა და წვალებითა. ეს ჭირი მით უფრო მავნებელია და მოსარიდებელი, რომ კაცს თვალებს უხვევს ასე, რომ თვით უზდელობას განათლებად დაანახვებს. უმეტესი ნაწილი ამათ შორის არიან უფრო ღარიბი აზნაურები, ან თავადები, რომელ მშობლებსაც ნდომიათ და სურთ კიდეცა შვილების გაზდა, იმიტომ,-რომ დროება ითხოვდა ამასა. მაგრამ ღონის-ძიებას მხარი არ მიეცა. იმითი კეთილი სურვილი და ნდობა შეუძლებლობისაგამო დადგა იმაზედ, რომ შვილები შინ უნდა დაეზარდნათ. ყველამ ვიცით რა რიგათაც იზრდება ყმაწვილი ჩვენ სოფელშია. მინამ ყმარწვილი ფეხს აიდგამს, დედ-მამას კალთაში უგორამს დღე და ღამე მუთაქასავით, ყურში წინდაუხედავად ჩასძახიან სხვა და სხვა თავიანთვის სასაცილოს სიტყვებს. ყველამ ვიცით რა არის პირველი ფრაზა, რომელსაც ასწავლის დედ-მამა და რა სიხარული შეუდგებათ, როცა უსუსური ბაშვი წამოიძახებს «მამა . . . ლო» ეს არის ზოგიერთ სახლში თითქმის ეპოქა. ქალი სიხარულით აღტაცებული დედას და

ნათესავებს სწერს ესე: «ჩემი ყმაწვილი ფეხის ადგმასა ცდილობს და ლაპარაკობს კიდეც ასე, რომ, არ დაიჯერებთ, თავის პაპას (თუ მამას) გუშინ უთხრა «მამა . . .ლო;»—ზედაც დაატანს—«ძალიან გონიერი ყმარწვილი არისო.» ეს ბავშვები ცოტა რომ მოჩიტდებიან, დაიწყებენ მინდორში ბუზარაობასა და თრევასა. დედ-მამა შინ ვეღარა ნახავს, თუ არ ღამით, როცა ლაფში ამოვლებული დაქანცული და დაღლილი მოუვათ შინ შვილი დასაძინებლად. ხან ურემზედ, ხან კალოზედ, ხან ჩიტის ბუდეების საძებნელად დარბის საწყალი ბაშვი, ბინდის დროს მოსამსახურეებში გაერევა და უგდებს ყურს სხვა და სხვა უწმაწურ ლაპარაკსა; აი ამ გვარად ატარებენ თავის სიყმაწვილესა ჩვენი ყმაწვილები. ბოლოს კი დედ-მამა შეუდგებიან ფიქრსა: შვილისთვის უნდა ვიზრუნოთო, შვილს გაზდა უნდაო. ფიქრით დღე და ღამე არა სძინამთ. ამ თავიანთ დიდ ფიქრს დაასრულებენ იმითი, რომა ან **ვოენნი ვოსპიტანიკად** მისცემენ პოლკში, ან ჩაიყვანენ ახლო ქალაქში უეზდის სასწავლებელში; აუჩენენ ბინასა ან სომხის ან ქართველის სახლშია, საიდამაც ყმაწვილმა უნდა იაროს სასწავლებელში. თუ დედ-მამა ცოტა განათლებულნი არიან და ტფილისში რამდენჯერმე ყოფილან, მაშინ მოიფიქრებენ, მოდი ჩვენი შვილები რუსეთში (კორპუსში) გავგზავნოთო. აქედგან დაიწყობა ცოლისა და ქმრისა შორის ლაპარაკი: თუ ქმარსა სურს იქ გაგზავნა, ცოლი უთუოდ იმისი წინააღმდეგია. უნდა ვსთქვათ ამ შემთხვევაში ქება ჩვენი დედებისა: ისინი იშვიათად გამოიმეტებენ შვილსა იქ გასაგზავნად. იმათი გული წინათვე გრძნობს, რომა იმათ შვილებს კეთილი არ დაეყრებათ იქ წასვლით. მაგრამ რა უნდა ჰქნან, საყვარელნო მკითხველნო? საჭიროება, მხოლოდ მიუცილებელი საჭიროება გაბედვინებს ხოლმე რუსეთში შვილების გაგზავნასა! . . .

აი ჩვენი ყმაწვილი მოშორდა შინაურ წინდაუხედავ ზრდასა, ეხლა ვნახოთ, რა ხეირი დაეყრება სახლის გარეთა. ყველამ ვიცით და დავრწმუნდით, რომ ყმაწვილის გაზდა სამხედრო სკოლებში (**школа военныхъ воспитанниковъ**) არას გვაძლევს რიგიანს. ჩვენ ამ ჟამად

არ შეუდგებით მიზეზის განჩხრეკასა, ეს ძალიან გაგძელდება—კმარა რომა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა იქაურ გამზრდელებზე. ვინ არიან იქაური გამზრდელები? ვინ არიან მასწავლებლები? უფრო ზოგჯერ სალდათები. ვინა ჰყავთ ამხანაგი და მეგობარი? ისევ ის სალდათები და სალდათის შვილები. ჩვენი ბუნებითი ჩჩვილი და ნიჭიერი ყმაწვილი ადამიანმა რომ გაურიოს სალდათებში, რომელთაც თავის მდგომიარობისა გამო აქვთ, თითქმის, დაკარგული ყოველი ნაზი საქციელობა და მიდრეკილება, თქვენ თითონვე თქვით, თქვენი ჭირიმე, რა გამოვა იმ ყმაწვილისაგან?... მართალია, ამ სკოლებიდგან გამოსულა ზოგიერთი რიგიანი კაცი, რომ ბევრს სხვაზედაც უკეთესია, მაგრამ იმ აზრზედა ვდგევართ, რომ თუ მართლა და რიგიანი კაცი გამოსულა იქიდამ—ეგ იმ სკოლების მოწყალება კი არ არის, არამედ თვით ბუნებისა, რომელსაც მიუცია იმ კაცისათვის იმოდენა ნიჭი და სიმტკიცე გონებისა თუ გულისა, რომ გადურჩენია იმისი კაცობა სკოლის უხეირო ხელის გაქელვისაგან. არაფერი შემატება არ მიჰსცემიათ იმ სკოლებისაგან არც შვილსა და არც დედ-მამასა იმის მეტი, რომ რამდენიმე ხანი ბაშვი მუქთად გამოკვებულა. სხვა დედ-მამებისა კი, რომლებსაც შეუძლიანთ რამდენიმე ფულის დახარჯვა თავიანთი შვილის გაზრდაზე, ჩამოჰყავთ ყმაწვილები მახლობელ ქალაქში, და შეძლებისა და გვარად, ბინას აუჩენდნენ ან მდიდრის და ღარიბის სახლობაშია. ხომ იცით საყვარელო მკითხველნო, რომ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში ყველა უეზდის ქალაქში არის: **უეზდის სასწავლებელი**, სადაცა ჩვენი ყმაწვილები იგემებენ ხოლმე სხვა და სხვა მეცნიერებას. როგორცა ვსთქვით ზემოდ, შეძლებაზედა ჰკიდია ყმაწვილის მიბარება: თუ დედ-მამა შემძლებელი არიან, მეტს მისცემენ შვილის შესანახავსა, მაშინ რაც უნდა იყოს მაინც უფრო დარწმუნებულნი არიან, რომ რიგიანად შეინახვენ; თუ არა ამოურჩევენ ღარიბს სახლსა და მაშინ თქვენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც იმას მაშინ დაადგება, თუ ნამეტნავად სიღარიბესთან ურიგო სახლობაც შეხვდება. ჩვენ თითონ ვართ მოწამენი, რომა მოსამსახურეზედ უარესად ეკიდებიან

მიბარებულ ყმაწვილსა. ბაზარში იმას გააგდებენ; ხშირად წყალს იმას აზიდინებენ; შეშას აჭრევინებენ და არაფერში არ ზოგვენ. თქვენ თითონვე სთქვით, საყვარელნო მკითხველნო, ყმაწვილს შეუძლიან, რაც უნდა ბეჯითი და ნიჭიერი იყოს, იმისთანა მდგომარეობაში ისწავლოს რამე? სრულობით ვერა ფერი ვერ შეუძლიან. ჩვენ არ გვინდა გამოუდგეთ დაწვრილებითს გაჩხრეკასა, რომ რას, ან როგორ ასწავლიან ჩვენ უეზდების სამეცნიეროებში, თორემ ბევრს კარგს ვიტყოდით, და ის თქმული ბევრს...........

დედ-მამა თუმცა ხედვენ თავისი შვილის ამისთანა მდგომარეობასა, მაგრამ ვერა უთქვამთ რა შემნახველთათვის, იქნება იმის გამოც, რომ ჰგონიათ რომ ეს მორჩილობა არისო, რომელიც უმეტეს კაცობრივ ღირსებად მიაჩნიათ აქამდისაც ჩვენში. ოღონდ მორჩილი იყოსო თუნდა სხვა ნურაფერი ეცოდინებაო; მაშინ კარგი შვილი გამოვაო, ფიქრობს ხოლმე გულ-ხმიერად ჩვენი ძმა-კაცი. აი რაზედ არი დაფუძნებული საქართველოს ზრდა და განათლება! ეს არის ზომა ერთისაც და მეორისაც. ეს კი არ იციან, რომ იმისთანა მორჩილობა არ შეეფერება არც დროს და არც ადამიანსა, რომელმანც თავისი ფასი ყოველთვის უნდა იცოდეს. ამას გარდა არა გრძნობენ, რა ნაირად ეჩაგრებათ შვილი ამისთანა უპატრონობითა, რანაირად ეკარგებათ გულის ყური და სიკეთე ყმაწვილკაცობისა! იმას არ დაზედევენ დედ-მამა, რასაც კაცობრიობა ყველასი და თვითვეულისა მოითხოვს აღზრდაში, იმათ მარტო ის უნდათ, რომ შვილმა რუსული წერა და კითხვა გაიკვეთოს და თავის დროზე გამოიყვანონ სასწავლებელიდგანა და მაშინვე წააჩხირონ სადმე სამსახურში, რათა თავისი თავიც შეინახოს და ჩვენც შეგვინახოსო. ამ უპატრონო მოწაფეთა შორის ურევიან ისინი, რომლებსაც ხანი გადაუვათ და ხუთს-ექვს წლობით არიან თითო კლასში, იმათ მოსწყინდებათ ხოლმე ეს დიდი მეცნიერება უეზდის სასწავლებლებისა, მოახდენენ რასმე, ან ზედამხედველს შეაგინებენ, ან უფროს მოწაფესა ჰსცემენ და თავიანთ თავად დაბრუნდებიან შინა იმ აზრით,—ჩემს ყმა და მამულს რომ მოუარონ, მე მშიერი არ

მოვკვდებით, ცოდნა იმას უჭირსო, ვისაც შინ ლუკმა არა აქვსო. თუნდა ეს არ იყოს მაინც თუ მოწავე ცოტა გონიერია, მაშინვე მიხვდება რომ აქაური სწავლა (უეზდის სასწავლებლისა) მაგდენ არა ფერად გამამადგებაო; თუნდა პირველიდგან გამოვიდე, თუნდა სწავლა დავასრულო, მაინც ერთი ბოლო აქვს: მწერლად უნდა გავემწესო; რაც ადრე გავმწესდები, მით უფრო კარგიაო.

ეხლა უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა იმათზე, რომლებიც იზდებიან კორპუსებში. წარმოიდგინეთ,—ჩვენი აქაური ყმაწვილი 8 ანუ 9 წლისა ჩჩვილი, ნიჭიერი, რომელსაც დედისგან მოშორება უჭირს, უნდა გაიგზავნოს რუსეთში, სადაცა არც ამისთანა ჰავა არის, არც ხალხი, არც ჩვეულობა. ცხადად გვიმტკიცებენ მაგალითები, როგორც დაბოლოვდებოდა ხოლმე რუსეთშია ჩვენის ყმაწვილების საქმე. იშვიათი დედა იქნება, რომელიც არა ტიროდეს იქ დამარხულს შვილსა, იშვიათი დედა იქნება, რომ იმისი ცოცხალი, ცქვიტი, ჯანმრთელი ბაშვი, დედისაგან დაუტირებელი შვილი არ დაეფლას უცხოეთის მიწაშია. თუ ასში ხუთი გადურჩა ჩრდილოეთის ჰავის ბოროტობასა, ის ხუთიც ან დასნეულდებიან, ან დაიხუთებიან საუკუნოდ, ან კიდევ ისევ სნეულობისაგამო უკანვე დაუბრუნდებიან საცოდავს დედასა, რომელიცა გაყვითლებულს ფერმიხდილს, დასუსტებულს ბაშვშია ძლივღა იცნობს თავის შვილსა და მაინც ხარობს, რომ თუ არ წითური ბაშვი, იმისი ჩრდილი კიდევა ნახა სიკვდილამდინა. ვაი ამ სიხარულს! ჟილაჯობის სიხარულია. მართალია, როგორც გვესმის და როგორც ვხედავთ, ის ყმაწვილები, რომელთაც ბედი მიჰსცემიათ და დაუსრულებიათ კორპუსი, სწავლით თუ სიკეთით თავის რუსის ამხანაგებზედ უკან დარჩომილნი არ არიან, მაგრამ რა გამოვიდა: თავიანთი ენა, ჩვეულება სამარადისოდ ავიწყდებათ; სუყველა აქაური უცნაურად მიაჩნიათ და არ მოსწონთ; იმათ ჰგონიათ, რომ სულ ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც რუსეთშია, თვალში ეჩოთირებათ, რომ ჩვენი ცხოვრება არ ემგზავსება რუსეთისას და ვერც შეიძლება ემგზავსოს სხვა და სხვა მიზეზისაგამო, იმ კანონისა გამო, რომ ყოველს ტანსა

თავისი ზომა აქვს. ეგ მიზეზი, ეგ ზომა იმათთვის უცნობელია ჲ მიუმხვდარი. ამას გარდა, რამდენიც ვიცით, კორპუსიდგან გამოსულნი აფიცრები ისეც არიან დაწინაურებულნი, აქაურ აფიცრებზე, (რომლებსაც ენა მაინც არა აქვსთ დავიწყებული), რომ მაგის გულისათვის შვილები შევჰსწიროთ ჲ რუსეთში ვგზავნოთ. ზოგნი მკითხვენ: თუ რუსეთში წასვლა ამაოა ჲ მარტო სიკვდილისა და სნეულებისთვის მიდიან, მაშ რათ იკვლენ თავებსა ეხლანდელი უმაწვილი კაცები იქ წასვლისათვის? რომ არ ეგონოთ, რომ ამ კითხვით მახეში გაგვებმევით, ჩვენ ეხლავ პასუხს მივჰსცემთ. ჩვენა ვგონებთ დიდი განსხვავება იყოს 8 წლის ჲ 18—19 წლის უმაწვილის რუსეთში გაგზავნაში. რვა წლის ბაშვმა რა იცის თავის საჭიროებისა? აჰგლეჯენ თუ არა დედის გულიდამ, რომელიც ამოდენა ხანი ათბობდა ბაშვსა, ჲ რომელიც კიდევ ისე საჭიროა რვა წლის ბაშვისათვის, წაიყვანენ ვინ იცის საით? კაცი არ არის, რომ დაჩვეულ ენაზედ თავისი სურვილი ჲ წუხილი გააგებინოს; ყველანი იმისთვის უცხონი არიან ჲ ყველასათვის თვითონაც უცხოა, არის **მ ა რ ტ ო** მრავალთა შორის. ტყუილად მიჰმართავს დალონებულს ცრემლიან თვალებს იმ მხარესა, საიდამაც მოიყვანეს და რომელსაც იქნება თავის დღეში ვეღარა ნახავს; ტყუილად მოიხედავს გულდამძარებული თავის სამშობლოსაკენ და ვეღარ დაინახავს ვერც მშობელსა და ვერც ნაცნობსა. მაშინ ის საბრალო უპატრონო და უღონო დაიმარხავს წუხილს გულშია, შიგ ჩაჰკეტავს, ვიდრე ის წუხილი არ გაარღვევს სიჭლექითა გულსა და არ დამარხავს იქ, სადაც ცხოვრებაც ეძნელებოდა. თუნდ ეგ არ იყოს, რასაც ჩაასცმევენ საწყალს ბაშვსა—უნდა უთუოდ ის ჩაიცვას, რასაც მიჰსცემენ საჭმელად—უარს ვერ იტყვის; ერთი სიტყვით, თითქმის იმის სიცოცხლე დამოკიდებულია სხვაზე—იმათ გამზდელებზე. ხომ ყველამ კარგათ ვიცით რა ზრუნვა შეუძლიან 8 წლის უმაწვილსა ან თავის თავისა და ან სხვისთვისა; ისიც ვიცით რა მზრუნველები და გამზდელები ჰყვანან უმაწვილებს კორპუსებში და სხვა სახელმწიფო სასწავლებლებშია. . . . . . . . . . . . .

15 წლის ყმაწვილი სხვა არის; პირველად მათი წლოვანება გვაჩვენებს, რომ მეტი უცხოვრიათ; მეორე: რაკი მიდის განათლების დასასრულებლად თავის ნებით რუსეთში, ესა ნიშნამს, რომა იმან იცის ენა, რომლითაც იქ ცხოვრება შეუძლიან, ესმის თავისი ყოველი ფერი საჭიროება, იმან იცის რა უნდა ჩაიცოს, რომ არ გაცივდეს, რა უნდა ჭამოს, რომ არ აწყინოს,—ის პატრონია თავის თავისა, თუმცა ამ ყმაწვილებზედაც იქაურ ბუნებას აქვს მაინც ზედ-მოქმედება, მაგრამ შეუძლიან მიხვდეს იმის ვითარებას და იმდენი ეცადოს, რომ ნახევარი სიცოცხლე მაინც გადაარჩინოს იქაურ ჴავის მტრობასა, წყალსა, ხალხსა, ჩვეულობასა და სხვა. ერთის სიტყვით ამას მეტიცე აქვს გონებაც, ჭკვაც, აგებულებაც; რვა წლის ბაშვი კი უკავილია, რომელსაც დააჭკნობს ხოლმე ყოველივე ამის ცუდი ზედ-მოქმედება.

ამის გარდა იზდება სასულიერო სასწავლებელში (სემინარიაში) რამდენიმე ღვდლის შვილი; სუყოველ წელიწადს ასრულებენ იქ სწავლასა რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილი კაცები. იმათი ბოლო ყველამ ვიცით: კურსის დასრულების შემდეგ მიდიან იმ გზაზედ, რისთვისაც არიან დანიშნულნი, მაგრამ სიღარიბე, შევიწროებული მდგომარეობა და სხვა, არის მიზეზი, რომ ვერ ასრულებენ იმ დიდ მოვალეობასა, რომლის აღსრულებისათვისაც არიან მოწვევეულნი ქვეყანაში. არიან მათ შორის ზოგი ერთი მოღვაწენი პირნი, სასულიერო აკადემიაში ყოფილნი, ისინი კი არ არიან ხალხისათვის დამალულნი.

აი, საყვარელნო მკითხველნო, წყარო ჩვენი აღზრდის და განათლებისა, საიდგანაც შემდგომ წარმოდგა უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. ამათ რომ მიუმატოთ რამდენიმე პირნი, რომლებმაც მიიღეს სწავლა უნივერსიტეტებში, სპეციალურს და სხვა უმაღლეს სასწავლებლებშია, სრული ჩვენი საზოგადოობა შედგება.

იქნება ზოგიერთს თავი მოვაწყინეთ ჩვენის ძველის ამბების აღწერითა, მაგრამ ჩვენ იმ მიზეზით მოვიწადინეთ ესა და სხვები ავიშალეთ, რომ რაც კი თვალი გაგვიხილია დაცინების მეტი ჩვენე-

ბისაგან თუ უცხოსაგან არა გაგვიგონია რა რიგიანი, მართებული და ჭეშმარიტი. ჩვენ ადრინდელს, თუ აწინდელს მდგომარეობაში მართალია დასაცინარიც და გასამტყუნარიც ბევრი რამ არის ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ვისაც დაცინება სურს, ჭეშმარიტებას არ უნდა გადუდგეს. მაშინა აქვს დაცინებას ძალა და ღირსება, როცა ვისაც დაჰსცინიან დაუჯერებენ, რომ მართლად და ახად დაჰსცინიან და დასაცინარიც არის; ტყუილ დაცინებით არა გაკეთებულა რა ქვეყანაზე. დაცინებასთან ერთად უნდა ღონის-ძიებაც მიჰსცეთ, რომ ადამიანი გამოვიდეს იმ მდგომარეობიდგან, რაშიაც ჩაფლული არის. იმათ, ჩვენ დამცინებლებს და მაყვედრებლებს სურთ დაუოესავად მომკონ.

აქაურის საზოგადოების სამარადისო საჩივარი, წუხილი და თავში ცემა ის არის, რომ რიგიანი კაცები საზოგადო საქმეებისათვის არა გვყვანანო. ეს მწუხარება არ არის უსაფუძლო, მაგრამ კი ეხლა უნდა ვკითხოთ: შეიძლებოდა, რომ ამ ნაირ გაზდილ და განათლებულ საზოგადოობის წევრთა, როგორათაცა ვნახეთ ზევით, შეეძლოსთ ჩინოვნიკობის მეტი სხვა რამ მოქმედობა? არა მგონია, იქნება არიან პირნი, რომლებსაც შეეძლოსთ და სურდესთ საზოგადოებისათვის მსახურება, მაგრამ იცით, საყვარელნო მკითხველნო, რამდენ მოგვერდს უგდებს იმასა თავისივე ძმა-კაცი, და წააქცევს? მწელიც არის, რომ ჩვენს საზოგადოებას, რომელიც არის გაზდილი ზემომოხსენებულ რეცეპტით, შეეძლოს, ცნობიერად იცნოს თავისი საჭიროება და ცნობიერად წარმოჰსთქვას თავისი გულის-წადილი და ტკივილი.

ვისაცა სურს სახალხო საერთო საქმეს რითიმე გამოადგეს და მიჰსცეს სარგებლობა, ის უნდა იყოს პირველი: დაუმოკიდებული ე. ი. შეძლებული ცხოვრების სახსარითა, მეორე: უნდა იყოს განათლებული. განათლება აუცილებელი ღირსებაა საერთო საქმის მოღვაწეობაში. ჩვენ საზოგადოობას ეხლა არც ერთი აქვს და არც მეორე; ჩვენმა მამებმა თავის შვილებს არ მიჰსცეს ის, რის მიცემაც შეეძლოთ. ამის მიზეზი ჩვენ ზევით ვჰსთქვით, რომელიც თუმცა

იმათ ამართლებს, მაგრამ ჩვენ არაფერს გვიმატებს; ჩვენ მაინც კიდევ დღეს ხელცარიელები ვართ და იძულებულნი, რომ ვიტიროთ ის დრო სიყმაწვილისა, რომელმაც დღეისათვის არ მოგვამზადა და ისე უხეიროდ დაიკარგა ჩვენთვის.

ჩვენ ხალხს, უმეტეს ნაწილსა საზოგადოებისას თუ არ სახელმწიფო სამსახურში ვერ გაეძლო და ვერცა სძლებდა და ვერც იფიქრებდა საზოგადო საქმისათვის. ამ ფაქტით, რომ ჩვენ ყველანი კისერს ვიმტვრევთ სამსახურისათვის, ვითომც ამის მეტი ჩვენ არა შეგვეძლოს რა, გვძრახვენ. ფაქტი მართალია, გავსინჯოთ ამის მიზეზი. ა რისგამო ვართ ეგრე: ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც მოხდენილია რამე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, რომელნიცა ყველგან, რაც უნდა თქვას სხვამ, აწარმოებენ თავის ნებაზედ ხალხის სამეუფო ნებასა, ესე იგი მიიმხრობენ მდაბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა, და იმის შემწეობით ასრულებენ საქმესა; მაგრამ . . . . . .

1801 წელსა, როცა საქართველომ გამოაცხადა რუსეთის ქვეშევრდომილების სურვილი, რუსებმა მაშინ შემოიტანეს აქ ის დაწყობილება და ზოგიერთი კანონები, რომელიც იყვნენ და ჰსწარმოებდნენ თვით რუსეთშია. ცუდი იყო, თუ კარგი მეტი არა ჰქონდათ რა; იმისი თითონაც კმაყოფილი იყვნენ და ჩვენც, რასაკვირველია გვაკმაყოფილებდნენ. მაშინ ჩვენში, როგორც რუსსეთშია გაძრიელებული და გამოჩენილი იყო თავად-აზნაურ შვილების საზოგადოება. . . . . . . . . სხვათა შორის დადებული იყო, რომ ვისაც არა ჰქონდა ჩინი, არ შეეძლო ხმა ამოეღო საზოგადოების კრებაში, სადაც, მითომ, ზრუნავდნენ სახალხო საჭიროებისათვის. ამ დაწყობილებამ მიიყვანა ხალხი იქამდინ, რომა ყველას ელანდებოდა მხოლოდ ისა, რომა მიეღო ჩინი და დაეწყო სამსახური, პირველად ამისათვის, რომ როგორც კეთილ შობილს კეთილ შობილთ კრებაში ხმა ჰქონოდა, მერმე იმისათვის უფრო რომა განთავისუფლებულიყო ყოველ გვარ დაჩაგვრისაგანა და უპატიურობისაგანა, რომელსაც მიაყენებდა ხოლმე სამსახურს გარეშე მყოფელს კაცსა,

როგორც თითონ საზოგადოება, ისე მთავრობა. ვისაც არა ჰქონდა ჩინი ყველგან, სამჯავროში და სხვა სასამართლოებში ექცეოდნენ უპატიურად, ხან შეურაცხ-ყოფითაც, არსად არ უნდოდათ ეგდოთ ყური იმისათვის,—თვით საზოგადოებაც კი ცდილობდა ყოველს ფეხის გადადგმაზედ ეგრძნობინებინა, რომა თუმცა ის აზნაურის ან თავადის შვილია, მაგრამ მომეტებულ პატივის ცემისათვის, რომ ჩინიცა ჰქონდეს, კარგი იქნებოდა უფრო.

ეს ხმის ამოუღებლობის კანონი, რომელიც კეთილშობილსა კეთილშობილთ კრების წევრად თითქმის არა რაცხდა საზოგადო საქმეშია, ეს ყოველ ფეხის გადადგმაზედ ჩინოვნიკის გადამეტების გრძნობა და ჩვენება, რასაკვირველია მიიყვანდა ხალხსა იქამდინა, რომ თავადსაც და აზნაურსაც მააშვლეპინებდა ქუდსა უბრალო დიამბეგის წინა და მოანდომებინებდა, რომ თითონაც მალე მიიღოს ჩინი, რათა თავის დროზედ სხვასაც ეგრე აშვლეპინოს თავის წინ ქუდი. ქუდის შვლეპას არა ჰსჯერდებოდნენ: ჰსჩაგრავდნენ არამც მარტო ყოველთვის ხმა-გაკმენდილს დაბალს ხალხსა, არამედ თავადებსაცა, აზნაურებსაცა, რომელთაც ვერ გაებედნათ სამართლიანი თავისი ჩივილი და დავა დაეწყოთ დამჩაგვრელზედა, რადგან ეგონათ, რომ ძნელად გამართლდებიან თუნდ რომ დიდი სიმართლეცა ჰქონდესთ რასაკვირველია ეს ყოფა ხალხს ანატრებდა ჩინოვნიკობას, რომლის სახელითაც, იმათ ფიქრით, კაცს შეეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა არამცთუ დაბალი ხალხი ყოველთვის მაგ ყოფას შეჩვეული, არამედ იმის თავად-აზნაურობაცა! . .

ცხადია, საყვარელო მკითხველო, ყველას უნდოდა იმ შევიწროებულ მდგომარეობიდგან განთავისუფლება, რომელი ზემოთ მოვიხსენიეთ, ნამეტნავად თავადსა და აზნაურსა. ყოველს კეთილ შობილსა სურდა, რასაკვირელია, რომ ჰქონოდა ხმის ამოღების უფლება რჩევაში (კენჭში); თავისი გაჭირვების გამოთქმის ნება თავის საზოგადოობის კრებაშია. ყველას უნდოდა, რომა როგორც სასამართლოშია, ისე ყველგან დახვედროდნენ და მიეღოთ პატივის ცემითა ისე მაინც, როგორც მისს ხარისხსა შეჰფეროდა. ერთის სიტ-

ჟვით, ჰქონდათ სურვილი, რომა მდგარიყვნენ ისეის ფეხზე, რომ დაეცვათ უწინდელი თავისი სახელოვანება. განა მარტო ესენი იწევდნენ სამსახურისაკენ ჩინის გულისათვის, არამედ მოქალაქენიცა. ვის არ გვახსოვს, რომა ამ გვარ საზოგადოობისა გამო ყოველს ფეხის გადადგმაზე მიეცემოდნენ ხოლმე ყოველს გვარს უპატიურებას და წყენასა პატიოსანი ტფილისის მოქალაქენი, რომელთაც წინაპარნი უწინდელი ქართველების მეფეების დროს იყვნენ განსხვავებულნი მეფეების და საზოგადობის პატივის ცემითა და ბოლოს კი უპატიურად ექცეოდნენ ამისათვის, რომა არ იყვნენ აზნაურშვილები, არა მსახურებდნენ და არა ჰქონდათ ჩინი. ამისთანა ხალხი ყოველის ღონის ძიებით ცდილობდა მიეღო ან აზნაურ-შვილობა, რომელსაც აძლევდა ჩინი, ან რომელიმე ორდენი იმისათვის, რომ აღარ გალახულიყვნენ, არამცთუ მხოლოდ ყოველ ჩინოვნიკის ხელითა, არამედ პოლიციის იასაულის ცემას მაინც გადარჩენოდნენ. ვის არ ახსოვს და არ გაუგონია განთქმული პოლიცმეისტარი ერმოლოვის დროს, რომელიცა გაბედვით სცემდა არამცთუ სამსახურსგარეთ მეოფსა მოქალაქეებსა, თითონ მღვდლებსაცა . . . . მადლობა ღმერთსა ეგ დროები წავიდნენ ! . . . . .

ამ გვარი მდგმოიარობა საზოგადოებისა მარტო ჩვენში ხომ არა ყოფილა; ესრე იყო მთელს რუსეთშიაცა, რუსსეთის ისტორიიულ მომდინარეობიდგან წარმომდგარი. რა შედეგიც იქა ჰქონდა ამ მდგნოიარობასა, ისეთიც ჩვენშია, იმიტომ რომ ერთი და იგივე კანონი და დებულება ჰსწარმოებდა იქაც და აქაცა.

ამ ჩინოვნიკობის ტროფიალებამ მიიყვანა ჩვენი ხალხი იქამდინა, რომ ყველანი ვისაც კი შეეძლო კანონის ძალით შევიდნენ სამსახურში იმისათვის, რომა განთავისუფლებულიყვნენ ზემოხსენებულ შევიწროებისაგანა. ამას გარდა სხვა მიზეზიც იყო უფრო ძრიელი, რომელმაც გაიტაცა ხალხი სამსახურისაკენ—ეგ იყო სიღარიბე ჩვენი, ლუკმაპურის უილაჯობა. სამსახური აძლევდა მოსამსახურეს განუწყვეტელ ლუკმა პურსა, ზოგი, რომელსაცა ილაჯიცა და სახსარიცა ჰქონდა ცხოვრებისა, ისინიც გულგრილად არ უ-

ყურებდნენ სამსახურსა, ისინი უფრო ძრიელ ილტოდნენ მისკენ, იმიტომ-რომ მრავალი მაგალითები აჯერებდნენ, საღერღელს აუშლიდნენ, რომ იქ, სამსახურში შეიძლება ადვილად გამდიდრება, მალე შეიძინოს სიმდიდრე და ამასთანაც კეთილად მოსახმარი ხარისხი. იმათი თავების მტვრევა ის იყო, რომ ყოველის ღონის ძიების მოურიდებლად მიცოცებულიყვნენ, რომელიმე მხარის მართველობამდინა, რომ ხალხის გაკვრა-გამოკვრითა ეშოვათ რამე. ამ ყოველ გვარმა ჩანგლებმა, რომელიც წარმოიდგინა თვითონ საზოგადოობამ და რომელზედაც ეკიდა ხარისხი და სიმდიდრე, მიიყვანა ხალხი იქამდინა, რომა ყველა იმასა ფიქრობდა: ავად იქნებოდა თუ კარგად ესწავლა როგორმე რუსული წერა და კითხვა, საჩქაროდ შესულ იყო სამსახურში, ემსახურნათ ისრე, როგორც უმსახურნიათ ამის წინაპართა, და როგორც ემსახურებიან იმისი ამხანაგები, რომელთაცა იგინი შეჰნატროდნენ. ამისთანა საზოგადოების მდგომარეობამა და წესიერობამა მოაწყო საქმე ისე, რომ ჩვენს შვილების აღზრდაზედ და განათლებაზედ ბევრს აღარ გვაფიქრებინებდა, იმიტომ-რომ ყველასათვის აშკარა იყო, რომ მარტო წერა-კითხვითაც იოლად წავა კაცი სამსახურში, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოს სიკეთისათვის კი არ ეგონათ დაწესებული, არამედ თავის თავისთვისა, ხედავდნენ, რომ სრულად თავისზედ უარესები წინ მიდიოდნენ უგანათლებოთაც და აბა ვინღა გაიციებდა თავსა განათლებისათვის, რომელსაც იმათ თვალში საკუთარი, არსებითი ღირსება არა ჰქონდა და რომელიც თუ იყო ვისთვისმე სანატრელი, მარტო იმისთვის, რომ ეს განათლება უფრო უკეთ და მოხერხებით აშოვინებდა პურსა. ამას შემდეგ, რაცა ვჰსთქვით, რა საჭირო იყო, იმათ ფიქრით, რომ ძალიან თავი შეეწუხებინათ შვილების აღზრდითა, როდესაც მარტო წერა-კითხვითაც იმათი შვილები შეიქნებოდნენ ხოლმე, მითამ, კაცად, ე. ი, მიიღებდნენ ჩინსა, მაშასადამე საზოგადოობაში ხმის ამოღების უფლებასა, პატივის ცემასა და მაღიადს გამდიდრებასა. ეს იყო ჩვენი სახელიც და კაცობაც. ეგ კიდევ არაფერი; მარტო რომ ეგ ყოფილიყო მაინც კიდევ ისე გულს

არ გვატკენდა, საყვარელნო მკითხველნო, მაგრამ ჩვენდა მომეტებულ საუბედუროდ, ამისთანა საზოგადოობის მიმართულებას ზედ მოსზდევს და დაერთვის უფრო ცუდი, გულსატკენი ბოლო: ზნეობითი ძირს დაცემა, რომლის შემდგომაც დარჩება მარტო ერთი სახელიღა კაცისა და სხვა არაფერი. ვინ არ მიხვდება, რომ ჩვენს ამ გვარ წევრთაგან შედგენილს საზოგადოობაში, გავრცელდებოდა მდაბალ-სულობა, სივერაგით, უსვინიდისობით შოვნა სიმდიდრისა, ერთი ერთმანეთის მტრობა, რათა იმის ალაგი თვითონ მიიღოს, ბეზღრობა, შეცილება, რომ მიწასთან გააჰსწორონ თავისი ძმა-კაცი, რათა ამის შემდეგ თვითონ ჰსცარცოს დაბალი ხალხი, ყოველთვის ხმა-გაკმენდილი, დაჩუმებული, უღონო და უპატრონო.

არ არის დიდი განსხვავება ბავშის და გაუნათლებელ საზოგადოობის შორის, როცა განსჯაში ზომად მივიღებთ ადამიანის გონების გახსნას. როგორც ბავში ადვილად მიიღებს და შეითვისებს, რასაც კი თავის გარეშემო ნახავს დიდთაგან, ისე გაუნათლებელი საზოგადოობა სხვის, უფრო განათლებულის მიბაძვითა მიიღებს და ხანაცა შეითვისებს, დროებით მაინცა იმისთანა წესსა და აზრსა, რომელიც არ შეჰფერის არამცთუ განათლებულსა, არამედ სრულიად გაუნათლებელსაცა. ბავშს რასაც ჩაჰძახებ, იმას ამოიძახებს, გაუნათლებელი საზოგადოობაც იმას ამოიძახებს, რასაც ჩაჰძახიან. ეგ-იმისაგან მოხდება ხოლმე, რომ, როგორც ზემოთა ვჰსთვით, ხალხის დაწინაურებული თავობა, რომელსაც ყოველთვის მისდევს დანარჩენი ხალხიც, გადუქცევს სწორე გზასა და წავა ბრუნდეთ, დანარჩენი ხალხიც იმათი მაყურებელი იმათ კვალს აჰყვება. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გაუნათლებელი საზოგადოობა უფრო ცუდს მალე მიიღებს ხოლმე, ვიდრე კარგსა; ცუდის მაგალითების რიცხვი დღე და დღე მრავლდება, იმ დრომდე , ვიდრე საზოგადოობაში არ მოხდება განათლებისაგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბრუნდე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებითა და დაწებებითა—როგორც ძველისა რისამე—უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქციოს სრულიად და ახალი

შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო მკვიდრს სამირკველზედა ბედნიერია, ვინც ერთს აგურს მაინც ჩაადგებს ამ სამირკველში! . .

ამ გვარს მდგომარეობას ჩვენის საზოგადოებისას იმას გარდა, რომა ჰქონდა ცუდი ზედ-მოქმედება ჩვენის გონების გახსნაზე, ზნეობაზედ და შემდგომ მთელს ჩვენს ცხოვრებასაც ზედააჩნდა, ისე მოიყვანა საქმე, ისე დაგვამდაბლა და შეჰსცვალა აზრი, რომ აღზრდა და განათლება ისე აღარ გვესმის, როგორც ესმოდა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ჩვენს უკეთესს კაცს, დიდსა და სასიქადულო რუსთაველსა. აი რა თქვა იმანა აღზრდაზედ:

«გვარი ათასად დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა».

ეხლა კი აღზრდა, განათლება, რომელიცა კაცს აშორებს პირუტყვისაგან და აახლოვებს ღმერთთანა—ეხლა ეგ ჩვენთვის, ჩვენს თვალში, ან სულ საჭირო არ არის, და თუ საჭიროა ამისათვის, რომა ყოველ უსვინიდისო ქცევით და ხერხით მივაღწიოთ უმაღლეს ადგილამდე, რომ უფრო მალე მტაცებლობითა გავმდიდრდეთ. აი რა არის, ჩვენებურად, განათლებული კაცი, აი რაში მდგომარეობს ადამიანის კაცობა. ხშირად ჩვენს საზოგადოობაში ამისთანა კაცზედ თითით აჩვენებენ, მაგალითად წარმოუდგენენ სხვასა; იმის მაგიერ, რომ ამისთანა კაცი მიწასთან გაასწორონ, შეაჩვენონ საზოგადოდ, როგორც მავნებელი კაცი, მტარვალი, დაუნდობელი, უძლურის დამთრგუნველი, ხარბი მტაცებელი, ამის მაგიერ მაგალითათაც წარმოგვიდგენენ ხოლმე. ვაი იმ ხალხს, სადა მაგისთანაებს მაგისთანა სახელი აქვსთ და პატივი! . . მაგრამ მადლობა ღმერთსა, ეხლა თან და თან გვეცვლება აზრი, არიან პირნი, რომელნიცა აგრე არა ფიქრობენ და ანათლებენ შვილებს თვით განათლების გულისათვის, და არა იმისათვის, რომ განათლებამ გაგვეშოს უფრო ხერხიან მტაცებლობისათვის,

როგორც ვსთქვით, ჩვენი განუწყვეტელი საჩივარი არის, რო-

მა ყველანი ვიძახით, არა გვყვანანო ისეთი კაცებიო, რომელთაც შეეძლოსთ ხალხისათვის ზრუნვა, და იმის წარმატებაში მოყვანაო. რამდენიც შეგვეძლო უჩვენეთ წარმკითხველსა, როგორ წარმოდგა და სწარმოებდა ჩვენი საზოგადოება ამ 62 წელიწადში. გავლილმა დროებამ გვიჩვენა, რომა რაკი კაცი პირს მოარიდებს თავისს ხალხსა, მამულსა და შეუდგება იმ სამსახურსა, რომელიც ისე ცუდად ესმოდათ ჩვენ ხალხს, იმისი ოცნება უფრო მეტისა მაინც ის არის, რო სამსახურში დაწინაურდეს, ან ლუკმა პური იშოვნოს და სხვა რამე შემატება. მას უკან დრო გამოიცვალა: რაც ადრე მეტად გვიჩნდა და არ იყო საჭირო, თან და თან საჭიროდ გაგვიხდა. ადრინდელი შემოსავალი მამულიდგან, რომლითაც ცხოვრობდნენ ჩვენი მამაპაპები თავიანთ სახლობითა, შემდგომ არ იყო სამყოფი, იმიტომაც თავად-აზნაურმა, ბევრმა ნაწილმა დაანება თავიანთ მამულებს თავი და შევიდნენ სამსახურში, სადაც უფრო მომატებულს სარგებლობას ხედავდნენ, ვიდრე მამულიდგან. ხალხმა რამდენიც თან და თან შეტოპა სამსახურში, იმდენი ეგონა, რომა სამსახური ლუკმა პურისთვის არისო, და არა ქვეყნის და საზოგადო სარგებლობისათვის. თუ არ სამსახურიო შიმშილით დავიხოცებითო. აბა, საყვარელნო მკითხველნო, რა უნდა გაერიგებინა იმ საზოგადოებას ხალხისთვის, რომელსაც ეგონა, რომ იყო დაბადებული სამსახურისთვის და უიმისოდ ვერ გასძლებდა. ჩვენ იმ აზრზედა ვართ, რომ სასაცილო იქნება, რომ კაცს დაუწყოთ იმისი თხოვნა, რისაც მოცემა არ შეუძლიან. იმ კაცს, როგორ უნდა დავემდუროთ, რომელიც ოც თუმნისთვის წელიწადში, დღე და ღამეს სტეხდა სახელმწიფო სამსახურში, რადგანაც თავის მოუმზადებლობით, უჯიშობით სხვა გზით ვერ შეეძლო მაგისი შოვნა? მაგრამ ამისათვის კი შეგვიძლიან დავემდუროთ, რომა ხალხს იმათ არამცთუ პირი მოარიდეს, არამედ აწუხებდნენ და ჰქელავდნენ. თუ კარგი არ შეუძლიან რა კაცს, ცუდს მაინც ნუღარ ჩაიდენს.

მეორე ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც შეეძლო მიეცა ხალხისათვის შემწეობა და შეეძლო თავისთავად ცხოვრება, ისინიც დაად-

გნენ იმავე გზასა, რომელიც იყო დაწესებული მთელს სახელმწიფოში, როგორც თითქმის პირველი და უკანასკნელი სახსარი. ეგ ნაწილი იყო უფრო მდიდარი და გამოჩენილი საქართველოში; ამათ კიდევ ახსოვდათ, რომ იმათი ჩამომავლობა ადრინდელს საქართველოს მეფეების დროს იყვნენ დაწინაურებულნი და ხმის-პატრონნი, ეხლაც უნდოდათ ჰქონოდათ ისევ ის ხარისხი, ისევ ის ხმა და გავლენა, რომელიცა ჰქონდათ ადრე. მაგრამ, როგორცა ვნახეთ ზემოდ, ამ გადამეტების მიღება თითქმის არ შეიძლებოდა ეხლა სხვა გზით თუ არ სამსახურით. უჩინოდ, საყვარელო მკითხველნო, ძველი ჩამომავლობა, პატიოსნება და სხვა რომელიმე ღირსება თითქმის სულ ფუჭი იყო. ამ მიზეზით დაიწყეს სამსახური ყველამა: იმათაც, ვისაც ეჭირებოდა სამსახური ლუკმა პურისათვის; იმათაც, ვისაც ეგ არ ეჭირებოდა, მაგრამ პატივის შოვნისათვის მსახურებდნენ; იმათაც, ვისაც პურიცა ჰქონდა და შთამამავლობის ხარისხიცა, მაგრამ არ იყვნენ ისე ძლიერნი, როგორც ჩინის მქონენი. ეს უკანასკნელნი, რაკი შევიდოდნენ სამსახურშია, რომ სახელი ეშოვნათ ჩინებითა და ჯვრებითა, ხშირად მიაღწევდნენ ხოლმე თავის სურვილის აღსრულებამდის, ე. ი. მიიღებდნენ გამოსაჩენს ადგილსა დ თანა-მდებობასა, მაგრამ მაგ დიდ ალაგს დიდი გამძღოლაც უნდოდა და იმათ წელი აღარ მოსდევდათ, რომ საჭიროება და ხარჯი დაეფარათ; ვერც ჯამაგირი, ვერც თავის მამულის შემოსავალი შველოდა. დღე და დღე ემატებოდათ ხარჯი, იმ ხარჯს დღე და დღე ემატებოდა ვალი ასე, რომ გაჭირებული დიდი კაცი იძულებული იყო დაეგირავებინა მამული და ბოლოს გაეყიდნა კიდეც. როდესაც მოიღეოდა ეს ღონის-ძიებაცა მას შემდგომ ამ გვარ ხალხსა დაშთებოდათ ერთი სახსარიღა ცხოვრებისათვის: სამსახურში დაესრულებინათ თავიანთი სიცოცხლე, ეშოვათ რამე და სადღა მოაგონდებოდათ საზოგადოების საჭიროება დ იმ საჭიროების დაკმაყოფილება? ამ სახით ჩვენში დარჩა კიდევ მხოლოდ ერთი ნაწილი საზოგადოობისა, რომელიცა ცხოვრებდა თავის უფლად თავის მამულში; ეს ნაწილი არა ჰპოებდა საჭიროდ

სახელმწიფო სამსახურში შესვლასა, მაგრამ იქამდისინ უზრუნელი და გაუნათლებელი იყო, რომ თვით ის იყო მოსავლელი და საზრუნავი და სხვას ვის მოუვლიდა და უპატრონებდა? პირველი ამ მიზეზით, რომა სცხოვრებდა შინიდგან კარში გამოუსვლელად; თითქმის თავის სახლკარისაც არა იცოდა რა, სხვას ვინა ჩივის, და ვინ წააყვედრებს? მეორე ამისა გამო ეგ იმისთანა ხალხი იყო, რომ გაჭირებულს საზოგადოობას ვერ მიჰსცემდა იმედსა გაჭირებიდგან გამოხსნისას. მართალია, ეს ნაწილი არ იყო ძალიან დაშორებული ხალხზე; ხალხთანა სცხოვრებდა; მას შეეძლო გადაეცა ხალხისათვის მაინცა სახსარი რამე, მაგრამ თვით რა ჰქონდა, სხვას რას გადაჰსცემდა. თითონ ამათაც უჭირდათ, რომ სხვას ეშველა, უფრო განათლებულს, მაგრამ ის უფრო განათლებული წავიდ-წამოვიდა ღირსების ან სიმდიდრის საშოვნელად სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურშია! . . .

ამ გვარად საზოგადოობა ჩვენი მიეცა სრულიად სამხახურსა, (1) ჩვენი ყმარწვილი კაცობა თავს იმტვრედვა ამისათვის, დედ-მამა აძალადებდა შვილსა, უფროსი ძმა უმცროსსა. მაგარმ ის არ ესმოდათ, რომ განათლება, აღზრდა მიუცილებელია არამც თუ საკეთილო სამსახურისათვის, არამედ ყოველს საზოგადო მოღვაწეობაში. ეგრე, ამ გვარ ვითარების მოწყობილობისა გამო საქმე ისე მოვიდა, რომ გიმნაზიას ადრეულადვე თავს ანებებდნენ კილოკავად ნასწავლი ჩვენი ყმაწვილები, რომელთაც ისე მაცდურად იტყუებდა ისე სამსახური არა, როგორც მისი ბოროტად მოხმარება, ესენი თავის დროზედ იმ ცხოვრების სიბოროტისა გამო, რომელშიაც ისე წინდაუხედავად ჩაცვივდნენ, თუ ათას ნაირ ავ-მიზეზთა გამო სულით მდაბლდებოდნენ; თან და თან ჰკარგავდნენ მას, რაც შეადგენს ადამიანის დასაშვენსა. ამა-

(1) ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ სამსახურის საჭიროება არ გვესმოდეს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით რა რიგი მიუცილებელია სახელმწიფოსათვის სამსახური, ჩვენ თუ რასმეზედ გული გვტკივა, იმაზედ გვტკივა, რომ სამსახური ბოროტად და ანგარობით იყო ხმარებული. აი რა არის ჩვენი ჩივილი.

ზედ შედგებოდა ხოლმე იმათი ადამიანობის სვე, სამსახურისა კი იქნება წინწაიწევდა, ეგ იმაზედ იყო დამოკიდებული იმოდენად, რამოდენადაც გაიგეშებოდა და მიხვდებოდა სამსახურის ხერხსა და ეშმაკობასა. მაგ ხერხის და ეშმაკობის მქონი იყო ყველასაგნ და ყველასათვის თითით საჩვენებელი და მომავალ ყრმათათვისა სამაგალითო. ბოლოს დროს როდესაც აღმოჩნდნენ კეთილ-გონიერნი მშობელნი დაუწყეს ზრდა შვილებისა კერძოთ პანსიონებში, საიდგანაც, შემდგომ, შედიოდნენ გიმნაზიებში და იქ კურს დასრულებულები მიდიოდნენ რუსეთში-უნივერსიტეტებში, სპეციალურ და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენი მშობლები, რუსეთში გაგზავნის შემდეგ, ფიქრობდნენ, რომა ავასრულეთ ჩვენი ვალიო და სრულიად გულ-დაჯერებულნი იყვნენ, რომ მოუვლენ განათლებული შვილები, მეცნიერები, რომელნიც შეიძლებენ საგვარეულოს ფეხზედ დაყენებას. აქაც მაინც კიდევ ის ძველებური ფიქრი რომ უკან წასულს ოჯახს წამოაყენებსო, მაინც კიდევ ცხადად, თუ დაფარულად ეს ფიქრი გამოჰსცემდა და ისმოდა იმათ ლოდინშია და იმედშია; აქაც კი ფულის ანგარიში, ფულის შოვნას შეურევდნენ ხოლმე. გულდაჯერება და იმედი დიდი იყო, უფრო დიდი იყო იმათი გადაჯერება და იმედის გადაწყვეტა მერე, როდესაც ნახეს, რომა იმათ შვილებს სრულიად არა ეცხოთ რა მეცნიერებისა. იმათი ჩივილი უფრო ის იყო, რომ შვილობრივის მორჩილობის და მონების მაგიერად, რომელიც იმათთვის განათლების ზომა იყო,—ამის მაგიერად ხედავდნენ, რომ ისინი ჯიუტობდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ყველაფერში. ჩივილს ზედ დაერთო ჭორებიცა, საზოგადოობამ, ვინ იცის, რა არ მოუგონა: ურჯულობა, ბოროტ-მოქმედება, ნათესავობის უპატივცემლობა ყოველ სისაძაგლესთან ზედ დაართვეს.

ჩვენ ჩვენს ხალხს ამაში არ ვამტყუნებთ; იმათ საბუთი ჰქონდათ რომ ასე ეფიქრად, იმიტომ-რომ ზოგიერთი სტუდენტი თურმე ქადულობდა კიდეც ხოლმე, რომ ღმერთი არა ჰსწამს, ნათესავობა არ იცის, მოდი და აქ ქართველი კაცი ნუ მიაწერდა იმას ყოველს

სიავესა. «ბატონო!—იტყოდა იგი—ღმერთი მაგას არა ჰსწამს და ნათესაობა—რა კაცი უნდა იყოს ამის შემდეგ?» ხალხის ცხოვრებაში ზოგი ერთი იმისთანა საგანი არის, რომ კაცი ჯერ არ უნდა სრულიად შეეხოს და თუ შეეხოს დიდი სიფთხილით და მოფიქრებით უნდა დაიჭიროს საქმე. ჩვენს რუსეთელებს თურმე ეგ სიფთხილე არა ჰქონდათ. ისინი საცა მოხვდებოდათ დაჰსცინოდნენ მას, რისათვისაც ჩვენ ძმა-კაცსა მამა-პაპითვე პატივი უცია. მაგ წინდაუხედაობამ ძალიან შეარყივა მათი სახელის სიკეთე. ამას გარდა დაჰსცინოდნენ შინაურს ცხოვრებას იმის გაუსინჯავად, რომ ეგ ცხოვრება ათასს მიზეზზედ დამოკიდებული იყო და არის. თუ გული შეჰსტკივოდათ, ის მიზეზები უნდა მოეშალათ, მაშინ შედეგიც მოიშლებოდა: წყალი სათავიდამ მოწყდება. დაიცინებოდნენ, რომ საქართველო ისე არ არის განათლებული, როგორც თითონ არიან (?), რომ შვილებს ისე ვერა ზრდიან, როგორც თითონ არიან დაზრდილები; თუ კი გულშემატკივარი კაცი ჰკითხავდა, როგორ გავზარდო, რა გზაზედ დავაყენო, ისინი ზედ მიახლიდნენ: უნივერსიტეტი, უნივერსიტეტია მხოლოდ სულთა-მხსნელი. იმას კი არა ფიქრობდნენ, რომ მინამ ბაშვი საუნივერსიტეტოდ მოიყრება ბევრი მომზადება უნდა, ბევრი ზრუნვა და ფიქრი. ამას გარდა ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ყოველთვის და ყოველგან ამათი აზრი, ამათი სჯა, ფიქრი არ მოდიოდა საზოგადოობის ფიქრთანა, აზრთანა, სჯასთანა; ყველგან საზოგადოობა ამათ ეწინაამდეგებოდა, და ესენი საზოგადოობასა, ძნელი იყო აათი თანხმობა. ისე დაიბნა გზა და კვალი, რომა საზოგადოობას მმათი არა ესმოდა რა და ამათ კიდევ საზოგადოობისა ასე, რომ საზოგადოობამ უყურა, უყურა ამათა და ბოლოს აუშტვინა გულნატკენად და პირი მოარიდა, როგორც დაუნდობლებს, ურწმუნოებს, გულშეუტკივრებს და სხ. დარჩნენ ისინი წრეს გარედ და რომ არ მოჰსწყენოდათ, განზედ გადგნენ და შეადგინეს პატარა კრება თავის ამხანაკებისაგან. ძვირად ადგილი ჰქონდა იმათ შორის სხვას ვისმე,

თუ არ სტუდენტსა, იმიტომ-რომ ვინც უნივერსიტეტში არ იყო ის იმათ თვალებში თურმე ღირსი არ იყო დაახლოვებისა, ის სემინარიელიაო, ეს გიმნაზიელიაო, ის აფიცერიაო და ეგრე დაშორდნენ ხალხს, საზოგადოობას, რომელთ შორისაც იმათ უნდა, ეცხოვრათ, თუ რომ სიკეთეს მოტანა იმათ გულში ჰქონდათ.

იმათ ცხოვრებაში, როგორც ვნახეთ, გამოსცადეს თავიანთი ღონე და გონების გამჭრიახობა, მაგრამ ამ გამოცდამ ის მოულოდნელი სიკეთე მოიტანა, რომ გვაჩვენა ჩვენ, რომ ისინი მარტო სამსახურისათვის თუ ვარგანან, თორემ სხვა არაფრისთვის. ისინი, მგონია, თითონვე მიხვდნენ ამასა, რომ მართლა ცხოვრებისათვის მომზადებულები არ არიან. იმიტომაც საზოგადოობისაგან პირ-მორიდებულთა მიმართეს იმ გზას, რომელზედაცა ეგრე გულმოდგინედ დადიოდა ჩვენი საზოგადოობა, ე. ი. სამსახურსა. აქ მართალია ზოგიერთმა გამოიჩინა თავი თავის სიკეთითა, პატიოსნებითა, მაგრამ უფრო ბევრმა ვერ გაუძლო სამსახურის ოშხივარსა და ასე დაობდა, რომ ნამცეცი აღარ დარჩა უმაგისოდ. ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ იქნება პირველში ებრძოდნენ ავ-კაცობასა, უსვინიდისობასა კანონის გასყიდვასა, მაგრამ რაკი ნახეს რომ მაგითი არა გახდებარა, ფრთები დაუშვეს; უფრო ბევრმა დაიჯერა გული, რომ საკუთარ ფრთის გაშლას ისა ჰსჯობია, რომ ნაჩალნიკის, ან დიდ-კაცის ფრთის ქვეშ ამოჯდეს და იქიდამ გამოიჯუიტოს ხოლმე. ამ გვარად, თუ სხვა რიგად ეს უკანასკნელი იმედიც დაეკარგა საზოგადოობას; ამ სახით, თუ არა, ისინი, რომელზედაც უფრო დიდი იმედი უნდა გვქონოდა, და რომელთაც, რაც უნდა იყოს, მაინც შეეძლოთ ცოტა საზოგადოობის სიკეთე, ისინიც მოედვნენ საზოგადოობისაგან მოგონილს ჩანგალსა და პირი მოგვარიდეს ჩვენა. თუ ზოგი ერთი კიდევ მოიხედავდა საზოგადოობისაკენ ისიც იმისათვის, რომ მარტო თქვან რამე, სიტყვით იწუხონ და საქმით კი-გულხელდაკრეფილნი იყვნენ.

კაცმა სწორეთ უნდა თქვას, მაშინდელი უნივერსიტეტები ძალიან

შორს იყვნენ თავის დანიშნულებაზედ, ისინი უმაწვილ-კაცობას ისე ცხოვრებისათვის არ ამზადებდნენ, როგორც სამსახურისათვის. ჩვენ ვამბობთ «მაშინდელი» იმიტომ-რომ ვლაპარაკობთ იმ წლების უნი-ვერსიტეტებზედ, როდესაც ქართველებმა დაიწყეს იქ შვილების გაგ-ზავნა. იყო ძლიერი მიზეზი, რომ რუსეთის სასწავლებლები და იმისი წევრნი დაშორებულნი იყვნენ თავის დანიშნულებაზედ, არც ალაგი და არც დრო არ მოგვცემს ნებასა, რომ ის მიზეზი გამოვაკვლიოთ. მხოლოდ ამასკი ვიტყვით, რომ მისგამო უნივერსიტეტი არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო; ამასაც ზედ დავართამთ, რომ იმ მიზეზისაგამო დიპლომის მიღება იყო პირველი და უკანასკნელი სურვილი ყოველ სტუდენტისა. უნივერსიტეტი ძნელად თუ მიჰს-ცემდა ნამდვილს მიმართულებას; ის აძლევდა მხოლოდ ქაღალდს, რომელშიაც პროფესორები ეფიცებოდნენ საზოგადოებას, რომ ამ ქაღალდის პატრონი განათლებულია. საზოგადოებაც კი დაჯერებული იყო პროფესორების მოწმობაზედ: რაც უნდა სულელი და უმეცარი ყო-ფილიყავ, თუ კი დიპლომი გქონდა განათლებული იყავ, იმის თვალში, რაც ქნდა ჭკვიანი და ნათელ გონებისა, თუ დიპლომი არა გქონ-და გროშად არ ღირდა არც შენი ჭკვა, არც შენი ნათელი გონე-ბა, არც თითონ შენ. მთავრობაც, ისე არ ახალისებდა, როგორც დიპლომიანს. ეს რუსეთის საზოგადოების ზედ-მოქმედება ჩვენ უმაწვილებსაც ზედ დააჩნდათ. მაშინ მთელი საზოგადოება რუსე-თისა მარტო სიტყვით იყო, ეხლა კი, რასაკვირველია, საქმე საქმეზედ მიდგა. ჩვენმა უმაწვილებმა იქაური ქუდი დაიხურეს. უკეთესნი უ-წინდელ სტუდენტებთაგანი მარტო ცარიელ სიტყვებსა ჭჯერდებო-დნენ; ლაპარაკი ბევრი იყო, მაგრამ საქმეკი ღმერთმა შეინახოს.... იმათ ხელიდგან არა გამოვიდა რა. თუმცა ეს ჩვენგან გაკვრით მო-ყვანილი მიზეზი იმ უმაწვილ-კაცებს ამართლებს, მაგრამ ისე კი ა-რა, რომ ჩვენ არ შეგვეძლოს ამისი თქმა: იმათ ცოტა რამ მაინც შეეძლოთ, და ის ცოტა რამეც ჩვენთვის დაიშურეს.

რამოდენათაც შევიძლით ჩვენი აწინდელი მდგომარეობის მიზე-ზები, თვალი გადავავლეთ ჩვენ მოღვაწეებსა, დაგვრჩნენ მხოლოდ

ახლანდელი ყმაწვილ-კაცობა, რომელზედაც ჯერ არაფერი გვეთქმის, რადგანაც მოღვაწეობის ასპარეზზედ ჯერ ამათი კვალიც არა ჩანს. ვნახოთ, რა შემწეობას მოგვცემენ? ამათ გარდა დაგვრჩნენ განუ-სინჯავად ქალები, რომელნიც ყველგან დიდს როლს თამაშობენ ხალ-ხის და საზოგადოებისა ცხოვრებაში. მაგათზედ ჩვენს მკითხველებს თავის დროზედ მივჰსცემთ, შეძლებისამებრ, შესაფერს ანგარიშსა.

გ. თ.

---

## რედაქციისაგან

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ პირველმა ნომერმა ასე დაიგვიანა. ჩვენი ბრალი არ არის ეგა. უფ. ენფიანჯიანცმა, რომელსაც ჩვენ წერილით შე-ვეკარით, რომ სტამბა უნდა მზათა ჰქონოდა პირველს ნოემბრამდე, ვერ აგვი-სრულა პირობა. ნოემბრის მაგიერ, თორმეტს იანვარს მოუვიდა პეტერბურგი-დამ ასო და მეორე დღესვე დავიწყეთ ბეჭვდა; ასე ავჩქარდით, რომ შიგა დ შიგ კორრექტურის შეცდომებიც გამოგვერივა, დ «დამატებისათვისაც» ამ ნომერ-ში თავი უნდა დაგვენებებინა. რაკი პირველმა ნომერმა ასე დაიგვიანა, ცხადია რომ ამის გამო, დანარჩენი ნომრებიც დაიგვიანებენ. ჩვენ, რასაკვირველია, ვეცდე-ბით, დაკარგული დრო დავიბრუნოთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ჟურ-ნალი თავის დროზედ გამოდიოდეს.

---

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, კომენდანტის ქუჩაზედ, უფ. ქანანოვის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსულ ადრესით გამოგზავნონ:

**Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»**